საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№19 (254)
28 მაისი - 3 ივნისი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

5 რა ვერ გაიყვეს პაციენტებმა, ანუ ბალადა ხელმოწერაზე

## უკრაინის ახალი პრეზიდენტი და მისი ჰალსტუხიანი მრჩეველი 6




ქართული საზოგადოების კრიტიკულად დიდი ნაწილი სააკაშვილს დამნაშავედ მიიჩნევს და მის გასამართლებას მოითხოვს. არაერთი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ის გამოიყენებს თავის კავშირებს უკრაინაში, რათა საქართველოში «ნაციონალების» რევანში მოამზადოს

## თურქების მიერ დაპყრობილი აჭარა 10

## და ბათუმის მერობის «ქართული ოცნების» «ნაციონალი» კანდიდატი



«ყველა ბათუმელმა იცის, რომ ერმაკოვი იყო ძმები ახალაიების ძირითადი დასაყრდენი აჭარაში. ერმაკოვს დღესაც ახლო ურთიერთობა აქვს «ნაციონალებთან», ამასთანავე, ყველა დარწმუნებულია, რომ ერმაკოვი «ოცნებაში» «ნაციონალებმა» ჩანერგეს»

## ლეიტენანტ შმიდტის ბერები




3 ძასოხოვს და გულუას აფერაში ამხილეს!

13 აშშ-ის სპეცსამსახურის ჯაშუშური საქმიანობა ეუთოს წინააღმდეგ

16 რა მოხდება, რუსეთიც რომ ისე მოიქცეს, როგორც აშშ?

23 მზე, ხალი და კიბოთი დაავადების რისკი

## ნატოს შემდეგ ევროკავშირმაც განგვიმარტა



«პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს...» 7




## რამ გამოიწვია მენინგიტის საგანგაშო გავრცელება? 4

## რა საფრთხეს გვიქმნის ლუგარის ლაბორატორია?

ნატოში მიღება ისეთივე ბოდვაა, როგორც ერთსქესიანთა ქორწინებით «იბერიის გაბრწყინება» 26

ღია წერილი საქართველოს მასმედიას და კერძოდ «მაესტროს ცხრიანს» ქართველ გვარიშვილთა სახელით 17

«გაიარეთ ღამის ათი საათის შემდეგ აღმაშენებელზე და ნახავთ, საქართველო ქართველებისაა თუ თურქების» 9

11 «თუ ხელისუფლება თავის ნებაზე მიგვუშვით, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება გარდაუვალია»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## 2014 წლის ბოლოს უმუშევართა რაოდენობა 203 მლნ-ს გადააჭარბებს

**„მიმდინარე წელს უმუშევართა რაოდენობა 3,2 მლნ კაცით გაიზრდება და 203,2 მლნ-ს მიაღწევს“, — ნათქვამია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 27 მაისს გავრცელებულ მოხსენებაში, სახელწოდებით „შრომის სამყარო, 2014 წელი“.**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზით, უმუშევართა რაოდენობა 203 მლნ-ს გადააჭარბებს და უმუშევრობის ეს დონე 2017 წლამდე შენარჩუნდება, 2013 წელს კი უმუშევართა რაოდენობა კიდევ 10 მილიონით გაიზრდება და 213 მლნ-ს მიაღწევს.



## ირაკლი ღარიბაშვილი: უკრაინის ახალ პრეზიდენტს ვურჩევ, მიხეილ სააკაშვილი არ გაიკაროს!

**ჩემი პირველი მეგობრული რჩევა უკრაინის ახალი პრეზიდენტისადმი იქნება ის, რომ მიხეილ სააკაშვილი არ გაიკაროს, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინაში ჩატარებული არჩევნების კომენტირებისას.**

**„პირველი შეფასებებით, ჩვენ მოვისმინეთ, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდა. ახლა ვუსურვებ უკრაინელ ხალხს, რომ ქვეყანაში იყოს მშვიდობა და სტაბილურობა“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინაში 25 მაისს გაიმართა. უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ბიულეტენების 80,10%-ის დათვლის შემდეგ, პეტრე პოროშენკოს ხმათა 54% აქვს. მეორე ადგილზეა ყოფილი პრემიერმინისტრი იულია ტიმოშენკო, რომელსაც არჩევნებში მონაწილეთა 13,16%-მა მისცა ხმა. 8,51% უკრაინის პრეზიდენტად ოლეგ ლიაშკოს ირჩევს, 5,4% კი — ანატოლი გრიცენკოს.

## ვინ და რატომ გალახა ზურაბ ჭიაბერაშვილი და ნოდარ ლადარია



**27 მაისს თბილისში, აბაშიძის №22-ში მდებარე ლიტერატურულ კაფეში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ზურაბ ჭიაბერაშვილსა ილიას უნივერსიტეტის პროფესორ ნოდარ ლადარიას თავს რეზო თაბუკაშვილი (უმცროსი) და რეჟისორი გიორგი მგელაძე დაესხნენ.**

ზურაბ ჭიაბერაშვილმა, რომელსაც რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმებმა თავზე ნაკერები დაადეს, თავდასხმის დეტალები გაიხსენა და აღნიშნა, რომ არც ერთ თავდამსხმელს პირადად არ იცნობს.

**„მოვიდნენ ადამიანები, რომლებსაც პირადად არ ვიცნობ და მათი თავდასხმის მოტივი, როდესაც ნოდარ ლადარიას ცხელი წყალი შეასხეს და შემდეგ ის ჭიქა ჩამარტყეს თავში, იყო ის, რომ მათ არ მოსწონთ ჩვენი პოლიტიკური საქმიანობა. ეს კლიმატი ჩვენ ქვეყანაში ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის დამკვიდრებულია. როდესაც ისინი პირდაპირ გეშავდნენ საზოგადოების ასეთ წევრებს საიმისოდ, რომ მათ ფიზიკური ანგარიშსწორება მოაწყონ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ადამიანებზე“,** — აღნიშნა ჭიაბერაშვილმა. მისი თქმით, ის გიორგი მგელაძეს მხოლოდ ტელევიზიით იცნობს, ხოლო მეორე ადამიანის ვინაობა თავდასხმის შემდეგ შეიტყო, რომ ის რეზო თაბუკაშვილია.



## ლევან რამიშვილს ავტობუსი დაეჯახა

**27 მაისს თბილისში „თავისუფლების ინსტიტუტის“ დამფუძნებელ ლევან რამიშვილს ავტობუსი დაეჯახა.**

შემთხვევა ვაკეში მოხდა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რამიშვილი დიღომში „თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში“ გადაიყვანა.

ლევან რამიშვილს თავი და მხარი მსუბუქად დაუზიანდა.

მომხდარზე დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## პოლიტიკური მიწისძვრა — ევროკავშირის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა გაიზარდა

**ევროპარლამენტის არჩევნები დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთის ულტრამემარჯვენე პარტიების ტრიუმფით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ეს პარტიები სკეპტიკურად არიან განწყობილი ევროკავშირის მიმართ.**




ევროკავშირის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ სახელმწიფო გერმანიაში, აგრეთვე, იტალიაში ცენტრისტულმა პარტიებმა პოზიციები შეინარჩუნეს, თუმცა ევროპარლამენტში ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განწყობილი დეპუტატების რაოდენობა გაორმაგდება. საფრანგეთის პრემიერმინისტრმა მანუელ ვალსმა 22-25 მაისს ჩატარებული არჩევნების შედეგებს „პოლიტიკური მიწისძვრა“ უწოდა.

წინასწარი მონაცემების მიხედვით, რაოდენობა ევროპელებისა, რომლებმაც მხარი უკიდურესად მემარჯვენე ან ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურად განწყობილ პარტიებს დაუჭირეს, მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, საფრანგეთში ევროსკეპტიკოსებმა ხმების 25 პროცენტი მოიპოვეს (2009 წელს — 6%), დანიაში — 27%, საბერძნეთში — 26,5% (წინა არჩევნებზე — მხოლოდ 4,7%).

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება დიდ ბრიტანეთში მოხდა — „გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის“ პარტიას ხმა უამრავმა ამომრჩეველმა მისცა. ეს პარტია, რომელიც მნიშვნელობით მესამეა ქვეყანაში, გააფთრებით იბრძვის ევროკავშირთან ინტეგრაციის წინააღმდეგ. ასეთ პარტიებს ბევრმა ევროპელმა დაუჭირა მხარი. ექსპერტთა აზრით, ეს არის ნაბიჯი იმ პოლიტიკური ძალებისკენ, რომლებსაც ევროკავშირის დაშლა სურთ.



## ერთი თვის განმავლობაში მენინგიტის 306 შემთხვევა აღირიცხა

**ბოლო თვის განმავლობაში საქართველოში მენინგიტის 306 შემთხვევა აღირიცხა. როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზეა აღნიშნული, 25 მაისის მდგომარეობით, შემთხვევების უმეტესობა (169) თბილისშია რეგისტრირებული, შემდეგ მოდის ქუთაისი (51 შემთხვევით), აჭარაში აღრიცხულია 18 და რუსთავში 11 შემთხვევა.**

თბილისში ვირუსული მენინგიტის ყველაზე მეტი შემთხვევა 5-9 წლის ბავშვებში აღირიცხა — 90-მდე, 2-4 წლამდე ბავშვებში — 60 შემთხვევა, 10-14 წლის ბავშვებში — 40-ზე მეტი.

## ევროპარლამენტარები არნახული შეღავათებით სარგებლობენ




**ევროპარლამენტის არჩევნების პერიოდში ევროპელთა ინტერესი პარლამენტართა შემოსავლებმაც გამოიწვია. გაირკვა, რომ თითოეული ევროპარლამენტარის ხარჯები წელიწადში 96 ათას ევროს შეადგენს. ამ თანხაში არ შედის ოფისის შენახვის, მივლინებების, ოფიციალური მიღებებისა და სხვა ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხები.**

ევროპარლამენტის სადეპუტატო მანდატის მოსაპოვებლად ფართომასშტაბიანი საარჩევნო კამპანიის ჩატარებაა საჭირო — ისე უნდა მოიქცე, რომ ამომრჩეველმა შეგნიშნოს, მაგრამ, თუკი აგირჩევენ, ზღაპრული ცხოვრება გარანტირებული გაქვს.

„ეს, უბრალოდ, შესანიშნავი თანამდებობაა! გამოვთვალე, რა ხარჯებს უნაზღაურებენ მათ. **გამოდის, რომ ევროპარლამენტის წევრმა ყოველდღე შამპანური რომ დალიოს, მიირთვას დელიკატესები, იმოგზაუროს პირველი კლასის ტრანსპორტით, წელიწადში 1-1,5 მლნ ევროს ეკონომიას შეძლებს“,** — ამბობს დევიდ კრეიგი, ავტორი წიგნისა „დიდი ევროპული მატყუარობა“.

ყველაფერი ეს ხალხის რჩეულს კი არა, დიდი გეტსბის ცხოვრებას ჰგავს. ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული წიგნები ასეთი შედარების რეალურობას ამტკიცებს. „არსებობს საინტერესო ციფრები. მაგალითად, ბრიუსელში ოფიციალური მიღებებისთვის დახარჯული თანხა 318 ათასს ევროს შეადგენს“. ამბობს ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის სახელობის ინსტიტუტის გენერალური მდივანი ბარბარა კოლმი.

**ევროპარლამენტარებს მუშაობის საუკეთესო პირობები აქვთ. როგორც ექსპერტები ამბობენ, ევროპარლამენტში არის სისტემა, რომელსაც „აღინიშნე და გაიქეცი“ უწოდეს. საჭიროა, 5 წუთით დაყოვნდე სხდომაზე, მიიღო სამუშაო დღეში 300 ევრო და... შეგიძლია შენს საქმეებზე წახვიდე.**

**მათ კი, ვინც სხდომაზე დარჩა, შეუძლიათ ჩათვლიმონ, წაიკითხონ წიგნი ან დაათვალიერონ ფოტოები**. რა თქმა უნდა, ყველა ევროპარლამენტარი ასე არ იქცევა — ზოგი მუხლჩაუხრელად შრომობს, მაგრამ იმის გამო, რომ უზარმაზარ თანხებს იღებენ (ბევრი ევროპელი მთელი ცხოვრების განმავლობაში რომ ვერ გამოიმუშავებს), ადამიანები თვლიან, რომ ეს „მეფეები“ შიშვლები არიან.

**ქასოხოვისგან განსხვავებით, ბატონ გულუას ტვინი არ უჭყლეტია მის მიერ შექმნილი ორგანიზაციის საქმიანობის ფორმალურ მხარეზე. ოსტაპ ბენდერი მისი სახელგანთქმული კანტორით „რქები და ჩლიქები" გულუასთან შედარებით მიამიტი ბალღია.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლეიტენანტ შმიდტის გერები

# ქასოხოვს და გულუას აფერაში ამხელენ!

**2014 წლის თებერვლის დასაწყისში რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნა და რუსეთის კანონმდებლობის დარღვევის, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსის დაკარგვის გამო საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველოს ხალხების ასამბლეის" (სხა) ლიკვიდაცია მოახდინა. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა იმხანად განაცხადა, რომ ორგანიზაცია უკვე გასულ ზაფხულს თავად აპირებდა ნებაყოფლობით ლიკვიდაციას იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოვლენილი დარღვევების აღმოუფხვრელობის გამო, თუმცა რიგი მიზეზებით, ეს არ მოიმოქმედა და ამიტომ სასამართლოს გზით ლიკვიდაციას არ ეწინააღმდეგება.**


მინდია გულუა


გოჩა ქასოხოვი

თუმცა სულ ორიოდე დღის შემდეგ ქართულ მედიაში გავრცელდა აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარის — გოჩა ქასოხოვის განცხადება, რომელშიც მან მომხდარს „იურიდიული კაზუსი" უწოდა და მისდამი დაქვემდებარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის უკვე საქართველოში სწრაფ სტარტზე და ბევრი ახალი პროექტის განხორციელებაზე ისაუბრა.

ქასოხოვის სახელით გავრცელებულ პრესრელიზში ახალ პროექტებს შორის დასახელდა 2014 წელს ასამბლეის კონგრესის ჩატარება, კინოფილმ „ჯარისკაცის მამის" ჩვენება გამარჯვების დღის — 9 მაისის აღსანიშნავად, რუსული ენის პოპულარიზაცია საქართველოში და რუსული სკოლების რაოდენობის გაზრდა.

**„მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და სხვა სტრუქტურებს, რომლებმაც ჩვენს ორგანიზაციას საშუალება მისცეს, რუსულ-ქართული ურთიერთობებისთვის მძიმე დროს ემუშავა და განეხორციელებინა მშვიდობისმყოფელური პროექტები. ჩვენ უმძიმეს პირობებში ვასრულებდით წამოჭრილ ამოცანებს და ბევრი რამის გაკეთება მოვახერხეთ",** — მოყვანილი იყო ქასოხოვის სიტყვები.

რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს კი აბსოლუტურად განსხვავებული აზრი აქვთ ბატონი ქასოხოვისა და მისი ორგანიზაციის მიზნებსა და მეთოდებზე რფ-ის ტერიტორიაზე, სადაც ის ფორმალურად 2009 წლის გაზაფხულზე შეიქმნა.

თავად გოჩა გიორგევიჩი მოსკოვში ოდნავ უფრო ადრე — 2008 წლის აგვისტოში გადასახლდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში მისი საქმიანობის ძიებით სერიოზულად დაკავდნენ სამართალდამცავი ორგანოები. **დიდი ოდენობით ბიუჯეტის სახსრების დატაცებისა და გაფლანგვისთვის ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრსა და სპორტული საზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს 13 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.**

ისარგებლა რა იმით, რომ იმხანად რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ყველაზე უარეს ფაზაში იყო, ქასოხოვმა თავი საქართველოს ხელისუფლებისა და პირადად მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად გამოაცხადა. ასეთები მაშინ მართლაც ბევრი იყო, ამიტომ რუსეთში მას დახმარების ხელი გაუწოდეს. უფრო მეტიც, შერისხულის შარავანდედით მოსარგებლე ქასოხოვმა რუსეთის საზოგადოებრივ პალატაშიც მიიღო ადგილი და სახელმწიფო დუმის არჩევნებშიც იყარა კენჭი.

თუმცა მოკლე ხანში ქასოხოვი და მისი ორგანიზაცია უკვე რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების თვალთახედვის არეში მოექცნენ. **გამოძიების მსვლელობისას გაირკვა, რომ გამოცხადებული საზოგადოებრივი საქმიანობით ორგანიზაცია საერთოდ არ დაკავებულა. ამას ღაღადებს დოკუმენტები, რომლებიც ჩხრეკისას მისი ოფისიდან ამოიღეს. ფაქტობრივად, ხმამაღალი სახელწოდების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მასთან დაკავშირებული მრავალი ბიზნესსტრუქტურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა საეჭვო „საკრედიტო ისტორიების" მქონე ქართული წარმომავლობის პირების ქართული ბიზნესის ნაწილის რფ-ში ლეგალიზებისა და „დაკრიშვის" კუთხით მომსახურების გაწევა მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში — რეიდერობამდე და გამომძალველობამდეც კი.**

ეს ყველაფერი როდია. **სხა**-ის ოფისში ჩხრეკისას გამომძიებლებმა აღმოაჩინეს არცთუ მცირე რაოდენობის საინტერესო დოკუმენტები. მაგალითად, პროექტ „პროგრამა 3G"-ს დეტალური აღწერა. **დოკუმენტის თანახმად, ქართულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც არცთუ ცოტა იყო რუსეთში, ივალდებულეს, სრული ძალისხმევით, ყველა დონეზე ხელისუფლებაში წინ წაეწიათ „თავიანთი ადამიანები", ჩანერგილიყვნენ ეკონომიკაში, გარს შემოეკრიბათ მათივე „გამოკვებილი" ხალხი სამართალდამცავ ორგანოებში.**

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. საქმე ისაა, რომ გოჩას ღვიძლი ძმა, რიჩარდი, სასჯელს იხდის აჭარის ყოფილი შს მინისტრის მოადგილე ელგუჯა ჯინჭარაძის მკვლელობისთვის, რომელიც მოსკოვში ჩაიდინა.

ქასოხოვი და მისი ორგანიზაცია ერთადერთი რომ ყოფილიყო რუსეთის ტერიტორიაზე კიდევ არა უშავდა, მაგრამ ქართულმა მაფიამ იქ მსგავსი სტრუქტურების მთელი ქსელი შექმნა!

**აი მეორე მაგალითიც: სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველოს სახელით", რომელსაც სათავეში მინდია გულუა — „რუსეთსა და საქართველოს შორის ორმხრივ ურთიერთობათა უფლებამოსილი შუამავალი" — უდგას. ქასოხოვისგან განსხვავებით, ბატონ გულუას ტვინი არ უჭყლეტია მის მიერ შექმნილი ორგანიზაციის საქმიანობის ფორმალურ მხარეზე. ოსტაპ ბენდერი მისი სახელგანთქმული კანტორით „რქები და ჩლიქები" გულუასთან შედარებით მიამიტი ბალღია.**

მოკლე ისტორია ასეთია: მინდია გულუას იურისტებმა „საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოს სახელით" რეგისტრაციისთვის დუკუმენტაცია მოამზადეს, თუმცა იუსტიციის სამინისტრომ უარი სტკიცა, მაგრამ ამან სულაც არ დააღონა გულუა — **იურიდიულად არარსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე დაფუძნებით მან შექმნა „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განმტკიცების ხელშემწყობი ფონდი საქართველოს სახელით". ფონდის დამფუძნებელთა რიცხვში მან ავტომატურად ჩართო იგივე ადამიანები, რომლებიც უწინ „სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის" შესაქმნელად მიიხმო... შემდგომ დღის სინათლე იხილა კიდევ რამდენიმე ასეთმა ფიქტიურმა სტრუქტურამ.**

**და აი ჩვენ წინაშეა სოლიდური კომერსანტი და თვალსაჩინო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც სათავეში უდგას განტოტვილ საზოგადოებრივ-კომერციულ სტრუქტურებს და დაუღალავად იღვწის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განმტკიცებისთვის.**

სინამდვილეში კი ის ჩვეულებრივი აფერისტია, რომელიც თავის კრიმინალურ საქმიანობას თვალშისაცემი აზრებით ნიღბავდა — მართლაცდა, ვინ ამოიღებს ხმას რუსეთისა და საქართველოს ხალხების მეგობრობის წინააღმდეგ?!

**იმავე გზას გაჰყვნენ ტერორიზმსა და ექსტრემიზმთან ბრძოლის ხელშემწყობი რეგიონთაშორისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ანტიტერორისტული ცენტრის" შემქმნელებიც. მისი დამფუძნებელი ვაჟა შიშნიაშვილია, რომელმაც ოსტატურად შეიქმნა იმიჯი, თუმცა არავითარი ანტიტერორისტული საქმიანობით ცენტრი არ დაკავებულა. რუსეთის პოლიტიკური და სამეურნეო ისტებლიშმენტის უმაღლეს ეშელონებში პირადი კავშირების გამოყენებით ბატონი შიშნიაშვილი დაკავებული იყო იმით, რომ საჭირო ადამიანებს საჭირო ადგილებზე დანიშვნაში ეხმარებოდა, ლობირებდა კომერციული სტრუქტურების ინტერესებს, რომელთა წარმატებაშიც დაინტერესებული იყო.** რა თქმა უნდა, ამას ბანალური „დიდი მადლობისთვის" არ აკეთებდა. 2013 წლის ნოემბერში შიშნიაშვილი და მისი რამდენიმე ხელშემწყობი პირი ქრთამის აღებისას დააკავეს.

ჩვენ ქართველი ოსტაპ ბენდერების კრიმინალური საქმიანობის სულ სამი მაგალითი მოვიყვანეთ, თუმცა ასეთები რუსეთში ბევრია, უბრალოდ, სხვადასხვა მასშტაბი აქვთ...

**ქართველი აფერისტები ანგარებიანი მიზნებით რუსეთისა და საქართველოს ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობით, აგრეთვე, ამიერკავკასიის ამ ქვეყნის მცხოვრებლებისადმი (პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეეებისა და ბიზნესმენების), რომლებიც ნამდვილად დაზარალდნენ სააკაშვილისა და მისი ხელის ბიჭებისგან, რუსი ხალხის გულწრფელი თანაგრძნობით სარგებლობენ.**

**მომზადებულია რუსული პრესის მიხედვით**



## ამერიკელი ექსპერტი: უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა, შესაძლოა, სააკაშვილის ბედი გაიზიაროს

**ამერიკელმა ექსპერტმა დიმიტრი საიმსმა „რია ნოვოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინის ახალ პრეზიდენტს შეიძლება გაუჩნდეს „სააკაშვილის სინდრომი", სააკაშვილისა, რომელმაც იფიქრა, რომ ყველაფრის უფლება ჰქონდა და, მრავალი უცხოელი პოლიტიკოსის გაფრთხილების მიუხედავად, მოსკოვთან პირდაპირ კონფლიქტს არ მოერიდა.**

„ვშიშობ, უკრაინის ახალ პრეზიდენტს და უკრაინის პოლიტიკურ ელიტას არ გაუჩნდეს ის, რასაც მე სააკაშვილის სინდრომს ვეძახი", — განაცხადა ამერიკელმა ექსპერტმა, კონსერვატიული ნაციონალური ინტერესების ვაშინგტონის ცენტრის ხელმძღვანელმა დიმიტრი საიმსმა და დასძინა, რომ, რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში, უკრაინის ახალი პრეზიდენტი საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბედს გაიზიარებს.

ამერიკელმა ანალიტიკოსმა გაიხსენა, რომ 2006-2008 წლებში აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში შეხვედრებისას კერძო საუბრებში მიხეილ სააკაშვილი არა ერთხელ გააფრთხილეს, მოსკოვთან კონფლიქტში არ ჩართულიყო: „ვაშინგტონში ეუბნებოდნენ: მიშა, ჩვენ გვიყვარხარ და პატივს გცემთ, მაგრამ თავს ნუ გაგივა და მოსკოვთან კონფლიქტში ნუ ჩაერთვები, მაგრამ ის ისეთი თავბრუდახვეული იყო იმით, როგორ და რა დონეზე იღებდნენ, როგორი ადამიანები პასუხობდნენ მის სატელეფონო ზარებს, ვინ იყო მზად თბილისში ჩასასვლელად და მასთან ერთად ხალხში ფოტოების გადასაღებად, რომ გაუჩნდა განცდა — ხელშეუხებელი იყო და ყველაფრის უფლება ჰქონდა. სააკაშვილმა იფიქრა, რომ დასავლეთი მას მიუდგებოდა პრინციპით: „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ". ვიმედოვნებ, კიევი არ ფიქრობს, რომ, თუკი მოსკოვი უკრაინის საზღვრებიდან ჯარებს გაიყვანს და დაიწყებს დეესკალაციაზე საუბარს, ეს არ ნიშნავს რუსული პოლიტიკის ორიენტაციის შეცვლას და ამიტომ შეიძლება ყველაფერი გააკეთო, რასაც მოისურვებ. ვიმედოვნებ, კიევს თავბრუ არ დაეხვევა წარმატებებისგან", — აღნიშნა დიმიტრი საიმსმა.



SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აშშ-ს საქართველოში არც ერთი საწარმოს ასამუშავებლად არ განუხორციელებია 300-400 მილიონი დოლარის ინვესტიცია და რაღა მაინცდამაინც ეს ბიოლოგიური ლაბორატორია ამოიჩემეს? ამას გარდა, როგორც სილვერმანი ამტკიცებს, მსგავსი ლაბორატორია ამერიკაში, კარგა ხანია, აღარ არსებობს და, ამერიკელების მეცადინეობით, ეს ლაბორატორიები გატანილია ისეთ გაპარტახებულ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა“.**

# რამ გამოიწვია ვირუსების უეცარი გავრცელება საქართველოში და უქმნის თუ არა საფრთხეს ქვეყანას ლუგარის ლაბორატორია?




**უბრალო შემთხვევითობა თუ ვირუსული დაავადების ხელოვნურად გავრცელების მცდელობა? არის კი დღეს საქართველო ბიოტერორიზმის საფრთხისგან დაცული? — კითხვებზე, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას ძალიან აწუხებს, პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს. გამანადგურებელი შესაძლებლობები ბიოლოგიური იარაღისა, რომელიც ქიმიურ, ბირთვულ ან ნებისმიერ სხვა იარაღზე უფრო საშიშია, ნებისმიერ ქვეყანას კატასტროფას უქადის. მისგან თავის დაცვა მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე ქვეყნებისთვისაც კი ძალიან რთულია, საქართველოსნაირი მწირი შესაძლებლობების მქონე ქვეყნისთვის კი, ფაქტობრივად, შეუძლებელი. ჩვენ არ ვცდილობთ პანიკის შექმნას, მაგრამ უმჯობესია, ამ საკითხს სპეციალისტებმა დროულად მიაქციონ ყურადღება, ვიდრე ის გადაულახავ პრობლემად იქცევა.**

„ყვავილის“ მსგავსი სრულიად უცნობი დაავადება, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ვირუსული მენინგიტი — საქართველო ბოლო პერიოდში, ფაქტობრივად, ვირუსული დაავადებების კერად იქცა — ქვეყანაში ვირუსული დაავადებების გავრცელებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

ცოტა ხნის წინათ საქართველოში სრულიად უცნობი დაავადება აღმოაჩინეს, რომელიც ძალიან ჰგავს „ყვავილის“ სახელით ცნობილ ვირუსს. ამ დაავადების ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს. ორი კაცი გარდაიცვალა და ერთიც მძიმედ დაავადდა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელებით, მხოლოდ ბოლო თვის განმავლობაში კი ვირუსული მენინგიტით ინფიცირებულთა რაოდენობამ 306-ს მიაღწია. ვირუსული მენინგიტის შემთხვევების ზრდის გამო დაწყებით კლასებში სწავლაც კი შეწყდა.

ქართველმა ექიმებმა უცნობი დაავადების ტიპის დასადგენად ამერიკელ კოლეგებს მიმართეს. ატლანტის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ფედერალური ცენტრების (Centers For Desease Contol and Prevention; CDC) მეცნიერები საქართველოში ჩამოვიდნენ და მასშტაბური კვლევა ჩაატარეს. კვლევას ახორციელებდა სპეციალისტთა ჯგუფი, ნილ ვორის ხელმძღვანელობით. მათ დაადგინეს, რომ საქმე აქვთ ერთ-ერთ ე. წ. პოკსვირუსთან, რომელიც ყვავილსა და ყვავილის მსგავს დაავადებებს იწვევს. **ამერიკელი სპეციალისტების აზრით, ამ დაავადების აღმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან „ყვავილის“ ოჯახის დაავადებები შეიძლება ბიოლოგიური ტერორიზმის იარაღად გამოიყენონ. „ვირუსების ეს ოჯახი ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რადგან ყვავილის გამოყენება შესაძლებელია ბიოლოგიურ იარაღად“, — აცხადებს ამერიკელი მკვლევარი ნილ ვორი NPR-თან საუბარში. მისი თქმით, დაზუსტებით ისიც არ არის ცნობილი, იყო თუ არა სიკვდილის შემთხვევები ამ ვირუსით გამოწვეული.** არც ის არის დაზუსტებული, გადამდებია თუ არა დაავადება.

შემაშფოთებელია სპეციალისტების დასკვნა, რომლის მიხედვითაც **„თუ ეს ვირუსი იატაქქვეშა ლაბორატორიაში მოხვდება და მასზე გარკვეული მანიპულაციები განხორციელდება, შეიძლება დიდ პრობლემად იქცეს. არ არის გამორიცხული, ის ბიოლოგიურ იარაღადაც გამოიყენონ“**, — აღნიშნავენ ამერიკელი სპეციალისტები.

**აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე** ინფექციური დაავადებების მომრავლებას საგანგაშოდ მიიჩნევს: „ეს ყველაფერი შემთხვევითი არ უნდა იყოს. მახსოვს, როდესაც ღორისა თუ ქათმის გრიპი გავრცელდა, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს არ ყოფილა შემთხვევითი და ცნობილი ბიზნესმენების ინტერესებს უკავშირდებოდა. ხოლო **თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს გლობალურ დონეზე მიმდინარეობს გენოციდი, რომელიც გულისხმობს ერების როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ განადგურებას, ყველაფერი ნათელი გახდება. ამიტომ არ არის გამორიცხული და დიდი ეჭვიც არსებობს, რომ ეს ვირუსები ხელოვნურად ვრცელდება.** ასეთი დაავადებების წინაშე განსაკუთრებით დაუცველები არიან მცირეწლოვანი ბავშვები. ეს ქმედება მიმართულია იმისკენ, რომ საბოლოოდ ამოძირკვონ ქართველი ხალხი, ქართული ცნობიერება. მე არ მიყვარს არაპროფესიონალურ დონეზე საუბარი, მაგრამ **დიდი ეჭვით ვუყურებ იმ ლაბორატორიას, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დიდი ზარ-ზეიმით გახსნეს.**

**— ამერიკელი პოლიტიკოსის, სენატორ რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიას გულისხმობთ?**

— დიახ, აღნიშნულ ლაბორატორიაში ხშირად ტარდება ცდები. ეს ცდები უვნებელი რომ იყოს, ამერიკელები თავიანთ ტერიტორიაზე ჩაატარებდნენ. მართალია, **რომ ჰკითხოთ, სამეცნიერო დაკვირვებებისა და ექსპერიმენტებისთვის სჭირდებათ ლუგარის ლაბორატორია, მაგრამ, კონფლიქტი რომ დაიწყოს და თბილისში ერთი ყუმბარა მაინც ჩამოვარდეს, ჩათვალეთ, მთელი საქართველო განადგურდება.**

ქვეყანაში ვინ შემოდის და ვინ გადის, არავინ იცის. ესენი გაფაციცებულნი არიან რუსეთის აგენტებზე, მაგრამ საქართველოში რუსების აგენტებზე გაცილებით მეტი და საშიში აგენტები არიან. განსაკუთრებით საშიშები არიან იმ მასონური მოძრაობის აგენტები, რომლებსაც მსოფლიოს ერთ ერად ქცევის მიზანი ამოძრავებთ. ამ იდეის მომხრეები ჩვენთანაც ბევრია, მათ შორის, პარლამენტშიც.

**— საქართველო თუ არის დაცული ბიოტერორიზმის საფრთხისგან?**

— საქართველო არაფრისგან დაცული არ არის. თუ ასეთი პროცესები დაიწყო, უარესს უნდა ველოდოთ. შეიძლება ადრეც იყო ეს ვირუსები, მაგრამ ახლა მათი რაოდენობა გაცილებით მეტია, გავრცელება — მასშტაბური. ეს შემთხვევითი არ არის, ამას განგაშის ატეხვა სჭირდება. უპირველესად, პრესამ უნდა აღიმაღლოს ხმა, რადგან ჩვენი ელექტრონული მედიასაშუალებები (ერთი-ორის გარდა) ისე ჭიკჭიკებენ, როგორც ჩანს, ძალიან ახარებთ ქართველი ერის განადგურება“.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

**„საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ყველაფერი მომდინარეობს რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიიდან, რომელიც სააკაშვილმა ზარ-ზეიმით გახსნა**. როდესაც ასეთი განწყობაა, ძალიან ძნელია ამ ხალხის დარწმუნება, რომ ეს ლაბორატორია არაფერ შუაშია. ამერიკელი ჟურნალისტი, ჯეფრი სილვერმანი თქვენს გაზეთში პირდაპირ წერდა ამის თაობაზე. მე არ ვიცი ეს დაავადებები, რომლებიც დღეს საქართველოში გავრცელდა, ამ ლაბორატორიიდან მომდინარეობს თუ არა, ამის დამტკიცებას ფაქტები სჭირდება, მაგრამ **სამწუხაროა, რომ ამის მკვლევარიც არავინ არის და არც არავინ იცის რამე, გარდა იმ რამდენიმე ამერიკელისა, რომლებიც ამ ლაბორატორიაში მუშაობს.** როდესაც საზოგადოებაში ასეთი ეჭვი გაჩნდება, ამ ეჭვს აქვს გარკვეული საფუძველი.

**— რა საფრთხეს უქმნის ჩვენ ქვეყანას ლუგარის ლაბორატორია?**

— **თუ ჯანდაცვის ყოფილ მინისტრ ამირან გამყრელიძეს დავუჯერებთ, ლუგარის ლაბორატორია უვნებელი დაწესებულებაა, მაგრამ ჟურნალისტი სილვერმანი სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. მან უფრო მეტი იცის, ვიდრე გამყრელიძემ და სხვა ქართველმა სპეციალისტებმა. როგორც ვიცი, ამერიკელები ლაბორატორიასთან ახლოს არავის უშვებენ. ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ მართლაც ტარდება ამ ლაბორატორიაში ისეთი კვლევები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას არ წაადგება.**

აშშ-ს საქართველოში არც ერთი საწარმოს ასამუშავებლად არ განუხორციელებია 300-400 მილიონი დოლარის ინვესტიცია და რაღა მაინცდამაინც ეს ბიოლოგიური ლაბორატორია ამოიჩემეს? ამას გარდა, როგორც სილვერმანი ამტკიცებს, მსგავსი ლაბორატორია ამერიკაში, კარგა ხანია, აღარ არსებობს და ამერიკელების მეცადინეობით ეს ლაბორატორიები გატანილია ისეთ გაპარტახებულ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ დასამშვიდებლად საქმე არ გვაქვს, როგორც ეს საქართველოს ხელისუფლებას ჰგონია, და მოსახლეობის ნაწილის შეშფოთება არ არის ხელწამოსაკრავი. ამ ყველაფრის გამოკვლევა და ქართული საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია.

**— საქართველო დაცულია ბიოლოგიური საფრთხისგან?**

— საერთოდ არ არის დაცული, ჩვენ ისეთი სუსტი ხელისუფლება გვყავდა მთელი ეს წლები. მისი ქმედებები იქითკენ იყო მიმართული, რომ სხვადასხვა დაავადების ეპიცენტრი ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა. **ზოგჯერ ამ დაავადებებს თვითონაც იგონებდნენ. გახსოვთ, ალბათ, ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის პერიოდში ღორის ჭირი რომ მოიგონეს და ხალხს ღორები დაახოცინეს, რათა უკრაინიდან შემოტანილი ღორის ხორცი გაეყიდათ. წელიწად-ნახევრის წინათ კი მართლაც გავრცელდა ღორის ჭირი და, როგორც ამბობენ, სწორედ ამ ლაბორატორიიდან გასული ინფექციით მოხდა ეს.**

არ ვიცი, აჯერად არის თუ არა ეს ლაბორატორია დაავადების გავრცელებაში დამნაშავე, მაგრამ საქართველოს რომ არ გამოადგება, დიდი განსჯა არ სჭირდება. **ერთადერთი, რაც საქართველოს შეუძლია, თუ აქვს ამის უფლებაც ამ უფლებაწართმეულ და სუვერენიტეტდაკარგულ ქვეყანას, მოსთხოვოს ამერიკელებს, ლაბორატორია სასწრაფოდ დახურონ“.**

რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია (CPHRL) თბილისის გარეუბანში, ალექსეევკის დასახლებაში, სამხედრო აეროდრომთან ახლოს 2004 წელს ამოქმედდა. ადგილობრივი მცხოვრებლები შიშით საუბრობენ ამ ლაბორატორიისგან მომდინარე საფრთხეზე და აცხადებენ, რომ თავს დაუცველად გრძნობენ. დივერსიის ან ტერაქტის შემთხვევაში, სასიკვდილო ვირუსები მყისიერად გავრცელდება ქვეყანაში და ჯერ კიდევ შეუსწავლელი ბაქტერიებისგან საშინელ ეპიდემიებს გამოიწვევს. ვირუსის შტამის გაჟონვის მსხვერპლი კი, შესაძლოა, არამხოლოდ საქართველოს, არამედ რეგიონის ქვეყნების მოსახლეობაც გახდეს.

აღნიშნული ლაბორატორიისა და მისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში, რამდენიმე ხნის წინათ ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანიც საუბრობდა: „ამერიკელები ჯერ კიდევ პირდაპირ არიან ჩართულნი ბიოკვლევით პროგრამებში საქართველოში, მიუხედავად იმისა, სამოქალაქო თუ სამხედრო მიზნებისთვის იქმნება. ამერიკლები ისევ იქ არიან და ისევე მუშაობენ მას შემდეგ, რაც ლუგარის ლაბორატორია გაიხსნა“.

თუმცა ვირუსული დაავადებების მომრავლებაში ამჯერად უჩვეულოს ვერაფერს ხედავს **ინფექციური საავადმყოფოს ნევროლოგიური განყოფილების გამგე გია დეისაძე.** „ინფექციური დაავადებებისთვის პერიოდულობა დამახასიათებელია, თუმცა, წინა წლებთან შედარებით, დაავადებულთა რაოდენობა გაზრდილია.

**— ამერიკელი სპეციალისტების აზრით, „ყვავილის“ ოჯახის ვირუსი შეიძლება ბიოლოგიური ტერორიზმის იარაღად გამოიყენონ?**

— ნებისმიერი ვირუსი შეიძლება გამოიყენონ ბიოლოგიურ იარაღად. უვნებელი ვირუსისგანაც შეიძლება ბიოლოგიური იარაღი შექმნა. ასეთი ციკლურობა დამახასიათებელია ვირუსული ინფექციებისთვის. ამ შემთხვევაში დაავადების „ხელოვნურ აფეთქებას“ ვერ ვხედავ. ჩემთვის ძალიან ძნელი წარმოსადგენია, საქართველოს 5-6 ქალაქში ვინმეს ხელოვნურად მოეწყო დაავადების პროვოცირება.“

ბიოლოგიური იარაღის კატასტროფულ შედეგებზე ბევრს არ ვისაუბრებთ, რადგან მისი დამანგრეველი შედეგები ისედაც ცნობილია. მიუხედავად იმისა, რომ 70 წელი გავიდა, რაც 1942 წელს, ინგლისელებმა კუნძულ გრაინარდზე ბიოლოგიური იარაღი გამოსცადეს, იქაურობა ციმბირის წყლულის ბაქტერიებით დღემდე დაბინძურებულია. მე-20 საუკუნეში, ბიოლოგიური იარაღის შეგნებულად გამოყენების ფაქტი დადასტურდა 30-40-იან წლებში, როდესაც იაპონელებმა ჩინეთის ტერიტორია შავი ჭირით დააბინძურეს.

მსოფლიოში უკვე არსებობს მართული ვირუსის შექმნის ტექნოლოგიები. მეცნიერების აზრით, მოდიფიცირებულ H5N1-ს შეუძლია გამოიწვიოს გლობალური ეპიდემია და დედამიწაზე, სულ მცირე, 40 მილიონი ადამიანი გაანადგუროს. არსებობს ჰიბრიდული ვირუსების შექმნის ტექნოლოგიებიც და აღსანიშნავია, რომ ჰიბრიდული შტამების შექმნა შესაბამის პირობებში პრიმიტიული ტექნოლოგიაა და დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, შესაბამისად, მსოფლიოში ბიოტერორის საფრთხე დღითიდღე იზრდება. ბიოლოგიური ტერორიზმი — ეს არის საფრთხე, რომლისგან თავის დაცვა მალე შეუძლებელი გახდება.

მოამზადა შორენა ცივქარაშვილმა

**საქართველოსა და სხვა ღარიბ ქვეყანებში ძირითადი პოლიტიკური იარაღი აღვირახსნილი პოპულიზმი და დემაგოგიაა. საზოგადოების ნაწილი კვლავინდებურად დაეძებს ქარიზმულ ბელადს და გამორიცხული არაა, რომ მომავალში საპრეზიდენტო არჩევნებს (სააკაშვილის მსგავსი) უპასუხისმგებლო დემაგოგი მოიგებს.**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა ვერ გაიყვეს პაციენტებმა, ანუ ბალადა ხელმოწერაზე



**26 მაისს თბილისში სრული სიმშვიდე და სადღესასწაულო განწყობა სუფევდა. წლების განმავლობაში დამოუკიდებლობის დღე ასოცირდებოდა პოლიტიკურ დაძაბულობასთან, ოპოზიციის ქუჩის აქციებთან, მილიტარისტულ ფსიქოზთან და ფსევდოპატრიოტულ აღტკინებასთან, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ნერგავდა, და ბოლოს მის მიერვე მოწყობილ 2011 წლის სადისტურ დარბევასთან. ადრე, 26 მაისს დედაქალაქის ქუჩებში ამა თუ იმ ფორმით მკაფიოდ ფიქსირდებოდა საზოგადოებაში არსებული განხეთქილება, წელს კი მსგავსი არაფერი ყოფილა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ იდეალურთან მიახლოებულ ეროვნულ სოლიდარობას მივაღწიეთ ან რომ საქართველოში პრობლემები აღარ დარჩა, თუმცა ზოგადი ტენდენციები უდავოდ დადებითია.**

ახლა კი, ალბათ, ისევ პრობლემებს უნდა დავუბრუნდეთ. ზოგმა კომენტატორმა ჩათვალა, რომ დისკუსია იმის თაობაზე, პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას თუ პრემიერ-მინისტრმა, მათ ყურადღებას არ იმსახურებს, რადგან **საქმე ეხება არა ნამდვილ პოლიტიკურ კონფლიქტს, არამედ საკანონმდებლო ხარვეზებით გამოწვეულ გაუგებრობას, რომელიც ერთობ მოაგონებს ორი ბავშვის ჩხუბს ბურთის ან ველოსიპედისთვის. მაგრამ ის, რაც დღეს სასაცილოდ გამოიყურება მომავალში შეიძლება სერიოზულ პრობლემად იქცეს.**

კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად, „პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს“. სხვა კანონების ციტირებამ ბევრი დრო რომ არ წაგვართვას, უბრალოდ, აღვნიშნოთ, რომ **პრეზიდენტი ვერ მოაწერს ხელს ამ ხელშეკრულებას პრემიერის კონტრასიგნაციის გარეშე და ამასთანავე არ არსებობს ნორმა, რომელიც პრემიერს ხელმოწერის შესაძლებლობას არ აძლევს.** პრინციპში, ერთსაც შეუძლია მოაწეროს და მეორესაც, ორივე მხარის იურიდიული არგუმენტები, ასე თუ ისე, დამაჯერებელია, ხოლო ბუნდოვანება კანონმდებლობაში, რომელიც ტოვებს სივრცეს მრავალფეროვანი ინტერპრეტაციებისთვის (და სპეკულაციებისთვის) არ აღიქმება, როგორც საფრთხის შემცველი, რადგან, ფართოდ გავრცელებული ფრაზის თანახმად, **ყველაფერი მაინც ისე იქნება, „როგორც ბატონი ბიძინა გადაწყვეტს“. პრეზიდენტი და პრემიერი ერთი საბავშვო ბაღის აღსაზრდელები არიან, უკაცრავად, ერთ პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენენ და იძულებულები გახდებიან, კონსენსუსს მიაღწიონ (ამჯერად უკან მარგველაშვილმა დაიხია; არ დაიხევდა და კაი ჩიტსაც დაიჭერდა**, თუმცა ეს მეორეხარისხოვანი დეტალია).

**კონსტიტუციის 73-ე მუხლის ზემოთ მოყვანილ მონაკვეთს ვენეციის კომისიამ ყურადღება ჯერ კიდევ 2010-ში, საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცებამდე მიაქცია.** „ნაციონალი“ კანონმდებლები მაშინ ირწმუნებოდნენ, რომ ამით შეიზღუდება პრეზიდენტის უფლებამოსილება საგარეო პოლიტიკის საკითხებში და ამ მხრივ მთავრობასთან მისი დაპირისპირების საფრთხე მოიხსნება, მაგრამ ვენეციის კომისიამ უპასუხა, რომ ამ გადაწყვეტილებამ, პირიქით, „შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს კონფლიქტების რისკი პრეზიდენტსა და მთავრობას შორის“. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა აურზაური დაიწყებოდა იმ შემთხვევაში, თუ პრემიერი და პრეზიდენტი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები იქნებოდნენ (თავთავიანთი მხარდამჭერებით პარლამენტში). 99%-იანი ალბათობით, დაიწყებოდა ფართომასშტაბიანი სკანდალი მძიმე ურთიერთბრალდებებით, დებატები პარლამენტში და, შესაძლოა, საკონსტიტუციო სასამართლოში და ყოველივე ეს „ცარიელ ადგილას“, რადგან ცალკე აღებული ხელმოწერა არაფერს ნიშნავს; საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს და ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინოს.

**ვენეციის კომისიის იმ ძველ შეფასებებში, მონაკვეთში, რომელიც პრეზიდენტისა და მთავრობის შესაძლო დაპირისპირებას ეხება, არის ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფრაზა, რომელიც სისტემური ხასიათის პრობლემაზე მიუთითებს: „მთავრობა შეიძლება იყოს საპარლამენტო უმრავლესობის გამოხატულება, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს იმ უმრავლესობისგან, რომელმაც არჩევნების დროს პრეზიდენტს დაუჭირა მხარი, რადგან საპარლამენტო არჩევნები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ, ხოლო საპრეზიდენტო — 5 წელიწადში ერთხელ“.** იმ სიტუაციაში, როდესაც პოლიტიკურ სივრცეში ერთი პოლიტიკური ძალა დომინირებს („ნაციონალური მოძრაობა“, შემდგომ კი — „ქართული ოცნება“) ამ პრობლემას მეტისმეტად აქტუალურად თითქმის არავინ ჩათვლის. მაგრამ ეს ვითარება ადრე თუ გვიან შეიცვლება და სამოქალაქო დაპირისპირების, საზოგადოების ახალი გახლეჩის საფრთხე სავსებით რეალური გახდება.



ყველაფერი მაინც ისე იქნება, «როგორც ბატონი ბიძინა გადაწყვეტს». პრეზიდენტი და პრემიერი ერთი საბავშვო ბაღის აღსაზრდელები არიან, უკაცრავად, ერთ პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენენ და იძულებულები გახდებიან, კონსენსუსს მიაღწიონ (ამჯერად უკან მარგველაშვილმა დაიხია; არ დაიხევდა და კაი ჩიტსაც დაიჭერდა)

**საქართველოსა და სხვა ღარიბ ქვეყანებში ძირითადი პოლიტიკური იარაღი აღვირახსნილი პოპულიზმი და დემაგოგიაა. საზოგადოების ნაწილი კვლავინდებურად დაეძებს ქარიზმულ ბელადს და, გამორიცხული არაა, რომ მომავალში საპრეზიდენტო არჩევნებს (სააკაშვილის მსგავსი) უპასუხისმგებლო დემაგოგი მოიგებს**, რომელიც შემდეგ გამოიყენებს ამომრჩეველთა ნდობის მანდატს იმისთვის, რომ იბრძოლოს საკუთარი უფლებების გაფართოებისთვის, შემდგომ კი — ერთპიროვნული მმართველობისთვის. საპარლამენტო რესპუბლიკების უმრავლესობაში პრეზიდენტს პირდაპირი წესით არ ირჩევენ (ავსტრიის შემთხვევა სპეციფიკური გამონაკლისია). ჩვენ შეგვიძლია პრეზიდენტის არჩევა პარლამენტს მივანდოთ ან შევქმნათ საგანგებო საარჩევნო კოლეგია დეპუტატებისგან და რეგიონების წარმომადგენლებისგან, როგორც ეს იტალიასა და გერმანიაში ხდება, მთავარი კი ისაა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სრულფასოვანი საპარლამენტო მოდელისკენ მივდივართ, პრეზიდენტის პირდაპირ არჩევას მთელი ერის მიერ თავი უნდა დავანებოთ. ცხადია, ჩვენ შეგვიძლია საპრეზიდენტო მოდელისკენაც წავიდეთ, ყველა მინუსის მიუხედავად, ეს უკეთესია, ვიდრე შუა გზაში გაჩერება იმ გაუგებარ ჰიბრიდულ მოდელთან ერთად, რომელმაც მომავალში შეიძლება სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანოს.

საქართველოს კონსტიტუცია ძალიან ჰგავს ძველ „ხრუშჩოკას“, რომლის უპასუხისმგებლო ბინადრებმა აქა-იქ ლოჯიები მიაშენეს, საყრდენი კედლები დაანგრიეს, ხოლო როდესაც გააცნობიერეს, რომ შენობა ინგრევა, მისი გაუაზრებელი გამაგრება დაიწყეს, რომელიც არა ერთიან გეგმას, არამედ რყევებზე პანიკურ რეაგირებას ეფუძნებოდა. შედეგად ჩვენ მივიღეთ მონსტრუოზული, უცნაური კონსტრუქციებით დამძიმებული შენობა, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად დაინგრევა. ხარვეზების გასწორება ვერ შექმნის არათუ იდეალურ, არამედ რამდენადმე მყარ კონსტიტუციას, რადგან ჩვენ, ხშირ შემთხვევაში, გააზრებული არ გვაქვს, როგორი უნდა იყოს სისტემა მთლიანობაში. კონსტიტუციონალისტები არ არიან მეხანძრეები, რომლებმაც სასწრაფო შესწორებებით უნდა ჩააქრონ ცეცხლი ხან 73-ე მუხლში, ხან სხვაგან. არადა, დღესდღეობით დაახლოებით ამას აკეთებენ.

დღეს კონსტიტუცია ასოცირდება კანონის დაქვემდებარებასთან პოლიტიკური კონიუნქტურის მიმართ და მუდმივ არასრულყოფილ შესწორებებთან, რომლენიც ხსნიან ერთ პრობლემას ტაქტიკურ პერსპექტივაში, მაგრამ ამავე დროს ქმნიან რამდენიმეს სტრატეგიულში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ალბათ, აჯობებს, ძველი კონსტიტუციის შესწორების ნაცვლად, ახალი შევქმნათ. საქართველოს კონსტიტუცია, ამერიკულის მსგავსად, „ერის მამებს“ რომ შეექმნათ და მას ერთგვარ ძეგლად რომ აღვიქვამდეთ, ეს იდეა უადგილო იქნებოდა, თუმცა ის სულ სხვა, ერთობ ღიმილის მომგვრელ (ზოგმა ის შეიძლება სამარცხვინოდ ჩათვალოს) ვითარებაში დაიწერა.

ლარი ლესიგმა, რომელიც 90-იანებში ჩიკაგოს უნივერსიტეტში სამართალს ასწავლიდა და აღმოსავლეთევროპული კონსტიტუციონალიზმის შესწავლის ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ, საუნივერსიტეტო გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში (07.12.95) საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესი ასე აღწერა: „1994 წლის ოქტომბერში შევარდნაძის მიერ შერჩეული 10 ქართველი, რომლებიც სხვადასხვა ფრაქციას წარმოადგენდნენ, საბოლოო პროექტის დასაწერად ჩიკაგოში ჩამოვიდა. იურიდიული ფაკულტეტის საკონფერენციო დარბაზი საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობის ცენტრი გახდა. დაიდგა ორი კომპიუტერი დოკუმენტის ქართულად და ინგლისურად დასაწერად“. ლესიგი და სხვა ექსპერტები 10 ქართველ დელეგატთან მუშაობდნენ. „ისინი ხშირად გვეკითხებოდნენ, რა გავაკეთოთ, — ყვება ლესიგი, — ჩვენ ვიმეორებდით, რომ ეს ჩვენი გადასაწყვეტი არ არის... ჩვენი საქმე იყო კონტექსტის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა და არა დოკუმენტის დაწერა“.

**კონსტიტუციამ, რომლის დაწერის პროცესში ძირითადი დევიზი იყო „რა გავაკეთოთ?“, მოგვიანებით „გაუპატიურებული კონსტიტუციის“ სახელი დაიმკვიდრა და, ალბათ, არაფერი დაშავდება იმით, თუ მის ნაცვლად ახალს შევქმნით, თუმცა საუბარი ამაზე ნაადრევი იქნება მანამ, სანამ ერი არ ჩამოყალიბდება, როგორი სახელმწიფოს ფორმირება სურს.** თუმცა დღეს დისკუსია მიმდინარეობს არა ამაზე, არამედ იმაზე, თუ ვინ უნდა მოაწეროს ხელი დოკუმენტს, რომელიც, ფართოდ გავრცელებული ილუზიების მიუხედავად, ევროკავშირში ინტეგრაციის კარს არ გაგვიღებს. ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟოზე მანუელ ბაროზუმ მკაფიოდ და გასაგებად თქვა: „ამ ეტაპზე საქართველოს ევროკავშირის წევრობას ვერ შევთავაზებთ“ (დაახლოებით იგივე თქვეს ბარაკ ობამამ და ანდერს ფოგ რასმუსენმა საქართველოსა და ნატო-ზე). სხვათა შორის, ყველამ როდი იცის, რომ 70-იან წლებში ახალგაზრდა ბაროზუ „მარქსისტ-ლენინელი სტუდენტების ფედერაციის“ წევრი იყო, შემდგომ კი — მაოისტური „პროლეტარიატის პარტიის რეორგანიზაციის მოძრაობის“ წევრი (ამჟამად „პორტუგალიის მშრომელთა კომუნისტური პარტია“), თუმცა ეს ისე, სხვათა შორის. ცხრა პარტიაზე გადამხტარი ქართველი პოლიტიკოსების ფონზე, ჟოზე მანუელ ბაროზუ სავსებით ღირსეულად გამოიყურება.

**ესენი კი ჩხუბობენ იმაზე, თუ ვინ მოაწერს ხელს დოკუმენტს, რომლის შინაარსზე საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოდგენა არ აქვს.** გამორიცხული არაა, რომ ამას იმისთვის აკეთებენ, რათა დაანახონ დასავლელ პარტნიორებს, რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მას, თუმცა, ალბათ, გაცილებით კონსტრუქციული და პატიოსანი იქნებოდა, ამომრჩევლებისთვის აეხსნათ, თუ რას მოუტანს (მაგალითად) ქართულ საწარმოებს ევროპული რეგულაციების დანერგვა (თორემ მოგვიანებით ხალხი შეიძლება ძლიერ გაღიზიანდეს იმ სავარაუდო ნეგატიური შედეგების გამო, რომელთა შესახებ ხელისუფლებამ ბანალურად არ გააფრთხილა).

თუ ქვეყნის მდგომარეობას რამდენიმე მოკლე ფრაზით აღვწერთ, ალბათ, დაახლოებით ასეთ შედეგს მივიღებთ: კონსტიტუცია არასრულყოფილია, სააკაშვილის რეჟიმმა კანონმდებლობაში უამრავი „შენელებული მოქმედების ნაღმი“ დატოვა. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უაღრესად მძიმეა. ქვეყანას უსაფრთხოების არანაირი გარანტიები არ გააჩნია. სამართლიანობის აღდგენის პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერდა. რა შეიძლება იყოს უფრო უადგილო, უფრო იდიოტური ასეთ სიტუაციაში, ვიდრე დავა იმაზე, ვინ მოაწერს ხელს ამა თუ იმ ხელშეკრულებას? **ხელისუფლებაა თუ პალატა №5, უკაცრავად, პალატა №41?! ისე, რა მნიშვნელობა აქვს ნომერს, პალატა მაინც პალატაა.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლიტიკა

**უკრაინა, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომისა და სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლის მდგომარეობაში იმყოფება, მისი ეკონომიკა უფსკრულისკენ მიექანება. კაცობრიობის ისტორია ცხადყოფს, რომ ასეთ სიტუაციებში წესრიგის აღდგენა, ხშირ შემთხვევაში, დიქტატურის დამყარების ხარჯზე ხდება.**

# უკრაინის ახალი პრეზიდენტი და მისი ჰალსტუხიანი მრჩეველი

**უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი უპირატესობით მილიარდერმა პეტრე პოროშენკომ გაიმარჯვა. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, შეუწყობს ეს ხელს ვითარების ნორმალიზებას თუ კრიზისის შემდგომ გაღრმავებას, თუმცა კომენტატორების უმრავლესობა განიხილავს ამ არჩევნებს, როგორც ერთგვარ სიმბოლურ მიჯნას, რომლის გადალახვის შემდეგ ქვეყნის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყება.**
**ომი თუ მშვიდობა? ერთიანობა თუ დაშლა? ის უკრაინელები, რომელნიც თებერვალში „მაიდანზე“ იდგნენ, ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ სამიოდე თვეში ეს კოშმარული დილემები ამდენად აქტუალური გახდებოდა.**





## სანამ პეტრე მოვიდოდა

უკრაინის ახალ პრეზიდენტს მუშაობის დაწყება ურთულეს პირობებში მოუწევს. ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, იქ ყოველდღე შეიარაღებული შეტაკებები ხდება. დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების მილიონობით ამომრჩეველს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია და პოროშენკოს თავის ლეგიტიმურ პრეზიდენტად არ აღიქვამს. **იმ საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებიც უკრაინის პარლამენტმა იანუკოვიჩის მმართველობის ბოლო დღეებში მიიღო, პრეზიდენტის უფლებები შეზღუდა და შექმნა შესაძლო კონფლიქტის არაერთი კერა სამკუთხედში „პრეზიდენტი-პრემიერი-პარლამენტი“, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი, რადგან კანონებს მაშინ სწრაფად, ტაქტიკური რეაგირების რეჟიმში, გრძელვადიანი პერსპექტივის გააზრების გარეშე ცვლიდნენ.**

უკრაინა, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომისა და სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლის მდგომარეობაში იმყოფება, მისი ეკონომიკა უფსკრულისკენ მიექანება. კაცობრიობის ისტორია ცხადყოფს, რომ ასეთ სიტუაციებში წესრიგის აღდგენა, ხშირ შემთხვევაში, დიქტატურის დამყარების ხარჯზე ხდება. მაგრამ ამ სცენარის რეალიზებას უკრაინაში ხელს უშლის ხელისუფლებაში და მის უშუალო სიახლოვეს ძალზე ამბიციური პოლიტიკოსებისა და ჯგუფების ყოფნა, რომლებმაც თებერვლის გადატრიალების შემდეგ არაერთი მაღალი პოსტი დაიკავეს. საპრეზიდენტო არჩევნებში იულია ტიმოშენკომ პოროშენკოზე დაახლოებით 40%-ით ნაკლები ხმა მიიღო (ამ სხვაობამ, ფაქტობრივად, გამორიცხა შედეგების გაპროტესტების შესაძლებლობა), მაგრამ ტიმოშენკოს ჰყავს ძლიერი ფრაქცია პარლამენტში ახალ პრეზიდენტს კი არ ჰყავს. **ტიმოშენკო, სავარაუდოდ, გააკეთებს ყველაფერს, რათა პოროშენკო მხოლოდ ნომინალურ მმართველად, პოლიტიკურ თოჯინად გადაიქცეს, ხოლო მოგვიანებით შეიძლება მისი დამხობაც კი სცადოს.** გასაკვირი არაა, რომ პოროშენკომ უკვე გაახმოვანა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების იდეა. სერიოზული პრობლემები ახალ პრეზიდენტს შეიძლება შეუქმნან რადიკალურმა ნაციონალისტურმა ჯგუფებმა, რომლებიც კრიტიკულ სიტუაციაში იარაღის გამოყენებას არ მოერიდებიან. ამასთანავე, პრეზიდენტს გაუჭირდება დაყრდნობა ძალოვნებზე, რომელთა დიდი ნაწილი ჯერჯერობით დემორალიზებულია და პოლიტიკური თამაშებისგან დისტანცირება სურს.

**პეტრე პოროშენკო ოლიგარქების კანდიდატია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მთელ რესურსს დაუთმობენ იმისთვის, რომ სახელისუფლო ვერტიკალი „ჩააბეტონოს“.** უკრაინელ ოლიგარქებს მშვენივრად ახსოვთ რუსული სცენარი, როდესაც ვლადიმერ პუტინმა და მისმა გუნდმა ჯერ გამოიყენეს ოლიგარქები ხელისუფლების განმტკიცებისთვის, შემდეგ კი სრულად დაიმორჩილეს ისინი. უკრაინის მართვის იდეალური მოდელი მათ წარმოსახვაში, დიდი ალბათობით, ასე გამოიყურება: ოლიგარქების სრული კონტროლი ადგილებზე, ერთგვარი კვაზისახელმწიფოების შექმნა (დაახლოებით ისეთის, როგორიც იგორ კოლომოისკიმ დნეპროპეტროვსკის ოლქში ჩამოაყალიბა), უკრაინა, როგორც ამ ნეოფეოდალური სამფლობელოების ერთობლიობა, და პოროშენკო, როგორც ოლიგარქების ნების გამხმოვანებელი (ვინ თქვა, რომ პრობლემურ საკითხებზე კონსენსუსს იოლად მიაღწევენ?) და წარმომადგენელი საერთაშორისო არენაზე. ასე რომ, ოლიგარქები, სავარაუდოდ, ასევე შეეწინააღმდეგებიან პოროშენკოს ჩამოყალიბებას „სრულფასოვან დიქტატორად“ და ამ გზას, სავარაუდოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაადგებიან, თუ მთელი სისტემის კრახის საფრთხე სავსებით რეალური გახდება.

**ახალ პრეზიდენტს შეიძლება გაუჩნდეს „მაკიაველისტური ცდუნება“ ოპონენტები ერთმანეთს დააჯახოს. მაგალითად, ხელი შეუწყოს იმას, რომ რადიკალურმა ნაციონალისტებმა „ეროვნული გვარდიიდან“ და აღმოსავლეთ უკრაინის ამბოხებულებმა ერთმანეთთან ბრძოლაში რაც შეიძლება მეტი სისხლი დაღვარონ და მაქსიმალურად გამოიფიტონ, იმავე პოლიტიკურ სივრცეში გააკეთოს და ერთმანეთს სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფები დააჯახოს.** მაგრამ ამ სახიფათო თამაშისთვის დღევანდელი უკრაინის პირობებში საჭიროა შეკრული და მოტივირებული გუნდი და უცხოელი მოკავშირეების ცალსახა მხარდაჭერა.

მოკლედ, ასე იქნება თუ ისე, ნებისმიერ შემთხვევაში, ახლო მომავალში უკრაინის ხელისუფლების სერიოზულ ტრანსფორმაციას ვიხილავთ და მალევე გამოჩნდება, წესრიგს მოიტანს ის თუ შემდგომ ჩაძირვას ქაოსში.

**ახალი პრეზიდენტი იძულებული გახდება, სათავეში ჩაუდგეს ოპერაციებს დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში, სადაც უკრაინელი ძალოვნების მდგომარეობა სულ უფრო დრამატული ხდება.** რადიკალები, დიდი ალბათობით, შესთავაზებენ არტილერიის, ავიაციისა და ტანკების გამოყენებას იმისთვის, რომ დაიკავოს ის ქალაქები, რომელთაც დღეს მეამბოხეები აკონტროლებენ. ჩამოთვლილი საშუალებების გამოყენება გარდამავალ პერიოდში მხოლოდ ეპიზოდურად ხდებოდა, ვინაიდან არმიის მთელი პოტენციალის გამოყენებას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სჭირდება, ამას კი არჩევნების გადატანა მოჰყვებოდა, დასავლეთი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რადგან სურდა მინიმალურ ვადებში კიევში ლეგიტიმური მმართველი ეხილა. დღეს ეს წინაღობა მოხსნილია. **უკრაინის არმია, მისი ნახევრადდაშლილი მდგომარეობის მიუხედავად, არტილერიისა და ავიაციის აქტიური გამოყენების შემთხვევაში, სავარაუდოდ, შეძლებს რიგი დასახლებული პუნქტების დაკავებას, მაგრამ ამას მოჰყვება დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, რაც ახალი პრეზიდენტისთვის არასასურველია;** ეს ხელს შეუწყობს საბოლოო გაუცხოებას ცენტრსა და რეგიონის მოსახლეობას შორის. ამასთანავე, ქალაქების დაკავება არ ნიშნავს შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტას, მეამბოხეები, სავარაუდოდ, პარტიზანულ ტაქტიკაზე გადავლენ. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა მძიმე შედეგებს მოუტანს უკრაინის ეკონომიკას პარტიზანული ომი ინდუსტრიულ რეგიონში, რომელიც რუსეთის საზღვრის სიახლოვის და ამბოხებულების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის სიმპათიის პირობებში, შეიძლება წლების თუ არა, ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდეს. გამორიცხული არაა, პოროშენკომ ახალი ტაქტიკა აირჩიოს — მეამბოხეთა ლიდერების იზოლირება და, შესაძლოა, ლიკვიდაცია წერტილოვანი დარტყმებით, რიგითი მებრძოლებისთვის ფართო ამნისტიის შეთავაზების პარალელურად (რამდენად იმუშავებს ეს, ცალკე საუბრის თემაა).

**თუ პოროშენკოს ადგილას სააკაშვილი იქნებოდა, ის, დიდი ალბათობით, უკვე ათჯერ დაბომბავდა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ქალაქებს ყველა საარტილერიო დანადგარიდან. რას გააკეთებს პეტრე პოროშენკო?**



ერთი შეხედვით, მშვიდობიან დარეგულირებას ალტერნატივა არ აქვს. მაგრამ ის მოითხოვს დათმობებს ცენტრალური ხელისუფლებისგან და ფედერალიზაციას თუ არა, ადგილებზე მაქსიმალური უფლებების გადაცემას. პოროშენკო აცხადებს, რომ თავის სამშვიდობო ინიციატივების პრეზენტაციას შესაბამის კანონპროექტებთან ერთად ინაუგურაციის დღეს მოახდენს.

სხვათა შორის, პეტრე პოროშენკომ თქვა, რომ მისი ერთ-ერთი მრჩეველი შეიძლება საქართველოს მოქალაქე გახდეს. **პარტია „უდარის“ ლიდერმა ვიტალი კლიჩკომ კი არჩევნების დღეს ტელეეთერში განაცხადა, რომ პოროშენკოს გუნდში, სავარაუდოდ, შევლენ კახა ბენდუქიძე და მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ზოგიერთი უკრაინელი კომენტატორი ირონიულად უწოდებს „კონსულტანტს ტერიტორიების დაკარგვის საკითხში“.** ქართული საზოგადოების კრიტიკულად დიდი ნაწილი სააკაშვილს დამნაშავედ მიიჩნევს და მის გასამართლებას მოითხოვს. არაერთი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ის გამოიყენებს თავის კავშირებს უკრაინაში, რათა საქართველოში „ნაციონალების“ რევანში მოამზადოს. **პოროშენკოს მსგავსი ნაბიჯი ქართველების უმრავლესობის მიერ, დიდი ალბათობით, აღქმული იქნება, როგორც უკიდურესად არამეგობრული, რაც უდავოდ აისახება ორი ქვეყნის ურთიერთობაზე, მეტიც, მნიშვნელოვნად დაძაბავს მათ.**

## რა ბედი ელის „ახალ რუსეთს“?

24 მაისს დონეცკისა და ლუგანსკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია გაერთიანებისა და ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის — „ნოვოროსიის“ შექმნის შესახებ. ჯერჯერობით გაუგებარია, წამოუდგენიათ ის ფედერაციად თუ კონფედერაციად,

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კიევს ჯერ კიდევ აქვს საკმარისი სამხედრო რესურსი იმისთვის, რომ განდევნოს ამბოხებულები ქალაქებიდან, მაგრამ, თუ ის სამხრეთ-აღმოსავლეთის რუსულენოვანი მოსახლეობის გულის მოგებას ვერ მოახერხებს, კონფლიქტი პარტიზანული ომის ელემენტებით, დიდი ალბათობით, ქრონიკულ ხასიათს მიიღებს.**

◀ თუმცა მთავარი, ალბათ, ისაა, რომ გაკეთდა ცალსახა განცხადება იმის თაობაზე, რომ „ნოვოროსიაში" შევლენ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის სხვა ოლქებიც, მას შემდეგ, რაც იქ ჩატარდება რეფერენდუმები მსგავსი იმისა, რაც დონეცკსა და ლუგანსკში 11 მაისს გაიმართა. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ამბოხებულები, როგორც ჩანს, ყრუ თავდაცვაზე გადასვლას არ აპირებენ და კონტროლის ზონის გაფართოებას გეგმავენ.

„ანტიტერორისტული ოპერაცია", რომელსაც კიევი ამდენი ხნის განმავლობაში ატარებდა, სრულიად არაეფექტური გამოდგა, ხოლო ბოლო კვირაში, არჩევნების წინ ძაან აშკარად სამარცხვინო ხასიათი მიიღო. რიცხობრივი უპირატესობის, ვერტმფრენებისა და სხვა ტექნიკის გამოყენების მიუხედავად, უკრაინელი ძალოვნები აქტიური მოქმედებიდან თანდათან ამბოხებულთა შეტევების მოგერიებაზე გადავიდნენ, რომლებმაც რამდენიმე წარმატებული ჩასაფრება მოუწყვეს. **რამდენიმე ეპიზოდში უკრაინელი სამხედროების ჯგუფებმა ცეცხლი ერთმანეთს გაუხსნეს. რაც მთავარია, კიევმა დაკარგა ბევრი დრო, რომლის განმავლობაში თვითგამოცხადებული რესპუბლიკები მოძლიერდნენ.**

„ნოვოროსიის" მთავარი პრობლემა ამ მომენტისთვის არა მხოლოდ სამხედრო ძალების ცუდი შეიარაღება და ფარდობითი მცირერიცხოვნებაა, არამედ აღმასრულებელი სტრუქტურების ამორფულობაც. დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში ჩინოვნიკებისა და პოლიციელების დიდი ნაწილი ცდილობს, მისასვლელი გზა არც ცენტრალურ ხელისუფლებასთან და არც ამბოხებულებთან მოიჭრას, „ორ სკამზე ზის", კრიტიკულ მომენტში კი ძლიერის მხარეს იხრება. **ამბოხებულებს არ ჰყოფნით რესურსი იმისთვის, რომ ყველა სტრუქტურაზე 100%-იანი კონტროლი დაამყარონ, ადგილობრივ პოლიტიკოსებს შორის ჯერ არ გამოკვეთილა ლიდერი, რომელიც პოლიტიკურ სივრცეში ისევე შედეგიანად იმოქმედებს, როგორც, მაგალითად, ქალაქ სლავიანსკის შეიარაღებული რაზმის თავკაცი იგორ სტრელკოვი ბრძოლის ველზე;** ვითარებას ართულებს კონფლიქტი ოლიგარქ რინატ ახმეტოვთან, რომელიც რეგიონში საკმაო გავლენას ინარჩუნებს.

არის კიდევ ორი, ფუნდამენტური ხასიათის პრობლემა. ახალ, აშკარად შეცვლილ პირობებში **„ნოვოროსიის" პოლიტიკურ ლიდერებს არ აქვთ მიღებული ამომრჩეველთა ნდობის მანდატი, ხოლო არჩევნების ჩატარება, შეიარაღებული დაპირისპირების სავარაუდო ესკალაციის პირობებში, საკმაოდ პრობლემური ჩანს.** ამასთანავე, ზოგიერთი ლიდერი რეგიონის დამოუკიდებლობაზე საუბრობს, ზოგი — რუსეთთან შეერთებაზე, ზოგი სამხრეთ-აღმოსავლეთის სხვა რეგიონების ან, სულაც, კიევის აღებაზე ოცნებობს, ზოგი — უკრაინის ფედერაციად ან კონფედერაციად გადაქცევაზე. ეს გაურკვევლობა, საბოლოო მიზნების მკაფიო დასახვის გარეშე, აზნევს ადგილობრივ მოსახლეობას და თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.

**როგორც უკვე ითქვა, კიევს ჯერ კიდევ აქვს საკმარისი სამხედრო რესურსი იმისთვის, რომ განდევნოს ამბოხებულები ქალაქებიდან, მაგრამ, თუ ის სამხრეთ-აღმოსავლეთის რუსულენოვანი მოსახლეობის გულის მოგებას ვერ მოახერხებს, კონფლიქტი პარტიზანული ომის ელემენტებით, დიდი ალბათობით, ქრონიკულ ხასიათს მიიღებს.** ახალ პრეზიდენტს შეუძლია რეგიონს „მშვიდობის მტრედად" და უფლებების გარანტორად მოევლინოს, თუმცა ამ მომენტისთვის შექმნილი სიტუაცია და დროებითი პოლიტიკური მოკავშირეების (სინამდვილეში დაუძინებელი მტრების) ყიჟინა საპირისპირო მიმართულებით უბიძგებს. აქ კი წინა პლანზე კიდევ ერთი ფაქტორი გამოდის — რუსეთის შესაძლო რეაქცია სამხედრო ესკალაციაზე, რომელიც უაღრესად მწვავე შეიძლება გამოდგეს.

## ევროპის მოტაცება

ევროპაში ნატო-ს ძალების სარდლის, ამერიკელი გენერლის — ფილიპ ბრიდლავის შეფასებით, რუსი სამხედროები უკრაინაში დასახული მიზნების მიღწევას 3-5 დღის განმავლობაში შეძლებენ. მაგრამ ეს სამხედრო წარმატება სტრატეგიულ პერსპექტივაში რუსეთს სერიოზულ პრობლემებს მოუტანს, რადგან მას გარანტირებულად მოჰყვება აშშ-თან მჭიდრო კავშირზე (და რუსეთთან კონფრონტაციაზე) ორიენტირებული ძალების წარმატება ევროპაში, აშშ-ევროკავშირის სწრაფი დაახლოება, შესაბამისი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებით, რომელიც რთულ მდგომარეობაში მყოფ ამერიკულ ეკონომიკას შვებით ამოსუნთქვის შესაძლებლობას მისცემს. რუსეთი მანევრის შესაძლებლობას დაკარგავს და ჩინეთთან თანამშრომლობის ამარა დარჩება, ხოლო პეკინი მიიღებს შესაძლებლობას, მოსკოვს თანამშრომლობის პირობები თავს მოახვიოს. ზოგადად, სასურველია, უკრაინისთვის გაჩაღებული ბრძოლა აღვიქვათ, როგორც გლობალური პროცესების ნაწილი, მათ შორის, როგორც ბრძოლა ევროპისთვის; ეს კრემლის ლოგიკის გაშიფრვაში დაგვეხმარება. ვლადიმერ პუტინს, სავარაუდოდ, სჭირდება არა უბრალოდ უკრაინის „აღება", არამედ მისი გავლენის სფეროში მოქცევა ისე, რომ ამას ევროპასთან მწვავე დაპირისპირება და ეკონომიკური თანამშრომლობის შეწყვეტა არ მოჰყვეს. იმ შემთხვევაში, თუ მოვლენები ნეგატიური სცენარით განვითარდება, კრემლისთვის სასურველია, კულმინაცია რაც შეიძლება გვიან მოხდეს, რათა დარტყმა რუსეთის ეკონომიკისთვის ნაკლებად მტკივნეული აღმოჩნდეს. მარტივად რომ ვთქვათ, ყველაფერს სჭირდება დრო — ჩინეთთან ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაფართოება იქნება თუ „ვიზა-ს" და „მასტერკარდის" მსგავსი ადგილობრივი სისტემის შექმნა და ა. შ.

**კრემლი, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს პროცესების დროში გაწელვას, ფარულად მხარს დაუჭერს „ნოვოროსიის" პროექტს და, ამავე დროს, იზრუნებს უკრაინული ელიტის ნაწილთან შეხების წერტილების მოძებნაზე, დაელოდება, ვიდრე ევროპა უკრაინული პრობლემებისგან საფუძვლიანად დაიღლება და მხოლოდ ამის შემდეგ (ყირიმის შეერთების მსგავსი რადიკალური ნაბიჯების გადადგმის გარეშე) შეეცდება, გავლენის სფეროში მთელი უკრაინა მოაქციოს.** ვაშინგტონისთვის კი, სავარაუდოდ, მნიშვნელობა არ აქვს, რა მოხდება უკრაინაში კონკრეტულად, მთავარია, რომ ყოველივე (რაც მალე, მით უკეთესი) რუსეთისა და ევროკავშირის ხმაურიანი და საბოლოო „განქორწინებით" დასრულდეს. რა თქმა უნდა, თეთრი სახლი უარს არ იტყვის იმაზე, რომ უკრაინაში დაახლოებით ისეთ გავლენას მიაღწიოს, როგორც, მაგალითად, პოლონეთში, თუმცა პირდაპირ კონფრონტაციას მოერიდება. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ საუბრობენ დღეს ვაშინგტონში უკრაინის ნეიტრალიტეტზე, ხოლო ნატო-ში მისი გაწევრიანების იდეას უარყოფენ. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გაიჟღეროს, უკრაინის კრიზისსა და თამაშში, რომელიც მის გარშემო მიმდინარეობს, საკუთრივ უკრაინა მთავარი პრიზი არ არის.

**თუ პოროშენკოს ადგილას სააკაშვილი იქნებოდა, ის, დიდი ალბათობით, უკვე ათჯერ დაბომბავდა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ქალაქებს ყველა საარტილერიო დანადგარიდან. რას გააკეთებს პეტრე პოროშენკო?** თუ ის მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებს, უკრაინას, რომელმაც დაკარგა კონტროლი ყირიმზე (მის დაბრუნებაზე დასავლეთში დღეს პრაქტიკულად აღარ საუბრობენ, ისე, თითქოს მომხდარს შეგუებულნი არიან), შეიძლება ეროვნული კატასტროფის საფრთხე დაემუქროს. წავა თუ არა ესკალაციაზე ახალი პრეზიდენტი თუ მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებას შეეცდება? ალბათ, ისღა დაგვრჩენია, დავაკვირდეთ მოვლენათა განვითარებას და უკრაინელ ხალხს მშვიდობა და ამ კოშმარის დასრულება ვუსურვოთ.

**დიმიტრი მონიავა**

**ზოგადად, სასურველია, უკრაინისთვის გაჩაღებული ბრძოლა აღვიქვათ, როგორც გლობალური პროცესების ნაწილი, მათ შორის, როგორც ბრძოლა ევროპისთვის**

# ნატოს შემდეგ ევროკავშირმაც განგვიმარტა



**ჩემს ბავშვობაში გამოცანა იყო ასეთი: „მიდის, მოდის, ადგილზე დგას..." ისე არ გამოვიდეს, პოლიტიკაში დაბრუნებული მოქალაქე „ადგილზე იდგეს" და აღარ მიიღონ; თანაც, ძალაუფლებამ ტკბობა იცის და, შორიდან ისე ჩანს, ამ ტკბობის ყველა სიამეს ამჟამინდელი ხელისუფლება ძნელად თუ დათმობს... მით უმეტეს — მოქალაქეზე...**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტიკის მთავარი თემა ის კი არ არის, რა მოხდება თვითმმართველობის არჩევნებზე, არამედ ის, თუ ვინ მოაწერს ხელს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას. თავდაპირველად ითქვა, რომ ამის გაკეთება პრეზიდენტს ევალებოდა, მერე ის თქვეს, პრეზიდენტის ხელმოწერილ დოკუმენტს იურიდიული ძალა არ ექნებაო(?!), ბოლოს კი წერტილი პრემიერმინისტრმა დასვა და განაცხადა, ხელშეკრულებას ხელს მე მოვაწერო.

ახლა საკითხავია, ხელს რას ვაწერთ და მიგვიყვანს თუ არა ეს გზა ევროკავშირამდე?! ჩვენს ხელისუფლებას (წინასაც და ახლანდელსაც) თუ ვენდობით, ნიადაგი უკვე მომზადებულია და ევროკავშირამდე ნაბიჯიღა დაგვრჩა (როგორც ნატომდე), **თუმცა, ნატოს თუ ანდრეს ფოგ რასმუსენი ჰყავს თავისი პირდაპირობით, ევროპას ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზო ჰყავს და სწორედ ამ კაცმა გვითხრა მწარე სიმართლე.**

**„ამ ეტაპზე საქართველოს ევროკავშირის წევრობას ვერ შევთავაზებთ, მაგრამ მაქსიმალურ დაახლოებას ვთავაზობთ",** — განაცხადა ბაროზომ. როგორ გგონიათ, ევროპელები თუ ამერიკელები ადრე არ ამბობდნენ ასეთ რაღაცებს და წინა ხელისუფლებას არ უხსნიდნენ, რომ ნატომდე და ევროკავშირამდე ძალიან შორია და ქართველ ხალხს დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს?! ეუბნებოდნენ კი არა, წერილობით მიმართვებსაც ავრცელებდნენ; „ნაციონალური მოძრაობის" წევრები კი ამ წერილებს ჯიბეში საქართველოს ბიუჯეტივით იკუჭავდნენ და მერე ასევე საქართველოს ბიუჯეტივით რომელიმე ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ნომრებში აქრობდნენ.

რადგან ბიუჯეტის გაქრობაზე მივედით, ისიც ვთქვათ, რომ ინტერნეტში მიხეილ სააკაშვილის ფოტოები გავრცელდა. ექსპრეზიდენტი ამერიკის ერთ-ერთ რესტორანშია გადაღებული და გვარიანად გამომთვრალიც. ატყდა სოციალურ ქსელში ერთი ამბავი, — მიშა დათვრაო, თუმცა მე არ გამკვირვებია — **ეს კაცი მთელი ცხრა წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას ტყუილებით ათრობდა და დიდი რამე, ახლა, მოცალეობის ჟამს, თავადაც რომ მიიღოს ალკოჰოლი. აბა, როგორ გინდათ?! ბიუჯეტი — აღარ, ქართული შოუბიზნესი — აღარ, თვითმფრინავი — აღარ, ყოველდღე ტელევიზორში — აღარ და... რომ არ გალოთდა ეს კაცი, არ გიკვირთ?!** სააკაშვილი ტყუილად არ გვიხსენებია. მან გასულ კვირას განაცხადა, **უკრაინას ნატოში ვერ მიიღებენ, რადგან ყირიმის სახით სადავო ტერიტორია აქვსო და ის კი მიივიწყა, 9 წელი ნატოს კარზე რომ აკაკუნებდა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვეუბნებოდა, — ვაკაკუნებო) და ამ დროს ტერიტორია კი არა, ტერიტორიები ჰქონდა სადავო, რომლებსაც კიდევ დაამატა და 2008 წელს ომის ექო მავთულებს დღემდე ხლართავს ჩვენს საზღვარზე.**

ფრიად დასანანია, რომ ტყუილების ხლართვას ახალი ხელისუფლებაც არ ეშვება. თითქოს ესტაფეტა ჩაიბარაო, ისიც „ნაციონალებზე" მეტად თავგამოდებულია ცრუპენტელობაში, — აგერ დღედღეზე, წუთიწუთზე ნატოშიც მიგვიღებენ და ევროკავშირშიცო. არადა, ცალკერძ ნატოს ხელმძღვანელი, ცალკერძ ევროკავშირი მკაფიოდ და გასაგებად გვეუბნება: არავითარი — ნატო! არავითარი — ევროკავშირი!

**საზოგადოებამაც მშვენივრად იცის, რომ ნატოც და ევროკავშირიც ქიმერაა. „საქართველო და მსოფლიოსთან" ინტერვიუში ჯერ კიდევ როდის თქვა ალექსანდრე ჭაჭიამ, რომ „პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია ან უნამუსოდ გვატყუებს..."**

სათავისოდ სიბრიყვის არაფერი ეტყობათ, მაგრამ, რომ გვატყუებენ ეს ნასყიდი უნამუსოები, ცხადია. საკითხავი მხოლოდ ის არის, ვისგან არიან მოსყიდულნი. დასავლეთმა გამოგვიყენა და... მოკლედ, ნატოსა და ევროკავშირის თავკაცებს ნატოსა და ევროკავშირზე ტყუილისმფრქვეველი ქართველების მოსყიდვა არაფერში სჭირდებათ. მათი მოსყიდვა ისევ იმ პოლიტელიტას აძლევს ხელს, რომელსაც სურს, რომ საქართველოს შიგნით მაინც შეინარჩუნოს დასავლეთისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ძალის სტატუსი... ასე რომ, **როგორც ჩანს, ამჯერად უკვე „ნაციონალების" მიერ ნასყიდი „მეოცნებენი" გვაბითურებენ!**

**დავით მინდიაშვილი**

**P.S.** ჩემი რჩევა იქნება, ხელშეკრულების ხელმოწერამდე პრემიერმა ქართული ცეკვის კურსები გაიაროს. თუ გახსოვთ, მაია ფანჯიკიძეს ევროპელებმა „შალახო" ჩაურთეს და არ არის გამორიცხული, ახლა „კინტაური" ან „მთიულური" შეუზრონ. მარგველაშვილი კი ამბობს, ხელი მე რომ მომეწერა, „ტაში, ბიჭო გოგრუნა" იქნებოდა და ამ ერთ ცეკვას კი აუითვისებდი როგორმე, მაგრამ, ამ საქმიდან რომ არაფერი გამოვა, უკვე გითხარით.

ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებს შევხვდი, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს კანონპროექტი, ეკონომიკის სამინისტროს კი არა, „საქართველოს ფოსტის“ მიერ იყო შემუშავებული. ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა სიღრმისეულად არ იცოდნენ, რა დებულებები ჩადო „საქართველოს ფოსტამ“.**



# ნათია კუტივაძე: გადაზიდვების საკითხში რომ არ ჩავრეულიყავით, დიდი შანსი იყო, საფოსტო ბაზრის მონოპოლიზებისა




**არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ მთავარმა ანალიტიკოსმა, ეკონომიკის დოქტორმა ნათია კუტივაძემ საფოსტო კავშირის შესახებ კანონპროექტში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით ეკონომიკის სამინისტროს მიმართა.**

— ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა საფოსტო კავშირის შესახებ კანონპროექტი, რომლის პრეზენტაციაც გამართა 2014 წლის იანვარში. მალევე **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ჩაატარა კანონპროექტის ექსპერტიზა და აღმოაჩინა სერიოზული შეუსაბამობები როგორც ამ კანონპროექტში შემოფარგლულ რეგულაციებში, ისე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებში.** ჩვენი ექსპერტების შეფასებით, კანონპროექტში რამდენიმე პუნქტი დაუსაბუთებელი და ეკონომიკურად მიზანშეუწონელი იყო. კანონით გათვალისწინებული იყო სახელმწიფო რეგულირების დაწესება როგორც საფოსტო, ისე საამანათო გზავნილების ბაზარზე და, შესაბამისად, კანონპროექტი ითვალისწინებდა ამ ტვირთებზე სახელმწიფო რეგულირების დაწესებას. **საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად კი, სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას ექვემდებარება მხოლოდ უნივერსალური საფოსტო მომსახურების სეგმენტი, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის წვდომას საბაზისო საფოსტო მომსახურებაზე.** ვინაიდან საქართველო არის მსოფლიო საფოსტო კავშირის წევრი, ჩვენს ქვეყანას აღებული აქვს ვალდებულება, რომ თავისი მოქალაქეებისთვის უზრუნველყოს საფოსტო მომსახურებაზე საბაზისო წვდომა. მაგრამ ეს მომსახურება არ გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან საკურიერო, სწრაფი მომსახურების ტიპების და, შესაბამისად, ბაზრის სეგმენტების რეგულირებას. **ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით კი, ეს სეგმენტები არ იმიჯნებოდა, რაც 20 კილოგრამამდე ამანათების ყველა ტიპის გადაზიდვებზე, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტით, ხოლო 30-კილოგრამიანი ამანათების გადაზიდვაზე მხოლოდ სახმელეთო და საზღვაო გზით „საქართველოს ფოსტისთვის“, ანუ ეროვნული ოპერატორისთვის ექსკლუზიური უფლებების მინიჭებას ნიშნავდა. ეს კი გამოიწვევდა იმას, რომ ყველა ოპერატორი, რომლებიც დღეს ბაზარზე საქმიანობს, ან „საქართველოს ფოსტის“ დაქვემდებარების ქვეშ უნდა მოქცეულიყო, ან ბაზარი დაეტოვებინა.** ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი პირვანდელი სახით დამტკიცდებოდა. ჩვენ ეკონომიკის სამინისტროს მივუთითეთ, რომ ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებდა ბაზრის ლიბერალიზაციის პრინციპებს და მოვითხოვეთ, საფოსტო მომსახურების ბაზარიც ყოფილიყო ლიბერალიზებული ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით. ჩვენი მოთხოვნა, აგრეთვე, იყო, რომ დაეცვათ კანონთან დაკავშირებული რეგულაციები და შეესაბამებინათ ასოცირების ხელშეკრულებასა და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან. **ეს კანონპროექტი მიმართული იყო საქართველოს ბაზრის მონოპოლიზაციისკენ, შესაბამისად, მომხმარებლის არჩევანის შეზღუდვისკენ. ეს კანონპროექტი ასევე გვთავაზობდა ავტორიზაციის რეჟიმის შემოღებას საფოსტო მომსახურების ნებისმიერი ოპერატორისთვის და აწესებდა ბიუროკრატიულ ბარიერებს გადამზიდავებისთვის**. ამიტომ **ჩვენმა ორგანიზაციამ ეკონომიკის სამინისტროს მიმართა მოთხოვნით, შეეტანათ ცვლილებები, რადგან ორმოცამდე კომპანია აღშფოთებული იყო ამ კანონპროექტით.** ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა გვთხოვეს შეხვედრა. შევხვდით კიდეც, განვიხილეთ შენიშვნები და დაგვთანხმდნენ, რომ ჩვენ მიერ წინა პლანზე წამოწეული 7 შენიშვნიდან 6-ს გაითვალისწინებდნენ. **ერთადერთ პრობლემად რჩება სახმელეთო და საზღვაო გზით 30 კილოგრამამდე ამანათის გადაზიდვაზე „საქართველოს ფოსტისთვის“ ექსკლუზიური უფლებების მიცემა და ეს საკითხი დღემდე ღიად რჩება.**

**— ის 6 შენიშვნა რას ეხებოდა, რომელთა გათვალისწინებასაც დაგთანხმდნენ?**

— **გადამზიდავი კომპანიების მოთხოვნა იყო, რომ დაზუსტდეს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ნუსხაში შემავალი საფოსტო მომსახურების ჩამონათვალი ისე, რომ ეს ჩამონათვალი მოიცავდეს საბაზისო (მინიმალური) მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული საფოსტო გზავნილების მომსახურებას და ამ საბაზისო კატეგორიის გზავნილებზე ფასების სახელმწიფო რეგულირებას,** რაზეც ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები დაგვთანხმდნენ. ისინი ასევე დაგვთანხმდნენ, რომ **გაითვალისწინებდნენ ჩვენს შენიშვნებს, საფოსტო და საამანათო გზავნილების ბაზარზე კანონპროექტით შემოთავაზებული სახელმწიფო რეგულირების რეჟიმი შესაბამისობაში მოსულიყო საქართველოს კანონმდებლობასთან და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით (თავი 6) გათვალისწინებულ ვალდებულებებთან**. შესაბამისად, უნივერსალური საფოსტო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე, ნაცვლად ავტორიზაციისა, უნდა გავრცელებულიყო ლიცენზირების მოთხოვნა (აღნიშნულ მოთხოვნას ითვალისწინებს, ასევე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება, თავი 6, მუხლი 101) და მხოლოდ უნივერსალური საფოსტო მომსახურების გაწევის მსურველი ოპერატორისთვის დაწესებულიყო „სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სათანადო კვალიფიკაციის პერსონალის“ არსებობის პირობების მოთხოვნა, რაც შესაბამისი იქნებოდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციების.

**უნივერსალური საფოსტო მომსახურების გამწევი ოპერატორის გამოვლენა უნდა მომხდარიყო კონკურსის წესით,** რასაც ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკა. ამასთანავე, **კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობდეს 2 ან 3 დანიშნული ოპერატორი,** თუ ეს ოპერატორები აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ევროკავშირის კანონმდებლობით, როგორც ვიცით, შეზღუდული არ არის ეროვნული ოპერატორების რაოდენობა. მაგალითად, ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს 2 ან 3 დანიშნული ოპერატორი სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში და მათ ჰქონდეთ ერთმანეთის ინფრასტრუქტურაზე თავისუფალი წვდომა. გარდა ამისა, ცვლილების შეტანას დაგვპირდნენ ამ პუნქტშიც: **საფოსტო და საამანათო გზავნილების ბაზრის ის სეგმენტი, რომელიც არ მოიცავს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ბაზრის სეგმენტს, დარჩეს ლიბერალიზებული. ამ სეგმენტზე საქმიანობის მსურველი ოპერატორისთვის დაწესდეს მხოლოდ ოპერატორის „ავტორიზაციის“' ვალდებულება კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული/ფორმალური ბარიერის დაწესების გარეშე.** შესაბამისად, ამ სეგმენტზე საქმიანობის მსურველი ოპერატორისთვის მოიხსნას „სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სათანადო კვალიფიკაციის პერსონალის“ არსებობის პირობების მოთხოვნა. აღნიშნულით ასევე მოხდება კანონპროექტით გათვალისწინებული ოპერატორის ავტორიზაციის პროცედურის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „ავტორიზაციის პროცედურის“ ეკონომიკურ არსთან და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ რეგულაციებთან.

რაც შეეხება ოპერატორების მიერ **გადასახდელი რეგულირების საფასურს, ეს შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „რეგულირების საფასურის შესახებ“ კანონით დადგენილ რეგულაციებთან** (ამ კანონის მიხედვით, რეგულირების საფასურის ოდენობა უნდა დადგინდეს მარეგულირებლის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით). შესაბამისად, კანონპროექტი არ უნდა ითვალისწინებდეს რეგულირების საფასურის განაკვეთის ოდენობის განსაზღვრას.

**კანონპროექტიდან ამოღებული უნდა იქნეს მომსახურების სხვა სახეობების ნუსხის სამინისტროს აქტით დამტკიცება (მუხლი 22).** კანონპროექტით აღარ იარსებებდა რისკი, რომ გადამზიდავების ბაზარზე განმეორდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის №30 ბრძანებით შემოღებული პრაქტიკა, რომელიც სამი ინსტანციის სასამართლომ ბათილად ცნო. **შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული „უნივერსალური ოპერატორისთვის“ ე.წ. დარეზერვებული არეალის“ სახით სახმელეთო და საზღვაო გზით 30 კგ-მდე ამანათების გადაზიდვაზე ექსკლუზიური გადაზიდვის უფლებამოსილების მინიჭებაზე.** გადამზიდავები ითხოვდნენ, რომ ამ ტიპის პრეცენდენტს არ იცნობს საერთაშორისო პრაქტიკა და, ამდენად, არც ქართულ კანონმდებლობაში არ უნდა მოხდეს მისი გათვალისწინება. მოკლედ, ჩვენსა და ეკონომიკის სამინისტროს შორის მოხდა სიტყვიერი შეთანხმება, რომ აუცილებლად შეიტანდნენ ცვლილებებს კანონპროექტში, მაგრამ შეცვლილი სახით კანონპროექტი ჯერ არ მოუწოდებიათ. გარდა ამისა, გადამზიდავმა კომპანიებმა მიმართეს ევროკავშირს და მისი ექსპერტთა ჯგუფი 2-დან 5 ივნისამდე საქართველოში იქნებიან. ისინი დაეხმარებიან ეკონომიკის სამინისტროს ამ კანონპროექტისა და, საზოგადოდ, საფოსტო სფეროს რეფორმის მომზადებაში, რის შედეგადაც არ მოხდება საქართველოში ამ ბაზრის მონოპოლიზება და საინვესტიციო გარემოს გაუარესება.

**— თუკი ეკონომიკის სამინისტრო მის მიერვე შემუშავებული კანონპროექტით ამ ბაზრის მონპოლიზებას აპირებდა, დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს შენიშვნებს გაითვალისწინებს?**

— **როდესაც ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებს შევხვდი, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს კანონპროექტი, ეკონომიკის სამინისტროს კი არა, „საქართველოს ფოსტის“ მიერ იყო შემუშავებული. ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა სიღრმისეულად არ იცოდნენ, რა დებულებები ჩადო „საქართველოს ფოსტამ“.** ჩვენ ეკონომიკის მინისტრის ორი მოადგილეს — დიმიტრი ქუმსიაშვილისა და ნათია მიქელაძეს შევხვდით და, როდესაც ჩვენ მიერ აღნიშნული 7 საკითხის შეცვლა შევთავაზეთ, ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ — დიმიტრი ქუმსიაშვილმა 7 შენიშვნიდან 6-ზე გვითხრა, აუცილებლად გავიზიარებთო. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი თავიდანვე რომ სცოდნოდა ქუმსიაშვილს, კანონპროექტში არ დაუშვებდა.

**— „საქართვლოს ფოსტის“ გენერალურ დირექტორ ლევან ჩიკვაიძეს თუ ესაუბრეთ ამ საკითხზე?**

— მას არ შევხვედრივარ, მხოლოდ გადაცემა „ბიზნეს-კურიერში“ მიმიწვიეს დებატებზე, სადაც **ბატონმა ჩიკვაიძემ საკმაოდ დემაგოგიურად ისაუბრა და განაცხადა, — „საქართველოს ფოსტის“ ვალდებულებაა, არსებობდეს უნივერსალური მომსახურებაო.** უნივერსალური მომსახურება რომ უნდა არსებობდეს, არავინ უარყოფს, მაგრამ ჩვენი თხოვნა იყო, ეს მომსახურება დამსგავსებოდა საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ ვალდებულებებს და უნივერსალური მომსახურების არსებობის მოტივით არ მომხდარიყო გადამზიდავი ბაზრის მონოპოლიზება. ამ საკითხში რომ არ ჩავრეულიყავით, დიდი შანსი იყო საფოსტო ბაზრის მონოპოლიზებისა.

**«საქართველოს ფოსტის» გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა ჩიკვაიძემ საკმაოდ დემაგოგიურად ისაუბრა და განაცხადა, — «საქართველოს ფოსტის» ვალდებულებაა, არსებობდეს უნივერსალური მომსახურებაო»**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

„ნატოსთვის თურქეთს, რა თქმა უნდა, აქვს ერთგვარი არბიტრის დანიშნულებაც კავკასიის რეგიონში. ის აქ უნდა იყოს რუსეთის საპირწონე ძალა და, როცა საუბარია იმაზე, რომ ჩვენ ვირჩევთ დასავლეთს, დასავლურ ცივილიზაციას, იმავე დასავლეთის გადმოსახედიდან ამის შანსი საქართველოს აქვს თურქეთის გავლით.“

რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ზვიად ირემაძე:

# გაიარეთ ღამის ათი საათის შემდეგ აღმაშენებელზე და ნახავთ, საქართველო ქართველებისაა თუ თურქების

**საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში წევრობის პერსპექტივაზე, მოახლოებულ არჩევნებსა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ანტიგლობალიზაციის ცენტრ „ივერიელების“ წარმომადგენელი ზვიად ირემაძე.**

**— ბატონო ზვიად, დაახლოებით ერთი თვის წინ, ვაშინგტონში ვიზიტით ყოფნისას ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ნატომ საქართველოში უსაფრთხოების სისტემა უნდა განათავსოსო. მაშინ ეს ინიციატივა ყველამ მის პირად მოსაზრებად მიიჩნია, მაგრამ გასულ კვირას რასმუსენის საპასუხო განცხადებამ სულ სხვა რამ ცხადყო. მან ხაზგასმით აღნიშნა, ამის თაობაზე ალიანსის ოცდაექვსივე წევრმა სახელმწიფომ უნდა იმსჯელოსო, ანუ გამოდის, რომ საკითხი, შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს. თქვენი აზრით, რა საფრთხეების წინაშე აყენებს ეს ყველაფერი საქართველოს და, თუ კი აქ ნატოს ანტისარაკეტო სისტემის განთავსება რეალურად განიხილება, უნდა ჩავთვალოთ თუ არა ეს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭების წინაპირობად?**

— რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და პირადად ვლადიმერ პუტინს უკვე არაერთხელ აქვს პოზიცია გაცხადებული ნატოს მიმართ. ამ ადამიანმა პირდაპირ თქვა, ზედმეტი დიპლომატიური კეკლუცობის გარეშე: ჩვენ არ დავუშვებთ ალიანსის ბატონობას ჩვენს საზღვრებთანო. ვინ როგორ გაიგო ეს და რა შეფასებებს აკეთებენ მავანი ცხელტვინიანები, ერთია, მაგრამ ჩვენ მოვლენებს პრაგმატულად უნდა შევხედოთ. რეალობა ისაა, რომ კრემლის პოლიტიკური წონა დღითიდღე იზრდება. ვერანაირი სანქციებითა და სხვა ღონისძიებებით მას ვერ აკავებენ. მოგვწონს ეს თუ არა, ფაქტია და რეალობა ადეკვატურობას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველას გვახსოვს, 2008 წლის ტრაგედია, რომელიც სწორედ არაადეკვატური პოლიტიკის შედეგი იყო... არაფერს ვამბობ ევრომაიდანზე და იმაზე, რაც დღეს უკრაინაში ხდება. ვფიქრობ, ჯამში **ეს ყველაფერი ჩვენთვის უნდა იყოს ჭკუის სასწავლებელი, რომ მომავალში იგივე სისულელე არ ჩაიდინოს ხელისუფლებამ და სხვის ინტერესებს, თამაშს არ გადააყოლოს ქვეყანა.**

**— თავის დროზე, როცა ნატოს ანტისარაკეტო სისტემის განთავსებას პოლონეთში აპირებდნენ, კრემლის მესვეურები ცალსახად აცხადებდნენ, რომ თუ ეს მოგხდებოდა, მოსკოვი ძალისმიერ მეთოდებზეც იფიქრებდა. ჩვენ შემთხვევაში კონკრეტულად რა საფრთხეები შეიძლება განვიხილოთ?**

— ჩვენ შემთხვევაში ეს იქნება პირდაპირი დარტყმა, სამხედრო მოქმედება და მე უბრალოდ მაინტერესებს, ამაზე პასუხისმგებლობას ვინ აიღებს. არის მზად ამისთვის დღევანდელი ხელისუფლება?! დარწმუნებული ვარ, **როგორც სააკაშვილი გაექცა 2008 წელს პასუხისმგებლობას, ისე მოიქცევიან ესენიც.** ამ დროს, იღუპება ახალგაზრდობა, დედები შვილებს კარგავენ, ოჯახები უბედურდება და ამაზე არავინ ფიქრობს...

**— ვთქვათ, მოხდა სასწაული და ერთ მშვენიერ დღეს მიგვიღეს ნატოში. როგორ ფიქრობთ, ხომ არ აღმოვჩნდებით თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური პროტექტორატის ქვეშ? ამისთვის უკვე მომზადებულია საფუძველი — თურქ ინვესტორებს სტრატეგიული ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილი შესყიდული აქვთ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სააკაშვილმა თურქეთის 40 ათასამდე მოქალაქეს ქართული პასპორტი მისცა.**

— საერთოდ, **სააკაშვილისა და მისი ბანდის მოღვაწეობა, არამხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, მანამდეც და მერეც იყო ანტისახელმწიფოებრივი.** ამას ისინი გაუცნობიერებლად კი არ აკეთებდნენ, არამედ მიზანმიმართულად და ეს ყველაფერი დღეს გამოიხატება შედეგებში. რაც შეეხება თურქეთსა და მისგან მომავალ საფრთხეებს, **ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ, თუ ვიღაც ლამაზ-ლამაზ სიტყვებს გვეუბნება და არ გვბომბავს, აუცილებლად მეგობარია.** ასე არ არის. თურქეთს აქვს თავისი ინტერესები, თავისი გეგმა და არც უნდა გვიკვირდეს, რომ რიგ ასპექტებში ის ეწინააღმდეგება ქართული სახელმწიფოებრივი იდეის არსებობას. ახლა თქვენ პროტექტორატი ახსენეთ და **ნატოსთვის თურქეთს, რა თქმა უნდა, აქვს ერთგვარი არბიტრის დანიშნულებაც კავკასიის რეგიონში. ის აქ უნდა იყოს რუსეთის საპირწონე ძალა და, როცა საუბარია იმაზე, რომ ჩვენ ვირჩევთ დასავლეთს, დასავლურ ცივილიზაციას, იმავე დასავლეთის გადმოსახედიდან ამის შანსი საქართველოს აქვს თურქეთის გავლით.** თქვა კიდევაც ამას წინათ აბდულ გიულიმ თბილისში ვიზიტისას, — ჩვენ ვართ თქვენთვის ფანჯარა ევროპისკენო. ის არ გულისხმობდა მარტო გეოგრაფიულ მოცემულობას, პირველ რიგში, გულისხმობდა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ვექტორს. ასე რომ, თურქეთთან დაახლოება და მისი გავლენის არეალში მოხვედრა ჩვენი ევროპული არჩევანის განუყოფელი ნაწილია, სხვა დანარჩენი კი ამ პროცესის თანმდევი მოვლენებია, იმავე თურქეთის მოქალაქეებისთვის ქართული პასპორტების დარიგება, ინვესტორების შემოყვანა და ა. შ.

**— თურქეთის ინტერესები გასაგებია, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება რა პრინციპით ხელმძღვანელობს, როცა ამ ყველაფერს ყოველგვარი კორექტირების გარეშე მიჰყვება. ბოლო ოცი წელია, ერთი და იგივე რიტორიკა გვესმის: თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია. ისტორიის გაყალბების მცდელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, რა ამოცანა იმალება ამ პროცესების მიღმა?**

— არანაირი ამოცანა და დიადი მიზნები. **ბოლო ოცი წელია, ხელისუფლებაში მოდის მერკანტილური მისწრაფებებით შეპყრობილი ხალხი, რომელსაც არავითარი ზნეობა და მორალი არ გააჩნია. სწორედ ასეთებს ეხსნებათ გარე ძალებისგან გზა მმართველობის სათავისკენ და გასაგებია, რატომაც, — იმიტომ რომ ასეთი ადამიანების მართვა და გამოყენება იოლია.** ახლა თურქეთის ინტერესს რაც შეეხება: შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ის წამოვა იარაღით. ჯერ ერთი, მას ეს არ სჭირდება, ვინაიდან ეკონომიკურად, უკვე დიდი ხანია, დაპყრობილი ვყავართ და მეორე, თქვენი თქმისა არ იყოს, ბოლო ოცწლიანმა პროპაგანდამ, რომ თურმე თურქეთი საქართველოს ისტორიული მეგობარია, ხალხი ლამის დააჩლუნგოს და გამოადებილოს. გასაგებია, ხელისუფლება ვერ დაიწყებს იმაზე საუბარს, რას გვიკეთებდა ეს ქვეყანა წარსულში, მაგრამ სახელმწიფოს ხომ უნდა ჰქონდეს გარკვეული იდეოლოგია?! აგერ სომხებს შეხედეთ, რას შვებიან. თითქმის საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც სომხებმა გაუკეთეს და დღემდე ითხოვენ გენოციდის აღიარებას. აი, ესაა ისტორიული მეხსიერება, ესაა სახელმწიფოს განვითარების საფუძველთა საფუძველი, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ვერ გვეღირსა ამ პრინციპების მქონე ხელისუფლება. ეს, ალბათ, ჩვენი ბრალიცაა ნაწილობრივ და ოდესმე უნდა მიხვდეს ქართველი კაცი ამასაც. თუ არადა, დღეს რასაც ვხედავთ, ეს სრული მარაზმია, ყველა ნაძირალას და ნამუსგარეცხილს გზა ხსნილი აქვს სათავეებისკენ.

**— თავის დროზე, როცა სააკაშვილმა თურქეთის მოქალაქეებს ქართული პასპორტები დაურიგა, განაცხადა, რომ ეს ის ხალხია, რომელმაც უცხო სახელმწიფოში ქართული იდენტობა შეინარჩუნა. მართლაც, მათი უმეტესობა სრულყოფილად ფლობს ქართულ ენას...**

— ქართულ ენას შეიძლება ფლობდეს ჩინელიც და კამბოჯელიც, მაგრამ შენ თუ ასე არიგე მოქალაქეობა, 10-15 წელიწადში ქვეყანა აღარ ექნება. ეს ერთი საკითხი. ახლა მეორე: სააკაშვილის ხელისუფლებამ რამდენჯერ ატეხა განგაში და

**«ბოლო ოცი წელია, ხელისუფლებაში მოდის მერკანტილური მისწრაფებებით შეპყრობილი ხალხი, რომელსაც არავითარი ზნეობა და მორალი არ გააჩნია. სწორედ ასეთებს ეხსნებათ გარე ძალებისგან გზა მმართველობის სათავისკენ და გასაგებია, რატომაც, — იმიტომ რომ ასეთი ადამიანების მართვა და გამოყენება იოლია»**

წივილ-კივილი, — არიქა, რუსეთი საქართველოს მოქალაქეებს პასპორტებს ურიგებსო; ანუ საფრთხეს ხედავდნენ კრემლისგან, რომ მიზეზს მოძებნიდა და შემოვიდოდა. ახლა ვეკითხები ამ ხელისუფლებას: ხვალ-ზეგ თურქეთმა რომ დაიწყოს საუბარი, საქართველო ჩემი მოქალაქეების უფლებებს არღვევს და ამას არ დავუშვებო, ვინ იქნება ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი? როგორ და რა მექანიზმებით დაიცავენ სახელმწიფოს აგრესიისგან — იმ ჯარით, 2008 წელს რომ ბრძოლის ველზე მიატოვეს და ბიჭებს უთხრეს, როგორც გინდათ, ისე მოიქეცითო?!

**— გინდათ, თქვათ, რომ სამხედრო აგრესიის საფრთხეც არსებობს?**

— საფრთხეც არსებობს, მაგრამ მე ამას უფრო სხვა რამეს დავარქმევდი — ეს გენოციდია. **როდესაც უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებს შენს ქვეყანაში ყველანაირად ხელს უწყობ და ამ დროს შენს ხალხს არაფრის საშუალება არ აქვს — არც ბიზნესის გაკეთების, არც სამსახურის შოვნის ან თუნდაც მიწის დამუშავების და საკუთარი შრომით, ოფლის ფასად მშვიდად ცხოვრების, ეს სხვა არაფერია, თუ არა ერის პირდაპირი გენოციდი.** ამას აკეთებდა სააკაშვილის ხელისუფლება, რომელმაც ასზე მეტ სახელმწიფოსთან შემოიღო უვიზო მიმოსვლა და თბილისი გაავსო უცხოელი ე. წ. ინვესტორებით; ამასვე აგრძელებს დღეს „ქართული ოცნებაც“.

**— თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკა ცოტათი გაამკაცრა.**

— ამ შემთხვევაში შედეგებით უნდა ვიმსჯელოთ. შედეგი კი არის ის, რომ **საქართველო აღარ ეკუთვნით ქართველებს. გაიარეთ ღამის ათი საათის შემდეგ პლეხანოვზე და ნახავთ, ვისია ეს ქვეყანა — ჩვენი თუ უცხოელების.** არაბებით, ირანელებითა და ერაყელებითაა მთელი გამზირი გადაჭედილი. სწორად გამიგეთ, მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და არც რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქეების, მაგრამ ჩემთვის პირველ რიგშია ქართველი. თუ ქართველი მშიერია და სიღატაკეში კვდება, ვერ მივიღებ ვერც ერთი უცხოელის გაჯეჯილებას ჩემს ქვეყანაში. მე ასე ვაზროვნებ და ვთვლი, რომ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ასე უნდა ფიქრობდეს.

**— ბატონო ზვიად, როგორ ფიქრობთ, რა იქნება ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი?**

— შედეგზე მოგვიანებით გეტყვით ჩემს აზრს. რაც შეეხება მიზანს, საქართველოში ქართველს საკუთარი თავი და ქვეყანა არ უნდა ეკუთვნოდეს, — აი, ესაა მათი მთავარი ამოცანა. **ახლა ლიბერალებს აქვთ ასეთი ცინიკური ფრაზა: „პატრიოტები იძახიან, ქართველობას გვართმევენო“,** ანუ ამ ფრაზასაც ამარგინალებენ, რომ ეს ხმამაღლა არ თქვა და ჩუმად ილაპარაკო შენთვის, მაგრამ, რაც ხდება, ხომ ფაქტია?! 25 წელია, სახელმწიფო თავისუფალია და ეს არის ფსევდოთავისუფლება, არაფერზე დაფუძნებული და დამყარებული დამოუკიდებლობა.

...დღესდღეობით კოლაბორაციონიზმი არის ნორმად ქცეული, ყველა ადამიანი, თუ მას სურს სახელმწიფო მოხელე გახდეს, არ უნდა იყოს პრინციპული, არ უნდა გააჩნდეს მოქალაქეობრივი დამოკიდებულება, სამშობლოს სიყვარული და ა. შ. ის დამოკიდებულია საბანკო კრედიტებზე, გამოტანილ განვადებებზე და ათასგვარი ფინანსური პრობლემები აქვს. ასეთი მოქალაქე მსჯელობს: მე რომ ხმა ამოვიღო, ამით რას ეშველება? და სადაც ყველა, იქაც მე. ამასობაში ქვეყანა ინგრევა.

**— დასაწყისში რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე ვსაუბრობდით, გასულ კვირას ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, შესაძლოა, რუსეთთან გარკვეული სავაჭრო ურთიერთობები გადაიხედოს“-ო. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ეს განცხადება?**

— არ ვიცი, რას გულისხმობდა ბატონი პეტრიაშვილი. მაგ განცხადებაში ორაზროვანი ქვეტექსტია და თვითონ უნდა განმარტოს, რას ნიშნავს სავაჭრო ურთიერთობების შესაძლო გადახედვა. მე ერთი ვიცი: ესენი ნატოსა და ევროკავშირს გადააყოლებენ ყველაფერს — ხალხსაც, ქვეყანასაც და ერთმანეთსაც. ადრეც მითქვამს თქვენთან ინტერვიუში და კიდევ ვიმეორებ: ნატო, როგორც ბლოკი, არის პოლიტიკური კრიმინალების ბლოკი, ხოლო ევროკავშირს რაც შეეხება, ბალტიისპირეთია ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა შეიძლება დაგვემართოს ამ ორგანიზაციასთან დაახლოების შედეგად.

**— რას გულისხმობთ?**

— ნებისმიერს შეუძლია ნახოს, რა მდგომარეობაშია დღეს ლატვია. **რიგა — ქალაქი, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს თითით საჩვენებელი იყო და იქ საქორწინო მოგზაურობებს იწყობდა ხალხი, დღეს გაუკაცრიელებულია.** წარმოიდგინეთ, ქუჩებში ადამიანების ისეთი ნაკლებობაა, ასფალტზე ბალახიც კი ამოვიდა. მოსახლეობა გაიკრიფა ევროპის ქვეყნებში, რომ რაღაც ორი კაპიკი იშოვოს და შიმშილით სული არ აღმოხდეს. სოფლის მეურნეობა, მრეწველობა საერთოდ არ არსებობს, ჩაკვდა ყველაფერი. ქვეყანა ეკონომიკურად გაყინულია და არიან ასე — სხვისი ხელის შემყურენი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ უარესი გველის ჩვენც, როცა მავანთა გეგმები განხორციელდება და ასე ბრმად მოგვაწერინებენ ხელს იმ ასოცირების ხელშეკრულებაზე. სამწუხაროდ, უკვე ბევრი რამ გვიანია, საქართველოს თავი გაყოფილი აქვს ძალიან დიდ პრობლემებში და ამის შედეგებს ახლო მომავალში დავინახავთ.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— **გრძელვადიან პერსპექტივაში პოლიტიკური სპექტრის, განსაკუთრებით ელიტის, ძირეულმა ცვლილებამ, ქვეყნის საგარეო ორიენტირების გადაფასებამ და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად გარდაქმნამ, შესაძლოა, კარდინალურად განსხვავებული ვითარება მოგვცეს, მაგრამ ამას, უწინარესად, საზოგადოების ნება, მისი ადექვატური მოქმედება სჭირდება.** დანარჩენს დრო გვიჩვენებს, რამდენად ვიქნებით მზად ამისთვის. ასე რომ, ვნახოთ, როგორ და რა სცენარით განვითარდება მოვლენები.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

რეგიონები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველა ბათუმელმა იცის, რომ ერმაკოვი იყო ძმები ახალაიების ძირითადი დასაყრდენი აჭარაში და სწორედ მისი ორგანიზებით ხდებოდა ახალაიებისა და მათი ნათესავების ყოველი ვოიაჟი ბათუმში. ერმაკოვს დღესაც ახლო ურთიერთობა აქვს „ნაციონალებთან“, ამასთან, ყველა დარწმუნებულია, რომ ერმაკოვი „ოცნებაში“ „ნაციონალებმა“ ჩანერგეს“.**

# თურქების მიერ დაპყრობილი აჭარა და ბათუმის მერობის «ქართული ოცნების» «ნაციონალი» კანდიდატი



**2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ “ აჭარაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, მაგრამ, როგორც მოსახლეობის დიდი ნაწილი ამბობს, ავტონომიურ რესპუბლიკაში თითქმის არაფერი შეცვლილა — ადამიანები კვლავ შიშსა და ტერორში ცხოვრობენ; იმასაც ამბობენ, რომ საქართველოს ამ ულამაზეს მხარეს „კულისებიდან“ კვლავ მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე მართავს, ხოლო „ქართული ოცნების“ აჭარის ფილიალი „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრებით არის დაკომპლექტებული.**
**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საშუალება მიეცა, ბათუმელებს გასაუბრებოდა. გაირკვა, რომ თითქმის არც ერთ ბათუმელს არ სურს მერად „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი ერმაკოვი.**



**„მარჯვნიდან მესამე: გიორგი ერმაკოვი; მის გვერდით, მარცხნივ — კუდის უფროს პატარიძის მოადგილე უჩა შანიძე; მაცხნიდან მეხუთე — სააკაშვილის ერთ-ერთი ბიძა, კომპანია „ორბის“ მეწილე ელგუჯა ლომინეიშვილი, ამ კომპანიის ერთ-ერთი მეწილე გახლდათ სააკაშვილის აწ გარდაცვლილი ბაბუა გივი ალასანიაც. სააკაშვილის ბიძის გვერდით, მარჯვნივ, დგას „ორბის“ კიდევ ერთი მეწილე გია ბიწაძე, სხვები კი კუდის თანამშრომლები არიან.“**



**მერაბ ბლადაძე,** უფლებადამცველი:

— რატომ ავირჩიეთ 2012 წლის 1 ოქტომბერს „ქართული ოცნება“? **იმიტომ გადადო თავი სრულიად საქართველომ და იმიტომ ვითხოვდით ხალხის მწამებელი ხელისუფლების შეცვალას, რომ ისევ ნაცზონდერები მოსულიყვნენ ხელისუფლებაში?! თანაც, ბათუმელების ნება-სურვილის უგულვებელყოფით, „ნაციონალი“ ძალოვანი — ქალაქის მერად?** რას და ვის ემსახურება ეს ყველაფერი?

**— ვინ არის გიორგი ერმაკოვი?**

**— გიორგი ერმაკოვი არის ძალოვანი, რომელიც „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში მაღალ თანამდებობებს იკავებდა. სწორედ ის ატერორებდა ბათუმელ ბიზნესმენებს და აიძულებდა, „ნაცმოძრაობისთვის“ ფული ჩაერიცხათ.** როდესაც ინფორმაცია გავრცელდა ერმაკოვის ბათუმის მერობის კანდიდატად დასახელების თაობაზე, ბათუმელებმა თქვეს, „ნაციონალების“ კანდიდატს, მით უმეტეს, ერმაკოვს, ხმას არავინ მისცემსო, მაგრამ შემდეგ, როცა აღმოჩნდა, რომ ერმაკოვი „ქართული ოცნების“ კანდიდატია, ხალხმა აგრესია ვერ დამალა და ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივია! ამ და კიდევ სხვა მსგავსი ფაქტების შემდეგ ცნებები — „სამართლიანობის აღდგენა“ და „კოაბიტაციის დასასრული“ ხალხში მწარე ღიმილს იწვევს. **ყველა ბათუმელმა იცის, რომ ერმაკოვი იყო ძმები ახალაიების ძირითადი დასაყრდენი აჭარაში და სწორედ მისი ორგანიზებით ხდებოდა ახალაიებისა და მათი ნათესავების ყოველი ვოიაჟი ბათუმში. მას დღესაც ახლო ურთიერთობა აქვს „ნაციონალებთან“ და ყველა დარწმუნებულია, რომ ერმაკოვი „ოცნებაში“ „ნაციონალებმა“ ჩანერგეს. ეს ფოტოც, რომელიც მოგაწოდეთ, ახლახანაა გადაღებული და ზემოთქმულის დასტურია! ფოტოზე მარჯვნიდან მესამე გიორგი ერმაკოვია; მის გვერდით, მარცხნივ — კუდის უფროს პატარიძის მოადგილე უჩა შანიძე; მარცხნიდან მეხუთე — სააკაშვილის ერთ-ერთი ბიძა, კომპანია „ორბის“ მეწილე — ელგუჯა ლომინეიშვილი: ამ კომპანიის ერთ-ერთი მეწილე გახლდათ სააკაშვილის აწ გარდაცვლილი ბაბუა გივი ალასანიაც. სააკაშვილის ბიძის გვერდით, მარჯვნივ, დგას „ორბის“კიდევ ერთი მეწილე — გია ბიწაძე, სხვები კი კუდის თანამშრომლები არიან.** ამ ყველაფრის შემდეგ, ხალხის მხარდაჭერით მოსული მთავრობავ, გვეუბნები, რომ ერმაკოვი და მისი მეგობრები დაამყარებენ სამართლიანობას და იღვაწებენ ჩვენი ქალაქისთვის?

ბათუმში ყველას კარგად ახსოვს 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების დროს გიორგი ერმაკოვის თავგადაკლული მხარდაჭერა „ნაციონალებისადმი“. **ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის აპარატის რეგიონული კოორდინატორობიდან მოხსნილ ერმაკოვს „ნაციონალებმა“ დამსახურება არ დაუკარგეს და მათდამი დაქვემდებარებულ კომპანია „თეგეტა მოტორსის“ ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელად გადაიყვანეს.** ცნობილია, რომ „თეგეტა მოტორსი“ ნაციონალ თემურ კოხოძეს ეკუთვნის. ერმაკოვის ამ კომპანიაში ყოფნასაც არ ჩაუვლია „უკვალოდ“. მან ფილიალიდან 10-ზე მეტი თანამშრომელი გაათავისუფლა უსაფუძვლოდ, მათ შორის, 6 თვის ფეხმძიმე ქალი, რომელმაც, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, უკანონო გათავისუფლება სასამართლოში გაასაჩივრა და პროცესიც მოიგო. ამ ყველაფრის შემდეგ **„ქართული ოცნების“ „მამები“ გვეუბნებიან, რომ ერმაკოვი ის კაცია, რომელიც დღეს ბათუმს ძალიან სჭირდება „კეთილი“ საქმეების საკეთებლად?!**

**— როგორ მოხვდა ერმაკოვი „ქართულ ოცნებასა“ და ბათუმის მერიაში?**

— ამბობენ, რომ ერმაკოვი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ზედელაშვილის პროტეჟეა. მათ ადრე სამსახურეობრივი ურთიერთობა ჰქონიათ, მაგრამ რა დამსახურებისთვის შეჩერდა არჩევანი სწორედ ერმაკოვზე, ბათუმში „ქართულ ოცნების“ წევრებს შორის კონფლიქტის საგანია. **ვერ ვიჯერებთ, რომ აჭარის და, კერძოდ, ბათუმის „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს სწორი ინფორმაცია მიაწოდა ერმაკოვის შესახებ და, მიუხედავად ამისა, პრემიერმა ჩვენი თანაქალაქელებისთვის საშინელი გადაწყვეტილება მიიღო!** ეს ყველაფერი ხომ ძნელი დასაჯერებელია?! დარწმუნებული ვართ, პრემიერმა ეს გადაწყვეტილება სწორი ინფორმაციის უქონლობის გამო მიიღო! **დღეს „ზონდერნაციონალი“, როგორც ეძახიან ერმაკოვს ბათუმში, „ქართული ოცნების“ კანდიდატია და ეს ყველაფერი საშინელებათა ჟანრის ფილმს უფრო ჰგავს!**

**— რა თანამდებობები ეკავა გიორგი ერმაკოვს „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში?**

— 2002-2004 წლებში იყო საქართველოს შსს-ს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი. სხვათა შორის, მას თავის ბიოგრაფიაში გამოტოვებული აქვს ის, რომ 2010 წელს 6 თვის განმავლობაში გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსად იმუშავა. ეს ადამიანი ამ ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ხეტყის უკანონო ჭრას და 2 მილიონი ლარიც მიითვისა. გარდა ამისა, გარემოს დაცვის ინსპექციის 6 თანამშრომელი დააჭერინა, რომლებსაც 6-6 წელი მიუსაჯეს და ზოგი ახლაც არ არის გათავისუფლებული. 2005-2008 წლებში იყო საქართველოს შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს ჯერ უფროსის მოადგილე, შემდეგ კი — სამმართველოს უფროსი; 2004-2005 წლებში — საქართველოს შსს-ს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის აჭარის სამსახურის უფროსი; 2010-2011 წლებში — საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის უფროსის მოადგილე; 2011-12 წლებში — საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის აპარატის რეგიონული კოორდინატორი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

**— თუ ასე კარგად იცნობენ ერმაკოვს, მის დანიშვნას მერობის კანდიდატად რატომ არ აპროტესტებს ბათუმის მოსახლეობა?**

— ბათუმელები ამ გადაწყვეტილებით ძალიან უკმაყოფილონი არიან. **ყველას უკვირს, რატომ მოექცა ასე „ქართული ოცნება“ ბათუმელებს, რატომ სურთ, თავზე დაგვასვან ადამიანი, რომელიც** ▶

**«გაირყვნა ჩვენი ქათქათა ბათუმი, გონიოსა და კვარიათის დასახლებაც თურქებმა წალეკეს. ქართველმა ხალხმა წლების განმავლობაში იბრძოლა სატანის მოსაშორებლად, მაგრამ რა მივიღეთ? ხელისუფლებაში, «ოცნების» ძალისხმევით, კვლავ სატანების დაჯგუფება მოგვყავს?!»**

# „ეს ხელისუფლება ყველანაირად ეცდება, ნელ-ნელა დანერგოს ქვეყანაში გარყვნილება და აღვირახსნილობა. მათ ისეთ უზნეობაზე მოაწერეს ხელი, რომ საკუთარი თავი და მთელი შთამომავლობა დაწყევლეს.“

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალების“ დაკვეთებს ასრულებდა 9 წლის განმავლობაში და ამწარებდა ხალხს?! „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ ერთი ჯამიდან ჭამენ, ერთმანეთს თანამეინახეობას უწევენ.** ერმაკოვის „კაიკაცობის“ შესახებ ყველა ბათუმელმა იცის. საინტერესოა, ეს ადამიანი როგორ მოხვდა „ოცნებაში“, მიუხედავად იმისა, რომ კახი კალაძემ განაცხადა, არც ერთი „ნაციონალი“ არ მოხვდება მაღალ თანამდებობაზეო. **რატომ ტენიან „ნაციონალებს“ ქალაქების პირველ პირებად?**

**— რას გამოიწვევს გიორგი ერმაკოვის ბათუმის მერობა?**

— პირველ რიგში, **„ოცნება“ კრახის წინაშე აღმოჩნდება, ხოლო ბათუმში ვნებათაღელვა მოიმატებს და ხალხი ივანიშვილს, ღარიბაშვილსა და სხვებს დაუპირისპირდება.** „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ იმედი გაგვიჩნდა, რომ სრულიად საქართველოს ეშველებოდა, დღეს კი რა მივიღეთ? — **ბათუმს თურქები და „ნაციონალები“ იყოფენ! „ნაციონალებმა“ ბათუმელებს მამა-პაპის დანატოვარი უძრავი ქონებმა წაართვეს და თურქებს ერთ ლარად მიჰყიდეს. ეს ყველაფერი ლევან ვარშალომიძის მითითებით კეთდებოდა.**

**— სად იმყოფება ამჟამად ლევან ვარშალომიძე?**

— უკრაინაში არეულობა რომ დაიწყო, სააკაშვილთან ერთად კიევში წავიდა და იქ დარჩა. **რა ენაღვლება ვარშალომიძეს? ბათუმი თურქებს მიჰყიდა და თვითონ უკრაინაში „გულაობს“. დღეს ბათუმში 18 ათასი თურქი მესაკუთრეა რეგისტრირებული, წარმოგიდგენიათ? გაირყვნა ჩვენი ქათქათა ბათუმი, გონიოსა და კვარიათის დასახლებაც თურქებმა წაბილწეს. ქართველმა ხალხმა წლების განმავლობაში იბრძოლა სატანის მოსაშორებლად, მაგრამ რა მივიღეთ? ხელისუფლებაში „ოცნების“ ძალისხმევით კვლავ სატანების დაჯგუფება მოგვყავს?!**

ბ.ს. *(ამ პიროვნებამ, მისივე უსაფრთხოებისთვის, ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა):*

— **ერმაკოვი აჭარას 9 წლის განმავლობაში აჯდა თავზე და, თუ მერიც გახდა, ვარლამ არავიძე მონაგონი იქნება. ჯერ არ არის მერი და მერია დოქსოპულოებით გაავსო.** საარჩევნო შტაბში ისეთი ნაძირლები შეიყვანა, ქუჩაში რომ ლანძღავენ, რეაქცია არ აქვთ. **სწორედ ერმაკოვმა და მისმა დოქსოპულოებმა მოწამლეს წლების განმავლობაში ბათუმელები.** ყველაფერზე ხელმომწერები არიან და ყველა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ. მათ რა უნდა გაგვიკეთონ, ეზიზღებათ ჩვენი ქალაქი! სხვათა შორის, ერმაკოვის მამასაც საშინელება აქვს ჩადენილი, რის გამოც მთელ აჭარას სძულდა. როდესაც გარდაიცვალა, მის მიერ გამწარებული ადამიანები მის საფლავზე ადიოდნენ მოსასაქმებლად. გიორგი ერმაკოვს კი რამდენიმე კაცი ჰყავდა დაქირავებული ფეკალიების გასაწმენდად. ყველაზე საშინელება არის ის, რომ **ბათუმში არ გამქრალა შიშის სინდრომი. მოსახლეობა კვლავ დაშინებულია, რომ, თუ ხმას ამოიღებს, იარაღით ან ნარკოტიკით ვაჭრობაზე გაასამართლებენ.** დიახ, შიში მძვინვარებს ბათუმში. როგორ **შეიძლება, ქალაქს პოლიციელი მერი ჰყავდეს? ირაკლი ღარიბაშვილმა ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში განაცხადა, — ერმაკოვს დავასახელებ მერის კანდიდატად თუ პრიმაკოვს, ჩემი საქმეაო. ასეა, სააკაშვილმა დაჩაგრა და დააჩმორა ბათუმელები და ეს ხელისუფლებაც იმავეს განაგრძობს! ფეხებზე ჰკიდიათ ბათუმი და ბათუმელები. ბათუმში თურქებს აფეტიშებენ მხოლოდ. ძველ ბათუმში ქართულ საუბარს ვეღარ მოჰკრავთ ყურს.** არადა, დღევანდელი ხელისუფლებაც გვეუბნება, რუსია ოკუპანტიო. ბოდიში, მაგრამ **რუსი ჩემთვის, აჭარელი კაცისთვის, არ არის ოკუპანტი, რადგან მე უკვე თურქმა დამიპყრო და ჩემთვის თურქზე დიდი ოკუპანტი არავინაა. დიახ, თურქებმა ბათუმი და სრულიად აჭარა დაიპყრეს.** აჭარელ კაცს ის უფრო სტკივა, მის მიწა-წყალზე თურქმა რომ მოიკიდა ფეხი. გაიარეთ ძველ ბათუმში და თვითონვე დარწმუნდებით, რომ 70-ზე მეტი თურქული დისკოკლუბია გახსნილი — რეალურად ბორდელები. გათავხედებული თურქები ბათუმის ქუჩებში მუშტებზე იყურებიან. ხოლო თუ ჩხუბი ატყდა, ჩვენი სამართალდამცავები თურქებს ებოდიშებიან და ქართველ ბიჭებს ჯერ აპატიმრებენ, შემდეგ კი ასლარიანი ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ ათავისუფლებენ. **აჭარლები შემწყნარებელი ხალხი ვართ, მაგრამ, თუ არსებული სიტუაცია უფრო გამწვავდა, დღევანდელი ხელისუფლების რღვევა სწორედ ბათუმიდან დაიწყება.** დღევანდელი ბათუმი ზუსტად ესადაგება გომელაურის ლექსს; **„ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა, აქ ჯამლეტამ ჯონდო დაარსულა“.**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**ბათუმს თურქები და «ნაციონალები» იყოფენ! «ნაციონალებმა» ბათუმელებს მამა-პაპის დანატოვარი უძრავი ქონებმა წაართვეს და თურქებს ერთ ლარად მიჰყიდეს. ეს ყველაფერი ლევან ვარშალომიძის მითითებით კეთდებოდა**

## ლევან ჩაჩუა:

# თუ ხელისუფლება თავის ნებაზე მიუშვით, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება გარდაუვალია



**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ყოფილი პოლიტპატიმარი, მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერი და დამფუძნებელი ლევან ჩაჩუა.**

**«ისინი ეკლესიას და მართლმადიდებლობას აცალკევებენ, ხდიან ობიექტს და, როცა ობიექტად ხდი ეკლესიას, უკვე მასთან შეიძლება დაპირისპირება. აი, ასე მიუსიეს სასულიერო პირებს «იდენტობა» და სხვა მსგავსი ახალი წარმონაქმნები. ამას კი პროვოცირება გაუკეთა პირადად ბიძინა ივანიშვილმა, როცა განაცხადა, რომ უნდა ვაკრიტიკოთ ეკლესიაც და პატრიარქიცო»**

**— მიუხედავად საზოგადოებისა და სამღვდელოების წინააღმდეგობისა, ხელისუფლებამ ანტიდისკრიმინაციული კანონი მაინც მიიღო. ეს კანონი ძალაში მალე შევა. რას ელოდებით ამის შემდეგ?**

— ეს ხელისუფლება ყველანაირად ეცდება, ნელ-ნელა დანერგოს ქვეყანაში გარყვნილება და აღვირახსნილობა. რაც შეეხება იმას, კონკრეტულად რას იზამს მმართველი გუნდი მას შემდეგ, რაც ის ე. წ. კანონი ძალაში შევა, დარწმუნებული ვარ, ყველაზე უზნეო და ამორალურ რამეს მოიმოქმედებს, მაგრამ საზოგადოება ამას არ შეეგუება. მათ ისეთ უზნეობაზე მოაწერეს ხელი, რომ საკუთარი თავი და მთელი შთამომავლობა დაწყევლეს. კიდევ ვიმეორებ: მათ ღვთის რისხვა არ ასცდებათ, თუ ამას საჯაროდ არ შეინანებენ და არ დაუბრუნდებიან ეკლესიას.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, შეინანებენ?**

— ღმერთმა ქნას, რომ შეინანონ. მე ყველას ცხონება მინდა, ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით, რომელიც იმ უზნეო კანონის მთავარი მომხრე იყო და მისგან მოდიოდა ზეწოლა პარლამენტარებზე.

**— მისგან მოდიოდა თუ თვითონაც განიცდიდა ვინმეს ზემოქმედებას?**

— რა თქმა უნდა, ადამიანი, რომელიც არის მილიარდერი, ყოველთვის ზის მსოფლიო პოლიტიკურ კონიუნქტურაში. ეს არის გლობალისტური ძალების მიერ მართული პროცესი, მაგრამ ღვთის დაშვებით ხდება ხოლმე, რომ მათი გეგმები ვერ ხორციელდება. ბაბილონის გოდოლსაც აშენებდნენ ძლიერნი ამა სოფლისანი და თქვენ იცით, მათ რა ბედი ეწიათ. ესენიც გოდოლს აშენებენ და ღვთის რისხვა, რომელსაც მოიწევენ, მერწმუნეთ, არანაკლებ საშინელი იქნება...

**— 27 ივნისს საქართველო ასოცირების ხელშეკრულებას აწერს ხელს. წინა კვირას ევროსაბჭოს პრეზიდენტი ვან რომპეი იმყოფებოდა თბილისში და განაცხადა, დოკუმენტის გაფორმების შემდეგ ჩვენ საერთო მომავალი გვექნებაო. რას ნიშნავს ეს განცხადება, რას მივიღებთ სანაცვლოდ?**

— არ ვიცი, რა კონტექსტში იგულისხმა მან საერთო მომავალი — პოლიტიკურში, ეკონომიკურში თუ სულიერში, მაგრამ ეს ის რომპეი გახლავთ, რომელიც ცნობილია გამონათქვამით: დროა, ცნებები — ხალხი და ტრადიციები ისტორიის სანაგვეზე მოვისროლოთო. რაც შეეხება ასოცირების ხელშეკრულებას, ეს უკვე კულისებს მიღმა მოწყობილ რაღაც შეთქმულებას დაემსგავსა, როგორც ანტიდისკრიმინაციული კანონი. დანარჩენი ძნელი სათქმელია; რა იქნება, ვნახოთ. ვშიშობ, ჩვენ შეიძლება ისევ პოსტფაქტუმ მივხვდეთ იმას, რომ მორიგი მზაკვრობის მსხვერპლი გახდა საქართველო...

**— ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნული უნდა იყოს, ანუ ეკლესიამ შეიძლება რაღაცას ცოდვა დაარქვას, მაგრამ სახელმწიფომ ის აღიაროს ადამიანის უფლებად. რა აზრის ხართ ამაზე?**

— მსგავს განცხადებებს აკეთებენ წულუკიანი, ბესელია და სხვები. ახლა — რატომ ამბობენ ამას: ისინი ეკლესიას და მართლმადიდებლობას აცალკევებენ, ხდიან ობიექტს და, როცა ობიექტად ხდი ეკლესიას, უკვე მასთან შეიძლება დაპირისპირება. აი, ასე მიუსიეს სასულიერო პირებს „იდენტობა“ და სხვა მსგავსი ახალი წარმონაქმნები. ამას კი პროვოცირება გაუკეთა პირადად ბიძინა ივანიშვილმა, როცა განაცხადა, რომ უნდა ვაკრიტიკოთ ეკლესიაც და პატრიარქიცო.

**— ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების საკითხიც დადგება დღის წესრიგში. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს?**

— რეალური კი არა, თუ ხელისუფლება თავის ნებაზე მივუშვით, ერთსქესიანი ქორწინების დაკანონება გარდაუვალია, მაგრამ საზოგადოება არასოდეს შეეგუება უსუფაშვილების, ხიდაშელების, ბერძენიშვილებისა და ზურაბიშვილებისნაირი ხალხის დამტკიცებულ კანონს. ამათ ჰგონიათ, რომ ყველაფერმა ჩაიარა, სწორედ აქ ცდებიან. ელემენტარული პრაგმატიზმი არ ეყოთ, ფაქტობრივად, პოლიტიკური ხარაკირი გაიკეთეს...

**— ხელისულების წარმომადგენლები ხშირად აცხადებენ, რომ ეკლესია შეცდომაშია შეყვანილი, რომ მას არ აქვს სწორი ინფორმაცია ანტიდისკრიმინაციულ კანონზე და ა.შ. რას უპასუხებთ მათ?**

— ამას წინათ ქალბატონი ბესელია გამოვიდა და განაცხადა, კანონპროექტში უმნიშვნელოვანესი დამატება შევიტანეთო — ტერმინი „საზოგადოებრივი ზნეობის დაცვა“. მე შევედი საკონსტიტუციო სასამართლოს საიტზე და ვნახე ამ ტერმინის განსაზღვრება. იქ წერია შემდეგი: „ზნეობრიობის საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა უარყოფით ეფექტს იქონიებს. უმეტეს შემთხვევაში, ძნელია, ობიექტურად იმის განსაზღვრა, რა შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს და რა არა“. ახლა რა გამოდის? სასამართლო ამბობს, კანონი ვერ განსაზღვრავს, რა არის და რა არა ზნეობაო; ბესელიები, წულუკიანები და გუგული მაღრაძეები კი აცხადებენ, — რამხელა ზნეობრივი რამე ჩავწერეთ კანონშიო. გეკითხებით, ეს არ არის მზაკვრობა და ფარისევლობა?! აი, ამ მზაკვრობით ცდილობენ ჩვენი ე. წ. კანონმდებლები მიზნის მიღწევას და ამიტომ ვამბობ, რომ, სანამ დროა, სანამ ქვეყანა თავზე დაგვქცევია, ესენი უნდა მოვიშოროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ანტიდისკრიმინაციული კანონი შეიძლება არაფრად მოგვეჩვენოს იმასთან შედარებით, რასაც მომავალში გვიზამენ. მერე „წადი, წადის“ და „გადადექის“ ყვირილი ვერ გვიშველის.

**— წელს ანაკლიაში მუსიკალური ფესტივალი „კაზანტიპი“ ჩატარდება და, როგორც ამბობენ, 20 ათასამდე უცხოელი ჩამოვა. რა აზრის ხართ ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით?**

— ჯერ სად ვართ. „კაზანტიპი“ კი არა, მალე აქ ისეთი ამბავი იქნება, ძაღლი პატრონს ვერ იცნობს. ამ ხელისუფლებას გეზი აღებული აქვს გარყვნილების პროპაგანდისკენ და, რაც უფრო მეტ სიბინძურეს შემოიტანენ ქვეყანაში, ეგაა მათი მიზანი. ეს არის ყოვლად მიუღებელი რაღაც, ამიტომ ვფიქრობ, რომ ღმერთი ამას არ დაუშვებს; ასევე არ დაუშვებს ურჯულოების ბოგინს ქვეყნის სათავეში; დედა ღვთისმშობელი დაგვიფარავს და მოგვაშორებს ამ უზნეო ხელისუფლებას.

**— ამას წინათ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელმა გიორგი ჩხარტიშვილმა, იგივე მაცაცომ, ბერად აღკვეცის სურვილი გამოთქვა და ამისთვის ერთ-ერთ სასულიერო პირს მიმართა. როგორც თავად თქვა, უარი მიიღო, რადგან ის, როგორც სოდომის ცოდვით შეპყრობილი, ეკლესიიდან მოკვეთილია. როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი ხომ არ არის პროვოკაცია ანტიდისკრიმინაციული კანონის ფონზე, რომელიც ძალაში 30 დღეში შევა და იმ შემთხვევაში, თუკი იგივე ჩხარტიშვილი კონკრეტულ სასულიერო პირს უჩივლებს, შესაძლებელია, მის წინააღმდეგ ამოქმედდეს ახალმიღებული კანონი?**

— რა თქმა უნდა, პროვოკაციებს უნდა ველოდოთ, ეს გარდაუვალია, რადგან ამ ხელისუფლების მიზანი, ისევე, როგორც მისი წინამორბედის, იყო და კვლავ არის ეკლესიის დისკრედიტება. ახლა ესენი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მრევლი გაალიზიანონ, გამოიყვანონ ქუჩაში და უბიძგონ გარკვეული მოქმედებისკენ. მერე იტყვიან, — აი, როგორ ძალადობენ სასულიერო პირები, ეს არ არის ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა, ქრისტე ამას არ ქადაგებდაო. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ასეთმა პოლიტიკამ დაღუპა „ნაცმოძრაობა“ და დაიღუპებიან ესენიც. „ქართული ოცნებისგან“ ბუნდღაც აღარ დარჩება, იმიტომ, რომ მათ დაატყდებათ ღვთის რისხვა, რომელიც პოლიტიკურ სამარეში ჩაიტანს ყველა ურჯულოს და ფარისეველს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დოლარი ძლიერდებოდა პირველი მსოფლიო ომის სისხლით. დოლარი მთავარი ვალუტა გახდა მეორე მსოფლიოს ნანგრევებზე. ჩაძირვისგან თავის დასაღწევად აშშ მზად არის, მთელი მსოფლიო ქაოსში დააქრჩოს... დოლარი, ევრო, ნატო, ევროკავშირი — ყველაფერს საფუძველი ერყევა, რაც ჯერ კიდევ გუშინ უმყარესი გვეგონა“.**

# რატომ სჭირდება აშშ-ს ომი

**სულ უფრო აშკარა ხდება დოლარის დასუსტება. ფასი ეკარგება, ძალა ეცლება, გავლენა კლებულობს. ანალიტიკოსები ცდილობენ ამ რეალობის მიზეზების გარკვევას — წერენ წიგნებს, აქვეყნებენ შრომებს. ჩვეულებრივი მკითხველი, რომელიც დაინტერესებულია ამ პრობლემით, მაგრამ შესაბამისი განათლება არ გააჩნია, შეიძლება ადვილად დააბნიოს ეკონომისტებისა და ფინანსისტების სპეციფიკურმა ტერმინოლოგიამ, ასევე, მათი მსჯელობის ლოგიკამ.**
**ამიტომ, დილეტანტური კამათის გარეშე, ეგებ ჯობდეს, მოვისმინოთ მათი დასკვნები, დასაბუთება.**
**საინტერესოა. მით უფრო, რომ მსოფლიოში შექმნილი რეალობა, გარემო, რომელშიც არსებობს სახელმწიფოთა ეკონომიკები, დაღდასმულია ერთადერთი მსოფლიო სარეზერვო ვალუტის დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადანაცვლების ტენდენციით. იუანი ძალას იკრებს, რუსეთი უცხოეთთან რუბლით ვაჭრობაზე ალაპარაკდა, პრეტენზია აქვს ლათინური ამერიკის სახელმწიფოებსაც.**
**ისინი სუკრეს ლობირებენ. სუკრე ბოლივიის დედაქალაქი და ეკვადორის ფულადი ერთეულია.**




პრობლემა მრავალპლანიანია. მოკლე ანოტაციაში თუ შევეცდებით ამ მრავალსახეობის გადმოცემას, ასეთ სურათს მივიღებთ:

„დოლარი ძლიერდებოდა პირველი მსოფლიო ომის სისხლით. დოლარი მთავარი ვალუტა გახდა მეორე მსოფლიოს ნანგრევებზე. ჩაძირვისგან თავის დასაღწევად აშშ მზად არის, მთელი მსოფლიო ქაოსში დაახრჩოს... დოლარი, ევრო, ნატო, ევროკავშირი — ყველაფერს საფუძველი ერყევა, რაც ჯერ კიდევ გუშინ უმყარესი გვეგონა“.

ისტორია, პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდროდაა გადახლართული. ურთულესი ერთობაა. შეგვიძლია კი გავერკვეთ ამ მოცემულობაში? თუ დღევანდელი მსოფლიოს მომავლის განჭვრეტა შეუძლებელია?

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ გაუგებარი და გაუთვალისწინებელი არაფერია.

**სანამ გადავწყვეტთ, რომ მივყვეთ სპეციალისტების აზრთა დინებას, გავარკვიოთ, ვისი ფულია დოლარი — ამერიკის შეერთებული შტატების, ანუ სახელმწიფოსი, თუ კერძო „კანტორის“ — აშშ ფედერალური სარეზერვო კერძო სისტემის, რომელიც ამერიკის სახელმწიფოს არ ემორჩილება?**

და, საერთოდ, ვინ არის ხელისუფლება აშშ-ში?

დააკვირდით დოლარის ბანკნოტს და წაიკითხავთ პასუხს ამ შეკითხვაზე. ბანკნოტს თავში აწერია: „Federal Reserve Note“ — „ფედერალური რეზერვის ბანკნოტი“.

წარწერას, რომელიც ოდნავ ქვემოთაა — „United States of America“ — გეოგრაფიული მნიშვნელობაღა რჩება, მხოლოდ მინიშნებაა, თუ სად, რომელ ქვეყანაშია ორგანიზაცია, რომელიც დოლარის ბანკნოტს ბეჭდავს.

ერთი ცნობილი აფორიზმის მიხედვით, ძალაუფლება მათ ხელში კი არ არის, ვისაც ბევრი ფული აქვს, არამედ — ვინც ფულს უშვებს.

ვინ ბეჭდავს ბანკნოტებს, უკვე ვთქვით.

**ყველამ იცის, რომ აშშ-ში ახალი პრეზიდენტის მოსვლისთანავე იცვლება გუნდი, საგარეო და საშინაო პოლიტიკა; იცვლება ყველაფერი, ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაურის გარდა. რატომ? იმიტომ, რომ ფსს კერძო კომპანიაა და ამერიკის სახელმწიფოს არ ემორჩილება, სახელმწიფო სტრუქტურა არ არის.**

შევეცადოთ მის ანატომიაში გარკვევას: კომერციული ბანკები ტერიტორიული პრინციპით ერთიანდება ფედერალურ სარეზერვო ბანკებში. ამ 12 ფედერალური სარეზერვო (კერძოდ, კომერციული) ბანკის 12 ხელმძღვანელი ირჩევს ფსს ხელმძღვანელობის საბჭოს, რომელშიც 7 ადამიანი შედის. მმართველთა ამ საბჭოს 14 წლის ვადით ირჩევენ; ამერიკის პრეზიდენტს — 4 წლით. შეუძლია კი 4 წლით არჩეულს 14 წლით არჩეულები აკონტროლოს? ცხადია, არა. მაშ, ვინ ვის აკონტროლებს?

საბჭოს წევრები თავიანთი წრიდან ირჩევენ ფსს-ს ხელმძღვანელს 4 წლით, რომელსაც ამტკიცებს აშშ-ის პრეზიდენტი. საქმე ისაა, რომ პრეზიდენტს არ შეუძლია არ დაამტკიცოს იგი. მას, საერთოდ, არავითარი გავლენა არ აქვს ფსს-ს საქმიანობაზე, იმიტომ, რომ ეს „კანტორა“ კერძოა. მმართველთა საბჭოს შემადგენლობაში სახელმწიფოს წარმომადგენლები არ არიან. აშშ არ ფლობს ფსს-ს აქციების არც ერთ პროცენტს. კონგრესმენები, ისევე, როგორც პრეზიდენტი, უძლურნი არიან, ხელს ვერავის ახლებენ.

## ფედრეზერვი, უფრო ზუსტად, მისი დამფუძნებელი ბანკირები ნიშნავენ ამერიკის პრეზიდენტებს



**ცნობისთვის: აშშ-ში არ არის არც ერთი სახელმწიფო ბანკი.**

აშშ-ის პრეზიდენტი ფორმალურად ხელს აწერს ფსს-ს ხელმძღვანელის დანიშვნის დოკუმენტს. ფედრეზერვის უახლესი ისტორიის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ პრეზიდენტს არ დაემტკიცებინა ფსს-ს ხელმძღვანელი. საინტერესო მაგალითი: **ალან გრისპენი** ფედრეზერვს 20 წლის განმავლობაში — 1987 წლიდან 2006 წლამდე — ედგა სათავეში და გამოიცვალა აშშ-ის ოთხი პრეზიდენტი: რესპუბლიკელი რეიგანი, რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში (უფროსი), დემოკრატი ბილ კლინტონი, რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში (უმცროსი).

ყოველი ახალი პრეზიდენტი თავიდან ნიშნავდა მას აშშ-ის უმაღლეს საფინანსო პოსტზე.

ძლევამოსილი ორგანიზაციაა!

ანალიტიკოსები ასაბუთებენ, რომ სწორედ ამ ორგანიზაციამ მოაწყო დიდი დეპრესია და უახლესი კრიზისი, რომლის მოწმენი ჩვენ, ყველანი, ვართ. ფაქტობრივად, იგი ჩაენაცვლა აშშ-ის სახელმწიფოს. ეს **ფედრეზერვი, უფრო ზუსტად, მისი დამფუძნებელი ბანკირები ნიშნავენ ამერიკის პრეზიდენტებს.**

პარტიულობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ყველასთვის ცნობილია, რომ რესპუბლიკელები და დემოკრატები ერთი ორგანიზმის ორი ხელია. ისინი მართავენ ლამაზ „საარჩევნო“ შოუს, ძალაუფლების უზურპაცია მოახდინეს შეერთებულ შტატებში და აქედან, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში.

### კრიზისები ხელოვნურად იქმნება

ეს-ესაა ვთქვით, რომ უახლესი კრიზისის შემქმნელი ფედერალური რეზერვის სისტემაა. სპეციალისტების მტკიცებით, ეკონომიკური კრიზისი ფრიად მარტივად იქმნება. **ამისთვის საჭიროა: ფულის გასესხება; შემდეგ ვალის დაბრუნების მოთხოვნა და, პარალელურად, გადაკრედიტირების აკრძალვა.**

**სწორედ ასე მოიქცა ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც მსოფლიოში ერთადერთ სარეზერვო ვალუტას ბეჭდავს.**

**კრიზისის მიზანი სამია: თვით ამერიკაში იაფად შესყიდვა კონტროლის გარეშე დარჩენილი საფინანსო ინსტიტუტებისა; დოლარის მასის დაწვა აქციების და ჩამოწერილი ბანკების ფასების გაიაფებით; მთელ მსოფლიოში ეკონომიკაში სიძნელეთა პროვოცირება, რომელსაც უნდა მოჰყვეს არასასურველი რეჟიმების დამხობა.**

**კრიზისის მთავარი იარაღი იპოთეკური სესხებია.** აშშ-ის მოსახლეობა ადვილად ეგება ფულის იოლად შოვნის ანკესზე: კომპანიების აქტივების ზრდასთან ერთად, იზრდება რიგითი მოქალაქეების კეთილდღეობა. ის, რომ ეს კეთილდღეობა ვირტუალურია, არავის აწუხებს. ამაზე არავინ ფიქრობს. ადამიანები ყიდულობენ აქციებს, როგორც შეხიდებას, როგორც „პენსიებს“ „შავი დღისთვის“. არადა, სინამდვილეში მათ ხელში რჩებათ ფასიანი ქაღალდები, რომელთა ღირებულება პენსიის მიღების დროისთვის შეიძლება იმ ქაღალდის ფასზე მეტი არ იყოს, რომელზეც დაბეჭდილია.

მსოფლიო მასშტაბის კრიზისის გამოსაწვევად საჭიროა სერიოზული ფინანსური პრობლემები, მიიჩნევენ სპეციალისტები. „საფინანსო ბუშტის გასაბერად გამოიყენეს არამხოლოდ ფასიანი ქაღალდები უცნაური სახელწოდებით — „დერივატივები“, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ და მხოლოდ ანალიტიკოსების მოსაზრებებით, არამედ საფინანსო ბაზრის ასაფეთქებლად გამოყენებული იყო ის, რაც ყოფით გარემოში მოუხსნის ადამიანებს პრობლემებს — დაზღვევა.

უბრალო და ჭეშმარიტი აზრი, რომ არ შეიძლება არსებობდეს სიტუაცია, როცა ყველა დაზღვეულია, დამზღვევთა ჩათვლით, თავში არავის მოსვლია. ხომ აშკარაა, რომ დეფოლტის შემთხვევაში გადამხდელი არავინაა!

დაგროვდა კოლოსალური ვალი. დაიწყეს ფასიანი ქაღალდების ერთმანეთისთვის მიყიდვა. ჩამოწერის პრობლემა საფინანსო ბაზრის ყველა მონაწილეს ერთბაშად დაუდგა, მაგრამ ეს ჯერ კი- ▶

**ბაბანია კრიზისის დროს ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ საზოგადოებრიობა, რომ ამერიკის სახელმწიფო ეხმარება თავის ბანკებს, უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანის ნაციონალიზაცია ხდება. ეს მტკნარი სიცრუე იყო, რადგან არავითარი ნაციონალიზაცია არ ხდებოდა, სულ სხვა პროცესს ჰქონდა ადგილი: ერთი კერძო ხელიდან საკუთრება მეორეში გადადიოდა**

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კრიზისის მიზანი სამია: თვით ამერიკაში იაფად შესყიდვა კონტროლის გარეშე დარჩენილი საფინანსო ინსტიტუტებისა; დოლარის მასის დაწვა აქციების და ჩამოწერილი ბანკების ფასების გაიაფებით; მთელ მსოფლიოში ეკონომიკაში სიძნელეთა პროვოცირება, რომელსაც უნდა მოჰყვეს არასასურველი რეჟიმების დამხობა.

◀დევ არ იყო კრიზისი. მისი გადალახვა შეიძლებოდა ჩვეულებრივი საშუალებით, რომლითაც ფინანსისტები თავიანთ პრობლემებს აგვარებდნენ კრედიტების აღებით. მაგრამ სწორედ ამ მომენტში ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ „გააჩერა“ თავისი კონვეიერი, რომელიც დოლარის ახალ-ახალ კუპიურებს ბეჭდავდა.

ეკონომისტების დაკვირვებით, შეიქმნა სიტუაცია, როგორიც დიდი დეპრესიის დროს იყო — ფულს ვერავის ესესხებოდი, ვალი კი გადასახდელი იყო. ბანკებს ანგარიშზე ფული აღარ ჰქონდათ. სად უნდა ეშოვათ?

გზა და საშველი ერთადერთი იყო: ბანკებსა და ბაზარზე მოთამაშეებს უნდა გაეყიდათ თავიანთი ფასიანი ქაღალდები. დაიწყო მათი მასობრივი და სწრაფი გაყიდვა. ამას კი მათი გაუფასურება მოჰყვა.

გაუფასურება რას ნიშნავს? ნიშნავს იმას, რომ ამ დროს წარმოუდგენლად დაბალ ფასად შეიძლება აქტივების შესყიდვა.

სწორედ ეს დაიწყო აშშ-ში 2008 წელს. ფედრეზერვთან დაახლოებულმა ბანკებმა დაიწყეს კონკურენტების შესყიდვა აშშ-ის ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით.

შეისყიდიდნენ ქვეყნებს, მთელ კონტინენტებს, ბანკებს. სწორედ ეს არის კრიზისის ორგანიზების არსი: გაბერეს ბურთი, შემდეგ გახვრიტეს და ჩაფუშეს.

პირველი დაემხო ბანკი „ვირ სტენე“.

„ფინანსთა სამყაროში ყველაზე დიდი გარიგება დაფიქსირდა: Bank of America-მ იყიდა ბანკი Merill Lynch. შედეგად Merill გაკოტრებას გადაურჩა, მყიდველი კი იქცა „მსოფლიოში ყველაზე უფრო გავლენიან ბანკად“.

პარალელურად გაიყიდა უმსხვილესი იპოთეკური სააგენტოებიც...

კრიზისი წამგებიანი არაა მისთვის, ვინც ბეჭდავს ფულს — იგი არაფერს კარგავს, მოგება კი ყველაფრის შეუძლია.

კრიზისის ორგანიზატორი მოგებული დარჩა, ამერიკის დამოუკიდებელმა ბანკებმა კი შეწყვიტეს არსებობა.

ვინც ბეჭდავს ფულს, მუსიკასაც ის უკვეთავს.

### მითი ნაციონალიზაციის შესახებ

გაგანია კრიზისის დროს ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ საზოგადოებრიობა, რომ ამერიკის სახელმწიფო ეხმარება თავის ბანკებს, უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანის ნაციონალიზაცია ხდება. ეს მტკნარი სიცრუე იყო, რადგან **არავითარი ნაციონალიზაცია არ ხდებოდა,** სულ სხვა პროცესს ჰქონდა ადგილი: **ერთი კერძო ხელიდან საკუთრება მეორეში გადადიოდა.** სახელმწიფო, რა თქმა უნდა, მონაწილეობდა, მაგრამ არა „მოთამაშის“ როლში და არც — მეთვალყურის. სახელმწიფო ამ შემთხვევაში ხელსაწყოს ფუნქციას ირგებდა.

მექანიზმი „საზიზღრობამდე მარტივია“. „გამოცდილია დროში“ და „შემოწმებულია ელექტრონიკით“. დიდი დეპრესიის წლებში ყველა ინვესტორი არ გაკოტრებულა, მხოლოდ ისინი გაპარტახდნენ, ვინც არ იცოდა, როდის დაიწყებოდა ჩამოშლა. მილიონობით აქცია თითქმის მუქთად გაიყიდა: ერთმა ნაწილმა გაყიდა, მეორემ (უმცირესობამ) — იყიდა. ბევრ საბანკო სტრუქტურას მაინც და მაინც კრიზისის დროს კონკურენტების შესყიდვის მადა გაეხსნა.



როცა გვეტყვიან, რომ, მაგალითად, დაზღვევის უმსხვილეს კომპანიას AIG-ს (American International Group) დაეხმარა სახელმწიფოო, ეს „ქველმოქმედება“ უნდა აღიქვათ, როგორც წმინდა წყლის სიცრუე. ზუსტად ასევე დაგეხმარებიან უახლოეს ლომბარდში. ფინანსთა სამინისტროს მიერ სიტყვიერად დამუშავებულ, „გადასარჩენად“ გაწირულ მსხვერპლს, რომელიც კატასტროფული დაცემის ზღვარზე დგას, ბირჟაზე მისი აქციების გარდაუვალი გაუფასურების წინაშე დააყენებენ. ამის კვალზე მოდიან მყიდველები ფედრეზერვთან დაახლოებული ბანკებიდან და ჩალის ფასად ყიდულობენ კონკურენტს. ფინანსთა სამინისტრო და ფედერალური სარეზერვო სისტემა გაფაციცებით აკონტროლებენ, რათა მსხვერპლი ულაპარაკოდ დათანხმდეს შეთავაზებულ კაბალურ პირობებს. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ამოქმედდებიან პროკურორები, რომლებიც მოულოდნელად დაინტერესდებიან „საქმის ვითარებით“ მოცემულ ობიექტზე.

ზუსტად ისე, როგორც ეს იყო საქართველოში ყოფილი ხელისუფლების პირობებში, ოღონდ ჩვენთან, ლომბარდის პრინციპის ნაცვლად, ყაჩაღური თავხედობით ართმევდნენ ბიზნესს და აფორმებდნენ, როგორც საჩუქრად გადაცემას სახელმწიფოსთვის „სრულიად უანგაროდ“.

ასეთი იყო ნაციონალიზაცია საქართველოში.

**კონკურენტების შესყიდვის მეორე ვარიანტი მათთვის კრედიტის მიცემით ხორციელდება. კრედიტს ფედერალური რეზერვის სისტემა გასცემს — კერძო ორგანიზაცია, სანაცვლოდ დაზღვეულის კომპანიის საკონტროლო პაკეტს ეუფლება. ნაციონალიზაციის სუნი არაფერს ასდის, გაზეთებში კი წერენ, რომ აშშ-ის მთავრობამ გაკოტრებას გადაარჩინა ესა და ეს სადაზღვევო კომპანიაო.**

ასე ხდება კრიზისის დროს, ყველა შერწყმის, შთანთქვისა და „გადარჩენის“ დროს. ასეთია ხელოვნურად შექმნილი კრიზისის ერთ-ერთი მიზანი — ჩალის ფასად შეისყიდოს ფედერალური სარეზერვო სისტემისგან დამოუკიდებელი საფინანსო სტრუქტურების ნარჩენები შეერთებული შტატების ფარგლებში. ყველა ფული, ყველა სახსარი ერთ ხელში უნდა იყოს თავმოყრილი.

### იცით, რა არის კრიზისი?

ფართო მკითხველი კრიზისის რაობას უკეთ რომ ჩასწვდეს, ანალიტიკოსები ასეთ „მხატვრულ“ სახეს იყენებენ:

„წარმოიდგინეთ მრავალბინიანი სახლი, რომელშიც ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანები ცხოვრობენ. მათი შემოსავალიც ძლიერ განსხვავებულია, ისევე, როგორც მენტალიტეტი და ზნე-ჩვეულება. ერთმა თავის ბინაში ევრორემონტი გააკეთა, მეორეს იატაკზე ძინავს, ლოთობს. მაგრამ ყველას რაღაც საერთო მაინც აქვს — კანალიზაცია და წყალსადენი. როგორი რემონტიც გინდა გააკეთე, მაგრამ რაგინდ კარგი მენეჯერი იყო, პერსონალურ წყალსადენს და კანალიზაციას არავინ მოგიწყობს. წარმოუდგენელია, რადგან, ჯერ ერთი, ეს კოლოსალური ფასი ღირს; მეორეც, სახლი საამისოდ მოწყობილი არ არის — მხოლოდ ერთი წყალსადენის ადგილია გათვალისწინებული და მორჩა!

ვის აბარია ამ სახლში წყალმომარაგება? — სანტექნიკოსს, რა თქმა უნდა. მოისურვა ამ ტიპმა და გადაკეტა წყალი. კანალიზაციაც არ მუშაობს, ცხადია. აირია კომფორტი ქარხნის დირექტორის ოჯახში, რომელიც ევრორემონტიან ბინაში ცხოვრობს. ლოთსაც გაუჭირდა ცხოვრება თავის კეთილმოუწყობელ ბინაში. ყველას ერთნაირად გაუჭირდა და არც ერთ მათგანს დამოუკიდებლად არ ძალუძს პრობლემის მოგვარება. წყალი ყველას შეუწყდა, რადგან გადაიკეტა ონკანი, რომელიც არეგულირებს წყლის მიწოდებას.

ამის ანალოგიურია აშშ-ის კერძო სტრუქტურა (ფსს), რომელიც „მსოფლიოს მთავარ ფულს ბეჭდავს და საკუთარი სურვილისამებრ კეტავს საკრედიტო ონკანს. კომპანიები, ქვეყნები, ადამიანები ვეღარ იღებენ კრედიტებს.

მაგრამ წყალი საჭიროა.

საჭიროა სანტექნიკოსთან მოლაპარაკება. ვანია ან სეროჟა რომ იყოს, ერთ ბოთლ არაყად იყიდი, მაგრამ აქ შეერთებულ შტატებთან გაქვს საქმე, რომლის ვალუტა მაცოცხლებელი წყალია თანამედროვე ეკონომიკის.

რომელი ხელსაწყოთი გადაკეტა ონკანი „სანტექნიკოსმა“? ამ ხელსაწყოდ წარმოგვიდგა მიწერილობა FAL №157. სახეებით აზროვნებას თუ გავაგრძელებთ, მას შეიძლება ვუწოდოთ ნემსი, რომლითაც ჩაფუშეს მსოფლიო ეკონომიკის ბუშტი. ჯერ გაბერეს არაფრით უზრუნველყოფილი დოლარებით, შემდეგ ეს ნემსი უჩხვლიტეს. ახალ კრედიტებს ვერ აიღებთ, ძველ ვალებს ვერ გაისტუმრებთ; თქვენ, პრაქტიკულად, გაკოტრებული ბრძანდებით.

შედეგად რას ვიღებთ?

კრიზისს, რომელიც დიდი მზრუნველობითა და მონდომებით არის ორგანიზებული.

დოლარი მიდის ჩუმად და შეუმჩნევლად. და როგორ ხდება ეს, „საქართველო და მსოფლიოს“ მომდევნო ნომერში ვისაუბროთ.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

## აშშ-ის სპეცსამსახურის ჯაშუშური საქმიანობა ეუთოს წინააღმდეგ

**აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ეუთოს (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) ვენაში მდებარე ოფისს უსმენს და უთვალთვალებს და ეს ამბავი ცნობილია ავსტრიის სპეცსამსახურების წარმომადგენლებისთვის,** — წერს გერმანული გაზეთი Die Presse ედვარდ სნოუდენისგან მიღებული მონაცემების საფუძველზე.



**„ეუთოს ოფისი აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მხრიდან ჯაშუშობის ობიექტია. ამასთანავე, ამერიკული სპეცსამსახური დაინტერესებულია არა შეიარაღების საკითხებით, არამედ ეუთოს საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობით“,** — აღნიშნავს გერმანული გამოცემა და იხსენებს, რომ წლების წინ აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ ე. წ. ტროას პროგრამით შეაღწია OPEC (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია)-ისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს კომპიუტერულ ქსელებში და იქ მოსასმენი აპარატების, ე. წ. ხოჭოების დამონტაჟება შეძლო.

**„ავსტრიის დედაქალაქი ვენა აშშ-ის დაზვერვისთვის უმნიშვნელოვანესი ადგილია. აქ 17 ათასი დიპლომატი ცხოვრობს და ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკელთა მიზანი არა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების, არამედ რუსეთის, ირანისა და ჩრდილოეთი კორეის საელჩოების მიყურადება და თვალთვალია. ამერიკელები წარმატებით ჩაერთნენ ვენაში მდებარე ინტერნეტის ინფრასტრუქტურულ კვანძში და თავისუფლად მოიპოვებენ მაგისტრალურ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელში გამავალ ინფორმაციას. ამასთანავე, ამერიკული სპეცსამსახურის თანამშრომლები მოპოვებულ მონაცემებს ავსტრიელ კოლეგებსაც უწილადებენ“,** — წერს Die Presse. ეუთო მსოფლიოში უდიდესი რეგიონული ორგანიზაციაა. ის აერთიანებს ევროპის, ჩრდილოეთი ამერიკისა და ცენტრალური აზიის 57 ქვეყანას. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ვენაში. ეუთოს მიზნებსა და ამოცანებში შედის იარაღის გავრცელებაზე კონტროლი, კონფლიქტების თავიდან აცილება, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების აგება და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება, ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და არჩევნების მონიტორინგი.

## დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებს მიგრანტების დეპორტაციისთვის აფინანსებს

**დიდი ბრიტანეთის ჰოუმ ოფისი — დეპარტამენტი, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად საიმიგრაციო კონტროლზეც არის პასუხისმგებელი — სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებს თანხებს ფარულად ურიცხავს გაერთიანებული სამეფოდან მათი ექსტრადიციისთვის.**

**ბრიტანეთის კანონმდებლობით, ნებისმიერი პირის დეპორტაციისთვის სპეციალური დოკუმენტების გაფორმებაა საჭირო.** გადახდილი თანხები, რომლებიც მილიონობით გირვანქა სტერლინგს შეადგენს, დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში ასახული არ არის. ბრიტანული გაზეთი „გარდიანი“ იუწყება, რომ ეს თანხები გამოყენებულია იმ დოკუმენტების გასაფორმებლად, რომლებიც კანონის მიხედვით აუცილებელია მიგრანტების დეპორტაციისთვის. **აფრიკის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლები გამოცემას უამბობდნენ, თუ როგორ სთავაზობდნენ მათ დიდი ბრიტანეთის მაღალი თანამდებობის პირები მიგრანტების დეპორტაციისთვის ფულს.**



ეს ყველამ უნდა იცოდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელმა სოციოლოგმა ჯოზეფ პ. ოვერტონმა (1960-2003) აღწერა ტექნოლოგია, როგორ უნდა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება იმის მიმართ, რასაც ადრე აბსოლუტურად მიუღებლად თვლიდა. აღწერა, როგორ უნდა ამოიღო ნაგვის ყუთიდან საზოგადოებისთვის სრულიად უცხო იდეები, გარეცხო და შემდეგ კანონმდებლობით გაამყარო.**

# როგორ მოხდა საქართველოს გამოსააკაშვილება



# ჯოზეფ ოვერტონმა დააპყრობის ამერიკული ტექნოლოგიები ამხილა

## როგორ დავიცვათ თავი ფარული ოკუპაციისგან

**გსმენიათ „ოვერტონის სარკმელზე“? თუ არა, წაიკითხეთ ნებისმიერი იდეის ლეგალიზაციის ტექნოლოგიის შესახებ და თქვენთვის გასაგები იქნება, როგორ ახდენენ ჰომოსექსუალიზმისა და ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას. ამერიკელმა სოციოლოგმა ჯოზეფ პ. ოვერტონმა (1960-2003) აღწერა ტექნოლოგია, როგორ უნდა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება იმის მიმართ, რასაც ადრე აბსოლუტურად მიუღებლად თვლიდა. აღწერა, როგორ უნდა ამოიღო ნაგვის ყუთიდან საზოგადოებისთვის სრულიად უცხო იდეები, გარეცხო და შემდეგ კანონმდებლობით გაამყარო. ეს არ არის ტვინების გამორეცხვის ჩვეულებრივი მეთოდი, ეს გაცილებით დახვეწილი ტექნოლოგიაა, რომელსაც ეფექტიანს ხდის თანმიმდევრული, რეგულარული და საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი გამოყენება.**



„ოვერტონის სარკმლის“ მიხედვით, ყოველი იდეის ან პრობლემისთვის საზოგადოებაში არსებობს შესაძლებლობების სარკმელი. ამ სარკმლის საზღვრებში იდეაზე შეუძლიათ ფართოდ იმსჯელონ ან არ იმსჯელონ, მხარი დაუფარავად დაუჭირონ, აწარმოონ პროპაგანდა და შეეცადონ, კანონმდებლობით გაამაგრონ.

**სარკმელს ამოძრავებენ და ამით ცვლიან შესაძლებლობებს სტადიიდან „შეუძლებელია“, ანუ საზოგადოებრივი მორალისთვის სრულიად მიუღებელ სტადიამდე „აქტუალური პოლიტიკა“, ანუ უკვე ფართოდ განხილულ, მასობრივი ცნობიერებისთვის მიღებულ და კანონებში ასახვის სტადიამდე.**

განვიხილოთ მაგალითები, **როგორ იწყებს საზოგადოება რაღაც მიუღებელზე მსჯელობას, შემდეგ მას მისაღებად თვლის და ეგუება ახალ კანონს, რომელიც იცავს იმას, რაც ოდესმე წარმოუდგენლად მიაჩნდა.**

სამაგალითოდ ავიღოთ რაღაც სრულიად წარმოუდგენელი, დავუშვათ, **კანიბალიზმი, ანუ იდეა იმის ლეგალიზებისა, რომ მოქალაქეებს უფლება მივცეთ, ერთმანეთი შეჭამონ.** სასტიკი მაგალითია?

მაგრამ **ცხადია, რომ ახლა, 2014 წელს, არ არსებობს კანიბალიზმის პროპაგანდის შესაძლებლობა — საზოგადოებრიობა ყალყზე დადგება. ასეთი ვითარება მეტყველებს იმაზე, რომ კანიბალიზმის ლეგალიზაცია შესაძლებლობების სარკმლის ნულოვან სტადიაზეა**, ამ სტადიას, **ოვერტონის თეორიის თანახმად, ეწოდება „შეუძლებელია“.**

ახლა დავიწყოთ მოდელირება, როგორ უნდა მოხდეს ამ „შეუძლებლის“ რეალიზაცია „ოვერტონის სარკმლის“ ყველა სტადიის გავლით.

### ტექნოლოგია

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ — **ოვერტონმა აღწერა ტექნოლოგია, რომელიც ნებისმიერი იდეის ლეგალიზების შესაძლებლობას იძლევა. მან აღწერა თანმიმდევრობა ისეთი მოქმედებებისა, რომლებიც აუცილებლად მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე. ადამიანების საზოგადოების გასანადგურებლად კი ეს ტექნოლოგია თერმობირთვულ აფეთქებაზე უფრო ეფექტიანი იქნება.**

კანიბალიზმის თემა ჯერჯერობით სრულიად მიუღებელია საზოგადოებისთვის. ამ თემაზე არც პრესაში მსჯელობენ და არც ახლობლების წრეში. ჯერჯერობით ეს აბსურდული და აკრძალული მოვლენაა. შესაბამისად, **ოვერტონის სარკმლის პირველი გადაადგილება ასეთი უნდა იყოს: კანიბალიზმის თემა „შეუძლებელიას“ სტადიიდან „რადიკალიზმის“ სტადიაში უნდა გადავიყვანოთ.**

ჩვენ გვაქვს სიტყვის თავისუფლება და რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ კანიბალიზმზე? მეცნიერები ხომ, საერთოდ, ყველაფერზე ლაპარაკობენ — მათთვის აკრძალული თემა არ არსებობს, მათ უფლება აქვთ, ყველაფერი შეისწავლონ. და თუ ასეა, **ჩავატაროთ ეთნოლოგიური სიმპოზიუმი თემაზე „პოლინეზიის ტომების ეგზოტიკური წეს-ჩვეულებები“, ვიმსჯელოთ ისტორიულ მოვლენებზე, შემდეგ განვიხილოთ მეცნიერულად და მივიღებთ ავტორიტეტების გამონათქვამებს კანიბალიზმის შესახებ.**

ხედავთ, კაციჭამიობაზე, როგორც ჩანს, საგნობრივად შეიძლება საუბარი სამეცნიერო რესპექტაბელურობის საზღვრებში. **„ოვერტონის სარკმელი“ უკვე დაიძრა, ანუ უკვე აღინიშნა პოზიციების გადასინჯვა. ამით მოხდა საზოგადოების უარყოფითი და მიუღებელი დამოკიდებულებიდან უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებაზე გადასვლის უზრუნველყოფა.** მეცნიერულ დისკუსიასთან ერთად, აუცილებლად უნდა გამოჩნდეს „რადიკალური კანიბალების“ მსგავსი რაღაც საზოგადოება. მისი წარდგენა უნდა მოხდეს თუნდაც ინტერნეტში — **რადიკალურ კანიბალებს აუცილებლად შენიშნავენ და მათზე აუცილებლად დაწერენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები.** პირველ რიგში, ეს არის გამოხატვის კიდევ ერთი ფაქტი, მეორეც — სპეციალური გენეზისის ეპატაჟური გამოხდომები რადიკალურად განწყობილი საფრთხობელის შესაქმნელად არის საჭირო. ესენი — „ცუდი კანიბალები“ — სხვა საფრთხობელის — „ფაშისტების, რომლებიც მოუწოდებენ, ცეცხლზე დაწვან ისინი, ვინც მათი მსგავსი არ არის“ — საპირწონედ გამოდგებიან, თუმცა საფრთხობელაზე — ცოტა ქვემოთ. თავდაპირველად საკმარისი იქნება მასალების გამოქვეყნება იმის თაობაზე, თუ რას ფიქრობენ ბრიტანელი მეცნიერები და რადიკალურად განწყობილი პირები ადამიანის ხორცის ჭამაზე.

**„ოვერტონის სარკმლის“ პირველი მოძრაობის შედეგი: მიუღებელი თემა საზოგადოებაში დატრიალდა, ტაბუ დესაკრალიზებულია, მოხდა პრობლემის ერთმნიშვნელობის რღვევა — შეიქმნა „ნაცრისფერის გრადაციები“.**



**ადამიანები სულ უფრო ნაკლებად იქნებიან ადამიანურები, ისინი დაკარგავენ კავშირს თავიანთ ფესვებთან, კულტურასთან. ამის მაგალითია სუიციდის მაღალი დონე განვითარებულ ქვეყნებში. ადამიანები, რომლებიც კომფორტში ცხოვრობენ, თავს ბედნიერად ვერ გრძნობენ, რადგან ამ კომფორტს ადამიანური თვისებების დაკარგვის ფასად აღწევენ**

### რატომაც არა?

შემდეგი ნაბიჯით „სარკმელი“ წინ მიიწევს და კანიბალიზმის თემა „რადიკალიზმის“ სტადიიდან „შესაძლებლის“ სტადიაზე გადააქვს.

ამ სტადიაზე გრძელდება „მეცნიერთა“ ციტირება. ცოდნის უარყოფა ხომ დაუშვებელია?! — კანიბალიზმის შესახებ! **ნებისმიერს, ვინც ამ თემაზე მსჯელობას გაექცევა, ფარისევლისა და თვალთმაქცის იარლიყი უნდა მიეწებოს.**

ფარისევლების დაგმობისას, **კანიბალიზმისთვის აუცილებლად მოფიქრებული უნდა იქნას ელეგანტური სახელწოდება,** ფაშისტებმა სხვაგვარად მოაზროვნეებს იარლიყები რომ არ მიაწებონ.

**ევფემიზმის** (ბერძნ. — კეთილსიტყვაობა საჩოთიროდ და სახიფათოდ მიჩნეული სიტყვების ნაცვლად უფრო ზრდილობიანი და უვნებელი სიტყვების გამოყენება) შექმნა უაღრესად საჭირო მომენტია. **შეუძლებელი, წარმოუდგენელი იდეის ლეგალიზაციისთვის აუცილებელია მისი ნამდვილი სახელწოდების შეცვლა და კანიბალიზმი უკვე აღარ არსებობს. ახლა მას ეწოდება, მაგალითად, ანთროპოფაგია, მაგრამ ამ ტერმინსაც შეურაცხმყოფლად ჩათვლიან და მალე გამოცვლიან.**

**ახალი სახელწოდებების გამოგონების მიზანი ყურადღების გადატანაა პრობლემის არსიდან მის შინაარსზე.** სიტყვის შინაარსიდან სიტყვის ფორმაზე ყურადღების გადატანა ნიშნავს, რომ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებს ლაპარაკის უფლება წაართვა. **კანიბალიზმი გარდაიქმნება ანთროპოფაგიად, შემდეგ — ანთროპოფილიად.** მსგავსად იმისა, თუ როგორ იცვლის ბოროტმოქმედი გვარსა და პასპორტს.

სახელწოდების შეცვლის **პარალელურად იწყება ისტორიული, მითოსური, აქტუალური და, გნებავთ, გამოგონილი პრეცენდენტის შექმნა** — მთავარია, ლეგიტიმური იყოს. მისი მოძებნა ან მოფიქრება შეიძლება, როგორც „მტკიცებულება“ იმისა, რატომ არის შესაძლებელი ანთროპოფილიის დაკანონება.

*** „გახსოვთ ლეგენდა თავგანწირული დედის შესახებ, რომელმაც თავისი სისხლი წყურვილისგან მომაკვდავ შვილებს დაალევინა?“**

*** „ისტორია ანტიკური ღმერთებისა, რომლებიც, საერთოდ, ყველაფერს მიირთმევენ — ეს რომაელებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო“.**

*** „ჩვენთან უფრო ახლოს მდგომ ქრისტიანებს ანთროპოფილიასთან ყველაფერი რიგზე აქვთ! ისინი დღემდე რიტუალურად სვამენ სისხლს და მიირთმევენ თავიანთი ღმერთის ხორცს. რამეში ხომ არ ადანაშაულებთ ქრისტიანულ ეკლესიას? ვინ ხართ, ჯანდაბას თქვენი თავი?**

ამ ეტაპის **ბაქქანალიის მთავარი მიზანი ადამიანების, ნაწილობრივ მაინც, სისხლის სამართლის დევნის შიშისგან გათავისუფლებაა.**

### ესეც ასე!

მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება მალეგიტიმირებელი პრეცენდენტი, ჩნდება შესაძლებლობა „ივერტონის სარკმლის“ გადატანისა **„შესაძლებლის“ ტერიტორიიდან „რაციონალიზაციის“ სფეროში. ეს არის მესამე ეტაპი.** აქ მთავრდება პრობლემის დანაწევრება.

*** „ჭამის სურვილი ადამიანების გენეტიკაშია ჩადებული. ის ადამიანის ბუნებაშია“.**

*** „ზოგჯერ ადამიანის შეჭმა აუცილებელია, არსებობს გადაულახავი გარემოებები“;**

*** „არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სურთ, რომ შეჭამონ“.**

*** „ანთროპოფილებს პროვოკაცია მოუწყვეს!“**

*** „აკრძალული ხილი ყოველთვის ტკბილია“;**

*** „თავისუფალ ადამიანს უფლება აქვს, თვითონ გადაწყვიტოს, რა ჭამოს“;**

*** „არის კი ანთროპოფილიაში მავნებლობა? ეს დამტკიცებული არ არის“;**

საზოგადოების ცნობიერებაში ხელოვნურად იქმნება **„ბრძოლის ველი“** პრობლემისთვის. ფლანგებზე ▶

ეს ყველამ უნდა იცოდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიღებული კანონებით შეიცვლება ადამიანის არსებობის ნორმები, შემდეგ კი თემა აუცილებლად მიაღწევს სკოლებსა და საბავშვო ბაღებამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალ თაობას გადარჩენის შანსი აღარ ექნება. ასე მოხდა პედერასტიის (ახლა ისინი ითხოვენ, რომ გეებად იწოდებოდნენ) ლეგალიზების შემთხვევაში. ამჟამად კი ევროპა ჩვენ თვალწინ ახდენს ინცესტისა და ბავშვების ევთანაზიის ლეგალიზებას.**

◀ განლაგებულნი არიან საფრთხობელები — კაციჭამიობის რადიკალური მომხრეები და რადიკალური მოწინააღმდეგეები, **ცდილობენ, რომ რეალური მოწინააღმდეგეები, ნორმალური ადამიანები, რომლებსაც არ სურთ კანიბალიზმისთვის ტაბუს ახსნის პრობლემისადმი გულგრილნი იყვნენ, საფრთხობელებთან ერთად შეფუთონ და რადიკალური მოწინააღმდეგეების რიგებში ჩაწერონ.** ამ საფრთხობელების როლი შეშლილი ფსიქოპათების სახის აქტიურად შექმნაშია — ესენი არიან ანთროპოფილიის აგრესიული მოძულენი, რომლებიც მოუწოდებენ, რომ ცოცხლად დაწვან კაციჭამიები, ებრაელები, კომუნისტები და შავკანიანები.

**მასმედიაში გამოჩენა ყველას უზრუნველყოფილი აქვს, ლეგალიზაციის ნამდვილი მოწინააღმდეგეების გარდა.**

ამ ეტაპზე „მეცნიერები“ და ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანები დროდადრო ერთმანეთს ჭამდნენ.

ახლა კი ანთროპოფილიის თემა „რაციონალიზაციის“ სფეროდან შეიძლება გადავიდეს **„პოპულარულის“ კატეგორიაში**. „ოვერტონის სარკმელი“ წინ მიიწევს.

## პოპულარიზაცია

კანიბალიზმის თემის პოპულარიზაციისთვის აუცილებელია კონტენტი (ტექსტი, გრაფიკა, მულტიმედია), რომელიც დატვირთული იქნება ისტორიული და მითოსური პიროვნებებით, და, შესაძლებლობის მიხედვით, — თანამედროვე მედიაპერსონებით.

**ანთროპოფილია მასობრივად შეიჭრება ახალ ამბებსა და თოქშოუებში. ადამიანებს ჭამენ ფილმებში, ვიდეოკლიპებსა და სიმღერების ტექსტებში.**

პოპულარიზაციის ერთ-ერთი მეთოდის სახელწოდებაა „მიმოიხედეთ ირგვლივ!“

***„განა არ იცოდით, რომ ერთი ცნობილი კომპოზიტორი არის... ანთროპოფილი?“**

***„ერთი ცნობილი პოლონელი სცენარისტი მთელი ცხოვრება ანთროპოფილი იყო, მას დევნიდნენ კიდეც“.**

*** „მათგან რამდენი მოათავსეს ფსიქიატრიულში! რამდენი მილიონი გაასამართლეს, მოქალაქეობა რამდენს ჩამოართვეს?! სხვათა შორის, თუ მოგწონთ ლედი გაგას ახალი კლიპი „EAT ME, BABY“?**

ამ ეტაპზე თემა ტოპათეულში ხვდება და ავტომატურად იწყებს კვლავწარმოებას მასმედიაში, შოუბიზნესსა და პოლიტიკაში.

**სხვა ეფექტური ხერხი: პრობლემის არსზე აქტიურად ჭორაობენ ინფორმაციის ოპერატორებთან (ჟურნალისტებთან, ტელეწამყვანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და ა. შ.), სპეციალისტებს კი დისკუსიაში ჩართვის უფლებას არ აძლევენ.**

შემდეგ, როცა უკვე ყველას მოწყინდება და პრობლემის განსჯა ჩიხში შევა, მოდის სპეციალურად შერჩეული პროფესიონალი და ამბობს: „ბატონებო, ყველაფერი ისე არ არის, როგორც თქვენ გგონიათ. უნდა გაკეთდეს ეს და არა — ის“. და აძლევს იმ მომენტისათვის საჭირო მიმართულებას, რომლის ტენდენციურობასაც „სარკმელი“ განსაზღვრავს. ლეგალიზაციის მომხრეების გასამართლებლად იყენებენ ბოროტმოქმედთა გაჰუმანურების მეთოდს, რომელიც დადებითი პიროვნების შექმნას ითვალისწინებს და რომლის დანაშაულზეც აქცენტი არ უნდა გაკეთდეს.

*** „ეს ხომ შემოქმედი ადამიანია, მერე რა, რომ ცოლი შეჭამა?“**

*** „მათ გულწრფელად უყვარდათ თავიანთი მსხვერპლი. ჭამს, ესე იგი უყვარს!“**

*** „ანთროპოფილებს მაღალი IQ აქვთ, სხვა დანარჩენში ისინი მკაცრი მორალით გამოირჩევიან“.**

*** „ანთროპოფილები თვითონ არიან მსხვერპლნი, მათ ცხოვრებამ აიძულა ეს“.**

*** „ისინი ასე აღზარდეს“ და ა. შ.**

ქვემოთ მოყვანილი ფრაზები კი პოპულარული თოქშოუების მარგალიტები იქნება:

„ჩვენ მოგითხრობთ ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას! ვაჟს უნდოდა გოგონას შეჭმა! მას კი სურდა, შეჭმული ყოფილიყო! ჩვენ ვინ ვართ, ისინი განვსაჯოთ? სრულიად შესაძლებელია, რომ ეს სიყვარულია. თქვენ ვინ ხართ, რომ სიყვარულს გზაზე გადაეღობოთ?!

## აქ ხელისუფლება ჩვენ ვართ

„ოვერტონის სარკმლის“ **მეხუთე ეტაპზე** მაშინ გადადიან, როდესაც თემა უკვე „გახურებულია“ და არის შესაძლებლობა, ის **„პოპულარობის“** სფეროდან **„აქტუალურ პოლიტიკაში“** გადაიტანონ. იწყება საკანონმდებლო ბაზის მომზადება, **ხელისუფლებაში არსებული ლობისტური ჯგუფები გამოდიან ჩრდილიდან. ქვეყნდება სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები, რომლებიც თითქოს ამტკიცებს, რომ კანიბალიზმის ლეგალიზაციას მხარს მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერს.** პოლიტიკოსები უკვე საჯაროდ გამოთქვამენ აზრს ამ თემის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის თაობაზე. **საზოგადოების ცნობიერებაში ნერგავან ახალ დოგმას — „ადამიანების შეჭმის აკრძალვა აკრძალულია“.**

**ლიბერალიზმის საფირმო კერძი — ეს არის ტოლერანტობა, როგორც ტაბუს აკრძალვა, საზოგადოებისთვის დამღუპველი გადახრების გამოსწორების აკრძალვა.**

„სარკმლის“ ბოლო ეტაპზე, კატეგორია „პოპულარულიდან“ კატეგორია „აქტუალურ პოლიტიკაზე“ გადასვლის მომენტში, საზოგადოება უკვე გატეხილია. მისი ყველაზე ცოცხალი ნაწილი ასე თუ ისე მაინც ეწინააღმდეგება ცოტა ხნის წინათ წარმოუდგენელი და მიუღებელი იდეის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევას, მაგრამ მთლიანობაში საზოგადოება გატეხილია. ის უკვე შეეგუა დამარცხებას.

**მიღებული კანონებით შეიცვლება ადამიანის არსებობის ნორმები, შემდეგ კი თემა აუცილებლად მიაღწევს სკოლებსა და საბავშვო ბაღებამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალ თაობას გადარჩენის შანსი აღარ ექნება. ასე მოხდა პედერასტიის (ახლა ისინი ითხოვენ, რომ გეებად იწოდებოდნენ) ლეგალიზების შემთხვევაში. ამჟამად კი ევროპა ჩვენ თვალწინ ახდენს ინცესტისა და ბავშვების ევთანაზიის ლეგალიზებას.**



**«ოვერტონის სარკმელი» იოლად მოძრაობს (ვრცელდება) ტოლერანტულ საზოგადოებაში, იმ საზოგადოებაში, რომელსაც არ აქვს იდეალები, და, აქედან გამომდინარე, — კეთილისა და ბოროტის მკაფიოდ გამიჯვნის უნარი**

## ტექნოლოგიის არსი

აქციო ნორმალურ და ჩვეულებრივ მოვლენად ის, რაც აკრძალული იყო ადამიანის მორალიდან გამომდინარე — აი არსი ტექნოლოგიისა, სახელწოდებით „ოვერტონის სარკმელი“.

**„ოვერტონის სარკმელი“ იოლად მოძრაობს (ვრცელდება) ტოლერანტულ საზოგადოებაში; იმ საზოგადოებაში, რომელსაც არ აქვს იდეალები, და, აქედან გამომდინარე, — კეთილისა და ბოროტის მკაფიოდ გამიჯვნის უნარი.**

„ოვერტონის სარკმლის“ ტექნოლოგია დაფუძნებულია პიროვნების ბაზისურ სისუსტეებზე. ამ ტექნოლოგიის „მომხიბვლელობა“ მდგომარეობს იმაში, რომ ის მაშინაც კი მუშაობს, როდესაც ადამიანი აცნობიერებს — ამ ტექნოლოგიით მასზე ზემოქმედებენ. ჩვეულებრივი მანიპულაციები მაშინვე წყვეტს მუშაობას, როგორც კი ადამიანი ხვდება მათ ნამდვილ არსს. **„ოვერტონის სარკმლის“ შემთხვევაში კი ადამიანის ქვეცნობიერზე ზემოქმედება მის საბაზისო მოთხოვნილებებზე ზემოქმედებით ხდება.**

აი ადამიანზე ზემოქმედების ძირითადი ბერკეტები:

1. **ტოლერანტობა;**
2. **ევფემიზმი;**
3. **რომელიმე გუნდის წევრობა;**
4. **ავტორიტეტის ილუზია;**
5. **კანონიერია, ე. ი. სწორია.**

„ოვერტონის სარკმელი“ დაფუძნებულია ადამიანის საბაზისო მოთხოვნილებებზე, რომლებსაც **მასლოუს პირამიდაში** მე-2, მე-3 და მე-4 საფეხურები უკავია.

აი **„მასლოუს პირამიდა“:**

*** ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები: შიმშილი, წყურვილი, სექსუალური ლტოლვა და ა. შ.**

*** უსაფრთხოების მოთხოვნილებები: თავდაჯერებულობის განცდა, შიშისა და და წარუმატებლობისგან თავის დაღწევა.**

*** კუთვნილებისა და სიყვარულის მოთხოვნილებები.**

*** პატივისცემის მოთხოვნილება: წარმატების მიღწევა, აღიარება, შექება.**

*** შემეცნებითი მოთხოვნილებები: ცოდნა, მოხერხება, გამოკვლევა.**

*** ესთეტიკური მოთხოვნილებები: ჰარმონია, წესრიგი, სილამაზე.**

*** თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება: რეალიზაცია საკუთარი მიზნებისა და შესაძლებლობებისა, პიროვნების განვითარება.**

გამომდინარე იქიდან, რომ მე-2, მე-3 და მე-4 მოთხოვნილებები სრულად და სამუდამოდ, პრაქტიკულად, არასდროს კმაყოფილდება, ისინი იოლად ხდებიან მანიპულაციის ობიექტები თითქმის ყველა ადამიანში.

**ტოლერანტობა** იძლევა შესაძლებლობას, ყველაზე საზიზღარი იდეაც კი წესად აქციო. საინტერესოა, რომ ტოლერანტობის განმარტებაში (ვიკიპედია), გარდა შემწყნარებლობისა, არის კიდევ ერთი განსაზღვრება — **ტანჯვის ნებაყოფლობით ატანა**. სწორედ ეს განსაზღვრება მიესადაგება ადამიანებს, რომლებიც მზად არიან, შეურიგდნენ და გაიზიარონ მათთვის საწინააღმდეგო თვალსაზრისი, უფრო ზუსტად — თავსმოხვეული აზრები და აღიქვან, როგორც საკუთარი ქონების ნაყოფი.

**კუთვნილებისა და პატივისცემის მოთხოვნილებები** გვაიძულებს, უარი ვთქვათ საკუთარ თვალსაზრისზე, რადგან გვეშინია, ოპონენტების აგრესია და უკმაყოფილება არ გამოვიწვიოთ.

**ევფემიზმი** შინაგანი წინააღმდეგობის გადასალახად აუცილებელია. ეს არის მაშველი რგოლი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, დამყარდეს შინაგანი წონასწორობა საკუთარ და სრულიად საწინააღმდეგო ფასეულობებს შორის. მაგალითად, ჩვენს კულტურაში უხეში სიტყვა „პედერასტის“ ნაცვლად შემოვიდა უფრო ნეიტრალური სიტყვა „გეი“. ხოლო ფრაზები „ჩემი ნაცნობი გეი“ და „ჩემი ნაცნობი პედერასტი“ განსხვავებული ემოციური დატვირთვისაა.

**გუნდისადმი კუთვნილება** უსაფრთხოების, საზოგადოებისადმი კუთვნილებისა და პატივისცემის მოთხოვნილებებთან ერთად უნდა განვიხილოთ. თითოეულმა ადამიანმა, რომელიც ფართო საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსულა, იცის, რა რთულია იმ წუთების გადატანა, როდესაც ყველას ყურადღება მისკენ არის მიპყრობილი. **თუკი გაქვთ ასეთი გამოცდილება, გაიხსენეთ**. ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უნდა გამოხატოთ უთანხმოება ამ ადამიანებისადმი — პატივსაცემი პერსონებისადმი, მეგობრებისადმი და ნაცნობებისადმი, ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებისადმი. ამასთანავე, უთანხმოებაზე ევფემიზმის გარეშე უნდა ილაპარაკოთ, სხვაგვარად მსმენელამდე ზუსტ აზრს ვერ მიიტანთ. **ადამიანები, რომლებსაც ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეუძლიათ, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელია.**

**ავტორიტეტის ილუზია** ხელს უწყობს საკუთარი თვალსაზრისის ნიველირებას გარედან თავსმოხვეულის ხარჯზე. მაგალითად, თუკი თქვენში არსებობს უთანხმოება, „ავტორიტეტი“ მაშველ რგოლს გადმოგიგდებთ და პასუხისმგებლობას თვითონ დაიკისრებს. ამასთანავე, მნიშვნელობა არ აქვს, ზუსტად იცით თუ არა, ვინ არის ეს „ავტორიტეტი“. უბრალოდ, გაგიხარდებათ, რომ თქვენი ტანჯვის ტვირთი მან საკუთარი მხრებით აიღო. ბოლო ხანს „ავტორიტეტები“ პერსონალიებიც აღარ არიან — **სულ უფრო ხშირად გვესმის: „მეცნიერებმა აღმოაჩინეს“... „ფსიქოლოგებმა განაცხადეს“..., „მხარემ განაცხადა...“ და ა. შ.**

**ასე იქცევა კანონზომიერებად ჩვენთვის უცხო ნორმების დაწესება.**

## რა შედეგს გამოიღებს „ოვერტონის სარკმელი“

ყველაზე საშინელი შედეგი, რომელიც „ოვერტონის სარკმელმა“ შეიძლება გამოიწვიოს არის ის, რომ **ადამიანი დაკარგავს ჰარმონიას და მის ნაცვლად მიიღებს ყოყმანს, შინაგან შფოთვასა და ტანჯვას.** აქედან გამომდინარე, ამ ტექნოლოგიის დამნერგავს სულაც არ აინტერესებს, ადამიანი ბედნიერი იქნება თუ არა. ამ ტექნოლოგიის მიზანი განვითარების ახალი და საჭირო ვექტორის მიღებაა.

ამის შემდეგ ადამიანი იძულებული იქნება, მიიღოს უცხო ფასეულობები. **ადამიანები სულ უფრო ნაკლებად იქნებიან ადამიანურები, ისინი დაკარგავენ კავშირს თავიანთ ფესვებთან, კულტურასთან. ამის მაგალითია სუიციდის მაღალი დონე განვითარებულ ქვეყნებში. ადამიანები, რომლებიც კომფორტში ცხოვრობენ, თავს ბედნიერად ვერ გრძნობენ, რადგან ამ კომფორტს ადამიანური თვისებების დაკარგვის ფასად აღწევენ.**

## როგორ შევეწინააღმდეგოთ „ოვერტონის სარკმელს“

შეწინააღმდეგება, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება უარის თქმაში — ყოველთვის და ყველგან ვიყოთ „ნორმალური“. **იმ მომენტში, როდესაც „ინდივიდუალური“ გადადის „ნორმალურში“, ჩვენ საკუთარ თავზე კონტროლს გადავცემთ სხვას, საბოლოოდ კი მიზანმიმართული მანიპულაციის მსხვერპლნი ვხდებით. ინდივიდუალურობის შენარჩუნების საშუალებას კი კულტურა, ზნეობა და წინაპრებისგან გადმოცემული ადათ-წესები გაძლევს.** ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრმად მივსდიოთ უძველეს ტრადიციებს. ისინი უნდა გვახსოვდეს და პატივს ვცემდეთ.

ცნება **„ტოლერანტობა“** უნდა გამოვიყენოთ, მხოლოდ როგორც **„შემწყნარებლობა“**, ან უნდა დავიცვათ საზღვრები. მაგალითად, შეიძლება მოვუსმინოთ მსჯელობას ევროპაში გამართული გეიაღლუმების შესახებ, მაგრამ **უარი უნდა ვთქვათ გეიქორწინებების დაკანონებაზე ჩვენს ქრისტიანულ კულტურაში.**

**ევფემიზმსა** და ინფორმაციის არსის შეცვლას ინფორმაციის ჭეშმარიტი არსის გაცნობიერებით უნდა ვებრძოლოთ, ანუ **ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ.** მაგალითად, თუ **გვეუბნებიან (პირდაპირ საუბარში ან ტელეკრანიდან), რომ აშშ-სა და ევროპას სურს, საქართველოში დემოკრატია ზეიმობდეს. უნდა დასვათ კითხვა: „ყველაფერი სწორად გავიგე? თვლით, რომ ქვეყნებმა, რომლებიც მსოფლიოს ბანკირები არიან, ქართველების კეთილდღეობის დაფინანსება მხოლოდ დემოკრატიის აყვავების გამო გადაწყვიტეს?“**

**გუნდის კუთვნილებასაც** უნდა ვებრძოლოთ. საჭიროა, მივხვდეთ, სად არის ჩვენი გუნდი. მაგალითად, შეეცადეთ, ფრაზა „ჩვენი საზოგადოება არ არის ისეთი დემოკრატიული, რომ ერთსქესიანთა ქორწინება დაუშვას“, გადააკეთოთ ასე: **„დემოკრატია ხალხის ნების გამოხატულებაა და, შესაძლოა, სწორედ ერთსქესიანთა ქორწინება არ მიესადაგება ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს კულტურას“.**

**ავტორიტეტული აზრი** მყისვე ნაცარტუტად იქცევა, თუკი საკუთარ თავს დაუსვამთ კითხვას — ვინ არის ეს ავტორიტეტი და იმსახურებს თუ არა ის ჩემს ნდობას სოციალური რეგალიების გარეშე? გახსოვდეთ, რომ ამ ავტორიტეტს თქვენი ნდობის მოპოვება სურს.

**მოამზადა უცხოური პრესის მასალების მიხედვით**

**P.S. ამ სტატიის დედააზრი გამოიხატება ჯოზეფ პ. ოვერტონის ერთი ფრაზით: „ყველაფრის მიუხედავად, შენ, პირადად, ვალდებული ხარ, დარჩე ადამიანად. ადამიანს კი ნებისმიერი პრობლემის მოგვარება შეუძლია. და რასაც ვერ შეძლებს ერთი ადამიანი, შეძლებს საერთო იდეის გარშემო გაერთიანებული ხალხი“.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„2003 წელს რუსეთი ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარ ქვეყანაში რომ შეჭრილიყო, ისევე, როგორც აშშ შეიჭრა ერაყში, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რუსეთს შეაჩვენებდნენ, ამ ცრუ ომის გამშუქებელი ჟურნალისტები კი სამუდამოდ დისკრედიტებულნი იქნებოდნენ. მაგრამ აშშ-ის წინააღმდეგ სანქციები არავის დაუწესებია. აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და მისი უახლოესი მოკავშირე, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ტონი ბლერი ჩადენილი სამხედრო დანაშაულისთვის სასამართლოს წინაშე არ წარმდგარან“.**




# «ეხო მოსკვის» პედოფილი მთავარი რედაქტორი უნიტაზზე დასვეს

**22 მაისს რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ოფისის წინ მოსკოველებმა დადგეს უცნაური სკულპტურა — უნიტაზი სვეტზე. ინსტალაციის თავზე მიკრული იყო რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ მთავარი რედაქტორის, ალექსეი ბენედიქტოვის, ფოტო წარწერით „ჩავრეცხავ ქვეყანას!“, კვარცხლბეკს კი ამშვენებდა ლოზუნგი: „ეხო მოსკვი“ — მეხუთე კოლონის მასმედია!“**

საპროტესტო აქციის მონაწილეებმა რადიოსადგურის შესასვლელთან მოაწყვეს პიკეტი ლოზუნგებით: „არ გვინდა ასეთი „ეხო“! „ყველას ვერ ჩარეცხავ!“ ერთ-ერთ აქტივისტს კი ხელში ეჭირა პლაკატი ტელეარხ Life News-ის უკრაინაში დაკავებული ჟურნალისტების — ოლეგ სიდიაკინისა და მარატ საიჩენკოს ფოტოებითა და წარწერით Save OurCuys.

საპროტესტო აქციის მოწყობა გამოიწვია რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულმა წერილმა, რომელშიც უკრაინაში დაკავებული ტელეარხ Life News-ის ჟურნალისტები ტერორისტებად და მკვლელებად არიან მოხსენიებულნი.

აღსანიშნავია, რომ პროამერიკულად განწყობილი „ეხო მოსკვის“ ჟურნალისტებისა და განსაკუთრებით მისი მთავარი რედაქტორისთვის თანაქალაქელების მიერ ასეთი საპროტესტო აქცია პირველი არ არის.

რადიოსადგურის მთავარმა რედაქტორმა ალექსეი ბენედიქტოვმა ჟურნალ „მაქსიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ 1970-80-იან წლებში მოსკოვის 875-ე საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად მუშაობისას სექსუალური კავშირი ჰქონდა მოსწავლეებთან — არასრულწლოვან გოგონებთან.




## ნილ კლარკი:

# რა მოხდება, რუსეთიც რომ ისე მოიქცეს, როგორც აშშ?



**ცნობილმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა და ბლოგერმა ნილ კლარკმა RT (Russia Tuday)-ის ვებგვერდზე გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც წარმოდგენილია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები მსოფლიოში, თუკი მათ სხვა ქვეყნები წარმართავდნენ და არა — აშშ. „მხოლოდ წარმოიდგინეთ“, — ასე იწყება ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტის სტატიის თითოეული ქვეთავი.**

„მხოლოდ წარმოიდგინეთ, **რა მოხდებოდა, თუკი დემოკრატიულად არჩეულ კანადის ხელისუფლებას დაამხობდნენ რუსეთის დაფინანსებით მოწყობილი გადატრიალებით, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ულტრამემარჯვენე ექსტრემისტები და ნეონაცისტები შეასრულებდნენ; თუკი ოტავის ახალი არარჩეული „მთავრობა“ გააუქმებდა კანონს ფრანგულის ოფიციალურ ენად გამოცხადების შესახებ; თუკი მილიარდიანი ქონების ოლიგარქს დანიშნავდნენ კანადის დედაქალაქ ოტავის ხელმძღვანელად და ხელისუფლება ხელს მოაწერდა ასოცირების ხელშეკრულებას სავაჭრო ბლოკთან, რომელსაც რუსეთი მეთაურობს**“, — წერს ჟურნალისტი.

ნილ კლარკი მკითხველს სთავაზობს, დაფიქრდეს, რა რეაქცია ექნებოდა მსოფლიოს, თუკი რუსეთი 5 მილიარდს დახარჯავდა კანადაში რეჟიმის შესაცვლელად, შემდეგ კი კანადის წამყვანი ენერგეტიკული კომპანია თავის დირექტორთა საბჭოში მიიღებდა რუსეთის უმაღლესი რანგის პოლიტიკოსის ვაჟს.

„მხოლოდ წარმოიდგინეთ, რომ სირიის ხელისუფლებამ გამართოს შეხვედრა „დიდი ბრიტანეთის მეგობრებთან“ — სახელმწიფოების ჯგუფთან, რომელიც მხარს უჭერს დავიდ კემერონის მთავრობის ძალისმიერი გზით დამხობას; რომ სირიის მთავრობა მოკავშირეებთან ერთად მრავალმილიონიანი თანხით დაეხმაროს ბრიტანეთში ანტისახელმწიფო მოთხოვნების მქონე „ამბოხებულებს“; რომ სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაგმოს არჩევნების ჩატარება დიდ ბრიტანეთში, მას „დემოკრატიის პაროდია“ უწოდოს და განაცხადოს, რომ კამერონი პრემიერობიდან უნდა გადადგეს.

**რომ 2003 წელს რუსეთი და მისი უახლოესი მოკავშირეები შეჭრილიყვნენ ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარ ქვეყანაში საბაბით — ეს ქვეყანა მასობრივი განადგურების იარაღის მფლობელია და მსოფლიოს ემუქრებაო, შემდეგ კი იქ მსგავს იარაღს ვერ იპოვიდნენ; რომ ინტერვენციის შედეგად დაწყებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში 1 მილიონამდე ადამიანი დაიღუპებოდა; რომ ეს ქვეყანა ინტერვენციიდან 10 წლის თავზეც ქაოსში იმყოფებოდეს; რომ „რეჟიმის შეცვლის“ შემდეგ რუსული კომპანიები გამდიდრებულიყვნენ სარეკონსტრუქციო და აღდგენითი სამუშაოების შესრულებით.**

მხოლოდ წარმოიდგინეთ, **რა მოხდებოდა, თუკი პრორუსი ჟურნალისტები ერთ ხმაში დაიწყებდნენ ყვირილს, — ახლო აღმოსავლეთის ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც რუსეთი 2003 წელს შეიჭრა, მასობრივი განადგურების იარაღი აქვსო, შემდეგ კი ბოდიშსაც არ მოიხდიდნენ ანექსიის შედეგად მრავალი მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვის გამო;** თუკი ისინი მაინც განაგრძობდნენ არალეგალური ომებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ინტერვენციის პროპაგანდას, პატიოსან ჟურნალისტებს კი, რომლებსაც ტყუილის თქმა არ სურთ, თავს დაესხმოდნენ; **თუკი ვენესუელის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტოდ გამოსულ 40-მდე ადამიანს პროსახელისუფლო ექსტრემისტები ცოცხლად დაწვავდნენ;** თუკი კარაკასში დიმიტრი მედვედევისა და რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის ვიზიტის შემდეგ ვენესუელის ხელისუფლება სადამსჯელო სამხედრო ოპერაციას ჩაატარებდა ავტონომიის ან ფედერალიზაციის მოთხოვნით გამოსული დემონსტრანტების წინააღმდეგ; **თუკი „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ რუსეთი აშშ-ს ალყას შემოარტყამდა სამხედრო ბაზებით და კანადასა და მექსიკას რუსულ სამხედრო ალიანსთან შეერთებას მოსთხოვდა; თუკი რუსეთი ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს დაიწყებდა მექსიკაში.**

**თუკი ინტერნეტში „გაჟონავდა“ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნისა და კანადაში რუსეთის ფედერაციის სატელეფონო საუბრის შინაარსი, რომელშიც ისინი იმსჯელებდნენ, თუ ვინ უნდა იყოს და ვინ არა კანადის მთავრობის შემადგენლობაში; მოგვიანებით კი, „რეჟიმის შეცვლის“ შემდეგ პრემიერმინისტრად რუსეთის მიერ დაფინანსებულ კანდიდატს დაამტკიცებდნენ; თუკი რუსეთის საგარეო უწყების მაღალჩინოსანი უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდა ევროკავშირს, როგორც ეს ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ვიქტორია ნულანდმა გააკეთა კიევში აშშ-ის ელჩ ჯეფრი ჰაიეტთან სატელეფონო საუბრისას.**

მხოლოდ წარმოიდგინეთ, რომ რუსი პოლიტიკოსები მისულიყვნენ მკაცრი ეკონომიკის საწინააღმდეგო ქუჩის საპროტესტო აქციებზე დასავლეთ ევროპაში, დაერიგებინათ ნამცხვრები აქციაზე გამოსული ხალხისთვის და მხარი დაეჭირათ მათი მოწოდებისთვის ხელისუფლების გადადგომის შესახებ“.

ნილ კლარკი გვთავაზობს, წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, ზემოაღწერილი მოვლენები მართლაც რომ მომხდარიყო. ჟურნალისტის აზრით, ზემოაღნიშნულის შედარება მიმდინარე მოვლენებთან კარგი გაკვეთილი იქნებოდა, რადგან ცხადად გვიჩვენებს რომ მსოფლიოში რაღაც ისე არ არის...




**„ნებისმიერი სხვა ქვეყანა ისე რომ მოქცეულიყო, როგორც აშშ და მისი მოკავშირეები, ეს საყოველთაო აღშფოთებას გამოიწვევდა“,** — აღნიშნავს სტატიაში ნილ კლარკი.

**„2003 წელს რუსეთი ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარ ქვეყანაში რომ შეჭრილიყო, ისევე, როგორც აშშ შეიჭრა ერაყში, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რუსეთს შეაჩვენებდნენ, ამ ცრუ ომის გამშუქებელი ჟურნალისტები კი სამუდამოდ დისკრედიტებული იქნებოდნენ, მაგრამ აშშ-ის წინააღმდეგ სანქციები არავის დაუწესებია. აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და მისი უახლოესი მოკავშირე, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ტონი ბლერი ჩადენილი სამხედრო დანაშაულისთვის სასამართლოს წინაშე არ წარმდგარან“,** — წერს ჟურნალისტი.

კლარკის აზრით, რუსეთს 5 მილიარდი დოლარი რომ დაეხარჯა კანადის ან მექსიკის დემოკრატიული მთავრობის დასამხობად და ხელისუფლების სათავეში პრორუსული ხუნტის მოსაყვანად, აშშ რამდენიმე საათში დაიწყებდა სრულმასშტაბიან სამხედრო ინტერვენციას. დასავლური მედიასაშუალებები კი გაამართლებდნენ აშშ-ის მოქმედებას და მას „რუსულ აგრესიაზე პასუხს“ დაარქმევდნენ. „მაგრამ, როდესაც აშშ-მა ასეთი რამ უკრაინაში ჩაიდინა, ის ადამიანები, რომლებიც რუსეთის ანალოგიურ მოქმედებას დაგმობდნენ, უკრაინის ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობას ზეიმობდნენ. ჩვენ ვიცით, რა რეაქცია ექნებოდა აშშ-ს, თუკი მის ტერიტორიასთან ახლოს სხვა სახელმწიფო ატომურ იარაღს განალაგებდა: 1962 წელს, კარიბის კრიზისის პერიოდში კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე იყო. თუმცა რუსეთის მოსაზღვრე ესტონეთში ნატოს მიერ სამხედრო წვრთნების ჩატარებას არავინ თვლის პროვოკაციად“.

სტატიის ბოლოს კლარკს გამოაქვს დასკვნა, რომ არავითარ კანონიერი და მორალური საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა ჩაიდინონ ისეთი რამ, რის გამოც სხვა სახელმწიფოები დაისჯებოდნენ სანქციებით ან სამხედრო ინტერვენციით. სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კანონი და პრინციპები ყველა სახელმწიფოსთვის ერთნაირი უნდა იყოს.

აშშ-ს არ აქვს უფლება, „შეცვალოს რეჟიმები“ რუსეთის საზღვრებთან მდებარე ქვეყნებში. „თავის მხრივ, — წერს კლარკი, — არც რუსეთს აქვს აშშ-ის მოსაზღვრე ქვეყნებში რეჟიმის შეცვლის უფლება“.

ნიკლ კლარკი სტატიაში მოუწოდებს ახალი საერთაშორისო სამართლის შემუშავებაზეც, რომელიც დაფუძნებელი იქნება სუვერენული ერების თანასწორობის პრინციპზე. **„თუკი ჩვენ მივხვდებით, როგორ მოვიქცეთ, რომ ამ სისტემამ დასავლეთის ფარისევლობა და ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა შეცვალოს, მსოფლიო გაცილებით უსაფრთხო იქნება,“** — ასკვნის ბრიტანელი ჟურნალისტი.

ჩემოდანი მოქმედებას იწყებს ყბადაღებული ატომური ღილაკით. სარაკეტო თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში, დაშიფრული კოდი გადაეცემა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სამეთაურო პუნქტს. საპასუხო სარაკეტო დარტყმის გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ერთი კაცი არ იღებს — ატომური ჩემოდანი რამდენიმეა. გადაწყვეტილება რაკეტების გაშვების შესახებ იმ შემთხვევაში აღსრულდება, თუ სიგნალი ყველა მოწყობილობამ მიიღო.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ატომური ჩემოდანი — ძალაუფლების სიმბოლო

**სკიპტრა და ტახტი წარსულს ჩაბარდა. თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც შემაკავებელ ფაქტორი ატომური იარაღია, ძალაუფლებისა და ძლევამოსილების სიმბოლოდ ატომური ჩემოდანი ითვლება. ჩვენ ხშირად გვესმის ლაპარაკი ატომური ჩემოდნის თაობაზე, მაგრამ მის შესახებ ცოტა რამ ვიცით. ყველაფერს კი, ალბათ, ვერასოდეს შევიტყობთ, რადგან ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა, თუმცა ამ ჩემოდნის მუშაობის ძირითადი პრინციპები ცნობილია.**



## რა არის ეს?

მარტივად რომ ვთქვათ, ატომური ჩემოდანი არის ტელეფონი. ამ ჩემოდანში მოთავსებულია გენერალურ შტაბსა და სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სამეთაურო პუნქტთან დამაკავშირებელი სისტემა. **ჩემოდანი მოქმედებას იწყებს ყბადაღებული ატომური ღილაკით. სარაკეტო თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში, დაშიფრული კოდი გადაეცემა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სამეთაურო პუნქტს. საპასუხო სარაკეტო დარტყმის გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ერთი კაცი არ იღებს — ატომური ჩემოდანი რამდენიმეა. გადაწყვეტილება რაკეტების გაშვების შესახებ იმ შემთხვევაში აღსრულდება, თუ სიგნალი ყველა მოწყობილობამ მიიღო.**

ღილაკზე თითის სპონტანურად დაჭერა და ატომური ჩემოდნის მუშაობაში შეცდომის დაშვება გამორიცხულია. ატომური ჩემოდანი ხშირად მოწმდება და რემონტდება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ რფ-ს პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გორბაჩოვის ხელიდან მიიღო ატომური ჩემოდანი, რომლის ნომერიც იყო 51.






## ვის აქვს?

ატომური ჩემოდანი აქვს ბირთვული იარაღის მქონე ყველა სახელმწიფოს ლიდერს. სხვათა შორის, ამ ჩემოდანს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი ჰქვია. მაგალითად, აშშ-ში ატომურ ჩემოდანს ჩანთას უწოდებენ. პირველი ამერიკული ატომური ჩანთები ფორმით ბეისბოლის ბურთს ჰგავდა, ამიტომაც მას Nuclear Football-ს ეძახდნენ. **Nuclear Football-ში მოთავსებულია ტიტანისგან დამზადებული ყუთი. მასზე დამონტაჟებულია კოდური საკეტი, რომელიც პლასტიკური, ე. წ. სანქცირებული ბარათით იხსნება. გარდა ამისა, ამერიკულ ატომურ ჩანთაში დევს 30-გვერდიანი ინსტრუქცია მოწყობილობის გამოყენების შესახებ.** ამბობენ, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს საერთაშორისო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმისას აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ჩემოდანი გახსნა და ინსტრუქცია წაიკითხა.

რუსული ბირთვული ჩემოდანი აღჭურვილია სისტემა „ჩეგეტით“. ეს არის სტრატეგიული ბირთვული ძალების — „ყაზბეგის“ — ავტომატიზებული მართვის სისტემა. **რუსული ატომური ჩემოდანი, ისევე, როგორც ამერიკული „ბურთი“, გადასატანი პულტია. ის ამერიკაშიც და რუსეთშიც დააქვთ სპეციალურად მომზადებულ ოფიცრებს, რომლებიც ქვეყნის ლიდერს დაჰყვებიან.**

რუსეთში ეს არის კავშირგაბმულობის ჯარების ოფიცერი არანაკლებ პოდპოლკოვნიკის წოდებისა. სხვათა შორის, ეს ოფიცერი, ტრადიციისამებრ, შემოსილია საზღვაო ფლოტის ფორმით. ამერიკაში „ბურთის“ ტარების უფლება აქვს ოფიცერს, რომელმაც საიდუმლოების ყველაზე მაღალ დონეზე, ე. წ. თეთრ იანკიზე წვდომის უფლება მიიღო. ადამიანი, რომელსაც ატომური ჩემოდანი უჭირავს, ყოველთვის შეიარაღებულია, ატომური ჩემოდანი მას ხელზე აქვს მიბმული.

## როდის?

**პირველი ბირთვული ჩემოდანი ცივი ომის პერიოდში გაჩნდა. ის აშშ-ის პრეზიდენტ ეიზენჰაუერს ჰქონდა. მანამდე ატომური რაკეტების გაშვების შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ კრემლი ან თეთრი სახლი იღებდნენ.**

სსრკ-ში ატომური ჩემოდნის შექმნა ბრეჟნევის ეპოქაში დაიწყო, თუმცა ატომური ღილაკის პირველი მომხმარებელი იური ანდროპოვი გახლდათ. მას შემდეგ ატომური ჩემოდანი პრეზიდენტიდან პრეზიდენტს გადაეცემა ინაუგურაციის დროს.

საინტერესოა, რომ ერთხელ რუსული ატომური ჩემოდანი გაააქტიურეს. ეს მოხდა 1995 წლის 25 იანვარს, როდესაც ნორვეგიამ გაუშვა დიდი მეტეოროლოგიური რაკეტა Black Brant XII, რომელიც ამერიკულ ბალისტიკურ რაკეტა „ტრაიდენტში“ აერიათ.

საბედნიეროდ, ყველაფერი მალე გაირკვა. ბირთვული ომის დაწყების შემთხვევაში კი, ატომური ჩემოდანი რომც არ ამუშავდეს, რუსეთში ჩაირთვება საპასუხო დარტყმის სისტემა „პერიმეტრი“ და დედამიწას ბოლო მოეღება.

# ლევან ფრუიძე: მოვითხოვთ ანტიდისკრიმინაციული კანონიდან მამათმავლობის ლეგიტიმაციის ყველა ნიშნის ამოღებას და ლგბტ პროპაგანდის აკრძალვას!

## «არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს»

# შეთქმულება ქართველი ერის წინააღმდეგ



### ღია წერილი საქართველოს მასმედიას (იშვიათი გამონაკლისების გარდა) და კერძოდ «მაესტროს ცხრიანს» ქართველ გვარიშვილთა დარბაზის სახელით

რაოდენ სამწუხაროა, როდესაც ხალხის ტელევიზია, უკვე მერამდენედ, ხალხის წინააღმდეგ სამსახურში დგება.

სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, როდესაც რუსთაველის გამზირზე, 17 მაისის აქციის გამართვასთან დაკავშირებით, მიზანმიმართულად მალავთ საპროტესტო მოწოდებაში (რომელსაც საზოგადოების უამრავი თვალსაჩინო მოღვაწეც აწერს ხელს) მისი ნამდვილი ორგანიზატორების, ქართველ გვარიშვილთა მონაწილეობას.

სწორედ ქართულ გვართა წინამძღოლთა დარბაზი წარმოადგენს ჭეშმარიტ, აპოლიტიკურ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელშიც, პოლიტიკოსები თუ ჩნდებიან, მხოლოდ ისე, როგორც საკუთარი გვარის წარმომადგენლები და არა რაიმე პოლიტიკური კურსის გამტარებლები.

ნუთუ შეთქმულების (საკუთარი ხალხისა და ზნეობის წინააღმდეგ) ნაწილს არ წარმოადგენს ქმედება, რომელიც მიზანმიმართულად აქციის რეალური ორგანიზატორის, სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის ხელმძღვანელის, ანუ ჩემი, ლევან ფრუიძის, პიროვნებას (პირველი სწორედ მე ვაწერ ხელს ამ მოწოდებას) ჩქმალავს და საპირწონედ აქციის ორგანიზატორად თენგიზ კიტოვანს და თითქოს გაურკვეველ ვიღაც „ბიჭებს“, ყოფილ გვარდიელებსა და მეომრებს ასახელებს.

მინდა გითხრათ, რომ აქციაზე მოსვლისა და მხარდაჭერის უფლება, რა თქმა უნდა, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს, ბ-ნ თენგიზსაც, მეომრებს, არამეომრებს, მორწმუნეებსა და არამორწმუნეებს, მაგრამ დამეთანხმებით, სხვაა ერის ერთად დგომის ჩვენება და სხვაა მიზანმიმართული მცდელობა, რუსული კვალის თავსმოხვევისა.

რაღაც ბოლო ხანებში საყოველთაო აბსურდამდე მივედით, პარლამენტის, ხელისუფლებისა და მათი დამქაშების აგიტაციიდან გამომდინარე:

„ვისაც მამათმავლობა არ უნდა, თურმე რუსეთი ნდომებია“.

ნუთუ სწორედ ეს თეორია არ არის ყველაზე შეურაცხმყოფელი ევროპული ფასეულობებისა?!

ნუთუ ქართველი ერის ღირსებისა და ზნეობის წინააღმდეგ შეთქმულების ნაწილი არ არის ის, როდესაც ბ-ნ ლევან ვასაძის გამოსვლას მაინცდამაინც ძმათამკვლელი ომის მონაწილე კიტოვანისა და ამჟამად ეკლესიიდან განდგომილი ბასილ მკალავიშვილის კადრებს შორის ამონტაჟებ (თუმცა, რა თქმა უნდა, პიროვნულად ბასილ მკალავიშვილსა და თენგიზ კიტოვანსაც და ნებისმიერ ადამიანს მხოლოდ საუკეთესოს ვუსურვებთ)?!

ეს არ არის ბრძოლა ბ-ნ ლევან ვასაძის პიროვნების წინააღმდეგ, არამედ ეს არის ბრძოლა ჩვენი ზნეობის, ქრისტიანული, ქართული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რათა მოახდინონ მისი დისკრედიტაცია.

„არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“.

სიმართლე არ დაიმალება, ის მაინც იპოვის დღის სინათლეს. იმედს გამოვთქვამთ, ქართველი ერი არ შეირცხვენს თავს; იმედს გამოვთქვამთ, გაარღვევს ამ ბოროტების ბადეებსა და მახეებს და დაუმტკიცებს მსოფლიოს, თუ როგორ შეუძლია, დაიცვას საკუთარი ჭეშმარიტი ღირებულებები და ფასეულობები.

და ამ მოძრაობის ფლაგმანი სწორედ ქართული გვარების დარბაზი იქნება, ჭეშმარიტად აპოლიტიკური, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც დღეს, ბრძოლის ამ ეტაპზე ანტიდისკრიმინაციული კანონიდან მამათმავლობის დამკანონებელი მცნებების, „სექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ ამოღებასა და დამატებით მამათმავლობის პირდაპირი თუ ირიბი პროპაგანდის აკრძალვას ითხოვს.

ჩვენ არ გვეგულება ოჯახი და მოქალაქე, რომელიც არ შეუერთდება ამ საყოველთაო ხელმოწერებს. არ გვეგულება მოქალაქე (მაქსიმუმ 500 ან 1000 კაცის გამოკლებით), რომელიც, მისი გვარის წარმომავლობის თუ ეროვნების მიუხედავად, არ შეუერთდება ამ მოთხოვნას.

ჩვენ გამოვიყენებთ ყველა მშვიდობიან ფორმას, თუნდაც რეფერენდუმს, თუნდაც ეროვნულ დაუმორჩილებლობას და, ღვთის შეწევნით, იმედს გამოვთქვამთ, რომ შევძლებთ ჩვენი ზნეობის დაცვას და იმ სირცხვილის აშორებას, რომელიც პარლამენტმა 2 მაისს (114 ხმით 0-ის წინააღმდეგ) გაგვიფორმა.

დასასრულ, იმედს გამოვთქვამთ და მოგიწოდებთ, მამათმავლობის მომაკვდინებელი ცოდვის დაკანონებით, ერის ღირსებისა და ზნეობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მყოფ მთავრობას, პარლამენტს, საეჭვო არასამთავრობოებს თუ მასმედიას, გამოერკვეთ, შეინანოთ და დადგეთ ხალხისა და ჭეშმარიტი ღირებულებების სამსახურში.

**ქრისტესმიერი სიყვარულით,**

**სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს თავმჯდომარე**

**ლევან ფრუიძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2013 წელს ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, პრეზიდენტ ბარაკ ობამას, რომელიც ამერიკული პოლიტიკური სპექტრის ჩარჩოებში ლიბერალად ითვლება, ბრალი დასდეს ჟურნალისტებზე ზეწოლაში, რათა მათ ოფიციალური ვერსიიდან არ გადაეხვიათ.**

# როგორ მუშაობს ამერიკული პროპაგანდა

**ამერიკელთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ მათი ხელისუფლება „სიმართლეს" ეუბნება თავის მოქალაქეებს და იცავს მათ კონსტიტუციურ უფლებას „სიტყვის თავისუფლების" შესახებ. მეორე მხრივ, მხოლოდ ამერიკის სავარაუდო მტრები აძლევენ საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ საკუთარ ხალხს „სიმართლე" დაუმალონ და ამისათვის პროპაგანდისა და ცენზურის ინსტრუმენტები გამოიყენონ. პრაქტიკაში კი ყველაფერი სხვაგვარადაა.**

**ვაშინგტონიცა და ადგილობრივი ხელისუფლებებიც პერიოდულად მიმართავენ ცენზურას. მაგალითად, სცადეს, დაემალათ ისრაელის სამეცნიერო ინსტიტუტების ბოიკოტის შესახებ ინფორმაცია, რადგან ეს ინსტიტუტები მონაწილეობდნენ სახელისუფლო კვლევებში, რომლებიც ხელს უწყობენ პალესტინის უკანონო დასახლებებს და მისი წყლის რესურსების გამოყენებას.**

ამ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ბოიკოტისკენ მოწოდება სავსებით შეესაბამება ძველ არაძალადობრივ პრაქტიკას და უპრობლემოდ თავსდება სიტყვის თავისუფლების კატეგორიაში, უბრალოდ, არ გაუთვალისწინებიათ. ამის ნაცვლად პრაქტიკულად ყველა ამერიკელი პოლიტიკოსისგან მოდის უნებლიე იმპულსი, ბოლო მოეღოს ამ დისკუსიას და ეს იმპულსი იმდენად მძლავრია, შტატების სხვადასხვა საკანონმდებლო ორგანო დაემუქრა კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ხელმძღვანელებს, რომ, თუ ბოიკოტს მოაწყობენ, დაფინანსებას შეუწყვეტენ.

იმ ხელისუფლების მხრიდან, რომელიც თავგამოდებით ირწმუნება, რომ იცავს სიტყვის თავისუფლებას, მხოლოდ ამერიკელი მეცნიერები არ განიცდიან ზეწოლას. ამგვარი დამოკიდებულების მოთმენა უწევთ იმ ქვეყნების მეცნიერებსაც, რომლებიც ამერიკის მეგობრებად არ ითვლებიან, მაგალითად, ირანელ მეცნიერებს. ირანის წინააღმდეგ დაწესებული სავაჭრო სანქციები, რომლებიც აშშ-მა ჯერ კიდევ 1980 წელს შემოიღო, სამეცნიერო მონაცემების გაცვლის მკაცრ შეზღუდვებს ითვალისწინებს.

მოგვიანებით კონგრესის წევრებმა რაღაც დოზით შეასუსტეს ეს შეზღუდვები, როდესაც „იდეებით ვაჭრობის შესახებ" შესწორება შემოიღეს, მაგრამ აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველომ ინიციატივის საბოტირება მოახდინა. სამმართველომ, უბრალოდ, გაანადგურა კონგრესის ამ შესწორების არსი და განაცხადა, რომ მართალია, ახლა გარკვეული ქვეყნების წარმომადგენელ მეცნიერებს შეუძლიათ გაცვალონ ინფორმაცია, ვთქვათ, ჟურნალებში პუბლიკაციისთვის გადაცემული ხელნაწერების სახით, ამ გაცვლას ხელს არ უნდა უწყობდეს ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა, მაგალითად, სტილის რედაქტირება. ამ წესის დარღვევას ჟურნალების რედაქტორებისთვის, შესაძლოა, მსხვილი ჯარიმები ან სულაც დაპატიმრობა მოჰყოლოდა.

ამასთან, უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველოს არც ერთი ჩინოვნიკი არ გაუგდიათ სამსახურიდან, არ დაუჯარიმებიათ და მით უმეტეს, არც ციხეში გაუმწესებიათ კონგრესის ნების უგულებელყოფისა და დარღვევისთვის.

ამ საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე ორგანიზაციამ, მათ შორის გამომცემელთა ასოციაციამ, ამერიკის ხელისუფლების წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, მაგრამ მალე ეს დავა სასამართლოს გარეშე დაარეგულირეს და გამომცემლებმა მოიპოვეს უფლება, ირანელი მეცნიერების ხელნაწერების მიმართ რედაქტირების სტანდარტული პროცედურა განეხორციელებინათ.

სამმართველომ ეს ცვლილებები წესებში ოფიციალურად არ გაამჟღავნა, რის გამოც მრავალი ჟურნალის რედაქტორი ზედმეტი პრობლემების თავიდან ასაცილებლად ძველი ნორმებით ხელმძღვანელობს.

შესაძლოა, ცენზურის ყველაზე საარაკო მაგალითი არის ის კულტურულად განპირობებული შეზღუდული თვალსაზრისი, რომელსაც ამერიკელების უმრავლესობას თავს ახვევენ საკუთარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. სიუჟეტური ხაზისა და აზრის განმასხვავებლები წამყვან და ყველაზე პოპულარულ ტელეარხებზე, ისევე, როგორც ამერიკის უმთავრეს ჟურნალ-გაზეთებში, მინიმალურია.

მაგალითად, ტელეარხ „Fox TV"-ს ახალი ამბებიცა და კომენტარებიც თითქმის ტყუილს ეფუძნება. შეთავაზებული კომენტარების ვიწრო სპექტრი ქმნის ერთგვაროვანი ხმაურის ფონს, რომელიც ახშობს სტანდარტული ვერსიისგან განსხვავებულ აზრთა უმეტესობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავად მასმედიის მუშაობის მეთოდები წარმოადგენს ფაქტობრივ ცენზურას.

ეს მეთოდები იმდენად კარგად მუშაობს, რომ მრავალი რედაქტორი, ტელეწამყვანი და საზოგადოების უმეტესი ნაწილი იჯერებს ამ რეპორტაჟებს და ვერ ამჩნევს, რომ მათი რედუქციონიზმი სპობს პრესის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებას.

ნამდვილად ღირებული ალტერნატიული კომენტარები და რეპორტაჟები იმდენად იშვიათი და მარგინალიზებულია, რომ მათ პრაქტიკულად არ რჩებათ შანსი, წინააღმდეგობა გაუწიონ ოფიციალურ თვალსაზრისს.

ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ტელეარხი „Comedy Central", რომელზეც ამერიკელებს შეუძლიათ უყურონ პოპულარულ შოუს, რომელიც ერთადერთი მაგალითია ქვეყნის მასშტაბით ხელისუფლების მიმართულებით უწყვეტი კრიტიკის ტრანსლირებისა. თუმცა, როგორც არხის სახელწოდებიდანაც ჩანს, კრიტიკა პოლიტიკური სატირის ფორმით უნდა იყოს შეფუთული.

რაც უნდა წარმატებული იყოს ნაციონალური მედიასაშუალებების მცდელობა, ამერიკის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი თვლის, რომ ისინი კიდევ უფრო შორს უნდა წავიდნენ, რათა საზოგადოების მხრიდან მოვლენათა მისაღები ვერსიის გათავისება უზრუნველყონ. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ „Amnesty International"-ის ახალ ანგარიშში არსებული ფაქტები ეგრეთ წოდებული კუბელი ხუთეულის შესახებ (იგულისხმება ხუთი კუბელი, რომლებიც ფლორიდის შტატში ცხოვრობდნენ და კუბის ხელისუფლების სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის დააპატიმრეს).

**ანგარიშის თანახმად, ამ ხუთ ბრალდებულ საქმეში აშშ-ის ხელისუფლება ფულს უხდიდა კუბის მიმართ მტრულად განწყობილ ჟურნალისტებს, რათა ეს პროცესი გაეშუქებინათ და ადგილობრივ გამოცემებში მათი ბრალეულობის დამამტკიცებელი მიკერძოებული სტატიები გამოექვეყნებინათ.**

ამ პირობებში თავისუფალი პრესა იქცა სახელისუფლო პროპაგანდის ინსტრუმენტად. ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სიტყვის თავისუფლების გაუფასურებას. ზუსტად არავინ იცის, რამდენად ხშირად მიმართავს აშშ-ის ხელისუფლება მსგავს კორუფციულ პრაქტიკას.

**2013 წელს ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, პრეზიდენტ ბარაკ ობამას, რომელიც ამერიკული პოლიტიკური სპექტრის ჩარჩოებში ლიბერალად ითვლება, ბრალი დასდეს ჟურნალისტებზე ზეწოლაში, რათა მათ ოფიციალური ვერსიიდან არ გადაეხვიათ.** ანგარიშის თანახმად, იგი ამას აკეთებდა „გამომცემლობებზე თავდასხმით, თვალთვალით, შიშის ატმოსფეროს შექმნით, საიდუმლო ინფორმაციის სავარაუდო გაჟონვების გამო ორჯერ მეტი სარჩელის შეტანით, სხვა ყველა წინა ადმინისტრაციასთან შედარებით".

შედეგად, კონსერვატიული ორგანიზაცია „Freedom House"-ის ყოველწლიურად გამოთვლილი პრესის თავისუფლების გლობალური ინდექსის მაჩვენებლების თანახმად, 2014 წელს აშშ-ში მოხდა პრესის თავისუფლების დონის მკვეთრი ვარდნა და მნიშვნელოვნად შეიზღუდა მოქალაქეთა უფლება, — იცოდნენ სიმართლე იმის შესახებ, რასაც მათი ქვეყანა აკეთებს. ანგარიშში საუბარია მთავრობის მცდელობებზე, წინ აღუდგეს ნაციონალური უსაფრთხოების საკითხთა გაშუქებას. ანგარიშის ავტორები კი სწორედ ნაციონალურ უსაფრთხოებას მიიჩნევენ შექმნილი მდგომარეობის უმთავრეს მიზეზად.

ამ ყველაფრის პარალელურად ობამა რეგულარულად გამოდის სიტყვით და აკრიტიკებს უცხოეთის ხელისუფლებებს, მაგალითად, ეგვიპტის ხელისუფლებას, სიტყვის თავისუფლებისა და პრესის უფლებების შეზღუდვისთვის. ეჭვი არ არის, რომ რომ ეს ხელისუფლებები ნამდვილად დამნაშავენი არიან ამ და სხვა მრავალი უფლებების საარაკო დარღვევებში, მაგრამ ასევე სიმართლეა ისიც, რომ ამერიკელთა უმრავლესობას შეუძლია უსმინოს საკუთარ პრეზიდენტს, რომელიც სხვა ხელისუფლებებს აკრიტიკებს და ამ დროს არ განიცდის კოგნიტიურ დისონანსს. ისინი ვერც კი ხვდებიან, რომ თავადაც პროპაგანდისა და მანიპულაციის მსხვერპლნი არიან.

ან საიდან უნდა გაეგოთ? მათი ქვეყნის კულტურა და ტრადიცია თითოეულ მოქალაქეს აიძულებს, სჯეროდეს, რომ აშშ თავისუფლებისა და სიმართლის ქვაკუთხედია. ხშირად ამერიკელებს, უბრალოდ, არ ჰყოფნით ცოდნა და სურვილი, გადამოწმონ ინფორმაცია, რომელსაც თავიანთი ლიდერები და პრესა აწვდიან. ამიტომ ყველანაირი საფუძველი არსებობს იმისა, რომ ამერიკული საინფორმაციო სფერო დახურულად მივიჩნიოთ.

**სინამდვილეში თვითცენზურის იმ გარემოში, რომელშიც ამერიკელები ცხოვრობენ, უნიკალური არაფერია. ყველა სახელმწიფო და კულტურა მიმართავს ამა თუ იმ დოზით მსგავს მანიპულაციებს საინფორმაციო სფეროში და ამახინჯებს რეალობას.**

**ამრიგად, ჩნდება კითხვა: მართლაც არის თუ არა აშშ თავისივე კონსტიტუციური თავისუფლებების ძლიერი მცველი? არის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს პოლიტიკოსებს აძლევთ ხელს. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში კი ორპირობა ზეიმობს.**

ეს სისტემა წარმატებულად მუშაობს, რადგან ადამიანთა უდიდესი ნაწილი მიჩვეულია, უბრალოდ, არ შეამჩნიოს ის. ამგვარი მანიპულაციები ხელს უწყობს საზოგადოების მთლიანობის შენარჩუნებას და ქმნის კეთილსაიმედო პირობებს, საჭირო მომენტში იმავე საზოგადოებაში სიძულვილის დათესვისთვის და მისი მიმართვისთვის მტრის წინააღმდეგ.

**ის ადამიანები, რომლებიც არ ექვემდებარებიან ამგვარ დამუშავებასა და მანიპულაციებს, კულტურულ შეცდომას წარმოადგენენ, მაგრამ ამავე დროს ისინი არიან უფრო გონიერი და შემწყნარებელი მსოფლიოს ასაშენებლად კაცობრიობის უმთავრესი იმედი.**

**Consortiumnews.com**

**შესაძლოა, ცენზურის ყველაზე საარაკო მაგალითი არის ის კულტურულად განპირობებული შეზღუდული თვალსაზრისი, რომელსაც ამერიკელების უმრავლესობას თავს ახვევენ საკუთარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კორპორატიული მედიასაშუალებები, აშშ-ის სახელმწიფო და სასკოლო სისტემები უზარმაზარ როლს ასრულებდნენ ამერიკელთა ნეტარი უგუნურების მდგომარეობის მხარდაჭერაში.

ამერიკელთა გეოპოლიტიკური უმეცრება უსაზღვროა. ერთხელაც რომელიმე ნოვატორი სოციოლოგი ჩაატარებს კვლევას იმ ნეტარი უგუნურების თემაზე, რომელშიც მუდმივად ცხოვრობს ამერიკელთა უმეტესობა. იმედია, იგივე მეცნიერი ცოტა უფრო შორსაც წავა და შეისწავლის საწყის მიზეზებს, რომლებმაც მასობრივად წარმოშვა ამერიკის გაუთვითცნობიერებელი მოქალაქეები.

# ნეტარი უგუნურებისა და ორპირობის ქვეყანა

ამერიკელთა ძალიან დიდი ნაწილი გახდა იმ სოციალური ინჟინერიის მსხვერპლი, რომლის შედეგადაც ჩამოუყალიბდათ სრული უმეცრება გეოგრაფიის, გეოპოლიტიკის, ისტორიისა და ძირითადი საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, მაგრამ სოციალური ინჟინერიის ეს ექსპერიმენტი მიღწეულზე არ შეჩერებულა. უამრავი ამერიკელის აზროვნება ჩამოყალიბდა ისეთი მეთოდებით, რომლებიც აბსოლუტურად არ უტოვებს მათ შანსს, ოდესმე გააცნობიერონ საკუთარი უმეცრება.

**ახლაც კი, როდესაც ყველაფერი ესოდენ ცუდადაა, ამერიკელები ახერხებენ, კომენტარები გააკეთონ თემებზე, რომლებშიც არაფერი გაეგებათ და, ფაქტობრივად, თვითგანათლებითაც კი არ იწუხებენ თავს.** მათით მანიპულირებდნენ, რათა ტყუილი სინამდვილედ აღექვათ. ეს ხდება მაშინ, როდესაც არ არსებობს კრიტიკული აზროვნება. სამწუხაროდ, კრიტიკული აზროვნება არის ის თვისება, რომელიც ამერიკელთა გარკვეულ ნაწილს ამ დრომდეც არ შეუძენია. და ამასაც აქვს გარკვეული მიზანი.

**კორპორატიული მედიასაშუალებები, აშშ-ის სახელმწიფო და სასკოლო სისტემები უზარმაზარ როლს ასრულებდნენ ამერიკელთა ნეტარი უგუნურების მდგომარეობის მხარდაჭერაში.**

მასების პოლიტიკური თვალსაზრისით გამოშტერებულ მდგომარეობაში ყოლა და მათი დაპროგრამება ისე, რომ თავი გაცნობიერებული ეგონოთ, იმის უტყუარი გარანტიაა, რომ ამგვარი დაუშვებელი სტატუს-კვო სამუდამოდ იქნება შენარჩუნებული. აღნიშნულს უშუალო კავშირი აქვს მსოფლიო მბრძანებლობასა და აბსოლუტური უმცირესობის ხელში ძალაუფლების კონცენტრირებასთან.

მედიასაშუალებებს მართავენ ისინი, ვის ხელშიცაა ძალაუფლება და, გამოუტენიან რა თავებს მოსახლეობას ათასგვარი ტელეშოუთი, აპროგრამებენ, დაიჯერონ, რომ ამგვარი გადაცემების ყურებით ყოველმხრივ განათლებას იძენენ. საბოლოო ჯამში მოსახლეობა, ფაქტობრივად, გაუნათლებელია არამხოლოდ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ გადადის პერმანენტული გონებრივი უძრაობის მდგომარეობაში. იმის ნაცვლად, რომ ამერიკის ომებისა და ფინანსური მაქინაციების წინააღმდეგ გამოდიოდეს, ამგვარი მოსახლეობა მხარს უჭერს ბოროტმოქმედს — საკუთარ ხელისუფლებას.

მაშინაც კი, როდესაც ტყუილი და ორპირობა საარაკო ფორმებს იძენს და აშკარაა, ამერიკელთა უმეტესობას არ შეუძლია ამის გაცნობიერება, რადგან ინფორმაციულ სიღატაკეში ცხოვრობენ.

მაგალითად, აშშ მხარს უჭერდა უკრაინაში გადატრიალებას. ამერიკელთა უმეტესობას კი არანაირი წარმოდგენა არ აქვს იმაზე, რომ მათი „საკუთარი“ ხელისუფლება აფინანსებდა სახელმწიფო გადატრიალებას ამ აღმოსავლეთევროპულ ქვეყანაში და რომ მანვე მოიყვანა ხელისუფლებაში ნეონაცისტები. ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხს უამრავი ასპექტი აქვს, მათ შორის — დასავლეთევროპული და ამერიკული ხელისუფლებების მცდელობა, გათავისუფლდნენ რეგიონში რუსეთის გავლენისგან და განახორციელონ უკრაინაში ნატოს ინტეგრირება. ამერიკელთა უმეტესობამ უკრაინა მსოფლიო რუკაზეც კი ვერ იპოვა, რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების სწორ შეფასებაზე.



**ამ ფონზე აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და ქვეყნის სახელმწიფო მდივანი კერი იოლად ახერხებენ სიტუაციის ასახვისა და შეფასებისას ტყუილების სიმართლედ გასაღებას**

ამ ფონზე აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და ქვეყნის სახელმწიფო მდივანი კერი იოლად ახერხებენ სიტუაციის ასახვისა და შეფასებისას ტყუილების სიმართლედ გასაღებას. მათ მშვენივრად იციან, რომ ამერიკელთა უმეტესობა ტყუილში ვერ დაიჭერს. ბოლოს და ბოლოს, ამერიკელებმა ის მაინც უნდა იცოდნენ, რომ მათ ატყუებენ, მაგრამ მათ უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს იმაზე, თუ სად უნდა ეძებოს სიმართლე.

ბარაკ ობამამ და ჯონ კერიმ ისიც კი გაბედეს, რომ კამერებისთვის გაესწორებინათ თვალი და მსოფლიოსთვის განეცხადებინათ, რომ „დიდ ქვეყნებს არ შეუძლიათ, უბრალოდ, შეიჭრნენ პატარა ქვეყნებში“. ეს სიცრუე უკვე სასაცილოც კი აღარ არის, ეს უკვე განსჯის საკითხია. ვინ არის აშშ, რომ ვინმეს ჭკუას არიგებს და უხსნის, თუ რამდენად ცუდი და გაუმართლებელია დიდი ქვეყნის პატარაში შეჭრა?!

სინამდვილეში ბარაკ ობამას პრეზიდენტობისას ისევ ტყუილზე დაყრდნობით შეიჭრა აშშ ლიბიაში და ნატოს დაბომბვებით გაასწორა მიწასთან ეს პატარა ქვეყანა. ამ იმპერიალისტური დამპყრობლური ომის შედეგად 100 000-მდე ლიბიელი გამოემშვიდობა სიცოცხლეს. საუბარი აღარაა იმ მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლეზე, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყში შეჭრით შეიწირა. ამაზე კერი და ობამა კომენტარებს არ აკეთებენ, მათ დაავიწყდათ დახოცილი ერაყელები, ლიბიელები, სომალელები, იემენელები, ავღანელები და პაკისტანელები, დაავიწყდათ, თითქოს მათი სიცოცხლე არაფერს ნიშნავდა.

**ამერიკაში თითოეულ პოლიტიკოსსა და მასმედიის ლამის უკლებლივ ყველა საშუალებას იდაყვებამდე აქვს ხელები სისხლში გასვრილი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი არაერთი დანაშაულის დამალვისთვის.** აშშ უამრავჯერ იყო ის დიდი ქვეყანა, რომელიც პატარა ქვეყანაში შეიჭრა. ობამა კი აცხადებს, რომ ყველას აქვს უფლება, იცხოვროს ისე, როგორც თავად სურს. სავარაუდოდ, „ყველაში“ იგულისხმება ყველა, გარდა იმ ხალხებისა, რომელთა უპილოტო საფრენი აპარატებით განადგურების ბრძანებებსაც თავად იძლევა.

ტყუილის ეს შედედებული მასა მხოლოდ „საშუალო ამერიკელზე“ მოქმედებს, მაგრამ არ მოქმედებს მსოფლიო მოსახლობის უდიდეს ნაწილზე, რომელმაც იცის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება სახელგანთქმული გლობალური მკვლელი და ორპირია.

**როდესაც ადამიანი დაითვლის ამერიკის მიერ საკუთარი ინტერესების დასაცავად სხვა ხალხების წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შემთხვევებს და შემდეგ მიღებულ სიას იმ მხეცურ ეკონომიკურ სანქციებსაც დაუმატებს, რომლებსაც აშშ-ის ხელისუფლება აწესებს დაუმორჩილებელთათვის, ნათელი ხდება, რომ მსოფლიო ჟანდარმმა ამ პლანეტაზე ათობით მილიონი სიცოცხლე გათელა ფეხქვეშ.**

ამგვარი უტყუარი ჭეშმარიტება ამერიკელთა უმეტესობისთვის წარმოუდგენელია. რეალობა ცხადყოფს, რომ პროფესიონალური სპორტი და ვიდეოკლიპები არის ძირითადი კერძები მათი გონებისთვის დანიშნულ მკაცრ დიეტაში.

ეს უნდა შეიცვალოს, თუ ამერიკელებს სურთ, რომ ოდესმე ბოლო მოუღონ ვაშინგტონის ორპირობას და მის მიერ განუწყვეტლივ წარმოებულ სისხლიან კამპანიებს. მაგრამ, ვიდრე ამერიკელები რაიმეს მოთხოვნას შეძლებენ, უნდა გაიგონ, რატომ და როგორ ატყუებდნენ სისტემატიურად. ამ ყველაფრისთვის კი ამერიკელებს მოუწევთ, შეელიონ კორპორატიული მასმედიის მიერ „გაკეთებულ“ ახალ ამბებს და სხვა საყვარელ გასართობებს.

საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც უმეცრებით განზრახ არ არიან დასნებოვნებულნი, მთელი ძალისხმევის დახარჯვა მოუწევთ საზოგადოების გამოსაფხიზლებლად. მათ უნდა ჩაატარონ ფორუმები, გამოიყენონ სოციალური მედია, მხარი დაუჭირონ და შექმნან მასმედიის ალტერნატიული საშუალებები და გამოაღვიძონ ისინი, ვისაც ზემოხსენებულის შესახებ ჯერ არაფერი სმენიათ. და, რაც მთავარია, **ამერიკელებმა უნდა შეწყვიტონ იმ ორპირი პოლიტიკური მოღვაწეების მხარდაჭერა, რომლებიც მუდმივად ომებს აჩაღებენ...**

blackagendareport.com




**ამერიკაში თითოეულ პოლიტიკოსსა და მასმედიის ლამის უკლებლივ ყველა საშუალებას იდაყვებამდე აქვს ხელები სისხლში გასვრილი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი არაერთი დანაშაულის დამალვისთვის...**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იარაღს, რომელიც ჩინეთს საშუალებას აძლევს, მიმართოს გადამწყვეტ საომარ აქციებს ამ მიზნით, შეუძლია გააფართოოს რეგიონული კრიზისის მასშტაბები და ის ვაშინგტონის მონაწილეობით მიმდინარე მსხვილმასშტაბიან კონფლიქტად აქციოს.**

# ჩინური შეიარაღების სისტემები, რომლებისაც უნდა ეშინოდეს ამერიკას

**უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ჩინეთი იმდენად გაძლიერდა, რომ მსოფლიო სამხედრო ზესახელმწიფოდ იქცა. ჯერ კიდევ 30-40 წლის წინათ ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელ არმიას მხოლოდ მოძველებული იარაღი ჰქონდა და მტრის წინააღმდეგ რიცხობრივი უპირატესობის გამო „სახალხო ომზე“ იყო ორიენტირებული. მაგრამ შემდეგ ჩინური სამხედრო საზღვაო ძალები საკუთარი სანაპიროებიდან დაიძრნენ და ოკეანეში შეცურეს; სამხედრო საჰაერო ძალები აქტიურად ქმნიან მეხუთე თაობის გამანადგურებლებს, სახმელეთო ჯარებში კი მასშტაბური მოდერნიზაცია მიმდინარეობს.**

ახლა ჩინეთში დიდი რაოდენობით იქმნება შეიარაღების სხვადასხვა სისტემა და ზოგიერთი მათგანი სერიოზული შეშფოთების საბაბია მათი საბრძოლო პოტენციალის გამო.

**იარაღს, რომელიც ჩინეთს საშუალებას აძლევს, მიმართოს გადამწყვეტ საომარ აქციებს ამ მიზნით, შეუძლია გააფართოოს რეგიონული კრიზისის მასშტაბები და ის ვაშინგტონის მონაწილეობით მიმდინარე მსხვილმასშტაბიან კონფლიქტად აქციოს.**

ჩინეთი აღიარებს აშშ-თან კონფლიქტის შესაძლებლობას, თუნდაც მასშტაბებით ეს არც ისე დიდი კონფლიქტი იყოს. ამ შემთხვევისთვის ჩინეთს საკუთარი გეგმები აქვს. ის ფულს აბანდებს იმ იარაღის შექმნაში, რომელიც კონკრეტულად ამერიკული ძალებისკენაა მიმართული და ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, იმოქმედონ ჩინეთის მატერიკული ნაწილის სიახლოვეს. ეს არის წვდომის აკრძალვისა და გარკვეული რაიონების ბლოკირების იარაღი (A2/AD), რომელსაც შეუძლია, ამერიკის ჯარს არ მისცეს ჩინეთის შიგა თავდაცვის ზონაში შეღწევის საშუალება. ეს არის ეგრეთ წოდებული პირველი კუნძულოვანი ჯაჭვი, რომელიც მოიცავს კურილის კუნძულებს, იაპონიას, ტაივანს, ფილიპინებსა და ბორნეოს.

**ჩინეთსა და აშშ-ს შორის ომის დაწყების ალბათობა დიდი არ არის და ამ ორი ქვეყნიდან არც ერთს არ სურს მეორესთან ომი. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობისა და დაპირისპირების არსებული მასშტაბები იმაზე მეტყველებს, რომ პერსპექტივაში ომის დაწყების შესაძლებლობის სრულად გამორიცხვა ვერ მოხერხდება.** ამის გათვალისწინებით ღირს ჩინეთის შეიარაღებაში არსებული იმ ხუთეულის ხსენება, რომლისაც აშშ-ს ყველაზე მეტად ეშინია.

## გემთსაწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტა DF-21D

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ამერიკისთვის ყველაზე სახიფათო იარაღი არის გემთსაწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტა DF-21D. ჯერჯერობით ნაადრევია ავიამზიდების მკვლელად მისი მონათვლა, მაგრამ ეს არის საშუალო დაშორების ბალისტიკური რაკეტა, რომელიც განკუთვნილია კონკრეტულად ამერიკული ავიამზიდებისთვის დარტყმების მისაყენებლად, აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების ოპერატიული შენაერთების დაცვის სისტემების გასარღვევად და გემებისთვის ჰიპერბგერითი სისწრაფით დარტყმების ზემოდან მიყენებისთვის.

DF-21D არის 1500 კილომეტრზე მეტი დაშორების სახმელეთო სისტემა. გაშვებისა და ატმოსფეროს ზედა შრეებში გასვლის შემდეგ რაკეტა იხსნის თავის მხარეს, რომელიც გამშვები აპარატის სახისაა და 10-12 მახის რიცხვის სიჩქარით მიფრინავს. განვითარებული სიჩქარე და ამ დროს გაჩენილი კინეტიკური ენერგია, რომ აღარაფერი ვთქვათ ჰიპერბგერითი მანევრირებადი ბლოკის საბრძოლო დატვირთვაზე, სერიოზულ ზიანს მიაყენებს ყველაზე დიდ გემსაც კი, თუმცა დანამდვილებით ეს არავინ იცის, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ პირდაპირი მოხვედრის შემთხვევაში DF-21D-ს შეუძლია მწყობრიდან გამოიყვანოს ან სულაც ჩაძიროს ავიამზიდი.

ბორბლებიან შასებზე მდგარი DF-21D არის მობილური კომპლექსი, რის გამოც გაშვებამდე მისი აღმოჩენა ადვილი არ იქნება. ვინაიდან რაკეტის საბრძოლო ბლოკი ჰიპერბგერითი სისწრაფით მიფრინავს, მისი ჩამოგდება შესაძლებელია, მაგრამ ძალიან რთული.

DF-21D-ს თავისი აქილევსის ქუსლიც აქვს. ეს არის აღმოჩენის ხელსაწყოების, რელეების სადგურისა და მართვის ცენტრების ჯაჭვი, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ აღმოჩენილ იქნეს მოწინააღმდეგის გემი, ამოცნობილ იქნეს, დადგინდეს მისი კურსი და შემდეგ მიყენებულ იქნეს დარტყმა ბალისტიკური რაკეტით. ამ ჯაჭვში მრავალი რგოლია რაკეტის ზუსტი გაშვების უზრუნველსაყოფად და, თუნდაც ერთ-ერთი მათგანის გაწყვეტის შემთხვევაში, მთელი პროცესი ჩაიშლება.

ჩინეთს ავიამზიდის გასანადგურებლად ბევრი სადაზვერვო საშუალების ამოქმედება სჭირდება, საზღვაო დაზვერვა კი მის ძლიერ მხარეებში არ შედის. სახმელეთო ბაზირების ჰორიზონტს მიღმა რადიოლოკაციის სადგურები არაზუსტია, საზღვაო საპატრულო თვითმფრინავები, უპილოტო საფრენი აპარატები და წყალქვეშა ნავები კი, შესაძლოა, ავიამზიდის გემბანის ავიაციის დარტყმების მსხვერპლნი გახდნენ. მონაცემების მიწოდების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ჩინური თანამგზავრებიდან, მაგრამ მათი მწყობრიდან გამოყვანა ადვილად შეიძლება სხვადასხვა აპრობირებული მეთოდით.



**ჩინეთსა და აშშ-ს შორის ომის დაწყების ალბათობა დიდი არ არის და ამ ორი ქვეყნიდან არც ერთს არ სურს მეორესთან ომი. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობისა და დაპირისპირების არსებული მასშტაბები იმაზე მეტყველებს, რომ პერსპექტივაში ომის დაწყების შესაძლებლობის სრულად გამორიცხვა ვერ მოხერხდება**

DF-21D-ის გამოცდები, სავარაუდოდ, 2013 წლის დასაწყისში ჩატარდა. ჩინელებმა რაკეტა, შესაძლოა, კიდევაც მოიყვანეს მწყობრში, მაგრამ ზემოხსენებული ჯაჭვი — ვერა. კიდევ რამდენიმე წელი გავა, ვიდრე სისტემა სრულად ამუშავდება. მიუხედავად ამისა, იმაზე ფიქრიც კი, რომ ჩინეთს შეიძლება გაუჩნდეს იარაღი, რომელიც ერთი დარტყმით გაანადგურებს 5600 ამერიკელს, 70 თვითმფრინავს და ამერიკის ძალთა პროეცირების სისტემას, გამოსაფხიზლებელი და დამაფიქრებელი ზემოქმედებისაა.

## მეხუთე თაობის გამანადგურებელი J-20

ჩინეთში პირველი მეხუთე თაობის გამანადგურებელი J-20 არის უზარმაზარი ორმოტორიანი თვითმფრინავი, რომელიც ამ ეტაპზე დემონსტრაციულ ფაზას გადის. J-20-ის ამოცანები უცნობია, თუმცა, მანქანის მდგრადი კონსტრუქცია იმაზე მიანიშნებს, რომ მისი გამოყენება სხვადასხვა ამოცანებისთვის იქნება შესაძლებელი. თვითმფრინავს დიდი დაშორების, მაღალი სიჩქარის და ნაკლებშესამჩნევობის კარგი მახასიათებლები ექნება, თუმცა საეჭვოა, რომ მან სრულად მიაღწიოს „სტელსის“ თანამედროვე ტექნოლოგიებამდე. ჩინელებმა სამი პროტოტიპი შექმნეს და უკანასკნელმა საცდელმა ეგზემპლარმა ფრენა 2014 წლის მარტის დასაწყისში განახორციელა. შეიარაღებაში J-20, სავარაუდოდ, 2020 წლიდან იქნება.

აქვს რა უჩვეულო კონსტრუქცია სამკუთხედი ფრთებითა და დიდი წინა საჭეებით, J-20 ჩინეთში ყველაზე ამბიციური საავიაციო პროექტია. ვარაუდობენ, რომ თვითმფრინავი აღჭურვილია თანამედროვე რადიოლოკაციური სადგურით აქტიური ფაზირებული საანტენო ბადით და ელექტროოპტიკური მართვის სისტემით. შეიარაღების ორ მოზრდილ შიდა განყოფილებაში შესაძლებელია „ჰაერი-ჰაერი“, „ჰაერი-მიწა“ და „ჰაერი-გემი“ კლასის რაკეტების განთავსება.



DF-21D

J-20 არის გამანადგურებელი, რომლის ამოცანაა ჰაერში უპირატესობის მოპოვება. თვითმფრინავის დიდი სიშორე იმაზე მიანიშნებს, რომ მას შეუძლია იმოქმედოს ჩინეთის სანაპიროებიდან ბევრად შორს, განახორციელოს საშტურმო თვითმფრინავებისა და ბომბდამშენების, მათ შორის ბომბდამშენების F/A-18-ის, მ-1-ისა და მ-2-ის განადგურება. J-20-ს ასევე შეუძლია, პატრულირება განახორციელოს სადავო ტერიტორიებზე.

**ჩინეთს J-20-ის გამოყენება შეუძლია ასევე ამერიკის მხარდამჭერ ავიაციასთან საბრძოლველად. ისეთი თვითმფრინავები, როგორიცაა E-3 Sentry და E-2C Hawkeye, ასევე საწვავის შემავსებელი KC-135 და KC-130 ძალზე მნიშვნელოვანი საავიაციო აპარატებია, რომლებიც ამერიკულ ჯარებს საშუალებას აძლევს, დიდ სიშორეზე იმოქმედონ.** „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტებით აღჭურვილ გამანადგურებელ J-20-ს შეუძლია სცადოს ამგვარი თვითმფრინავების ჩამოგდება, რაც მნიშვნელოვანწილად დაასუსტებს აშშ-სა და მისი მოკავშირეების ავიაციას.

J-20-ის კიდევ ერთი შესაძლო დანიშნულებაა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ამერიკული გემებისა და ბაზებისთვის დარტყმების მიყენება. რადარებისთვის უხილავი გამანადგურებელი J-20-ის სახმელეთო მიზნების განადგურებისთვის განკუთვნილი რაკეტებით აღჭურვილი ჯგუფი შეიძლება საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაფრინდეს ჩინეთის ბალისტიკური რაკეტებით დარტყმების მიყენებამდე და გაანადგუროს ამერიკული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, დარტყმები მიაყენოს ავიაბაზებს, რადიოლოკაციურ დანადგარებს და მართვის პუნქტებს. დარტყმებით ისინი ჩაახშობენ ამერიკულ თავდაცვით სისტემებს და შექმნიან წინაპირობას არაბირთვული ბალისტიკური რაკეტებით ეფექტური დარტყმების მისაყენებლად.

**კონკრეტულად რა დავალება ექნება J-20-ს, დრო გვიჩვენებს, მაგრამ მისი დანიშნულების არცოდნა ძალზე უსიამოვნო ფაქტორია მსოფლიოში, სადაც გამანადგურებლების შექმნის პერიოდი 20 წელს უტოლდება.**

## თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღი

ათწლეულების მანძილზე კოსმოსური ბაზირების ამერიკული სამხედრო საშუალებები ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ბრძოლის ▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩინური კიბერნეტიკული შეტევითი ოპერაციები სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად. ეს არის ერთადერთი იარაღი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დარტყმების მიყენება აშშ-ის კონტინენტური ნაწილისთვის.

◀ველებზე დიდი უპირატესობით უზრუნველყოფდა. თანამგზავრები ძალზე მნიშვნელოვანია ომის წარმოების ამერიკული მეთოდების გამოყენებისას, განსაკუთრებით აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, სადაც კონტინენტურ ნაწილთან ამერიკას ათასობით მილი აშორებს.

ჩინეთს აქვს თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის სულ მცირე ერთი სისტემა — SC-19. წარმოადგენს რა DF-21-ის სახეცვლილებას, ეს ბალისტიკური რაკეტა აღჭურვილია კინეტიკური გამანადგურებელი KT-2-ით. კოსმოსში გაყვანის შემდეგ KT-2 მიზნისკენ მიიმართება. მას არ აქვს ფეთქებადი ნაწილი, ის თანამგზავრს მასთან შეჯახებით ანადგურებს.

2007 წელს კინეტიკური გამანადგურებელი KT-2 გამოყენებულ იქნა მოძველებული ჩინური თანამგზავრის გასანადგურებლად. **2013 წლის მაისში ჩინეთმა გაუშვა მაღლივი რაკეტა რადიოტელემეტრიული აპარატურით ექსპერიმენტის ჩასატარებლად. ამერიკული დაზვერვა მიიჩნევს, რომ სინამდვილეში ეს იყო თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემა SC-19/KT-2-ის გამოცდა. ითვლება, რომ ეს რაკეტა შესაძლებელია გაყვანილ იქნეს დედამიწის საშუალო ორბიტაზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკის სანავიგაციო თანამგზავრები, შესაძლოა, საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.**

ჩინეთის თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ტიპის ამერიკული თანამგზავრების წინააღმდეგ, მათ შორის იგულისხმება სადაზვერვო, სანავიგაციო და კავშირგაბმულობის თანამგზავრებიც. ამგვარი თანამგზავრების დაკარგვის შემთხვევაში, აშშ-ისთვის ძნელი გახდება სადაზვერვო ამოცანების გადაჭრა ჩინეთის ტერიტორიის თავზე. ეს ამავე დროს შეაფერხებს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ნავიგაციას, შეანელებს კავშირგაბმულობას და წაართმევს ამერიკას საშუალებას, გამოიყენოს GPS-ს საშუალებით სამართავი იარაღი.

ამჟამად არსებული მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ჩინეთი SC-19-ს ბორბლებიანი მანქანის გამშვებ დანადგარზე დააყენებს. ვინაიდან ჩინეთში მყარი საფარის გზების სიგრძე სამ მილიონ კილომეტრს შეადგენს, თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის სისტემების მიგნება და განადგურება უკიდურესად რთული იქნება.

**თუ რომელიმე მომავალ ომში ჩინეთი თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღს გამოიყენებს, ეს მკაცრი განსჯის საგანი გახდება, მაგრამ ვინაიდან ამერიკული ჯარები დიდად არიან დამოკიდებულნი თანამგზავრებზე, კოსმოსში პირველი გასროლის ცდუნება, შესაძლოა, დაუძლეველი აღმოჩნდეს.**

## 071 პროექტის უნივერსალური სადესანტო გემიდოკი

ძალთა პროეცირება ჩინეთისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა ხდება.

ჩინეთს პროექტ 071-ის სამი უნივერსალური სადესანტო გემი აქვს — „კუნილუნიშანი“, „ცზინგანშანი“ და „ჩანგბაიშანი“. ეს გემები განკუთვნილია საზღვაო დესანტის გადასაყვანად და მოწინააღმდეგის სანაპიროებზე გადასასმელად. მოსალოდნელია კიდევ სამი ამგვარი გემის მწყობრში მოყვანა, ასევე ექვსი სადესანტო გემის აშენება მთელი სიგრძის საფრენი გემბანით, როგორც ეს ამერიკულ „უოსპის“ ტიპის გემებს აქვთ.

ზემოხსენებული სამი გემიდან თითოეულის წყალწყვადობა 20 ათას ტონას შეადგენს, სიგრძე კი — 200 მეტრზე მეტს. ამგვარ გემს შეუძლია საზღვაო ქვეითთა ერთი ბატალიონი (400-800 სამხედრო მოსამსახურე) და 18-მდე ჯავშანმანქანა დაიტიოს.

გემის გემბანი უზრუნველყოფს მასზე ორი ვერტმფრენის — W-9-ის ერთდროულად მუშაობას დესანტის გადასასმელად. კიდევ ოთხი ვერტმფრენი დიდ ანგარში დგას. გემს აქვს ძალიან გრძელი დოკ-კამერა სადესანტო მცურავი მანქანების შესანახად და წყალში გასაშვებად, მკვრივი კორპუსის გასაბერი ნავებისათვის, ასევე ამერიკული სტილის საჰაერო ბალიშიანი ოთხი სადესანტო კატერისათვის.

071 პროექტის სადესანტო გემები ეკუთვნის სამხრეთ ზღვების ჩინურ ფლოტს, სადაც მათი გამოყენება შეიძლება ტაივანის დაშინების ან დაპყრობისთვის. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ქვეყნების სამხედრო საზღვაო ძალების მსგავსად, ჩინეთმა სწრაფად ისწავლა მათი სხვა მიზნებისთვის გამოყენებაც. გარდა სანაპიროსა და კუნძულებზე საზღვაო დესანტის გადასმისა, ეს გემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო საზღვაო ძალებისა და საშუალებების სამართავად, საგანგებო სიტუაციებისას და ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად. გემი „ცზინგანშანი“ ამჟამად ინდოეთის ოკეანეშია და მალაიზიური ავიახაზების დაკარგული თვითმფრინავის ძებნაში მონაწილეობს.

ცალკე ისეთი გემი, როგორიც „ცზინგანშანია“, არ წარმოადგენს დიდ საფრთხეს, მაგრამ ის ფლობს იმ საექსპედიციო შესაძლებლობებს, რომლებითაც ავანტიურულ ჩინეთს შეუძლია ისარგებლოს ტერიტორიული დავების გასამწვავებლად და ძალზე სახიფათო სიტუაციების შესაქმნელად.


გამანადგურებელი J-20

**თუ რომელიმე მომავალ ომში ჩინეთი თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღს გამოიყენებს, ეს მკაცრი განსჯის საგანი გახდება, მაგრამ ვინაიდან ამერიკული ჯარები დიდად არიან დამოკიდებულნი თანამგზავრებზე, კოსმოსში პირველი გასროლის ცდუნება, შესაძლოა, დაუძლეველი აღმოჩნდეს**



DF-21D-ის რადიუსი

## შეტევითი კიბეროპერაციები

**ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია მიიჩნევს, რომ კონფლიქტის საწყის ეტაპზე „ელექტრონული უპირატესობის“ მიღწევა უკიდურესად მნიშვნელოვანია წარმატების მოსაპოვებლად. ჩინეთის იმ ხუთი ტიპის იარაღიდან, რომლისაც ამერიკას ყველაზე მეტად ეშინია, ყველაზე მეტად საიდუმლოებით მოცულია ძალები და საშუალებები კობერნეტიკული შეტევითი ოპერაციების განსახორციელებლად.**

ცნება „შეტევითი კიბერნეტიკული ოპერაცია“ გულისხმობს მოქმედებათა ფართო სპექტრს ფსიქოლოგიური ოპერაციებიდან დაწყებული, მოწინააღმდეგის ტექნიკისა და ინფრასტრუქტურის განადგურებამდე. **ჩინეთის ელექტრონულ არმიას ამგვარი უპირატესობის მოპოვება შეუძლია კავშირგაბმულობის ქსელებზე კონტროლის დაწესებით, მავნე პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვით და ინტერნეტში დეზინფორმაციის კამპანიის წარმოებითაც კი.**

შეტევითი კიბერნეტიკული საშუალებების გამოყენება უმჯობესია ტრადიციულ საომარ მოქმედებებთან ერთად, როდესაც მათ შეუძლიათ ახალი ფრონტის ხაზი გახსნან. მაგალითად, ჩინეთს კიბეროპერაციის ჩატარების ხარჯზე შეუძლია ჩაშალოს მოწინააღმდეგის კომპიუტერული ქსელების მუშაობა, ასევე ჩააxშოს მისი კავშირგაბმულობის სისტემები საავიაციო და სარაკეტო დარტყმების მიყენებამდე.

ტრადიციული საბრძოლო მოქმედებებისგან მნიშვნელოვანი განსხვავებით ჩინური კიბერნეტიკული შეტევითი ოპერაციები სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად. ეს არის ერთადერთი იარაღი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დარტყმების მიყენება აშშ-ის კონტინენტური ნაწილისთვის.

როგორც ჩანს, კიბეროპერაციების ჩასატარებლად მთავარი ქვეგანყოფილება არის ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის მესამე სამმართველო, რომელიც ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ანალოგად ითვლება. მისი შემადგენლობა, შესაძლოა, 130 ათას ადამიანს აღწევდეს, ისინი მიმაგრებულნი არიან სამხედრო ნაწილებზე, 12 ოპერატიულ განყოფილებაზე და სამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტზე. მესამე სამმართველოს შემადგენლობაშია მეორე ბიუროც, რომლის მთავარი ამოცანაც აშშ-ის საწინააღმდეგო ოპერაციებია.

საპროექტო ინსტიტუტ 2049-ის მონაცემების თანახმად, გენშტაბის მეოთხე სამმართველოს, რომელიც პასუხისმგებელია რადიოელექტრონულ ბრძოლაზე, რადიო და რადიოტექნიკურ დაზვერვაზე, ასევე შეუძლია განახორციელოს შეტევითი კიბეროპერაციები. ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის „ინტეგრირებული ქსელებისა და ელექტრონული ომის“ კონცეფციიდან ნათლად ჩანს, რომ ჩინეთი ერთმანეთთან დაკავშირებულად მიიჩნევს ბრძოლის ველზე კომპიუტერული ქსელებისა და ელექტრონული საშუალებების განადგურების ოპერაციებს. ჩინელი სამხედროები კიბეროპერაციებს რადიოელექტრონული ბრძოლის ტრადიციულ ფორმებთან აკავშირებენ, რასაც აშშ ხშირად არ აკეთებს.

მიუხედავად კიბერკარების მრავალრიცხოვნებისა, ჩინეთს არცთუ თანამედროვე საშუალებები აქვს ამ მიმართულებით. მაგალითად, არ არსებობს არანაირი მინიშნება იმაზე, რომ ჩინეთს შეუძლია „Stuxnet“-ის მსგავსი კიბერთავდასხმის ინსტრუმენტის შექმნა. სამაგიეროდ ქვეყნის ხელმძღვანელობას კარგად ესმის საკუთარი კიბერძალების ნაკლოვანება და ამასთან დაკავშირებით მიმართა დასწრების სტრატეგიას — კიბერომის ძალზე დამანგრეველი, მაგრამ სავსებით პრიმიტიული საშუალებები შესაძლო კონფლიქტის საწყის სტადიაში ამუშავდება.

აშშ-სა და ჩინეთს შორის ომი გარდაუვალი არ არის, მთელი რიგი მიზეზების გამო ზესახელმწიფოებს შორის ომი ნაკლებსავარაუდოც კია, ვიდრე ეს ცივი ომის პერიოდში იყო, მით უფრო აშშ-სა და ჩინეთს შორის არსებული ურთიერთმომგებიანი ეკონომიკური დამოკიდებულების პირობებში. ის, რომ ჩინეთი ამგვარ შეიარაღებას ქმნის, საკვირველი არ არის, რადგან მისი მხრიდან სავსებით ლოგიკურია, ემზადოს ომისთვის აშშ-თან, თუნდაც ამ ომს სულაც არ აპირებდეს.

იარაღის ეს ხუთი სახეობა არ ზრდის ომის დაწყების შანსს, პირიქით, ჩინეთს თავდაჯერებულობას ჰმატებს მეზობლებთან და აშშ-თან თანამშრომლობისთვის. მაგრამ შესაძლოა, ამან გააჩინონ ცდუნება — ერთი ხელის მოსმით გადაიჭრას დიდი ხნის ტერიტორიული დავები ან წარმოიშვას ახალი. ერთი რამ ცხადია: ამ იარაღის წყალობით ბურთი ჩინეთის მხარესაა...

The National Interest



**ჩინეთს კიბეროპერაციის ჩატარების ხარჯზე შეუძლია ჩაშალოს მოწინააღმდეგის კომპიუტერული ქსელების მუშაობა, ასევე ჩააxშოს მისი კავშირგაბმულობის სისტემები საავიაციო და სარაკეტო დარტყმების მიყენებამდე**

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა წამყვან ქვეყანაში კერძო სექტორი აფინანსებს მეცნიერების ყველა დარგს. ჩვენმა ბიზნესმენებმა შეიძლება რაღაც კონცერტი, სანახაობა დააფინანსონ, მაგრამ ჯერ არ მინახავს, რომ ვინმეს რამე გაეღოს მედიცინის სასარგებლოდ.**

# მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამსვლელი სესია კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში

**21 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. ეს იყო პირველი გამსვლელი სესია აკადემიის ისტორიაში, რომელიც მის კედლებს გარეთ ჩატარდა და მას კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი მასპინძლობდა, რომელიც ხალხში უფრო თოდუას ინსტიტუტის სახელითაა ცნობილი. აკადემიკოს ფრიდონ თოდუას შეფასებით, ეს დიდი პატივი იყო მისთვის და მისი ინსტიტუტის ყველა თანამშრომლისთვის, ძალზე სასარგებლო, როგორც სამედიცინო მეცნიერების განვითარებისთვის, ასევე, იმითაც, რომ კლინიკის ახალგაზრდა თანამშრომლებმა პირადად გაიცნეს ლეგენდარული ადამიანები, მეცნიერებათა კორიფეები, რომლებმაც დღემდე მოიტანეს ქართული მეცნიერების სახელი, განადგურებას გადაარჩინეს ეროვნული მეცნიერება უმძიმეს წლებში, მარადიული ფასეულობების საყოველთაო დევალვაციის პირობებში.**


აკადემიკოსები: ფრიდონ თოდუა, ოთარ კვესიტაძე, თამაზ გამყრელიძე

— არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, — **ბრძანა ბატონმა ფრიდონმა,** — რომ ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები ნამდვილად ისტორიული პიროვნებები არიან და მათ არამარტო სამეცნიერო, არამედ ღირსეულ საზოგადო მოღვაწეობას უთუოდ დააფასებს ქართველი ერი. აუცილებელია, რომ ამ მართლაც ლეგენდარულ პიროვნებებთან მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს ახალგაზრდობას, რადგან მომავალი თაობები წინაპართა მაგალითებზე უნდა აღიზარდონ.

**არაერთხელ აღმინიშნავს, რომ საქართველო ყოველთვის იყო მდიდარი თავისი ინტელექტუალური და სამეცნიერო პოტენციალით, ჩვენ გვყავდა და გვყავს მსოფლიო დონის მეცნიერები, მაგრამ დღეს ისინი მოკლებულნი არიან იმ ყურადღებას, რომელსაც უდავოდ იმსახურებენ.**

საოცრად მწყდება გული, რომ მეცნიერებათა აკადემიამ დაკარგა თავისი ქარიზმა და ეს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების განათლებისადმი დამოკიდებულებისთვის არის საზიანო. დღეს რუსთაველზე გამვლელთაგან ბევრმა არც კი იცის, რომელია მეცნიერებათა აკადემიის შენობა.

ისე მოდიან და მიდიან ხელისუფალნი, სიტყვაც კი არ დასცდებათ მეცნიერების არათუ აღორძინებაზე, ხელშეწყობაზეც კი... რომელ განათლებაზე შეიძლება საუბარი ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების გარეშე?!

გული მწყდება იმაზეც, რომ ჩვენი ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ ინტერესი სამეცნიერო მოღვაწეობისადმი, საზღვარგარეთ მიდიან სწავლის გასაგრძელებლად და, როგორც წესი, მათ შორის საუკეთესონი იქვე რჩებიან სამუშაოდ. ნუთუ ვერ უნდა შევქმნათ ქვეყანაში პირობები, რათა თავიდან ავიცილოთ ინტელექტის გადინება?

ვამბობთ, რომ საქართველო მდიდარია ინტელექტუალური პოტენციალით, მაგრამ გვავიწყდება, რომ ამ პოტენციალს გამოვლენა და დაფასება უნდა, ხოლო მისი შენარჩუნებისთვის ზრუნვა ერის განვითარების აუცილებელი პირობაა. სავალალო მდგომარეობაშია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

სესიაზე მეცნიერებმა განიხილეს სამედიცინო მეცნიერების განვითარების, მისი დაფინანსების, ქვეყანაში ჯანდაცვის მდგომარეობის სპეციფიკური საკითხები. კვლავ და კვლავ აღინიშნა, რომ მედიცინის სფეროში, ისევე, როგორც ქვეყნის სხვა დარგებში ინტელექტუალური პოტენციალი იყო და დარჩება პრიორიტეტულად და სწორედ ამიტომ მას აუცილებლად სჭირდება მაქსიმალური ხელშეწყობა და სერიოზული დაფინანსება.

აღინიშნა, რომ ყველა პრობლემა ერთ დღეში ვერ გადაწყდება, რომ ევროპული დონის მისაღწევად დროა საჭირო, მაგრამ ამით და დროებითი სიძნელეების მოშველიებით უმოქმედობის გამართლება მავნეა და ყოვლად მიუღებელი. მით უფრო, რომ მედიცინის დარგში არსებული დადებითი ტენდენციები კონკრეტულ საქმეებშია რეალიზებული და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების რეალური შედეგებით არის წარმოდგენილი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა **ოთარ კვესიტაძემ** „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბარში განაცხადა, რომ განხილული პრობლემები მრავალმხრივ აქტუალურია და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში თხუთმეტამდე ახალი მეცნიერული მიმართულება, ახალი მიდგომა, მკურნალობის ახალი ფორმები დაინერგა სამედიცინო მეცნიერებასა და პრაქტიკაში. ამ სამედიცინო დაწესებულებაში შევიკრიბეთ იმისათვის, — **თქვა მან**, — რომ ჩამოვყალიბებულიყავით, თუ რა არის საქართველოს ჯანდაცვაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული პრობლემა. შევიკრიბეთ ინსტიტუტში, რომელიც გამორჩეულია მეცნიერების მხარდაჭერით, მკურნალობის ინოვაციური მეთოდების დანერგვით. ამ გამოცდილების გაცნობა და გაზიარება ყველასათვის სასარგებლო იქნება.

**— ბატონო ოთარ, სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ მეცნიერების, მათ შორის სამედიცინო მეცნიერების, დაფინანსების აუცილებლობაზე ეროვნულმა აკადემიამ ხმამაღლა უნდა თქვასო თავისი სიტყვა. ეს კრიტიკა იყო?**

— ალბათ, კრიტიკა იყო. კრიტიკას მიჩვეულები ვართ. ჩემთვის ახალი არ არის, და ჩვენ ჩვენს სიტყვას ყოველთვის პირუთვნელად ვიტყვით.

საინტერესო ფაქტია, რომ საქართველოს მედიცინის მეცნიერების პრაქტიკული მხარდაჭერით დაინტერესებულია ამერიკის შეერთებული შტატები. ჩვენი ამერიკელი კოლეგების მცდელობითა და დაფინანსებით, თბილისში აშენდა ლუგარის ცენტრი, რომელიც ამას წინათ გადაეცა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს, რომელსაც პროფესორი ამირან გამყრელიძე ხელმძღვანელობს. ვფიქრობ, ეს ცენტრი მოემსახურება მეცნიერების საერთო ინტერესებს და არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე უწყების ინტერესებით.

**თუ მიაქციეთ ყურადღება, სესიას ესწრებოდნენ ჩინეთიდან ჩამოსული მეცნიერები. მათთან ერთად შევთანხმდით და განვახორციელებთ კიდეც ერთობლივ სამეცნიერო საქმიანობას და ეს ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოში მეცნიერების მხარდაჭერის თვალსაზრისით.**

სესიის მთავარი გამომსვლელი, პროფესორი **ამირან გამყრელიძე** თვლის, რომ გამსვლელი სესიისთვის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ეს სამედიცინო დაწესებულება თავისი დანიშნულებით უნიკალურია, ამიტომაც სესია ძალზე საინტერესო და შედეგიანი გამოდგა.

**— ბატონო ამირან, თქვენს მოხსენებაში ხაზი გაუსვით იმას, რომ კერძო სექტორი არ არის მეცნიერების მხარდაჭერაზე ორიენტირებული, თუ არ ჩავთვლით აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკას. რისი ბრალია ეს?**

— ზოგადად ჯანდაცვის ხაზით ბოლო დროს სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, მე არ ვლაპარაკობ მეცნიერებაზე, ჯანდაცვაზე მოგახსენებთ. ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში გაკეთებული საქმის მსგავსი პრეცედენტი ბოლო 25 წლის განმავლობაში არ ყოფილა. თითქმის ორჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. მხოლოდ 2012 წლის არჩევნების შემდეგ შევიდა ჯანდაცვა პირველ სამ პოლიტიკურ პრიორიტეტში. ცხადია, აქ წინსვლისთვის კიდევ დიდი ასპარეზია.

რაც შეეხება მეცნიერებას, მათ შორის, სამედიცინო მეცნიერების დაფინანსებას, ის ქვეყანაში ჯერჯერობით პრიორიტეტული არ გამხდარა.

ყველაზე დიდი პრობლემა დღეს მსოფლიოში ე. წ. უსამართლო ჯანდაცვაა: ადამიანების გარკვეულ ჯგუფს ყველაფერზე მიუწვდება ხელი, ბევრი ადამიანი კი ამ სიკეთეს მოკლებულია. დღეს მსოფლიო მიდის, ასე ვთქვათ, ცივილიზებული საყოველთაობისკენ, რომელსაც სჭირდება მეცნიერული საფუძველი. საქართველომ, პოლიტიკური თვალსაზრისით, გადადგა ნაბიჯი ამ უნივერსალიზაციისკენ. ახლა ამისთვის საჭიროა ქვეყანაში სამეცნიერო კვლევების მოცულობისა და ხარისხის გაზრდა.

**— თქვენი პოზიცია გასაგებია, მაგრამ რამდენად გამოეხმაურება მას ხელისუფლება?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ამის გარეშე ვერ განვითარება ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, უნდა გამოეხმაუროს. ყველაზე მეტი ყურადღება, ფინეთის მსგავსად, ჩვენც უნდა მივაქციოთ განათლებას, მეცნიერებასა და ადამიანის სოციალური ყოფის გაუმჯობესებას. ჩვენი პოტენციალის ამოქმედებისთვის, ახალგაზრდების მოზიდვისთვის მეცნიერებაში ერთობლივად უნდა იზრუნოს სახელმწიფომ და მეცნიერთა საზოგადოებამ.

**— ჩვენი ჯანდაცვის სისტემა რეზონირებს თქვენს იდეებთან?**

— ცხადია, რომ რეზონირებს, ამის ნათელი დადასტურებაა ის სერიოზული ნაბიჯები, რომლებიც მოსახლეობის ჯანდაცვის გაუმჯობესების კუთხით გადაიდგა. ჩვენს მოქალაქეებშიც სწორედ ეს ნაბიჯები სარგებლობს განსაკუთრებული პოპულარობით.

**ამავე პოზიციებზე დგას გასვლითი სესიის მასპინძელი აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა.**

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, — **ამბობს იგი**, — სახელმწიფო დაზღვევა ნამდვილად შველაა პაციენტებისთვის. თუ კერძო სადაზღვევო კომპანიები მხოლოდ 500 ათასამდე მოქალაქეს მოიცავს, სახელმწიფო დაზღვევის სიკეთე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის ხელმისაწვდომია.

იმედი ვიქონიოთ, და ეს სხდომაზეც ითქვა, რომ სამედიცინო მეცნიერებაც იგრძნობს სახელმწიფოს თანადგომის სიკეთეს.

**— ბატონო ფრიდონ, რატომ აირჩია მეცნიერებათა აკადემიამ თქვენი ინსტიტუტი ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის?**

— ჩვენი ინსტიტუტი 1991 წელს დაარსდა და დღიდან დაარსებისა მხოლოდ საკუთარი ძალებით ვითარდება, 1994 წლიდან მთლიანად თვითდაფინანსებაზე გადავედით და სახელმწიფოსგან არც ერთი თეთრი არ მიგვიღია. 1996 წლიდან ვართ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებული წევრი და, ფაქტობრივად, სამეცნიერო საქმიანობას აკადემია კურირებს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ინსტიტუტი დაარსების დღიდან არის სიახლეებისა და ინოვაციების კერა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მოსკოვში ჩემი თითქმის 25-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებაც სწორედ ასეთ ინოვაციასთან იყო დაკავშირებული — დაინერგა მედიცინის სრულიად ახალი მიმართულება — კომპიუტერული ტომოგრაფია, რომელიც პრაქტიკულად რევოლუცია იყო მედიცინაში საერთოდ და, მით უმეტეს, საქართველოსთვის უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი.

დღეს გვაქვს ტექნიკის ბოლო სიტყვით აღჭურვილი საოპერაციო ბლოკები, რომლებშიც პრაქტიკულად ყველა სირთულის უნიკალური ქირურგიული ოპერაციები კეთდება, საუკეთესო ლაბორატორიული სამსახური; ფუნქციონირებს ქიმიოთერაპიის განყოფილება, სულ მალე სრული დატვირთვით ამოქმედდება უახლესი თაობის სხივური თერაპიის დანადგარები. სხივური თერაპიის ამუშავებით შემცირდება უცხოეთში სამკურნალოდ მიმავალი პაციენტების ნაკადი. მართალია, თბილისს, საერთაშორისო სტანდარტების სტატისტიკური მონაცემებით, 8 ასეთი აპარატი სჭირდება, მაგრამ პრობლემის გადაჭრის კუთხით პირველი აგური უკვე დავდეთ.

ცხადია, ამ ყველაფერს ხელი შეუწყო იმ პრაქტიკამ, რომელიც ჩვენთან დაინერგა და რომელმაც ხელშესახები შედეგები გამოიღო სწორედ მედიცინის მეცნიერების განვითარების და მასზე დამყარებული პრაქტიკული ჯანდაცვის მიმართულებით.

ჩვენთან ამ ერთ დაწესებულებაში ყველაზე მეტი გვყავს სახელმწიფო პრემიის ლაურეატები. 14 ექიმს — მეცნიერ მუშაკს მიღებული აქვს მეცნიერებათა აკადემიის სახელობითი პრემიები. დაიბეჭდა 10 მონოგრაფია.

რაც მთავარია, ჩვენი ინსტიტუტი არის სასწავლო ბაზა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და პოლიტექნიკური უნივერსიტეტის.

სამივე უმაღლესი სასწავლების რექტორი მონაწილეობდა 21 მაისის ერთობლივ სესიაში.

ვფიქრობ, ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობამ შემომთავაზა მე, მედიცინისა და ფიზიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს მდივანს, ჩაგვეტარებინა ერთობლივი გასვლითი სხდომა და მეც, ცხადია, სიხარულით მივიღე ეს წინადადება.

**— სხდომაზე აკადემიურ ჩარჩოებში ჩასმული სერიოზული კრიტიკაც გაისმა იმის თაობაზე, რომ კერძო სექტორი თავს არიდებს სამედიცინო მეცნიერების დაფინანსებას, ორიენტირებულია მხოლოდ პირად მოგებაზე. გამონაკლისად თქვენი ინსტიტუტი დასახელდა. ყველა წამყვან ქვეყანაში კერძო სექტორი აფინანსებს მეცნიერების ყველა დარგს. ჩვენმა ბიზნესმა, შესაძლოა, რაღაც კონცერტი, სანახაობა დააფინანსოს, მაგრამ ჯერ არ მინახავს, ვინმეს რამე გაეღოს მედიცინისა და მეცნიერების განვითარებისთვის. თქვენი ინსტიტუტი სწორედ ამითაა გამორჩეული.**

— დიახ, იყო ამაზე ლაპარაკი, ჩვენ გვაქვს ამის საპირწონე — შევქმენით ▶

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ექიმები გვაფრთხილებენ: „გარუჯვის მიზნით ადამიანები საათობით ეფიცხებიან მზის სხივებს. ერთ-ერთი უარყოფითი გავლენა, რომელიც ულტრაიისფერმა სხივებმა შეიძლება იქონიოს, კეთილთვისებიანი ხალის შესაძლო გადაგვარებაა ავთვისებიან სიმსივნედ — მელანომად“.

სპეციალური ფონდი, რომელშიც ყოველწლიურად 100 ათასზე მეტ ევროს ვდებთ, ეს თანხა ხმარდება ჩვენი სპეციალისტების საერთაშორისო კონგრესებზე მივლინებას, სტაჟირებას მსოფლიოს წამყვან ცენტრებში, ვაფინანსებთ მონოგრაფიების გამოცემას, ჟურნალს „რენტგენოლოგია და რადიოლოგია“ და ა.შ.

მე ბევრი მეგობარი მყავს ბიზნესმენთა შორის და მინდა მივმართო მათ: ყველას სჭირდება ექიმის დახმარება. მაშ, ამოუდექით მათ მხარში — უნდა შეიქმნას მეცნიერების განვითარების ფონდი. რაც უფრო ძლიერია საძირკველი, მით უფრო სანდო და მყარი იქნება პრაქტიკული მედიცინაც.

დღეს, როცა მედიცინა კერძო გახდა, როცა ამ სფეროში საბაზრო ურთიერთობის პრინციპები დაინერგა, მედიცინა, წინ წამოიწია, როგორც ბიზნესმა, მაგრამ, როცა მედიცინას, როგორც მხოლოდ ბიზნესს, ისე უყურებ, კატასტროფაა... რადგან ყოველი შემთხვევა მედიცინაში ადამიანია, სიცოცხლეა, ამიტომაც ვთვლი, რომ მედიცინა სრულიად განსაკუთრებული დარგია, დრო კი საკმაოდ რთული და დრამატული — ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ, როგორ გადავრჩეთ, გადავარჩინოთ ურთიერთობები, მედიცინა, მეცნიერება.

**— მაგრამ გადარჩენას მარტო სამედიცინო სფეროს გამართული მუშაობა რომ ვერ უშველის? თქვენ ყველაფერი მოგწონთ, რაც საზოგადოებაში ხდება?**

— არა, ცხადია. როცა ტელეეკრანი გადატვირთულია სალაყბო შოუებით, ლანძღვითა და ურთიერთდაპირისპირებით, რომელ კმაყოფილებაზე შეიძლება საუბარი?! ეს ეხება ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. დროა, ვიცხოვროთ ევროპული მენტალიტეტით, პატივი ვცეთ ერთმანეთის აზრს; უაზრო კამათის, კინკლაობის ნაცვლად, მივცეთ კონსტრუქციული დიალოგის ფორმა. მუდმივად სტრესულ გარემოში ცვდება ადამიანის ნერვული სისტემა. მერე ჩვენთან მოდიან სამკურნალოდ.

**— დეპუტატებიც არიან თქვენს პაციენტთა შორის?**

— უფრო მეტიც, სწორედ ისინი არიან სამიზნე ნებისმიერი დაავადებისთვის. სწორედ სტრესია სხვადასხვა ფსიქოსომატური პათოლოგიის ადრეული განვითარების მიზეზი.

ჩვენ ხომ პატარა ერი ვართ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ვისწავლოთ მოთმინება. მინდა, გითხრათ, რომ განათლებაც და მედიცინაც ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობასთან და მისგან განყენებულად ამ სფეროებზე მსჯელობა პრაქტიკულად შეუძლებელია. სანამ ქვეყანაში არ იარსებებს სოციალური უზრუნველყოფის მყარი გარანტიები, რაიმეს მოგვარებაზე საუბარი წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი. სოციალური გარანტიები კი, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან, საკანონმდებლო სფეროს მოწესრიგებასთან არის დაკავშირებული. ყველამ რომ თავისი საქმე კეთილსინდისიერად აკეთოს, ბევრი რამ მოწესრიგდება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# მზე, ხალი და კიბოთი დაავადების რისკი

## არსებობს ორი ძირითადი ფაქტორი, რომელთა გამო ხალი შეიძლება გადაიზარდოს დაავადებაში: ულტრაიისფერი სხივები და ტრავმა

**თბილისის ქუჩები და ტელეეკრანები გაბუტულმა გოგოებმა დაიპყრეს — გაბუშტულტუჩებიანებმა, გუინპლენივით ყურებამდე გახეულპირიანებმა და შერუჯულ-გაშავებულმა სუსტი სქესის წარმომადგენლებმა.**
**მოდის ზაფხული და სოლარიუმებიდან შავი ზღვის პლაჟებზე გადაინაცვლებენ ჩვენი ბიკინებიანი ლამაზმანები. დაიწყება მზის სხივებზე საკუთარი ჯანმრთელობის მსხვერპლშეწირვის მასობრივი რიტუალი.**
**ექიმები გვაფრთხილებენ: „გარუჯვის მიზნით ადამიანები საათობით ეფიცხებიან მზის სხივებს. ერთ-ერთი უარყოფითი გავლენა, რომელიც ულტრაიისფერმა სხივებმა შეიძლება იქონიოს, კეთილთვისებიანი ხალის შესაძლო გადაგვარებაა ავთვისებიან სიმსივნედ — მელანომად“.**
**ამ თემაზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიეთ საქართველოს უნივერსალური სამედიცინო ცენტრის კანის, რბილი ქსოვილებისა და ძვლების პათოლოგიების განყოფილების წამყვანი ონკოქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჩირინაშვილი.**



— ერთი ასეთი ზოგადი შესავლით დავიწყებ საუბარს. შემდეგ გადავიდეთ კონკრეტიკაზე. გულსისხლძარღვოვანი პათოლოგიები მსოფლიოში და ჩვენთანაც პირველ ადგილზეა. შემდეგ მოდის ონკოლოგია, მაგრამ, თუ ონკოპრევენციით გამოსავალს ვერ ვიპოვით, თუ ნაადრევი მომართვიანობა არ იქნება, ონკოლოგიურმა დაავადებებმა შეიძლება გაუსწროს გულსისხლძარღვთა დაავადებებს.

სამწუხაროდ, ჩვენთან ონკოლოგიური ავადმყოფების 70 პროცენტი მაშინ მოგვმართავს, როცა დაავადება მესამე-მეოთხე სტადიაშია.

**— მიზეზი?**

— ჩვენი მენტალური თავისებურებაა, გნებავთ, ჯანდაცვის სისტემის ბოლომდე დაულაგებლობა. ალბათ, შიშის ბრალიცაა, შინაგანი კულტურის არქონისაც და ა. შ. პაციენტი დარწმუნებულია, რომ დიაგნოზი განაჩენია, ამიტომაცაა გაწყვეტილი კავშირი ექიმსა და პაციენტს შორის.

კანის კიბოს ავადობის მაჩვენებელი საგრძნობლად იზრდება და ხშირად სიმსივნედ ყალიბდება. სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს დიაგნოზიდან ყოველი მესამე კანის კიბოა. მისი კოეფიციენტი მსოფლიო მასშტაბით წელიწადში 2-დან 3-მილიონამდე ახალ შემთხვევას აღწევს. მათ შორის 132 ათასი მელანომაა.

ავადობის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება მოსახლეობის მზეზე ხანგრძლივად ყოფნა, ეს ერთი; და მეორე, — ხელოვნური ულტრაიისფერი წყაროების გამოყენება, იგივე სოლარიუმები.

**— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა: სოლარიუმებში ვინ საზღვრავს დასხივების ინტენსივობას?**

— სამწუხაროდ, ამის განმსაზღვრავი არავინაა, თანაც — ინდივიდუალურად, პაციენტების კანის მდგომარეობიდან გამომდინარე.

**— ეს რას ნიშნავს?**

— იმას, რომ ადამიანებს სხვადასხვა ტიპის კანი აქვთ: თეთრი, წითური, შავგვრემანი. ყველას კანში გვაქვს პიგმენტი მელანიდი, გარკვეული ნორმით. მისი ჭარბი დაგროვება პიგმენტურ წარმონაქმნებში შეიძლება გახდეს გაავთვისებიანობის მიზეზი. ერთ-ერთი ფაქტორი ულტრაიისფერი სხივებია.

**— მითხარით, გეთაყვა, რით და როგორ განვასხვავოთ ხალი მელანომისგან? ხალი სილამაზის ატრიბუტია („პირზე გაქვს ხალი, შავ-შავი თვალი“, ხომ გახსოვთ, ხანუმ არაქელოვნას (მედეა ჩახავას) რომ უმღეროდა შეყვარებული ეროსი მანჯგალაძე რუსთაველის თეატრის სცენაზე) თუ საშინელი დაავადების — კანის კიბოს დალი?**

— ეს არ არის პაციენტის საქმე. სპეციალისტმა უნდა განსაზღვროს. გეტყვით, როდის უნდა მიაქციოს ადამიანმა ამას ყურადღება, შემდეგ კი ექიმმა უნდა თქვას საბოლოო სიტყვა, ანუ დასვას დიაგნოზი.

ხალი შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძენილი.

**— ან მიხატული...**

— იყო ასეთი მოდაც... სიმპტომები (თანდაყოლილისაც და შეძენილისაც) რამდენიმეა, რომელთა შემჩნევისთანავე პაციენტმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს: სწრაფი ზრდა მოცულობაში, ასიმეტრიულობა მისი ფორმის, შეფერილობის ინტენსიურობა — უფრო მოშავო ხდება. თუ წითელი ყაეთანი გაუჩნდება გარშემო, ეს უკვე სერიოზული საფრთხეა. სისხლმდენი თუ გახდა (გაუჩნდა ნახეთქები) და ეს ტრავმის შედეგი არ არის, იმას ნიშნავს, რომ პაციენტმა ძალიან მიუშვა ავადმყოფობა და ეს გაცილებით საშიშია. არის სხვა სიმპტომატიკაც.

**— ე. ი. ხალი მუდამით კი არ უნდა შეამკო, პირდაპირ ექიმთან უნდა წაიყვანო შენი მუზა და სიყვარული.**

— *(ღიმილი).* ჩვენი მოსახლეობა ყველაფერს ხალს უწოდებს — დერმაგოფიბრომასაც, ჰემანგიომასაც, სებორეულ კერატოზსაც...

**— მარტო ეს ჩამონათვალი შეგაშინებს.**

— მაგრამ ყველა საშიში არ არის, ზოგიერთი აბსოლუტურად კეთილთვისებიანია.

გავაგრძელოთ.

როგორც იქნა, გადაბრუნდა ურემი და მოვიდა ჩვენთან ავადმყოფი. იწყება მეორე რაუნდი. გამოვკითხავთ ყველაფერს — რა და როგორ მოხდა და ვიწყებთ გაღრმავებულ კვლევას. ვაკეთებთ მრავალჯერ გადიდებულ დერმატოსკოპიას და სურათი ნათელი ხდება, ხელისგულზე იდება.

**არსებობს ორი ძირითადი ფაქტორი, რომელთა გამო ხალი შეიძლება გადაიზარდოს დაავადებაში: ულტრაიისფერი სხივები და ტრავმა. ანაბეჭდის აღება და მისი მიკროსკოპული გასინჯვა სრულყოფილ დიაგნოზს გვაძლევს.**

**— რა უნდა გავაკეთოთ, ასეთი დიაგნოზი თავიდან რომ ავიცილოთ, განსაკუთრებით მათ, ვინც საზღვაო კურორტებზე აპირებს ზაფხულის გატარებას?**

— როგორც ვთქვი, ხალის სიავეში გადასვლის ორი — ეგზოგენური და ენდოგენური — ფაქტორი არსებობს. ულტრაიისფერი სხივების ინტენსივობა დამოკიდებულია ჰორიზონტის ხაზთან მზის დაცილებაზე, გეოგრაფიულ განედზე, სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ოზონის შრეზე, არეკვლასა და ბევრ სხვა ფაქტორზე.

დაახლოებით დილის 11 საათიდან 3-4 საათამდე ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედება ზენიტს აღწევს. დაახლოებით 12 საათიდან ამას ემატება ინფრაწითელი სხივები. მათი ერთობლიობა უფრო დიდი საფრთხის შემცველია ადამიანისთვის.

ხოლო დილის 10 საათამდე, 11-ის ნახევრამდე ულტრაიისფერ სხივებზე გარუჯვა სასარგებლოც კი არის.

ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადამიანებმა, რომელთაც გამოკვეთილი აქვთ რისკფაქტორები. ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც აქვს ეს ხალები — რისკფაქტორები, ვურჩევ, ზღვაზე წასვლის წინ აუცილებლად მიაკითხოს ექიმს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გაფაციცებული უნდა იყოს ოჯახის ექიმის ინსტიტუტი.

**— თერაპევტი.**

— დიახ, თერაპევტი. მან უნდა გადაამისამართოს მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ადამიანები სპეციალისტთან. თერაპევტმა ძალიან კარგად იცის, რომ კანზე არსებული გამოვლინებებიდან ბევრი მეორადი ხასიათისაა. კანი ეკრანია სხვადასხვა დაავადების — ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ენდოკრინოლოგიური დაზიანების, ალერგიული და ბევრი სხვა ფაქტორის.

**— ასაკობრივი ფაქტორი თუ მოქმედებს მელანომის განვითარებაზე?**

— ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ხუთიოდ ხალი, ზოგიერთს — ათასამდეც კი...

**— აუჰ!**

— დიახ, ასეა. გააჩნია ადამიანს, მის გენეტიკურ დატვირთვას, დამოკიდებულებას მზესთან. ასაკოვან ადამიანებში განსაკუთრებით ხშირია სებორეული კერატოზი.

**— რას ნიშნავს? ამიხსენით, თუ შეიძლება.**

— სებორეული კერატოზი კეთილთვისებიანია, მელანომისგან განსხვავებით. დიფერენციაცია ექიმმა უნდა დაადგინოს. ასაკობრივი დაავადებაა.

**— გასაგებია, მაგრამ ასაკოვან ადამიანებს მაინცდამაინც არ ემუქრება ულტრაიისფერი სხივებით დასნებოვნება. ახალგაზრდობა კი არად დაგიდევს ექიმის რჩევებს და ესაა საწუხარი.**

— აქ გადამწყვეტია ადამიანის დომინანტური ფაქტორი, მისი მისწრაფება, რაც შეიძლება მეტად გაირუჯოს. მას, ამ ადამიანს ჩაკეტილი აქვს უნარი, რომ მისმა ასეთმა ჯიუტმა გატაცებამ შეიძლება რაიმე ვნება მოუტანოს. ზოგიერთმა შეიძლება იცის კიდეც, რა საფრთხე ელის, ზოგიერთს არც გაუგია და არც აინტერესებს.

**— ხამობის ბრალია უთუოდ. უნახავმა რა ნახაო, მოგეხსენებათ... ახალგაზრდები თუ მოგმართავენ, ბატონო ალექსანდრე?**

— მომმართავენ, მოდიან. მქონდა ბევრი შემთხვევა, როცა მელანომის მეტასტაზები ლიმფურ ჯირკვლებშია განვითარებული, როცა აუცილებელია რადიკალური ოპერაციების გაკეთება. ამას გარდა, ასეთმა ავადმყოფმა კიდევ უნდა ჩაიტაროს მედიკამენტოზური მკურნალობის, იმუნოთერაპიის კურსი და ა. შ., რომელიც დიდ ხარჯებთან და წვალებასთან არის დაკავშირებული.

**— შველის?**

— თუ პირველ-მეორე სტადიას მივუსწარით, ქირურგიული რადიკალური ჩარევის შედეგად, როცა ლაბორატორიული დასკვნა მაგიდაზე გვიდევს და სიღრმეში პირველი-მეორე ხარისხის ინვაზია, ანუ ჩაზრდაა, ასეთ შემთხვევაში, პაციენტებს აღარაფერს ვუნიშნავთ, მხოლოდ მეთვალყურეობის, მონიტორინგის ქვეშ გვყავს. ისინი დღესაც კარგად არიან და ყველაფერი დავიწყებული აქვთ. ვლაპარაკობ დიაგნოსტირებული, ავთვისებიანი მელანომის შემთხვევებზე.

როცა დაავადება სიღრმეში უფრო მეტადაა ჩასული, რომელსაც მხოლოდ ლაბორატორიული კვლევა ადგენს, და მეტასტაზები ჯერ არ შეიმჩნევა, ასეთ შემთხვევაში, დამატებით მედიკამენტოზურ მკურნალობას ვუნიშნავთ.

მელანომის მეტასტაზირება მესამე სტადიაზე ლიმფურ ჯირკვლებში ხდება, ხოლო მეოთხე სტადიაზე ავადდება ფილტვი, ღვიძლი, ტვინი, ძვლები, შეიძლება ნებისმიერ სხვა ორგანოშიც ჩამოყალიბდეს, იმდენად არატიპური მიმდინარეობით ხასიათდება დაავადება.

მაშინ მკურნალობა გაცილებით რთულია.

**— და ყველა ეს უბედურება იწყება ხალით, ერთი პატარა ლაქით ადამიანის სხეულზე.**

— როცა ამ დაავადების დიაგნოზი უტყუარად არის დასმული, ჩათვალეთ, რომ სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია. თუ დროზე არ მივხედეთ, დაიწყებს მეტასტაზირებას.

**— ბოლო შეკითხვა. საქართველოს უნივერსალური სამედიცინო ცენტრის ჩინური წარმოშობის კანადელი ბიზნესმენების ინვესტირების პირობების შეუსრულებლობის გამო სახელმწიფომ ცენტრის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გაგრძელდება თავის თავზე აიღო. დღეისთვის რა გაკეთდა?**

— სამწუხაროდ, არაფერი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ სახსრებიდან ჩვენმა ქვეყანამ დაფარა ყველა საგარეო ვალი, რომლებსაც, როგორც ჩანდა, ვერსოდეს გავისტუმრებდით. ზუსტად ამის იმედი ჰქონდა დასავლეთს, როდესაც აქტიურად აძლევდა კრედიტს მომაკვდავ საბჭოთა კავშირს და „ახალგაზრდა რუსულ დემოკრატიას“. აქ ძალიან მარტივი პრინციპია: ვალებში ჩაფლული რუსეთი ვერაფრით შეძლებდა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას და ყოველთვის იძულებული იქნებოდა, თავისი კრედიტორების აზრი გაეთვალისწინებინა.**




# ეძებეთ ნავთობი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №18 (253)

**ცნობილ გამოთქმას თუ დავესესხებით, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ: ყველაფრის თავიდათავი ნავთობია. ნახშირწყალბადების გარეშე წარმოუდგენელია თუნდაც ერთი თანამედროვე წარმოება. შავი სითხის შადრევნები თუ დაშრება, ყველას ცუდი დღე დაგვადგება. ხშირად გვესმის, რომ რუსეთმა ვერ ისწავლა მუშაობა, უბრალოდ, ჭრის ნავთობის კუპონებს და წესიერს არაფერს აწარმოებს.
ამის მთქმელს ბოროტად ელიმება:
რას გააკეთებთ, როცა ნავთობი გათავდება?**

ტყუილად ილიმის. ეს კითხვა ხომ თამამად შეგვიძლია მასაც დავუსვათ: რას აპირებთ, ბატონო ან ამხანაგო, როდესაც რუსეთში, საუდის არაბეთსა და შორეულ ეკვადორში ნავთობი გათავდება? რუსეთს ხომ უზარმაზარი ტერიტორია აქვს, არქტიკული შელფი და მუდმივი ყინული, რომელშიც ყველაფრის პოვნა შეიძლება, თუ კარგად მოძებნის; და **რას გააკეთებს ნორვეგია? ყატარი როგორ იცხოვრებს? როგორი ბედი ეწევა არაბეთის საამიროებს? რატომღაც არავინ სვამს ამ კითხვებს და მხოლოდ რუსული ნავთობის ბედი „ანაღვლებს“.** თითქოს ძვირად ღირებული რესურსი მხოლოდ ჩვენ ამოგვეწურება. სხვადასხვა შეფასებით, **რუსეთს აქვს მსოფლიო ნავთობის მარაგის 6-15%. თითქოს ბევრი არ არის, მაგრამ დარჩენილი პროცენტები ერთ ქვეყანას არ ეკუთვნის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ჩვენთან ნავთობის მარაგი ამოიწურება, პრაქტიკულად, ყველგან მსგავსი რამ მოხდება.**

აი მაშინ, ზოგი (ჩვეულებრივ, დღევანდელი რუსეთის ხელისუფლებით უკმაყოფილო) იტყვის, რომ რუსეთს მოუწევს „ნავთობის ნემსიდან“ გადაჯდომა და ზომების მიღება, მისი ეკონომიკა რომ არ დაინგრეს. სინამდვილეში ცნობილ „ნემსზე“ რუსეთი სულაც არ ზის. **პრინსტონის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა ჯეფრი ჰერბსტმა ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა სია ქვეყნებისა, რომლებიც დიდწილად დამოკიდებულნი არიან მინერალური რესურსების ექსპორტზე. მათ შორის რუსეთი არ არის. ესენია: ქუვეითი, ანგოლა, ნიგერია, უგანდა, ირანი, ერაყი, ლიბია, ომანი და საუდის არაბეთი. აი, ვის მოუწევს "ნავთობის ნემსიდან" გადაჯდომა.** რუსეთის მოქალაქეებს კი შეუძლიათ, წყნარად უყურონ მიმავალს და არ აჰყვნენ პანიკურ პუბლიკაციებსა და გამოსვლებს. ასეთი „საშინელებათა ფილმები“ გათვლილია მხოლოდ ემოციებზე და მათ ერთი მიზანი აქვთ: გაურკვევლად წარმოგვადგენინონ ხვალინდელი დღე, უმიზეზოდ დათესონ პანიკა და მღელვარება! რატომ? იმიტომ, რომ ნავთობის გარდა, რომელიც ჩვენ არც ისე ბევრი გვაქვს, ღმერთმა დააჯილდოვა რუსი ხალხი ბუნებრივი აირის გაცილებით სერიოზული მარაგით. **რუსეთს აქვს ცისფერი საწვავის მსოფლიო მარაგის დაახლოებით 30-36%, მაგრამ არც ეს არის საკმარისი ოპტიმიზმისთვის. საქმე სულ სხვა რამაა.**

როდესაც კმაყოფილი იფშვნეტენ ხელებს რუსეთის ნავთობის მარაგის სწრაფ დაცლაზე საუბრისას, **რატომღაც არავინ სვამს კითხვას: როგორ იარსებებს დანარჩენი ქვეყნების ეკონომიკები? ჩვენთან ერთად „ნავთობის ნემსზე“ სხედან აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია და პლანეტის სხვა მრეწველობაგანვითარებული ქვეყნები. როგორ იმუშავებს მათი მეურნეობა, თუ გაქრება ის, რისგანაც აწარმოებენ ყველაფერს?** ავიღოთ, მაგალითად, თანამედროვე ავტომობილი. მასში ნავთობი საწვავის სახით ასხია, მაგრამ ეს მის შექმნაზე დახარჯული ნახშირწყალბადის მხოლოდ მცირე ნაწილია. თანამედროვე ავტომობილების დიდი ნაწილი გაკეთებულია პლასტიკატისგან, რომელსაც ნავთობისგან ამზადებენ. ავტომობილის სალონი გაწყობილია „ბუნებრივი“ ტყავით, რომელიც სულაც არ არის საბრალო ცხოველების ტყავისგან დამზადებული.

ავტომობილი დგას საბურავებზე, რომელთა წარმოებაშიც უზარმაზარ როლს ასრულებს ნახშირწყალბადები. როდესაც ერთიანად ამოიწურება ნავთობი, რა ბედი ეწევა იაპონიისა და გერმანიის მანქანათმშენებლობას, რომლებიც ვითომ არ სხედან „ნავთობის ნემსზე“? **ან სინთეტიკური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მსოფლიო წარმოება რა გზას გამონახავს? რას იზამენ ყველა ეს „ნაიკები“, „რიბოკები“ და „ადიდასები“, ისინი ხომ სრულიად არაბუნებრივები არიან? რით ჩაანაცვლებენ საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის მსოფლიო მწარმოებლებს ტელევიზორებისა და მაგნიტოფონების, ვიდეოპლეერებისა და სამზარეულოს კომბაინების სინთეტიკურ კორპუსებს?** მაგრამ ესეც კი ძალიან უმნიშვნელოა საწვავის პრობლემებთან შედარებით. გათბობა ნავთობით იგივეა, რაც ასიგნაციებით გათბობა. ეს აქსიომა ყველამ იცის, თუმცა მაინც თბებიან. და რით გაათბებიან შემდეგში — ნამდვილი ასიგნაციებით? თანამედროვე ცივილიზაცია ისე ძლიერ არის დამოკიდებული ნავთობსა და მის შემადგენელზე, რომ შავი ოქროს გამოყენების გარეშე არსებობის წარმოდგენა შეუძლებელია. როდესაც ამოიწურება ნავთობი, ცუდი დღე რუსეთსა და ქუვეითს კი არა, კაცობრიობას დაადგება. და ამიტომ ამის გამო მარტო ჩვენ არ უნდა მოვიკლათ თავი.

ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის, ეს საყოველთაო პრობლემაა და მისი გადაწყვეტა ისევ დედამიწის მოსახლეობაზეა დამოკიდებული. ჩვენი ამოცანაა, განვავითაროთ ეკონომიკის ახალი სფეროები და ისტერიკაში არ ჩავცვივდეთ ნავთობის ამოწურვის საკითხის გამო.

**მთავარი ამოცანა რუსეთის ნავთობის მრეწველობის მუშაობის ისე მოწყობაა, რომ ჩვენი ნავთობის დიდი მდინარიდან ჩვენს ბიუჯეტში დარჩეს ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ნალექი.**

ახლა კი ვისაუბროთ სტაბფონდის შესახებ. ჩვენი სტაბილიზაციის ფონდი ადამიანი რომ იყოს, უეჭველად შავი ფერის კანი ექნებოდა. ის რუსეთის ხელისუფლებისა და ნავთობის მაღალი ფასების შვილია. რუსეთის ფედერაციის სტაბილიზაციის ფონდი, რომელიც 2004 წლის 1 იანვარს შეიქმნა, არის (უფრო სწორად — იყო) ფედერალური ბიუჯეტის ნაწილი. მისი შემავსებელი წყაროებია — ნავთობის მოპოვებაზე გადასახადი და საექსპორტო მოსაკრებელი მასზევე. ნავთობის ნალები სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ზღვარს ზევით მიიღება სტაბილიზაციის ფონდში, რომლისგანაც „ბავშვი“ იზრდება დღეების კი არა, საათების მიხედვით. მისი ზუსტი „სიმაღლე და წონა“ რთული გასაგები არ არის: ამისთვის საკმარისია ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ საიტზე შესვლა.



რუსეთს აქვს მსოფლიო ნავთობის მარაგის 6-15%. თითქოს ბევრი არ არის, მაგრამ დარჩენილი პროცენტები ერთ ქვეყანას არ ეკუთვნის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ჩვენთან ნავთობის მარაგი ამოიწურება, პრაქტიკულად, ყველგან მსგავსი რამ მოხდება

ჩვენი „ბავშვის“ ზრდის დინამიკა საკმაოდ შთამბეჭდავია. ისევე, როგორც ზღაპრული ილია მურომეცი, ჩვენი სტაბილიზაციის ფონდიც გაიზარდა. რამდენის საშუალება იქნება მასში იმ მომენტში, როდესაც თქვენ ამ წიგნს კითხულობთ, ასევე საკმაოდ ადვილი გამოსაცნობია – არც ერთი. იმიტომ, რომ რუსეთის ფედერაციაში სტაბილიზაციის ფონდი არ არსებობს. **2007 წლის 12 აპრილს სახელმწიფო დუმამ დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, მის საფუძველზე, 2008 წლის 1 თებერვალს წარმოიქმნა ორი ფონდი: ეროვნული კეთილდღეობისა და სარეზერვო.** მათი აქტივებიც საკმაოდ შთამბეჭდავია. სარეზერვო ფონდის სახსრების სრულმა ოდენობამ 2008 წლის 1 მაისისთვის შეადგინა 129,8 მლრდ დოლარი (ანუ 3 069,47 მლრდ რუბლი), ხოლო ეროვნული კეთილდღეობის ფონდმა – 32,72 მლრდ დოლარი (ანუ 773,82 მლრდ რუბლი). ამიტომ სწორი იქნება, დღეს თუ ვახსენებთ სტაბილიზაციის ფონდს კი არა, არამედ მის ორ შემადგენელს. მაგრამ ამ დასახელებამ ისე გაიდგა ფესვები ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში, რომ შემდეგშიც გამოვიყენებთ ძველ სახელწოდებას ამ „ყულაბისა“, რომელშიც რუსეთის ფედერაცია გულდასმით ყრის თავისი ნავთობის ზეშემოსავლებს, რათა გვქონდეს ის, რითაც ურდოს ხარკს გადავუხდით...

**ჩვენს ფინანსთა სამინისტროს მძიმე სამუშაო აქვს: უნდა აუხსნას ხალხს, რატომ არ შეიძლება სტაბილიზაციის ფონდის სამშობლოში დაბრუნება. თანაც ეს უნდა გააკეთდეს დამაჯერებლად, ისე, რომ ყველაფერი ნათელი და სარწმუნო იქნეს. ჯერჯერობით გამოსდით, მაგრამ, მგონი, ჩვენი ხელმძღვანელობა ამას ტყუილად აკეთებს.**

**პირდაპირ უნდა აუხსნან ხალხს, რა შედეგებამდე მიგვიყვანს სახელმწიფოს მარცხი და რა ძვირად დაგვიჯდება ეს ყველაფერი ქვეყნის მთელ მოსახლეობას!**

რომელი ურდო დაუწყებს კმაყოფილებით მზერას მის საწინააღმდეგო კამპანიას? მით უმეტეს, რომ დღევანდელი (და არა — მონღოლური) ურდოს ძალა კონკურენტი სახელმწიფოს მოქალაქეთა გონებისა და გულების ფლობაშია. უხერხულია საუბარი ძლევნზე, როდესაც ამ ურდოს წარმომადგენლებთან ერთად მოლაპარაკებების მაგიდასთან ზიხარ — გაეროში თუ რუსეთ-დასავლეთის სამიტებზე... სტაბფონდში მართლაც შთამბეჭდავი თანხა დაგროვდა. და მიუხედავად საწინააღმდეგო აზრისა, რომ ამ ფულს სიკეთე არ მოაქვს რუსული ეკონომიკისთვის, ფონდის ფულმა კარგი სამსახური გაუწია რუსეთს. უბრალოდ, ჩვენ თითქმის ვერ შევამჩნიეთ ეს. ამასობაში, **ამ სახსრებიდან ჩვენმა ქვეყანამ დაფარა ყველა საგარეო ვალი, რომლებსაც, როგორც ჩანდა, ვერსოდეს გავისტუმრებდით. ზუსტად ამის იმედი ჰქონდა დასავლეთს, როდესაც აქტიურად აძლევდა კრედიტს მომაკვდავ საბჭოთა კავშირს და „ახალგაზრდა რუსულ დემოკრატიას“. აქ ძალიან მარტივი პრინციპია: ვალებში ჩაფლული რუსეთი ვერაფრით შეძლებდა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას და ყოველთვის იძულებული იქნებოდა, თავისი კრედიტორების აზრი გაეთვალისწინებინა.** შეგახსენებთ, რომ სტაბფონდი 2004 წლის 1 იანვარს შეიქმნა. გავიდა მხოლოდ ერთი წელი და ფონდის სახსრებიდან გასტუმრებულ იქნა თითქმის მთელი საგარეო ვალი. ამასთანავე, დაიფარა რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის დეფიციტი და პენსიონერებმა დროულად მიიღეს თავიანთი ფული. როგორც სტაბფონდის დღევანდელი მდგომარეობის ციფრებიდან ჩანს, მან მშვიდობიანად გადაიტანა ამგვარი სისხლისღვრა და კვლავ აივსო ფულით. **და ეს ახალი სახსრები ჩადებულია აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებსა და ამერიკულ ვალუტაში...** ანუ, ცოტა გავერკვიეთ რა ჩვენი ფონდების ციფრებსა და სტრუქტურაში, მოდი, შევეცადოთ, გავერკვეთ სხვა საკითხებშიც, ▶

რუსეთს აქვს ცისფერი საწვავის მსოფლიო მარაგის დაახლოებით 30-36%, მაგრამ არც ეს არის საკმარისი ოპტიმიზმისთვის. საქმე სულ სხვა რამაა

გეოპოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრინსტონის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა ჯეფრი ჰერბსტმა ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა სია ქვეყნებისა, რომლებიც დიდწილად დამოკიდებულნი არიან მინერალური რესურსების ექსპორტზე. მათ შორის რუსეთი არ არის. ესენია: ქუვეითი, ანგოლა, ნიგერია, უგანდა, ირანი, ერაყი, ლიბია, ომანი და საუდის არაბეთი. აი, ვის მოუწევს "ნავთობის ნემსიდან" გადაჯდომა.

◀ რომელთაგან მთავარი შემდეგია: **რატომ გაჩნდა სტაბფონდი და მასში დიდძალი ფული მხოლოდ პრეზიდენტ პუტინის მმართველობის დროს?**

ეს თითქოს თავისთავად მისაღებია, ასეც უნდა იყოს. რადგან ქვეყანას გააჩნია ნავთობი, როგორ არ უნდა ჰქონდეს შემოსავალი მისი რეალიზებიდან? მიუხედავად ამისა, პუტინის მმართველობის დასაწყისამდე ჩვენი საქმე ასე მიდიოდა: ნავთობი არის, ბიუჯეტი არის, მაგრამ შიგნით ფული არ არის. როგორ გაჩნდა ასეთი ზღაპრები? ამ კითხვაზე პასუხს ყველა გაგცემთ. **ნავთობის გაყიდვიდან ფულს, უბრალოდ, იპარავდნენ და ზუსტად ამიტომ იყო ელცინის დროს ხაზინა ისეთივე ცარიელი, როგორც შეჭმული კვერცხის ნაჭუჭი**. ვიცით რა რუსი მაღალჩინოსნების მადა სახელმწიფო ფულის მიმართ, ეს არც გაგვიკვირდება გასაკვირი სხვა რამაა: „პერესტროიკის" დასაწყისში ხელმარჯვე რეფორმატორებმა, პირველ რიგში, ნავთობის ყველა ჭაბურღილის პრივატიზაცია მოახერხეს, გაიყვეს მომპოვებელი კომპანიებიც. ახალ რუსეთში არ იყო სახელმწიფო ნავთობის კომპანიები, იყო მხოლოდ კერძო, როგორც შეშვენის ნამდვილ საბაზრო ეკონომიკას, ანუ ვინ ვის ჰპარავდა იმ დროს? ნუთუ კაპიტალისტი-ოლიგარქები საკუთარ თავს?!

**აი, ამან უნდა გაგვაკვირვოს. ააშენეს რუსეთში ნავთობის მოპოვების სისტემა, როგორც მთელ „ცივილიზებულ სამყაროში", და ხაზინიდან ყველა ფულადი ნიშანი გაქრა. დღეს ხაზინაში ბევრი ფულია, ხოლო ნავთობის მოპოვებით დაკავებული არიან სააქციო საზოგადოებები, რომლებიც სახელმწიფო კომპანიებს წარმოადგენენ, რადგან მათი საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ეკუთვნის ან მათში საჭე „სახელმწიფოს მსახურთ" უჭირავთ.** საკვირველია, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვიმტკიცებდნენ, რომ კერძო ფირმა ნავთობმოპოვებაში გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე სახელწიფო. თუმცა საკუთარი თვალით ვხედავთ, რომ ყველაფერი პირიქითაა. ხოლო პროგრესული გაზეთები და დამოუკიდებელი რადიოსადგურები დილიდან საღამომდე გაჰყვირიან, რომ ყველაფერი ისე არ გვაქვს, როგორც ხალხს შეეფერება. აიღეს და **გააკოტრეს კარგი კომპანია „იუკოსი" და გადასცეს ჭაბურღილები სახელმწიფო და ნახევრად სახელწიფო წარმონაქმნებს, ე. ი. ნავთობს ნაკლებს მოიპოვებენ და მშობლიური რუსეთის ფედერაცია მიიღებს, საბოლოო ჯამში, ნაკლებ ნავთობდოლარებს, ვიდრე შეეძლო, თუკი რუსულ შავ ოქროს კერძო ოლიგარქი ამოტუმბავდა მიწიდან**. დასავლეთში მთელი ნავთობმოპოვება კერძო საქმეა... როდესაც ეს მოტივი კიდევ ერთხელ მოვისმინე, მომინდა, გავრკვეულიყავი, როგორ მიდის ნავთობის მოპოვების საქმე გონიერ დასავლეთში.

მსოფლიოში ნავთობის ბევრი ექსპორტიორია. ისინი განსხვავდებიან მარაგის სიდიდით, მოპოვების ხერხით, მაგრამ რესურსის „ამოტუმბვის" პროცესი თითქმის ყველგან ერთნაირადაა ორგანიზებული და სულაც არ არის ისე, როგორც ლიბერალი ეკონომისტები გვიყვებიან. უმსხვილესი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ნავთობის ექსპორტიორებს, არის ოპეკი. ამ ორგანიზაციის წევრთა ლომის წილი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე მოდის. სწორედ მათგან დავიწყებთ ჩვენს ნავთობურ ექსკურსს.



**არაბები ძალიან კონსერვატიულები არიან, თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრე «განათლებულ» ევროპელებს რომ მისცენ საექსპლუატაციოდ? არა, ეს ასე არ არის. ევროპელები დაუღალავად ქაჩავდნენ ნავთობს, როდესაც სპარსეთის ყურის რეგიონი მათ ეკუთვნოდათ. არაბული მონარქიების დამოუკიდებლობის პირობებში სიტუაცია შეიცვალა. სახელმწიფო ნავთობკომპანია დღესაც საკმაოდ ხშირად იზიდავს უცხოელებს. მაგრამ ამჯერად მათ საკუთარ პირობებს უყენებენ და მოგების ლომის წილი რჩება ქვეყანაში, რომელსაც შავი ოქროს მარაგი აქვს. აქ მარტივი პრინციპია: ნავთობის მოპოვება ისეთი მომგებიანი ბიზნესია, რომ სჯობს, ეს საქმე თვითონ გააკეთო**




მსოფლიოს მთავარი ნავთობმომპოვებელია საუდის არაბეთი — მონარქია სათავეში ემირით. ქვეყნის წიაღისეულს ექსპლუატაციას უწევს არა კერძო, არამედ სახელმწიფო კომპანია „საუდი არამკო" — ის მოიპოვებს მთელ არაბულ ნავთობს და ეს, არც მეტი და არც ნაკლები, მსოფლიოს ნავთობის მარაგის თითქმის მეოთხედია. ნავთობის მსოფლიო მარაგის 10% ქუვეითშია. ნავთობის ექსპორტი ამ ქვეყანამ 1946 წელს დაიწყო, მაგრამ ქუვეითური ნავთობის მილი სინამდვილეში 1960-იანების დასაწყისში ამუშავდა. 1960 წელს ჩამოყალიბდა ქუვეითის ნავთობის კომპანია, რომელშიც სახელმწიფოს წილი თავდაპირველად — 60%-ს, ხოლო 1975 წლიდან 100%-ს შეადგენდა.

**საკმაოდ უცნაური სახელმწიფო წყობა არანაირად არ დაეტყო არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნავთობბიზნესის ორგანიზაციებს. არაბეთის გაერთიანებული არაბული საამიროები შვიდი საამიროსგან (აბუ დაბი, დუბაი, შარჯა, აჟმანი, რას ალ-ხაიმა, უმ ალ-კაივაინი და ალფუჯაირა) შემდგარი ფედერაციაა. ყოველი საამირო ცალკე მონარქიაა.** მონარქიის ამ უნიკალურ ფედერაციაში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ფედერალური ეროვნული საბჭო, რომელშიც შედიან ამირები. ამ მემკვიდრეობითი მონარქებიდან ერთ-ერთს ირჩევენ პრეზიდენტად 5 წლის ვადით. შავი ოქროს მარაგი გაერთიანებულ არაბულ საამიროებში მსოფლიოს მარაგის 10%-ზე ოდნავ მეტია. თუმცა ნავთობის საქმეებში გაერთიანებულ საამიროებში წესრიგი ისეთი „დემოკრატიული" არ არის, როგორც პოლიტიკურ წყობილებაში. ნავთობის მრეწველობა თითოეულ საამიროში სახელმწიფოს მიერ კონტროლდება. ამასთანავე, შავი ოქროს საბადოების ექსპლუატაციას ეწევა არა შვიდი, არამედ ერთი სახელმწიფო ნავთობკომპანია. ეს არის აბუ დაბის ნავთობის ეროვნული კომპანია. სამართლიანობისთვის აღვნიშნავთ, რომ ნავთობის მოპოვების ასეთი ორგანიზაცია გაერთიანებულ არაბულ საამიროებში მხოლოდ XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა, ხოლო იქამდე შავ ოქროს დასავლური კორპორაციები ქაჩავდნენ. რატომ თქვეს არაბმა შეიხებმა დასავლური მონოპოლიების დახმარებაზე უარი და მისცეს თავისი წიაღისეული „არაეფექტურ" სახელმწიფო მონოპოლიას? პასუხი მარტივია – იმიტომ, რომ ის მათი საკუთრებაა.

საქმე ის არის, რომ XIX საუკუნიდან გაერთიანებული არაბული საამიროები ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდნენ და ცხოვრობდნენ არაბები ღარიბულად თავიანთ უდაბნოში, ვიდრე მხარის ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლუატაციით ინგლისელები იყვნენ დაკავებულნი. როგორც კი საამიროებმა დამოუკიდებლობა მოიპოვა (1971 წლის 2 დეკემბერს), სწრაფად დაისაკუთრა ნავთობის მოპოვება და გახდა მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანა. ჩვენს ქვეყანაში უყვართ გაერთიანებული საამიროების მაგალითად მოყვანა: როგორ შეიძლება საკუთარი ხალხის სასარგებლოდ დაიხარჯოს სახსრები, რომლებიც ბუნებრივი რესურსების გაყიდვით შემოდის. იმისათვის, რომ უდაბნოში აშენდეს თანამედროვე სასტუმროები და ქალაქები, „ზეეფექტურ" დასავლურ მონოპოლიებს ჯერ ნავთობის ჭაბურღილები უნდა წავართვათ. როცა ბრიტანეთის მეურვეობას დააღწია თავი, გაერთიანებულ საამიროებთან ერთად 1971 წლის სექტემბერში, მონარქია ყატარი სათავეში ემირით, ასევე მკაცრად აკონტროლებს თავისი შემოსავლის ძირითად წყაროს. ყატარის სახელმწიფო ნავთობკომპანია დაკავებულია საძიებო-სადაზვერვო სამუშაოებითა და ნავთობის მოპოვებით. ნავთობის გადამუშავებას სახელმწიფო სტრუქტურა აწარმოებს. კიდევ ერთმა მონარქიამ, რომელიც იმართება სულთნის მიერ — ომანმა რეგიონის სხვა ქვეყნებზე გვიან დაიწყო ნავთობის მოპოვება და ექსპორტი, მაგრამ სისტემა ანალოგიურია: წიაღისეული ომანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის განკარგულებაშია.

# იმისათვის, რომ უდაბნოში აშენდეს თანამედროვე სასტუმროები და ქალაქები, «ზეეფექტურ» დასავლურ მონოპოლიებს ჯერ ნავთობის ჭაბურღილები უნდა წავართვათ

**არაბები ძალიან კონსერვატიულები არიან, თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრე „განათლებულ" ევროპელებს რომ მისცენ საექსპლუატაციოდ? არა, ეს ასე არ არის. ევროპელები დაუღალავად ქაჩავდნენ ნავთობს, როდესაც სპარსეთის ყურის რეგიონი მათ ეკუთვნოდათ. არაბული მონარქიების დამოუკიდებლობის პირობებში სიტუაცია შეიცვალა. სახელმწიფო ნავთობკომპანია დღესაც საკმაოდ ხშირად იზიდავს უცხოელებს. მაგრამ ამჯერად მათ საკუთარ პირობებს უყენებენ და მოგების ლომის წილი რჩება ქვეყანაში, რომელსაც შავი ოქროს მარაგი აქვს. აქ მარტივი პრინციპია: ნავთობის მოპოვება ისეთი მომგებიანი ბიზნესია, რომ სჯობს, ეს საქმე თვითონ გააკეთო.** „მომპოვებლებს" გარედან მაშინ იზიდავენ, როდესაც საკუთარი ძალები, ინვესტიციები ან ტექნოლოგიები აღარ ჰყოფნით, ჭაბურღილებს კი არასოდეს ასხვისებენ.



## შვეიცარიის სასამართლომ ფაშისტური მისალმება ჩვეულებრივ ჟესტად ჩათვალა

**შვეიცარიის სასამართლოს უმაღლესმა ინსტანციამ გაამართლა ადამიანი, რომელმაც შვეიცარიელი მოქალაქეების მიერ ქვეყნისადმი ერთგულების ფიცის დადებისას ხელი ასწია და ფაშისტური მისალმება გაიმეორა.**

სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ეს ჟესტი რასობრივი სიძულვილით არ იყო გამოწვეული და ადამიანმა, უბრალოდ, თავისი მრწამსი წარმოაჩინა, რაც კანონით აკრძალული არ არის. ამასთანავე, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ, ამ ჟესტს რასობრივი იდეოლოგიის პროპაგანდის მიზანი რომ ჰქონოდა, მისი ჩვენება კანონით დაისჯებოდა.

შეგახსენებთ, რომ **გერმანიაში, ავსტრიასა და ჩეხეთში ფაშისტური მისალმება კანონით აკრძალულია და, ვინც მას გამოიყენებს, შეიძლება ციხეში აღმოჩნდეს. ეს ჟესტი აღიქმება სიძულვილის ყველაზე დიდ გამოხატულებად არამხოლოდ ებრაელების, არამედ ყველას მიმართ, ვინც ნაცისტების მხრიდან დევნას განიცდიდა.**

თუმცა ევროპაში სულ ცოტა ხნის წინათ რამდენიმე მსგავსი ინციდენტი მოხდა. მაგალითად, **2013 წელს საბერძნეთში საფეხბურთო კლუბ აეკის ნახევარმცველმა გიორგის კატიდისმა ფაშისტური მისალმებით აღნიშნა მოწინააღმდეგის კარში გატანილი ბურთი. ამის გამო საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ კატიდისს სამუდამოდ აუკრძალა ეროვნული ნაკრების მატჩებში მონაწილეობა.**

იმავე წელს აღშფოთება გამოიწვია ინგლისის პრემიერლიგის საფეხბურთო კლუბ „სანდერლენდის" მთავარ მწვრთნელად პაოლო დი კანიოს დანიშვნამ, რომელსაც არაერთხელ გამოუყენებია ფაშისტური ჟესტი.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებში ბოლო ხანს ფაშისტური იდეოლოგიისადმი დამოკიდებულების შემსუბუქება შეიმჩნევა. საბერძნეთში უკვე საკმაოდ პოპულარულია რადიკალური მოძრაობა „ოქროს განთიადი", უნგრეთში — პარტია „იობიკი", დიდ ბრიტანეთში — „თავდაცვის ინგლისური ლიგა". მართალია, ეს ორგანიზაციები უარყოფენ ნაციზმთან კავშირს, მაგრამ მათ მოქმედებებში ამ იდეოლოგიის ელემენტები აშკარად გამოსჭვივის: მაგალითად, ამ ორგანიზაციების წევრები მისალმების ნიშნად ხელს მაღლა სწევენ.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ილუზიებს ნუ გამოეკიდებით და მოხვეჭის მურტალი ბაცილა ნუ შეგეყრებათ, თორემ ხალხის ხელშეწყობით „აფრენილებს“ ისევ ხალხთან მოგიწევთ „დაფრენა“ და ქვეყნის ბიუჯეტი ბებიას სკივრი არ არის, საიდანაც მოპარული „ჩურჩხელისთვის“ მარტო ყურის აწევას რომ დაგაჯერონ!**

**საიდან დავიწყეთ და სად მივდივართ?! — ამას დავით უსუფაშვილი შთამბეჭდავად განმარტავს: ან ისევ რუსეთში უნდა დავრჩეთ, ან ევროპაში უნდა წავიდეთო. რუსეთმა სექსუალური აღვირახსნილობა, გარყვნილება, გეიაღლუმები და პედერასტების თარეში აკრძალა და მართლმადიდებლობის ზნეობრივი და მორალური რწმენის ერთგული დარჩა. ევროპაში წასვლა კი, ანტიდისკრიმინაციული კანონით, პედერასტიაში მის თავდაყირა გადაშვებას ნიშნავს. ჩვენ იმ ბრწყინვალე, სპეტაკი ზნეობის, ვაჟკაცობის, სინდისისა და ნამუსის შარავანდედით შემკული წინაპრების შთამომავლებად ვითვლებით, რომლებმაც ისტორიის ქარცეცხლში გამოატარეს ეს ქვეყანა და მსოფლიოს ხალხთა საგანძურს ქართველობა ღვთისმშობლის კურთხეულ მარგალიტად დაუტოვეს. ჩვენ აქ დავრჩებით, არსად წავალთ და პატიოსნად ვიცხოვრებთ.**

# ნატოში მიღება ისეთივე ბოდვაა, როგორც ერთსქესიანთა ქორწინებით «იბერიის გაბრწყინება»





ყველა თაობა თავის დროზე წინაპრად გადაიქცევა და წინამორბედის მკაცრი სამსჯავროს წინაშე ანგარიშის ჩაბარება მოუწევს. ვის მოუწევს ანგარიშის ჩაბარება? ყველა ქართველს — დაწყებული შრომის ოფლში ნაწრთობი მიწის მუშით, დამთავრებული სახელმწიფოს საჭეთმპყრობლით თუ ძალაუფლების მოსაპოვებლად ყველაფრის მკადრებელი სულიერით. რაკიღა ამ უწმინდეს მიწაზე დაიბადე და კაცთმოყვარეობის შარავანდედით შემკული ზნემაღალი ქართველის სახელს ატარებ, მშობელი ხალხის სხეულის ღრღნას თავი უნდა დაანებო.

**პარლამენტის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შვილს არ ასწავლის სამშობლოსთვის თავდადებას, ასწავლის, რომ პირადი ბედნიერებისთვის იბრძოლოს.**

ყველა ქართველის ვალია, თავისი შესაძლებლობის წილი სიყვარული და თავდადება უძღვნას სამშობლოს და მისი ერთიანობის ციხესიმაგრეზე თავისი წილი აგური დადოს, თუ ეს არ ხელეწიფება, ნგრევას მაინც ნუ შეეცდება.

რას უძლებს მრავალჭირგამოვლილი, მტაცებელთა მიერ დაგლეჯილი და გაძარცული საქართველო?! ვერც წარსულში და ვერც ახლა უცხოელი მტაცებელი ვერას დაგვაკლებდა, რომ არა კუჭის კარნახს აყოლილი, თანამდებობაზე დახარბებული ყეყეჩების ღალატი და ორპირობა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეროვნული მთავრობა ავირჩიეთ, რომლისთვისაც ევროამერიკელთა წინაშე მუცელზე ხოხვა უცხო იყო. არც მიწები გაუყიდია და არც სახალხო მეურნეობა გაუნადგურებია მეგობრის ნიღბიანი მტრების რჩევით... **ეროვნული ხელისუფლება ერთი წლის თავზე ცეცხლითა და მახვილით დაამხეს და ქვეყნის სადავეები მიართვეს თეთრ მელად მონათლულ, ქართველებისთვის უბედურების მომტან არსებას, რომელმაც საქართველოს ხერხემალში გადამტვრევა სამეგრელოს სასტიკი დარბევით დაიწყო და აფხაზეთის აწიოკებით დაამთავრა. მეანაბრეები გაძარცვა, მიწები და ქვეყნის სიმდიდრე გაანიავა, შემდეგ კი უმრავი მუხთლობით დამძიმებული ეს სოფლის მაოხრებელი გზირი კრწანისის რეზიდენციას შეეფარა. დაიშალა მისი „მოქალაქეთა კავშირი“, რომლის ნამსხვრევებზე, როგორც მედუზა გორგონას მოჭრილი თავის სისხლის წვეთებიდან, უამრავი ასპიტი პარტია გამოიჩეკა. ამათგან ყველაზე შხამიანმა — „ნაციონალურმა მოძრაობამ“ — ხელთ ხელისუფლების სადავეები იგდო.**

ცხრა წლის განმავლობაში ქართველთა თავზე სისხლიანი კოშმარის დოლაბივით ბრუნავდა „ნაციონალური მოძრაობის“ განუკითხაობა, რომლის მიზანი საქართველოს დაშლა, დაქუცმაცება, მოსპობა და ქართველთა გადაშენება იყო.

**ვინ ჩამოთვლის იმ უამრავ ბოროტებას, რომლებიც ამ კრიმინალურმა ბანდამ დაატეხა თავს მრავალტანჯული ქართველების შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ სამშობლოს. შორს აღარ იყო დრო ხალხის აბობოქრებისა, მაგრამ გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ხალხის რისხვა „ნაციონალური“ ჭირის კანონიერი არჩევნებით დამხობისკენ მიმართა. იოლი არ იყო ყველა არჩევნების გამყალბებელი, ბანდიტური ხელისუფლების ამ მეთოდით დამხობა, მაგრამ ხალხმა სასწაული ჩაიდინა და „ნაციონალურმა“ უბედურებამ პირველი მძლავრი პანღური იგემა.**

ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნება“ მოვიდა, რომლის კოალიციაში ისეთი პარტიებიც გამოჩნდნენ, ხალხის უნდობლობით „ნაციონალებს“ რომ არ ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტს ყვავის ბახალებად შეფარებულნი, შესაფერის მომენტამდე ერიდებოდნენ ყრანტალს.

რამხელა ბედნიერებაა ოცნების ახდენის მოლოდინი?! „ქართული ოცნება“ კი საქართველოს ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებაა. **„ნაციონალური“ ბანდისთვის დამსახურებისამებრ მიზღვის შედეგად აღდგებოდა სამართლიანობა, რასაც კარგად გრძნობდნენ „ნაციონალები“ და, ცხინვალის სისხლიანი ავანტიურის შემდეგ, მეორედ მოუწიათ გასაქცევად ბარგის შეკვრა, მაგრამ „ქართულ ოცნებაში“ შებუდებულმა ყვავის ბახალებმა ხმა ამოიღეს.** „ნაციონალები“ უნდა შევინარჩუნოთო, — ბრძანეს რესპუბლიკელებმა და მათ მხარი თავდაცვის მინისტრმაც აუბა, საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განლაგების მოთხოვნით რომ დაშოკა ნატო და გააკვირვა საქართველოს ხელისუფლება. ჯონჯოლის საკრეფად ტყეში გასული ქართველები ვერ დაუცავს და კოსმოსში რაკეტებს ეპოტინება. ჯერ ავღანეთში ქართული საზარბაზნე ხორცით გააოცა მსოფლიო; ახლა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის კაციჭამიებს უგზავნის ქართველ ვაჟკაცებს; **ვინ იცის, მომავალში სად გამოჩნდება ახალი მინოტავრი, ევროატლანტიკურ ლაქუცს აყოლილმა მინისტრმა ქართველი მამულიშვილების სისხლით რომ დააპუროს. ამერიკიდან კი ისეთი ჰონორით ჩამოვიდა, ეტყობა, მათი არმიის სერჟანტობა უკვე გაინაღდა და, თუ „მიშა მეორეობასაც“ დაჰპირდნენ, მალე ვიხილავთ ამერიკული ფაფის მისაღებად რიგში მდგარს მიშას შემდეგ.**

**ვინ იცის, მომავალში სად გამოჩნდება ახალი მინოტავრი, ევროატლანტიკურ ლაქუცს აყოლილმა მინისტრმა ქართველი მამულიშვილების სისხლით რომ დააპუროს. ამერიკიდან კი ისეთი ჰონორით ჩამოვიდა, ეტყობა, მათი არმიის სერჟანტობა უკვე გაინაღდა და, თუ «მიშა მეორეობასაც» დაჰპირდნენ, მალე ვიხილავთ ამერიკული ფაფის მისაღებად რიგში მდგარს მიშას შემდეგ.**

პარლამენტის თავმჯდომარემ კი ახალი ფრთიანი ფრაზა ააფრინა: „ნატოში თუ არ შევალთ, საქართველო გაქრებაო“. ამის გამგონე ევროპელმა ჭირისუფლებმა ცრემლის გუბეები დააყენეს. თუმცა საქართველო ადგილიდან ვერ გაატოკეს.

საქართველო ნატოს გარეშე ყველა შეუბრალებელი დამპყრობლის დროსაც არსებობდა, მაგრამ არც არაბებს, სპარსელებს, მონღოლებს თუ სხვა მოძალადეებს არ უკადრებიათ ისეთი სიბინძურის დაკანონება, როგორსაც ნატო თუ ევროკავშირი ითხოვს — ეს არის პედერასტების “აგულავების” დაკანონება.

ბოლოქანქარა რასმუსენისა და საქართველოს უბედურ პოლიტიკოსთა ურთიერთლაქუცი კი ისევ გრძელდება, მიუხედავად მისი სიყალბისა. რასმუსენმა განაცხადა თქვენ ნატოში მისაღებად რომ მელაქუცებით, მსიამოვნებს. თქვენც ხომ გსიამოვნებთ ნატოში მიღებას რომ გპირდებით და რაღას მთხოვთო?!

**ყველამ ვიცით, მთქმელმა და მსმენელმაც, რომ ნატოში მიღება ისეთივე ბოდვაა, როგორც ერთსქესიანთა ქორწინებით დემოკრატიის გასხივოსნება.**

საგარეო საქმეთა მინისტრმა ქალბატონმა, ეტყობა, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლის ფუნქციებიც კარგად შეითვისა და მთავარ როლზე დამტკიცებული უნიჭო მსახიობის თვითკმაყოფილი ღიმილით ისე გვამცნობს ჩვენს გაევროპელების მცდელობაზე, იფიქრებ, ევროსაბჭო ისე გაქრება საქართველოს გარეშე, როგორც საქართველო უნატოოდო. **ევროპა კი თავის დემოკრატიულობას პედერასტების დროშით ახვევს თავს მისგან მოჯადოებულ მთავრობებს, რომლებსაც გარყვნილებაზე როკვა ხალხის რისხვად ექცევათ.**

დღეს კი რესპუბლიკელი პარლამენტარი, რომლის გადეპუტატება ხალხის ბრალი ნამდვილად არ არის, იკვეხნის, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება „ნაციონალებმაც“ კი ვერ გაბედეს და ჩვენ ვერაფერმა შეგვაჩერაო. ხალხის ნების წინააღმდეგ თავხედობა სადაც გაიყვანთ, გაღმიდან გამოგვძახონ. პედერასტების აგულავების კანონიც ურთიერთჩახუტებითა და წარმოუდგენელი შეხმატკბილებით მიიღო ყველა დეპუტატმა ისე, რომ ერთს არ წამოუკნავლია, არ გვინდა გარყვნილების დაკანონებაო.

**ნურც იმას დაივიწყებენ, რომ ცოდვიან შენობაში სხედან, სადაც სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის ობელისკის დანგრევას „ნაციონალებმა“ უცოდველი დედაშვილის სიცოცხლე შესწირეს. ყოველივე ამის შემდეგ ამ ცოდვით გაპოხილ შენობაში ისევ მათი უსირცხვილო ღავღავი ისმის, რომელიც ხალხს შეახსენებს, რომ, რაკი ესენი არ ფიქრობენ პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებზე, თვითონ უნდა იზრუნოს ამაზე.**

„ქართულ ოცნებას“ კი დაავადებასავით შეჰყრია ნაცისტებზე გულდამწვარი პარტიები. სასამართლოს თავისუფლებას რომ იკვეხნიან, სადაც კუბლაშვილების დიქტატი მძვინვარებს, ერთი მოსამართლეც არ მიუღიათ „ნაციონალთა“ ფილტრში გავლის გარეშე. გული იმაზე დაგწყდება, რომ მოსამართლეების შერჩევის წესს კვლავ კუბლაშვილის ნიღაბჩამოხეული თვითნებობა აგრძელებს.

**სასამართლოში „ნაციონალების“ პარპაში** — ასე შეიძლება ეწოდოს ემზარ კვიციანის დაპატიმრებას. კაცმა ყველაზე მძიმე ჟამს შეინარჩუნა კოდორის ხეობა და ის აფხაზებთან ძმობის აღდგენის კარიბჭედ აქცია. რა აღწერს იმ ღალატთან წილნაყარი „ნაციონალების“ ბოროტებას, რომელიც მათ კოდორის ხეობაში ჩაიდინეს და ბოლოს ისე მოაგლიჯეს საქართველოს, რომ ეს ღალატი გმირობად მიითვალეს, ემზარ კვიციანი კი სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს.

შეიცვალა სიტუაცია და კვიციანმაც ავ-კარგის გასარჩევად მიაკითხა „ნაციონალების“ ღალატით კიდევ უფრო შემცირებულ სამშობლოს. კუბლაშვილის სასამართლომ კი უამრავი ავტორიტეტული ადამიანის შუამდგომლობა არ გაითვალისწინა და დააპატიმრა. **მე, პირადად, არ ვიცნობ კვიციანს, არც მის დედას, ქალბატონ ნორას, მაგრამ არც ცოტნე დადიანს, მღვდელ თევდორეს, მაია წყნეთელსა და სამშობლოსთვის თავდადებულ სხვა უამრავ მამულიშვილს არ ვიცნობდი, ასე რომ ეთაყვანება მათ ხსოვნას მადლიერი ქართველი ხალხი. ემზარ კვიციანი და ქალბატონი ნორა ქართველი ხალხის ღირსეული შვილები არიან, ქვეყნის მოღალატე „ნაციონალთა“ სასამართლოს კი დღესაც ვერ შეუგნია, რომ ხალხი არც ისეთი გულმავიწყია, როგორიც მათ ეჩვენებათ.**

ნურავის დაავიწყდება, რა სისხლიანი ძალადობა დათარეშობდა ქვეყანაში ნაციონალთა სახით. განა ვლადიმერ ბედუკაძის მიერ ნაციონალთა კაცთმოძულეობის, ჯერ არნახული საქციელის მხილება ხალხისა და ქვეყნისთვის თავდადების ტოლფასი ▶

**დიდი შრომა, ენერგია და სიყვარულია ჩაქსოვილი ამ შესანიშნავ ალბომში (შემდგენელები — ალეკო და ვერა ფურცხვანიძეები, დიზაინი — გიორგი დოლიძისა, ფოტოგრაფი — რომან ფოთელიძე) და დარწმუნებულიც ვარ, რომ ამ მონდომებას უსათუოდ იგრძნობს და დააფასებს მკითხველი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისევ უნდა დავუბრუნდე დელაკრუას ცნობილ ფორმულას „ნახატის უპირველესი ღირსება ის არის, რომ თვალისათვის დღესასწაული შექმნასო“ და დავადასტურო, რომ მხატვარი, რომლის შემოქმედებასაც ეძღვნება ალბომი, ამ დღესასწაულს ნამდვილად უქმნის მკითხველს, მაგრამ არა — გამოცემის მესვეურები, ანუ, სხვა სიტყვებით, ისევ ვუჩივი ურედაქტორობას.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ არ იყო?! ბედუკაძის მიერ გამოქვეყნებული ნაციონალთა მხეცობის ფაქტები რომ არა, „ნაციონალური მოძრაობის“ დამხობა შეიძლება საეჭვო გამხდარიყო. ციხეებში დატრიალებულ სისასტიკეზე ბევრი რამ არის ცნობილი. მე კი ერთი ყოფილი პატიმრის მიერ მოყოლილს გავიხსენებ: **რვაკაციან საკანში ოცდაათი კაცი ძლივს სუნთქავდა. ერთს გული გაუხდა ცუდად, იხრჩობოდა. ზედამხედველებს ეს რომ აცნობონ, შემოცვივდებიან, მომაკვდავს გაიყვანენ და დანარჩენებს კი ცემით მიასიკვდილებენ. იქნებ მოითმინოს, თორემ ჩვენ ცემით ძვალ-რბილს გაგვიერთიანებენ, — წამოსცდა ერთს. კაცი კვდება, გაიყვანონ, ცემას უნდა გავუძლოთ, ერთხმად გადაწყვიტეს... ასე ცდილობდნენ ადამიანში ადამიანობის ჩაკვლას.**

კახელ ტრაქტორისტ ბიჭს ცემით ლამის სული ამოჰხადეს,— ქურდებს შეაგინეო. ის კიდევ გაჯიუტდა და არ შეაგინა, შედეგად ცოცხალ-მკვდარი შეუგდიათ რომელიღაც საკანში. ეს ქურდებს რომ შეუტყვიათ, თავიანთ საკანში ბიჭის გადაყვანა მოუხერხებიათ. უკითხავთ,— რისთვის გცემდნენო? ბიჭს არ სცოდნია, ვის საკანში გადაიყვანეს, — რა ვიცი, მაძალებდნენ, ქურდებს შეაგინეო, პრინციპის საქმეა, რაზე უნდა შემეგინებინა, თორე ქურდების დედაცო... ქურდები სიცილით გადაფიჩინებულან, რადგან ამ ნაცისტებივით მანიაკი კაცთმოძულეები არ ყოფილან.

**ხალხს კი გაჭირვებასთან ჭიდილის ძალა შემოელია და იმედის სხივიც უკვე ჩაქრობაზეა. გოგია უიშვილის ამბავი გვიკვირდა. ახლა კი იმაზე უარეს უბედურებას განვიცდით. როგორი სასოწარკვეთილი უნდა იყოს ოჯახის მამა, რომ თავი მოიკლას, მის დასაკრძალავად შეგროვილი ფულით შვილს ოპერაცია რომ გაუკეთონ?!**

ამ საზარელი თვითმკვლელობის გამო ქვეყანაში გლოვა უნდა გამოცხადებულიყო, რადგან გაუსაძლის ყოფაში ათასობით ოჯახია. მათი მინისტრები კი ტელევიზორის ეკრანიდან კოპწიაობენ და ტაკიმასხარა შოუებში სიცილით იჭაჭებიან. ან რა გულუხვად იღებენ პრემიებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ხელფასებზე. თუ გინდა, რომ ხალხი გენდობოდეს, მისი ცხოვრებით უნდა იცხოვრო და იმ ჰაერით ისუნთქო, რომლითაც მრავალჭირნახული ქართველი ერი სუნთქავს. **ილუზიებს ნუ გამოეკიდებით და მოხვეჭის მურტალი ბაცილა ნუ შეგეყრებათ, თორემ ხალხის ხელშეწყობით „აფრენილებს“ ისევ ხალხთან მოგიწევთ „დაფრენა“ და ქვეყნის ბიუჯეტი ბებიას სკივრი არ არის, საიდანაც მოპარული „ჩურჩხელისთვის“ მარტო ყურის აწევას რომ დაგაჯერონ.**

ფრთხილად, ბიძიკოებო! ვიღაც გადამთიელების ჭირვეულობას ქართველი ხალხის ინტერესებს ნუ ანაცვალებთ, თორემ ხალხის ნდობის დაკარგვას ხალხის რისხვაც თან ახლავს.

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემია „აია“-ს ნამდვილი წევრი**

# ლადო გუდიაშვილის მუზის გახსენება

## ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ დედაქალაქის მერიას?!






**წინამდებარე სტატიით კიდევ ერთი ტრიპტიქი გამოგვივიდა, ჩემო მკითხველო! კიდევ ერთი იმიტომ, რომ პირველი იყო წერილების სერია, რომელიც მიეძღვნა ახალ ქართულ თარგმანებს, დიდი ამბით რომ შემოგვთავაზა მრავალი საგულისხმო ინიციატივის ავტორმა — „ქართულმა ბიოგრაფიულმა ცენტრმა“, — არიქა, თუ ეს 100 წიგნი არ წაიკითხეთ, კაპიკიაო თქვენი ფასი ცხოვრებაში.**

მეც გავბრიყვდი და სამი მათგანი („კაზანოვა“, „სალვადორ დალი“, „ჯუზეპე ვერდი“) არათუ წავიკითხე, არამედ, რომ იტყვიან, ოპერატიულადაც გამოვეხმაურე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და მეგობრულად ვურჩიე ახალგაზრდა კოლეგებს, სხვა დროისათვის კარგი იქნება, თუ მეტ ყურადღებას გამოიჩენთ-მეთქი ამ უსათუოდ საინტერესო ჩანაფიქრის განხორციელებისას — მხედველობაში მქონდა ის გარემოება, რომ არც ერთი ზემომითითებული გამოცემა საბოლოოდ წაკითხული არ ჰქონდა არათუ პროექტის მთავარ რედაქტორს (ბატონ ზაზა აბზიანიძეს), არამედ უშუალოდ ტომის რედაქტორებსაც (ხ. თოდუა, თ. თითმერია, რ. სულაკაური), მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, **ისე გაიტრუნა ეს ჩვენი ქებული „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, თითქოს ჩვენს გაზეთში, თანაც ზედიზედ, არც გამოქვეყნებულიყოს 22, 29 იანვარს და 5 თებერვალს უაღრესად კონკრეტული შენიშვნები, ვიმეორებ, ერთობ მეგობრულ-კოლეგიური სურვილებით...** ვერაფერი შვილი პოზიციაა, მე და ჩემმა ღმერთმა!

ახალი ტრიპტიქი კი იმ საინტერესო თაოსნობას ეძღვნება, რომლითაც დედაქალაქის მერია, სახელდობრ, კულტურულ ღონისძიებათა ცენტრი ქალბატონ ნეკა სებისკვერაძის ხელმძღვანელობით, თანამედროვე ქართული კულტურის შესანიშნავი წარმომადგენლების ნამუშევრებს გვთავაზობს. პირველ წერილში განვიხილეთ სახელოვანი „სუხიშვილების“ ერთ-ერთი ღვაწლმოსილი მოცეკვავის, საქართველოს სახალხო არტისტის, ბატონი თენგიზ უთმელიძის მართლაც ფანტასტიკური (მართლაც იმიტომ, რომ სინამდვილეში მას მხოლოდ „რომანტიკული ფოტომატიანე“ ეწოდება) ფოტომატიანე (იხ. ჩვენი გაზეთის 7 მაისის ნომერი), მეორეში — დიდი მაესტროს, გამოჩენილი ქართველი მხატვრის, ბატონ ზურაბ ნიჟარაძის ახალი ალბომი (ეს ჩვენი გაზეთის მომდევნო, 14 მაისის ნომერში გამოქვეყნდა) და აი, მესამე წერილიც, რომელიც ეძღვნება მშვენიერ, სამენოვან (ქართული, ინგლისური, რუსული) ფერად ალბომს (A-4 ფორმატი, 273 გვერდი, მთლიანად ცარცის ქაღალდი). ეს ალბომი გვაცნობს ჩვენი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მხატვრის, თვით ლადო გუდიაშვილის მუზის — ქალბატონი მანანა ბობოხიძის უმდიდრეს შემოქმედებას.

**დიდი შრომა, ენერგია და სიყვარულია ჩაქსოვილი ამ შესანიშნავ ალბომში (შემდგენელები ალეკო და ვერა ფურცხვანიძეები, დიზაინი — გიორგი დოლიძისა, ფოტოგრაფი — რომან ფოთელიძე) და დარწმუნებულიც ვარ, რომ ამ მონდომებას უსათუოდ იგრძნობს და დააფასებს მკითხველი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისევ უნდა დავუბრუნდე დელაკრუას ცნობილ ფორმულას: „ნახატის უპირველესი ღირსება ის არის, რომ თვალისთვის დღესასწაული შექმნასო“ და დავადასტურო, რომ მხატვარი, რომლის შემოქმედებასაც ეძღვნება ალბომი, ამ დღესასწაულს ნამდვილად უქმნის მკითხველს, მაგრამ არა — გამოცემის მესვეურები, ანუ, სხვა სიტყვებით, ისევ ვუჩივი ურედაქტორობას.**

სიტყვა „რედაქტორი“ რომ არ აწერია საერთოდ ალბომს, ეს არსებითად ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია, ის რთული, მაგრამ შემოქმედებითად საინტერესო პროცესი — თუ როგორ, რა ფორმით, რა ფერებით (პირდაპირი გაგებითაც!) მივაწვდით მკითხველს ქალბატონ მანანა ბობოხიძის უაღრესად ნაყოფიერსა და მრავალფეროვან შემოქმედებას. მან ხომ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და ამას, უპირველეს ყოვლისა, აღიარებდნენ ისეთი დიდოსტატები, როგორებიც იყვნენ: ლადო გუდიაშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, ჭაბუა ამირეჯიბი და სხვები. ღვთის მადლით, ეს ყველაფერი კარგადაა მოტანილი და გვეხმარება, ცხოველი გულისხმიერებით შევუდგეთ მხატვრის სამყაროში მოგზაურობას. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ამ მშვენიერი ალბომის ტექსტობრივ გვერდებს, მსუბუქად თუ ვიტყვით, აშკარად აკლია პროფესიონალი რედაქტორის ხელი...

უკვე მერამდენეჯერ ვწერ იმის თაობაზე, თუ რაოდენ არასწორად გადააქვთ ინგლისურ ენაზე ქართული სახელები და გვარები (ვახტანგი, ვაჟა, ელგუჯა, ჟუტუ, გიორგი, ფურცხვანიძე, ციციშვილი, ფანჯიკიძე, ჯაფარიძე და ა. შ.). ასე ზოგადად იმიტომ მივანიშნებ, რომ, ცალ-ცალკე თუ განვიხილეთ ყველა ამგვარი შეცდომა, გაზეთი აჭრელდება. **მაინც ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ დედაქალაქის მერიას?!**

სჯობს, მაგალითები გვერდების მიხედვით მიეთითოს:

გვ. 7: **დასაპყრობად** კი არა — **დასაპყრობლად**, როგორც კატეგორიულად ითხოვს „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (გვ. 229);

იქვე: **ორგინალობის ძიებაში** კი არა — **ორიგინალურობის ძიებაში**;

გვ. 11: **1961-1965წ.წ. დაამთავრა...... ინსტიტუტი** თუ ამ წლებში სწავლობდა... ინსტიტუტში? ხოლო **დაამთავრა 1965 წელს**;

იქვე: **რობერტ სტურუა მამა** კი არა — **რობერტ სტურუა-მამა**;

გვ. 12: **სმაკტუნოვსკი** — **სმოქტუნოვსკი**;

იქვე: **რომანტიული** — **რომანტიკული;**

იქვე: **დინამიური** — **დინამიკური;**

გვ. 31: **ავტოპორტრეტი ფერებში** (სახელწოდება ნახატისა) რუსულად სწორადაა, მაგრამ ინგლისურად — არა: Thoughts of self-portrait ნიშნავს **ავტოპორტრეტის ფიქრებს...**

გვ. 34: **უცნობი მომღერალი** რუსულად სწორადაა თარგმნილი, მაგრამ ინგლისურად — ისევ არა. უნდა იყოს: Singer და არა Artist, რაკი ეს უკანასკნელი საზოგადოდ ნიშნავს **ხელოვანს;**

გვ. 58: **გალაკტიონის „მერი“** ინგლისურად თარგმნილია, როგორც: Gelation's Mary. ცხადია, უნდა იყოს: **Galaktion's ...;**

გვ. 67: **მფრინავი** (იგულისხმება ჭიჭიკო ბენდელიანი) ინგლისურად თარგმნილია, როგორც: Flying, რაც ზოგადად ნიშნავს **ფრენას**. ასე რომ, აქ უნდა ყოფილიყო ან **Flier,** ან **Flyer,** ან სულაც ყველაზე მიღებული ფორმა: **Pilot.** ამასთან, გვარი მფრინავისა (ბენდელიანი) რუსულად შეცდომითაა: Бендениани;

გვ. 83: **მსახიობი ბებე ჯაიანი** (მსახიობ ქალზეა საუბარი). რუსულად სწორადაა, ინგლისურად — არა. უნდა იყოს Actress და არა Acres;

გვ. 107: **ლადო გუდიაშვილის გვარი შეცდომითაა** ქართულადაც (**გულიაშვილი**) და ინგლისურადაც (**Guliashvili**).

გვ. 121: **9 აპრილის ტრაგედია საქართველოში,** ინგლისურად და რუსულად კი წერია **თბილისშიო.** რომელს დაუჯეროს მკითხველმა?

საგანგებოდ უნდა შევჩერდე 87-ე გვერდზე: **მამის პორტრეტი** ისეა თარგმნილი, მაპატიეთ, მაგრამ გეგონებათ, რომ ვიღაც, არც მეტი, არც ნაკლები, დედაქალაქის მერიასაც აშაყირებს და ყოველ ჩვენგანსაც: A portrait of his dad...

გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს დავამთავრე უცხო ენათა ინსტიტუტი და მას შემდეგ სულ უცხოურ ტექსტებზე ვმუშაობ, მაგრამ გულწრფელად უნდა გითხრათ, მსგავსი მართლაც Nonsense ჯერ არ მინახავს — ან ეს A რა შუაშია, ან Dad, ან, მთლად უარესი — his? ბოლოს და ბოლოს, her მაინც მიეწერათ მაგ კაი დედმამიშვილებს!

ერთი სიტყვით, ამ პრობლემებზე საგანგებო შეხვედრაა საჭირო და დაწვრილებით საუბარი გვერდების მიხედვით, თუ, ცხადია, ეს საკითხი ვინმეს აინტერესებს. ჩემდა თავად, მზად ვარ, დაწვრილებითი კონსულტაცია ჩავუტარო ახალგაზრდა კოლეგებს, თუ, ვიმეორებ, ამას საჭიროდ ჩათვლიან. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ **ა ს ე** გაგრძელება აღარ შეიძლება!

**გოგი დოლიძე**

**ისე გაიტრუნა ეს ჩვენი ქებული «ქართული ბიოგრაფიული ცენტრი», თითქოს ჩვენს გაზეთში, თანაც ზედიზედ, არც გამოქვეყნებულიყოს 22, 29 იანვარს და 5 თებერვალს უაღრესად კონკრეტული შენიშვნები, ვიმეორებ, ერთობ მეგობრულ-კოლეგიური სურვილებით...**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კოქტეილების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა პრინციპით, თუმცა ყველაზე გავრცელებული პრინციპებია მათი დაყოფა ალკოჰოლის შემცველობის, გემოვნების და მოცულობის მიხედვით.**



# ყველაფერი კოქტეილის შესახებ

**სიტყვა კოქტეილი (cocktail) ინგლისურია და ქართულად მამლის ბოლოს ნიშნავს; დღეს კი საყოველთაოდ მიღებულია, რომ კოქტეილი სპირტიანი ნაყენის, ღვინის, არყის, კონიაკის, რომის, ჯინის, ხილის, ნაღების, კვერცხის, თაფლის, ნაყინის, ყინულისა და სხვა პროდუქტების შერევით მიღებული უგემრიელესი სასმელია. ლითონის სპეციალურ ჭურჭელში — შეიკერში, ზოგჯერ კი ჭიქაში კოქტეილს ამზადებენ ორი სახისას — მაგარსა და სადესერტოს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ეს მცირეალკოჰოლიანი სასმელია, რომელიც, მინიმუმ, სამ ინგრედიენტს შეიცავს. თუ მხოლოდ ორი ინგრედიენტია, ეს სასმელი კოქტეილად არ ითვლება.**



პირველად კოქტეილი ნიუ იორკში 1806 წლის მაისის ცნობარში — „Balance and Columbian Repository" ახსენეს. იქ ამ სასმელს შემდეგი განმარტება ჰქონდა: „მასტიმულირებელი ლიქიორი, რომელიც ნებისმიერი სპირტიანი სასმელისგან შედგება. აგრეთვე, მას ემატება შაქარი, წყალი და მცენარეული ნაყენი".

სიტყვა კოქტეილის წარმომავლობასთან დაკავშირებით უამრავი ვერსია არსებობს, თუმცა ლექსიკონების უმრავლესობაში მითითებულია, რომ სიტყვის წარმომავლობა უცნობია.

ორი საუკუნის განმავლობაში ათობით ავტორი ცდილობდა, ტერმინის წარმომავლობა აეხსნა. მათ ვერსიებში ხშირად მოიხსენებდნენ ლამაზ ქალებს და ერთ-ერთი ვარაუდით, სიტყვა კოქტეილი სწორედ მათი სახელების ინიციალებისგან შემდგარი უნდა ყოფილიყო.

**Coquetier — ასე ჰქვია ფრანგულად პატარა ჭიქას, რომელშიც, როგორც ამბობენ, ვილაც ფრანგი ნიუ-ორლეანში სტუმრებს შერეულ სასმელს სთავაზობდა. ერთ-ერთი ვერსიით, დროთა განმავლობაში სიტყვამ ტრანსფორმაცია განიცადა და ის კოქტეილად იქცა.**

შესაძლებელია, რომ ღვინოების შერევის უძველესი ფრანგული რეცეპტი, რომელსაც coquetel-ს უწოდებდნენ, 1777 წელს ამერიკაში გენერალ ლაფაეტს ჩაეტანა.

ერთ-ერთი ვერსიით, ვირჯინიელი ვინმე ბეტსი ფლანაგანი ჯარისკაცს შერეულ სასმელს ასმევდა. მასში ყველა ის ფერი იყო, რომელიც მამლის კუდშია და ამიტომაც კოქტეილს უწოდებდა.

კიდევ ერთი წყაროს ცნობით, 1769 წელს შექმნილი ეს ტერმინი ჯირითთან იყო დაკავშირებული და წმინდა სისხლის არმქონე ცხენს აღნიშნავდა. როგორც წესი, ასეთ ცხენებს კუდს ისე მოკლედ აჭრიდნენ, რომ ის მამლის კუდს უფრო ჰგავდა. იმდროინდელი ჟურნალების მიხედვით, მოკლე კუდის (კოკ ტეილი) მქონე ცხენს შერეული სისხლი ჰქონდა.

უძველესი დროიდან cocked tail (ზემოთ აწეული კუდი) ამაღლებული განწყობის მქონე ადამიანს ან ცხენს აღნიშნავდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ სასმელს, რომელსაც ადამიანების განწყობის ამაღლება შეუძლია, სწორედ კოქტეილი უწოდეს.

**კოქტეილების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა პრინციპით, თუმცა ყველაზე გავრცელებული პრინციპებია მათი დაყოფა ალკოჰოლის შემცველობის, გემოვნების და მოცულობის მიხედვით.**

კოქტეილი, რომელიც 50-60 მლ ალკოჰოლს შეიცავს, ძლიერ ალკოჰოლიან სასმელად ითვლება. კოქტეილი, რომელიც 30-40 მლ ალკოჰოლს შეიცავს, საშუალო ალკოჰოლიან სასმელად ითვლება. მცირედ ალკოჰოლიან კოქტეილებში კი ალკოჰოლის შემცველობა სულ 10-20 მლ-ია. არსებობს ისეთი კოქტეილებიც, რომლებიც ალკოჰოლს საერთოდ არ შეიცავს და, ცხადია, კლასიფიკაციაში მათ უალკოჰოლოთა ადგილი უკავიათ.

კლასიფიკაციის თანახმად, მცირე, ანუ „მოკლე" (Short-drink) ეწოდება 60 მლ (0,06 ლ) მოცულობის სასმელს, საშუალო — 100 მლ-ს (0,1 ლ), ხოლო დიდი — 200 მლ-ს (0,2 ლ).

კოქტეილების უმრავლესობა შეიკერით მზადდება. შეიკერები, ძირითადად, სამნაწილიანია — კორპუსი, საცერი და თავსახური. პროფესიონალურ დონეზე კოქტეილის მოსამზადებლად, შეიკერის გარდა, საჭიროა სარწყავიც. სტანდარტულად ბარმენებს აქვთ სარწყავები, რომლებზეც მონიშნულია 20 და 40 მილილიტრიანი მოცულობები. სარწყავი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელსაწყოა, რადგან კოქტეილების მოსამზადებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ინგრედიენტების ზუსტ თანაფარდობას.

**ვინაიდან კოქტეილის კიდევ ერთი განუყოფელი ნაწილი ყინულია, ყინულის სამტვრევი მის მოსამზადებელ ინსტრუმენტებს შორის ასევე საპატიო ადგილზეა. ზოგჯერ, შესაძლოა, საჭირო გახდეს მიქსერის ან ბლენდერის გამოყენებაც.**

ზოგიერთი კოქტეილი ჭიქაშიც თავისუფლად შეიძლება მომზადდეს ინგრედიენტების უბრალო შერევის გზით, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში ეს მეთოდი ვერ გამოდგება.

კოქტეილები, რომლებიც ნაღებს, წვენებს ან მღვრიე მასალებს შეიცავს, საკმაოდ მძლავრად უნდა შეინჯღრეს. ამისათვის შეიკერში ბლომად ყინულს ყრიან, საჭირო ინგრედიენტებს ამატებენ, თავს მჭიდროთ ახურავენ და ვერტიკალურად (ზემოთ-ქვემოთ) ანჯღრევენ. როცა შეიკერი გარედან კარგად დაინამება (დაიცვარება), კოქტეილი მზად არის. თუ შეიკერს თავად არ აქვს საცერი, სასმელს ჭიქაში გადასხმამდე ცალკე ატარებენ წმინდა საცერში.

The Ritz Side Car მსოფლიოს ყველაზე ძვირფასი კოქტეილია, რომელიც თავის დროზე გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც მსოფლიოს უძველესი კონიაკის შემცველი. მისი ღირებულება 515 დოლარი იყო და შეიცავდა 1830 წლის კონიაკ Ritz Fine Champagne 1865 Cognac-ს, Cointreau-ს და ლიმნის ახლად გამოწურულ წვენს. ეს კონიაკი იმითაა განსაკუთრებული, რომ საფრანგეთის საუკეთესო ვენახებში ფილოქსერას დაავადების გაჩენამდეა დამზადებული. ეს კონიაკი უკვე ლეგენდად იქცა და დღეს მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ბოთლია შემორჩენილი. ასე რომ, სულ მალე კოქტეილიც ისტორიის საკუთრება გახდეს.

კოქტეილის ვიზუალური მხარე მის შემადგენლობასა და გემოზე ნაკლებმნიშვნელოვანი ნამდვილად არ არის, როგორც წესი, ამ სასმელის სახელიც კი ლამაზად გაფორმებულ ჭიქებთან ასოცირდება. ბოკალის მორთვა შაქრის არშიით იწყება. ბოკალის კიდეზე ამგვარი არშიის შემოსავლებად როგორც წესი ლიმონის ან ფორთოხლის ნაჭერს იყენებენ, ოღონდ მას წინასწარ აცლიან ზედმეტ წვენს, რათა ჭიქის კიდეზე შემოვლებისას წვენი კიდეებზე არ ჩამოეწუოს. ამის შემდეგ ბოკალს ამოატრიალებენ და ზედა კიდეს კრისტალურ შაქარში ჩაუშვებენ ფრთხილი წრიული მოძრაობით. ციტრუსის წვენი შაქრის ნაწილაკებს მიიკრავს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ჭიქის კიდეები ძალიან ღრმად არ ჩაეფლოს შაქარში, რათა არშია წვრილი და ლამაზი გამოვიდეს. ხშირად ვარდისფერი არშიის მისაღებად ბოკალის კიდეს ჯერ ბროწეულის წვენში ასველებენ, შემდეგ კი შაქრის ფხვნილში ამოავლებენ. ბროწეულის წვენი გაჟღინთავს შაქრის მარცვლებს და მათ ვარდისფრად შეღებავს. ხანდახან შაქრის ნაცვლად იყენებენ ნამცხვრებისთვის განკუთვნილ დეკორატიულ ფხვნილს და არშიაც ფერადი გამოდის. ანალოგიურად გამოდგება დაფქული შოკოლადი ან კაკაოს ფხვნილიც.

მორთულობის დანარჩენი ნაწილისთვის საჭიროა ხილი, კენკრა, ჩხირები, ციტრუსების ქერქი, პიტნის ფოთლები, სპეციალური დეკორატიული მორთულობები და ასე შემდეგ. დანარჩენი მხოლოდ გემოვნების საქმეა. ზოგიერთები კოქტეილის გასაფორმებლად ყინულსაც კი ორიგინალურ ფორმებში ამზადებენ.

**მსოფლიოში ყველაზე ცნობილ კოქტეილებად შეიძლება moxito Mojito და margarita დასახელდეს. პირველს წინაპარიც ჰყოლია — ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში სახელგანთქმულ მეკობრე ფრენსის დრეიკს მაგარ რომში პიტნისა და ლაიმის წვენი დაუმატებია და მიღებული ნაზავისთვის „დრეკი" დაურქმევია. დრეიკმა ფეხი კუბაზე მოიკიდა და „დრეკიც" იქ იქცა ეროვნულ სასმელად. დროთა განმავლობაში „დრეკმა" სახეცვლილება განიცადა და დღევანდელ „მოხიტოდ" მოგვევლინა.**

ერთი ვერსიით, მოხიტო სასტუმრო „სევილიას" ბარმენმა (მისი სახელი ისტორიას არ შემორჩა) გამოიგონა, როცა ცნობილ კოქტეილ ჯულეპში (ბურბონის, შაქრისა და პიტნის ნარევი) ბურბონი Bacardi Superior-ით შეცვალა. რამდენიმე წყაროში ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის თარიღიც კი აქვთ მოხსენიებული — 1930 წლის 25 მაისი. იმასაც ამბობენ, რომ მოხიტოს რეცეპტი ჰავანის პატარა კაფე „ბადეგიტა დელ მედიოში" გაჩნდა. 1942 წელს გახსნილი ვიქტორიანული სტილის დაწესებულება ქალაქის ცენტრში სტუმრებს დღესაც იღებს.

კუბური მოხიტოს ორი ვარიანტი არსებობს: მსუბუქალკოჰოლური და უალკოჰოლო. ყველაზე პრესტიჟული კი, რასაკვირველია, რომი „ბაკარდით" მზადდება.

**ალკოჰოლური მოხიტო ტრადიციულად ხუთი ინგრედიენტისგან შედგება: რომი, შაქარი, ლაიმი, გაზიანი წყალი და პიტნა. ციტრუსისა და პიტნის კომბინაციამ, რომელიც იმთავითვე რომის სიმაგრის „დაფარვას" ემსახურებოდა, ეს სასმელი პოპულარულ საზაფხულო კოქტეილად აქცია.** უალკოჰოლო ვარიანტში კი რომს ლერწმის შაქრითა და წყლით ანაცვლებენ.

მოხიტოს მომზადება სახლშიც თავისუფლად შეიძლება, თუმცა ერთი პატარა და აუცილებელი ნიუანსია გასათვალისწინებელი: ლაიმის ლიმონით და რომის ჯინით შეცვლის შედეგად ყველაფერი გამოვა, მოხიტოს გარდა.

**რაც შეეხება margarita-ს, ამ კოქტეილის მოყვარულები იმასაც ამბობენ, რომ ტეკილას სწორედ მან გაუთქვა სახელი. ასეა თუ ისე, ტეკილასა და მარგარიტას ისტორია ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.** ერთ-ერთი ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მარგარიტა პირველად 1940 წელს შეაზავეს ტიხუანის შემოგარენში მდებარე ბარ „Rancho La Gloria"-ში. ამერიკის მშრალი კანონისგან შეწუხებული საზოგადოება მექსიკას სტუმრობდა და ამიტომ ეს პატარა სასაზღვრო ქალაქიც უცხოელი ტურისტების ნაკლებობას არ უჩიოდა. ბარში თურმე მსახიობი მარჯორი კინგი დადიოდა ხშირად, მას კი, ტეკილას გარდა, ყველანაირ ალკოჰოლზე ალერგია ჰქონდა, კინგს კი ტეკილა არ უყვარდა. გონებამახვილმა ბარმენმა დენი ერერამ ერთმანეთში აურია სამი წილი ტეკილა „ბლანკო", ორი წილი liqiori Triple Sec და ერთი ▶





## ნიუიორკელ ნარკომოვაჭრეებს 11 მლნ დოლარის ღირებულების ნარკოტიკი უპოვეს

**ნიუიორკელმა სამართალდამცველებმა დააპატიმრეს ნარკომოვაჭრეთა დიდი ქსელის 2 ხელმძღვანელი, რომლებსაც დიდი რაოდენობით ნარკოტიკების შენახვა-გასაღებასა და დანაშაულებრივ შეთქმულებაში ადანაშაულებენ.**

დაპატიმრებულთა საცხოვრებელი ბინებისა და ოფისების ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 10 კგ კოკაინი, 200 აბი სინთეტიკური ნარკოტიკი (სულ 11 მლნ დოლარის ღირებულების), აგრეთვე, ფული და იარაღი იპოვეს.



ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ წილი ლაიმის წვენი. შამპანურის ჭიქის კიდე ლიმონის წვენში ჩააწო, მარილში ამოავლო და კოქტეილიც ჩაასხა. სასმელს მარჯორის საპატივცემულოდ კინოვარსკვლავის სახელის მექსიკური ვარიანტი „მარგარიტა“ უწოდეს.

კიდევ ერთი ლეგენდის მთავარი გმირი გახლავთ მარგარიტა სეიმსი, რომელიც წვეულებებზე სტუმრებისთვის სხვადასხვანაირი კოქტეილების შეზავებით ერთობოდა ხოლმე. 1948 წლის საშობაო ზეიმზე შემთხვევით „მარგარიტა“ დაამზადა, ტომი ჰილტონმა კი ეს სასმელი თავისი სასტუმროების ქსელში გაავრცელა. 1999 წელს გამოსული ალკოჰოლური ცნობარიც, კოქტეილის ავტორად სწორედ ამ ქალბატონს მოიხსენიებს, თუმცა კოქტეილის შექმნის კიდევ 20-მდე ვერსია არსებობს.

კლასიკური „მარგარიტა“ ლაიმის წვენისგან, ფორთოხლის ლიქიორისა და ტეკილასგან შედგება. მისი დამზადების მთავარი ნიუანსი პროპორციების სწორად დაცვაა, რაც შემდეგში მდგომარეობს: სამი წილი ტეკილა, 2 წილი ლიქიორი და ერთი წილი ლაიმის წვენი.

დაბოლოს, როდესაც ბარმენებს სურთ, განსაკუთრებით მოხიბლონ კლიენტები, ისინი ისეთ ექსტრემალურ მეთოდებსაც კი მიმართავენ, როგორიც ცეცხლოვანი კოქტეილია. მისი მომზადებისას ჩვეულებრივი კოქტეილის დასხმის შემდეგ ჭიქაში ამატებენ მაღალალკოჰოლურ სასმელს, რომელსაც ცეცხლს უკიდებენ.



## როგორ გამოვიცნოთ მომნამვლელი საკვები?




**PERES-ი არის ელექტრონული ხელსაწყო, რომლის მეშვეობით შესაძლებელია, ადამიანმა დაადგინოს საკვების ხარისხი და ვარგისიანობა.** გამოგონებაში ინტეგრირებულია: ტემპერატურის, ტენიანობისა და აქლორადი ნივთიერებების სენსორები. მოწყობილობა Bluetooth-ის საშუალებით უკავშირდება ტელეფონს, რომლის ეკრანზე გამოისახება მიღებული ინფორმაცია და საბოლოოდ პროგრამა გვიჩვენებს, ჯანმრთელობისთვის საზიანოა თუ არა ამა თუ იმ საკვების მიღება.

გამომგონებლები მუშაობენ მეორე პროტოტიპზე, რომლის დიზაინი და ტექნიკური მხარეები უკეთესი იქნება წინამორბედზე. ამჟამად მოწყობილობა გამოიყენება მხოლოდ ძროხის, ღორის, ქათმისა და თევზის მიკრობაქტერიების დასადგენად. უახლოეს მომავალში იგი ხელმისაწვდომი იქნება ყველა ადამიანისთვის.



## ალიგატორი პოლიციას დამნაშავის დაჭერაში დაეხმარა

**ფლორიდაში გზაზე მოულოდნელად გამოჩენილი ალიგატორი პოლიციელებს დამნაშავის დაჭერაში დაეხმარა. 22 წლის კელვინ როდრიგესმა ვერ შეძლო მოპარული ავტომობილით მიმალვა, რადგან მას გზაზე რეპტილია გადაეღობა. მამაკაცი რეპტილიას შეეჯახა და იძულებული გახდა, პოლიციას დანებებოდა.**

**როგორც პოლიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ალიგატორის დახმარებით ისინი სასიამოვნოდ გაკვირვებულნი დარჩნენ. როგორც სამართალდამცავებმა განაცხადეს, რომ არა რეპტილია, დამნაშავეს ვერც დაიჭერდნენ.**

**როგორ აღმოჩნდა, ნიანგი პორტ-სენტ-ლუისის ქუჩებში და რა ბედი ეწია მას ამ შემთხვევის შემდეგ, უცნობია.**

## ყველაზე ძვირად ღირებული ბრენდი

**Google-ის ღირებულება 40%-ით გაიზარდა და ახლა ის 159 მილიარდ დოლარს შეადგენს. ერთ-ერთი უმსხვილესი ანალიტიკური კომპანიის Millward Brown-ის შეფასებით, ამერიკული კორპორაცია Google ახლა მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ბრენდია.**

**Apple**-ი შესამჩნევად, 20%-ით გაიაფდა და ახლა მისი ღირებულება 148 მილიარდი დოლარია.

რეიტინგში მესამე ადგილი კიდევ ერთმა ტექნოლოგიურმა კომპანიამ **IBM**-მა დაიკავა. კორპორაციის ბრენდის ღირებულება 4%-ით გაიაფდა და 107 მილიარდი დოლარი შეადგინა, თუმცა, ამის მიუხედავად, კორპორაციამ შეძლო შარშანდელი პოზიციის შენარჩუნება.

## ურიცხვი კომპენსაცია

**ნიუ იორკში მცხოვრებ 62 წლის ანტონ პურისიმას ძაღლმა უკბინა და სასამართლოში ჩივის.**

**იგი კომპენსაციის სახით 2,000,000,000,000,000,000,000,000,000,000,000 დოლარს ითხოვს. როგორც სასამართლოში აცხადებენ, ეს ყველაზე კოლოსალური თანხაა, რაც კი კომპენსაციის სახით ოდესმე მოუთხოვიათ.**



პურისიმამ სასამართლოში სარჩელი 11 აპრილს შეიტანა და მორალური ზიანის ანაზღაურებას სწრაფი კვების ობიექტ Au Bon Pain-სგან, მაღაზია Kmart-ისგან, სამედიცინო ცენტრებისგან — Carepoint Health, Hoboken University Medical Center, აეროპორტ LaGuardia-სგან და ნიუ იორკის სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებებისგან მოითხოვს.

22-გვერდიან სარჩელში წერია, რომ ცოფით ინფიცირებულმა ძაღლმა ქალაქის ავტობუსში მას შუა თითზე უკბინა, შემდეგ ადგილობრივ საავადმყოფოში გადაყვანისას, ჩინელმა წყვილმა მას უხერხული ფოტო გადაუღო. ის უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ აეროპორტში ყავაში ზედმეტად ძვირი თანხა გადაახდევინეს. მამაკაცი ამტკიცებს, რომ მისი სამოქალაქო უფლებები დაირღვა, მიიღო მორალური ტრავმა, დისკრიმინაციისა და თაღლითობის მსხვერპლია, დაჩაგრულია და, ყველა ზემოაღნიშნული პრობლემების გამო, მიღებულ ტრავმებს ვერც ფულით მოიშუშებს.

## რატომ სძინავთ ყაზახებს?



**აკმოლინსკის ოლქში (ყაზახეთი) მდებარე სოფელ კალაჩიში გავრცელებულმა ძილის ეპიდემიამ ადგილობრივი ექიმები ჩიხში მოამწყვდია. უცნობმა დაავადებამ უკვე დააინფიცირა რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლებსაც ერთმანეთთან კონტაქტი არ ჰქონიათ. პაციენტებს ერთნაირი ჩივილები აქვთ: სისუსტე, თავბურსხვევა, გულის წასვლა, მუდმივად ძილის სურვილი, მეხსიერების ნაწილობრივ დაკარგვა და ჰალუცინაციები.**

„როდესაც პაციენტი იღვიძებს, მას არაფერი ახსოვს; ყველას ერთი და იმავე სიმპტომები აწუხებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — ჩვენ ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი დღემდე არ ვიცით. ვერაფრით დავადგინეთ, ერთსა და იმავე ოჯახში რატომ სძინავს რომელიმე წევრს 2-დან 6 დღემდე, როცა სხვები ამ დროს სრულიად ნორმალურად გრძნობენ თავს“, — ამბობს ექიმი ესილ კაბდრაშიტ ალმაგამბეტოვი.

ძილის დაავადების პირველი შემთხვევა კალაჩიში 2013 წლის მარტში დაფიქსირდა. მაშინ დახმარებისთვის საავადმყოფოს 14-დან 70 წლამდე ასაკის ათამდე ადამიანმა მიმართა. ბოლო შემთხვევა დეკემბერში მოხდა, როდესაც ერთდროულად 12 ადამიანს დასჭირდა საავადმყოფოში გადაყვანა. ადგილობრივთა თქმით, დაავადება დათბობასთან ერთად იჩენს თავს. სანიტარული სამსახურის მუშაკებმა და ექიმებმა პაციენტებს თავის ტვინის დაზიანება ვერ აღმოუჩინეს. სოფლის მცხოვრებლები უჩვეულო მოვლენას ახლოს მდებარე ურანის მაღაროებს უკავშირებენ, სადაც მუშაობა 30 წლის წინ შეჩერდა, თუმცა ექსპერტებს ამ კავშირის დამამტკიცებელი საბუთი არ აქვთ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 5 000 უარი



**ზოგიერთ ადამიანს სიყვარულში არასდროს უმართლებს, მაგრამ ამ საკითხში სრული რეკორდი სერბმა პრედრაგ იოვანოვიჩმა დაამყარა — მას 5000-მა ქალმა უთხრა უარი პაემანზე.** მამაკაცი მარტოობით ისე დაიღალა, რომ ქალებს ინტერნეტში „ფეისბუქის" საშუალებით ეძებს. მან 5 000 მარტოხელა ქალს შეტყობინება გაუგზავნა, რომ პაემანზე ეპატიჟებოდა და სერიოზული ურთიერთობა სურდა. 5 000 შეტყობინებას ერთი დადებითი პასუხიც კი არ მოჰყოლია. მას მხოლოდ 15-მა ქალმა მოსწერა და ამ შემთხვევაშიც ყველა მესიჯი ნეგატიური იყო. **„როცა 5 000 ქალიდან არც ერთს არ სურს, რომ პაემანზე გამოგყვეს, ძალიან სამწუხაროა",** — ჩივის 34 წლის მარტოხელა სერბი. თუმცა, პრედრაგი იმედს არ კარგავს, რომ თავის ერთადერთ სრულყოფილ ქალს როდესმე შეხვდება. მის სოფელში მცხოვრები ყველა მისი თანატოლი ქალი გათხოვილია, ზოგი უკვე ბებიაც გახდა. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, მარტოობას ძალიან განიცდის.



# პაემანზე სახანძრო მანქანით

**საფრანგეთში 24 წლის მამაკაცმა, სახელად ბორისმა სახანძროს მანქანა იმისთვის გაიტაცა, რომ შეყვარებულთან შესახვედრად წასულიყო.**

ბორისი ბარში იჯდა და სვამდა, შემდეგ კი, როგორც ჩანს, სასმელი იმდენად მოეკიდა, რომ მანქანის გატაცება გადაწყვიტა. ბიჭს უნდოდა, ენახა შეყვარებული, რომელიც სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, მაგრამ იგი ჩვეულებრივი გზით — კარით შენობაში ვერ შეაღწევდა. ამიტომ გადაწყვიტა სახანძროში წასულიყო, რათა კიბე ეშოვა და შეყვარებულის ფანჯრამდე ასულიყო.

სახანძრო სამსახურში როგორ შეძლო შესვლა, უცნობია, მაგრამ ცნობილია ის, რომ მან მანქანაში გამოძინებაც მოასწრო, ვიდრე სატრფოსთან გაემართებოდა.

მოგვიანებით გამვლელებმა შეამჩნიეს, რომ მანქანა ქუჩაში უჩვეულოდ მოძრაობდა და პოლიციას შეატყობინეს.

ახლა მანქანის გამტაცებელს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# ძაღლების პლაჟი

**იტალიის ქალაქ რიმინიში ახალი პლაჟი გაიხსნა, სადაც მხოლოდ ძაღლთან ერთად შეიძლება გარუჯვა. პლაჟზე ყველა პირობაა შექმნილი, რომ ცხოველებმა თავი ბედნიერად იგრძნონ. საგანგებოდ მათთვის არის შედგენილი მენიუ და გასართობი პროგრამა. მათი პატრონებისთვის კი ბარი იმუშავებს, სადაც ცივი სასმელებით გაუმასპინძლდებიან.**



ოთხფეხა მეგობრის გარეშე ამ პლაჟზე გამოჩენა აკრძალულია. პლაჟი კეთილმოწყობილია ქოლგებით, ტუალეტის კაბინებითა და შეზლონგებით. ეს ყველაფერი ძაღლებისთვისაა. გამოყოფილია აქტიური დასვენების ადგილი, სადაც ძაღლები პატრონებთან და ერთმანეთთან ითამაშებენ. დამონტაჟებულია შხაპიც, სადაც ზღვაში ნაცურავები ოთხფეხა სტუმრები სუფთა წყალსაც გადაივლებენ. თუ პატრონს ძაღლისგან განმარტოვება მოუნდება, ცხოველს საგანგებოდ მომზადებული პერსონალი ჩაიბარებს. პლაჟის მეპატრონეები, ძმები ლუკა და მარკო აგოსტინები არიან, რომლებიც ჩვეულებრივ პლაჟსაც ფლობენ. როგორც თავად ამბობენ, ძალიან გული სწყდებოდათ, რომ ძაღლის პატრონებს პლაჟებზე თავიანთი ოთხფეხა მეგობრების ტარება არ შეეძლოთ, რადგან ევროპაში ეს აკრძალულია და ჯარიმას ექვემდებარება.

# სად როგორ უნდა მივირთვათ

**ყველა ქვეყნის სუფრის ეტიკეტში არის წესები, რომელთა უგულვებელყოფა, სულ ცოტა, თანამესუფრეების უკმაყოფილო ირიბ გამოხედვას გამოიწვევს. უხერხულ სიტუაციაში რომ არ აღმოვჩნდეთ, ჯობს, სადმე გამგზავრებამდე გავეცნოთ მასპინძელთა ტრადიციებს.**



**იაპონიაში** არ ღირს, საჭმელი გადასცეთ ერთმანეთს ჩხირებით, ვინაიდან ისინი გამოიყენება კრემაციული დაკრძალვების დროს ძვლების გადასაწოდებლად და ჩხირებით საჭმლის გადაცემა სუფრის წევრების უპატივცემულობას ნიშნავს.

**კორეაში** არ დაიწყოთ ჭამა მანამ, სანამ სუფრის უხუცესი წევრი არ დაიწყებს ტრაპეზს.

**ჩილეში** არაფერი ჭამოთ ხელით, პიცაც კი.

**ჩინეთში** არ ღირს, ჭამის დროს ჩხირები თანამესუფრისაკენ გაიშვიროთ.

**იტალიაში** არ მოითხოვოთ სუფრაზე ყველის დამატება, ამით შეიძლება შეფმზარეული გაანაწყენოთ.

**ტანზანიაში** თუ მოხვდებით, გირჩევთ სადილზე 20 წუთით მაინც დააგვიანოთ. თუ თავის დროზე მიხვალთ, ამით მასპინძელს გაანაწყენებთ.

**დიდ ბრიტანეთში** სუპის მირთმევის დროს თეფში თქვენგან პირიქით უნდა გადახაროთ.

**ჩინეთში** არასოდეს დაანაწევროთ მაკარონი მირთმევის დროს. გრძელი მაკარონი დღეგრძელობას ნიშნავს, ხოლო მისი შუაზე გაწყვეტა სიცოცხლის შემოკლებას.

**ინდონეზიაში** საკვების მიღების დროს ხელები სულ მაგიდაზე უნდა გეწყოთ.

**იტალიაში** პირველი მიპატიჟების დროს უარი თქვით სადილზე და მხოლოდ მეორედ მიპატიჟებაზე დათანხმდით.

**იამაიკაში** მიღებულია, რომ, თუ ბავშვი მანამ გასინჯავს ქათმის ხორცს, სანამ ლაპარაკს დაიწყებს, ვერასოდეს ისწავლის ლაპარაკს. ასე რომ, თუ ამ ქვეყანაში მოხვდებით, უცნაურად არ მოგეჩვენოთ თქვენი მასპინძლის საქციელი.

**ნიგერიაში** მიჩნეულია, რომ ბავშვები, რომლებიც კვერცხს ჭამენ, აუცილებლად ქურდები იქნებიან.

**საფრანგეთში** თუ სუფრასთან მოხვდებით, ეცადეთ ნელა ჭამოთ, სწრაფად ჭამა აქ უზრდელობად ითვლება.

**იაპონიაში** არასოდეს დატოვოთ ჩხირები თეფშზე ვერტიკალურად — ეს რესტორნის პატრონის შეურაცხყოფაა.

**ინდოეთში**, ავღანეთში და თითქმის მთელ მუსლიმანურ სამყაროში მიღებულია ჭამა მარჯვენა ხელით, რადგან მარცხენა ხელი აქ უწმინდურად ითვლება.

**საფრანგეთში** არ დატოვოთ საჭმელი თეფშზე — ეს აქ უზრდელობად ითვლება.

**გერმანიაში** ერთადერთი საკვები, რომელიც ხელით შეგიძლიათ აიღოთ, პურია.

**ყაზახეთში** თქვენ მოგიტანენ ნახევარ ფინჯან ჩაის, არ მოითხოვოთ მისი გავსება, რადგან ეს ნიშნავს, რომ მასპინძელს თქვენი წასვლა სურს.

**აზერბაიჯანში** ეცადეთ სუფრაზე არ დაგებნეთ მარილი, რადგან ეს ჩხუბს ნიშნავს. თუ მაინც მოხდა ეს არასასიამოვნო ფაქტი, მარილს ზემოდან ცოტაოდენი შაქარი დააყარეთ.

**ეგვიპტეში** ხელში არ აიღოთ სამარილე — ეს მზარეულის შეურაცხყოფაა.

**ესტონეთში** ძირს შემთხვევით დავარდნილ პურის ნატეხს ეამბორეთ და მხოლოდ მერე გადადეთ გვერდზე.

**სამხრეთ კორეაში**, როცა რაიმე სასმელს სვამთ, თავი გვერდზე მიაბრუნეთ და ისე დალიეთ.



# უცნაური საცურაო კოსტიუმი

**თუ დღემდე საცურაო კოსტიუმი მხოლოდ სხეულის გარკვეულ ნაწილებს ფარავდა, ახლა ის შინაგან ორგანოებს გამოაჩენს.** საზოგადოების ნაწილმა ის უკვე შეადარა ჰელოუინის სამოსს, მაგრამ სხვისი აზრი გოგონებს, რომლებიც ამ საცურაო კოსტიუმში თავს კარგად გრძნობენ, ნაკლებად ადარდებთ. საცურაო კოსტიუმზე ზედმიწევნითაა გამოსახული ადამიანის შინაგანი ორგანოები: გული, ფილტვები, ნაწლავები და კუნთოვანი ქსოვილი. კომპანია Black Milk Clothing-ის დიზაინერმა კოლექციას „მოვითხოვთ შიგნეულობას" უწოდა. მან სოციალური ქსელები დაიპყრო. საცურაო კოსტუმი 84 დოლარი ღირს და მომხმარებლებმა ის იმდენად სწრაფად შეიძინეს, რომ მხოლოდ XXS, LT და XS ზომები დარჩა.



# ჩინელები დედის დღეს კაცების «მშობიარობით» აღნიშნავენ

**დედის დღეს ყველაზე უჩვეულოდ ჩინეთში აღნიშნავენ — ძიანსის პროვინციაში ადგილობრივი სატელევიზიო შოუ მამაკაცებს საშუალებას აძლევს, გაიგონ თუ რამდენად დიდ ტკივილს განიცდის ქალი მშობიარობისას.** პროექტის ავტორებს სურთ, მამაკაცებმა გააცნობიერონ, როგორი ტკივილის წყალობით მოევლინნენ ქვეყანას. პროექტში ყოველ წელს 20-მდე მამაკაცი მონაწილეობს. სპეციალური ხელსაწყოს წყალობით და ელექტროშოკის დახმარებით, მამაკაცები მუცელში ტკივილს განიცდიან. როგორც პროექტის ორგანიზატორები ამბობენ, კაცები ამ ტკივილს მაქსიმუმ 30 წამით უძლებენ.




## ხმოვანი ფოტო

**Samsung-მა ეს ფუნქცია შექმნა სპეციალურად მათთვის, ვისაც მოსწონს ფოტოების დათვალიერება ხმასთან ერთად.** სურათის გადაღების დროს დაპატენტებულ ტექნოლოგია Sound & Shot-თან ერთად შესაძლებელია მოკლე კომენტარის დართვა, რომელსაც გაიგონებთ ამ ფოტოს ყოველი გახსნისას. სამწუხაროდ, ეს ფუნქცია უსარგებლოა, რადგან გამოსახულების გადატანა კომპიუტერში აუდიოსთან ერთად შეუძლებელია.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა არ სჭირდება სმარტფონებს?

**სმარტფონების, პლანშეტების და სხვა მოწყობილობების მწარმოებლებს შორის კონკურენცია იმდენად ძლიერია, რომ შემქმნელები ცდილობენ, ყოველ ახალ მოდელს უამრავი გასაოცარი ფუნქცია შეჰმატონ. ამ ფუნქციებიდან ზოგიერთი ყოვლად უსარგებლოა მომხმარებლისთვის და მხოლოდ მწარმოებლის იმიჯისთვის მუშაობს.**



## ორმაგი გადაღების რეჟიმი

**ეს ფუნქცია მოჰყვება Samsung-ის და LG-ს ზოგიერთ სმარტფონს და საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ერთდროულად გადაიღოს ფოტო წინა და უკანა კამერით.** რამის გადაღების დროს თქვენ შეგიძლიათ საკუთარ თავსაც გადაუღოთ ფოტო, ეს პატარა ავტოპორტრეტი გამოსახული იქნება მთავარი სურათის კუთხეში. რა თქმა უნდა, კარგია, გაიხსენოთ, როგორ გამოიყურებოდით ამა თუ იმ ფოტოს გადაღების დროს.

## Paralaqs-ფონი, Apple



**ოპერაციური სისტემა iOS-ის მეშვიდე ვერსია საშუალებას გაძლევთ, დააყენოთ iPhone-ის ან iPad-ის სამუშაო მაგიდაზე ეგრეთ წოდებული ფონი პარალაქსის ეფექტით.** ამაში მთავარი ის არის, რომ აპლიკაცია იცვლება მოწყობილობის გარემოში გადაადგილებისას. ასეთი ინტერფეისის მიღწევა შესაძლებელი გახდა ჰიროსკოპისა და აქსელერომეტრის საშუალებით, რომლებიც თვალყურს ადევნებენ პლანშეტის ან სმარტფონის პოზიციას გარემოში. ეს ყველაფერი სახალისოდ გამოიყურება, მაგრამ არანაირი პრაქტიკული ღირებულება არ აქვს.




## ფუნქცია Smart Stay

**Smart Stay Samsung-ისგან იყენებს მოდურ ჩიპს მომხმარებლის თვალის ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის.** თუკი ადამიანი ეკრანს უყურებს, მაშინ აპლიკაცია არ გათიშავს განათებას, მაგრამ, თუკი ადამიანი სხვაგან გაიხედავს, მაშინ განათება გამოირთვება. როგორც ჩანს, კომპანია ხვდება, რომ მოწყობილობის რეაქცია თვალის მოძრაობაზე შესაძლებელია მომხმარებელს ყელში ამოუვიდეს, ამიტომაც შეიძლება ამ ფუნქციის გამორთვა.




## აპლიკაცია Air Call Accept, Android

**Samsung-ის ბოლო მოდელის მფლობელები იყენებენ Android-ს და მათ შეუძლიათ დატკბნენ შესაძლებლობით: მართონ მოწყობილობა სმარტფონთან შეუხებლად.** მომხმარებელი ასრულებს ყველა აუცილებელ მანიპულაციას, როდესაც ხელს გადაუსვამს ინფრაწითელ გადამცემს, რომელიც ჩამონტაჟებულია აპარატში. აპლიკაციის ფასიანი ვერსია განსხვავდება იმით, რომ მას აქვს უფრო მეტი ფუნქცია: შესაძლებელია არამხოლოდ ზარების მიღება ან გათიშვა, არამედ ხმამაღალი კავშირი, შეტყობინებების გაგზავნა ელექტრონული ფოსტით, ხმის გათიშვა და ბევრი სხვა რამ. შემქმნელები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს აპლიკაცია საჭესთან მჯდომ ხალხს უფრო ნაკლებ დროს წაართმევს, მაგრამ ეს ვარაუდი ჯერჯერობით გადასამოწმებელია.



## LG უჩვეულო ორიენტაციით

**ხმის მოსამატებელი ან მოსაკლები ღილაკები სმარტფონებს აქვთ ზემოთ ან გვერდით, მაგრამ LG-მ გადაწყვიტა, რომ საკუთარი გზით წასულიყო.** ახალი ფლაგმანური მოდელის წარდგენის დროს ხალხის ყურადღება მიიქცია ღილაკების მდებარეობამ — ისინი სმარტფონის უკანა მხარესაა. კორეული კორპორაციის წარმომადგენლები ამ ორიგინალურ იდეას იმით ხსნიან, რომ, როდესაც მომხმარებელი იღებს ფოტოს ან ვიდეოს და ხელში დიდი დიაგონალის მქონე სმარტფონი უჭირავს, ხელის შეხება უწევს ხმის მოსამატებელ და მოსაკლებ ღილაკებზე, რაც არასასიამოვნოა. კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს იდეა გაუადვილებს ხალხს სმარტფონის ერთ ხელში დაჭერას.



## ფუნქცია Group Play Samsung-ისგან

**უკაბელო გარნიტურები და ყურსასმენები, რომლებიც იყენებენ Bluetooth-ს მონაცემების გადაცემის პროტოკოლად, უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ძველი კაბელიანი პერიფერიული მოწყობილობები.** ეს თავიდან აცილებს მომხმარებლებს უამრავ მოწყობილობაში სადენების ხლართვას. კორპორაცია Samsung-ი კიდევ უფრო შორს წავიდა – ის გვთავაზობს მონაცემების უკაბელო გადაცემას მუსიკის ჩასართავ მოწყობილობებზე, რომლებიც Wi-Fi-ს საზღვრებს გარეთაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენ შეგეძლებათ საყვარელი კომპოზიციის მოსმენა ყველა მოწყობილობაზე, რომლებიც ახლოსაა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს Samsung-ის პროდუქციაა. Group Play-ს შეუძლია მუსიკისა და გამოსახულების გადაგზავნა, მაგრამ, სათამაშოსგან რომ სიამოვნება მიიღოთ, საჭიროა ერთად შეკრიბოთ კორეული გიგანტის რამდენიმე მოწყობილობა.




## ფუქნცია Smart Scroll-ი Samsung-ისგან

**ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ელექტრონული მოწყობილობების შემქმნელებს სურთ, დაავიწყონ ხალხს ხელების გამოყენების შესაძლებლობა.** სხვების მსგავსად, ექსპერიმენტებს ამ მხრივ ატარებს კორეული გიგანტი Samsung-ი – სმარტფონები Galaxy S4 და Galaxy Note 3 სთავაზობენ მომხმარებლებს, რომ გადაშალონ ინტერნეტ-გვერდები თვალის ერთი მოძრაობით, ფუნქცია Smart Scroll-ით. ტექნოლოგია შექმნა კომპანია DigitalOptics Corporation-მა და ჯერჯერობით დეკორატიულ ხასიათს ატარებს.



## კამერის სწრაფი ჩართვა, Motorola X

**ფოტო და ვიდეოკამერის რეჟიმში შესვლა არც ისე რთულია, საჭიროა მხოლოდ ერთ-ორ ღილაკზე თითის დაჭერა, მაგრამ Motorola ირწმუნება, რომ მისი ფლაგმანი X-ი უფრო მოსახერხებელია;** იმისათვის, რომ ჩართოთ კამერა, საჭიროა აპარატის ორჯერ „შენჯღრევა", ხოლო სურათის გადასაღებად საკმარისია ეკრანზე თითის შეხება. რა თქმა უნდა, ზოგიერთ შემთხვევაში ეს ახდენს წამების ეკონომიას, მაგრამ მოწყობილობის მუდმივად „შენჯღრევა" ბევრისთვის შეიძლება მოსაბეზრებელიც იყოს.



## ფოტოგადაღება HTC Zoe

**თანამედროვე სმარტფონები და პლანშეტები ნებისმიერ ადამიანს აგრძნობინებს თავს ფოტომხატვრად ან კინორეჟისორად.** კომპანიის სპეციალისტები და მოწყობილობების შემქმნელები ანდროიდის ბაზაზე იგონებენ ახალ და ახალ შესაძლებლობებს სურათებისა და ვიდეორგოლების დასამუშავებლად. ტაივანური HTC ცდილობს, რომ ბაზარზე ლიდერობა არ დაკარგოს და ამიტომაც შექმნა HTC Zoe, რომელიც სამი წამი იღებს ვიდეორგოლებს, რომელთაგანაც შემდეგ მიიღება მაღალხარისხიანი ფოტოსურათები. პრობლემა ისაა, რომ ფუნქცია ხელმისაწვდომია მხოლოდ HTC-ს მფლობელებისთვის, ხოლო HTC Zoe არ ათავსებს სურათებს Facebook-ისა და Twitter-ის გარდა სხვა სოციალურ ქსელში.

# «კამერტონის» მორიგი წარმატება

**26 აპრილიდან 6 მაისამდე საერთაშორისო პროექტ „კამერტონის“ საქართველოს წარმომადგენლობის ახალგაზრდა მუსიკოსებმა 6 საგასტროლო კონცერტი გამართეს გერმანიის ქალაქებში.**




წლეულს „კამერტონს“ წარმოადგენდნენ პროექტის დამფუძნებლის, ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწის, ქალბატონ ლიუდმილა ფონ ბერგის მიერ შერჩეული მოზარდები — ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის აღსაზრდელები: თათა მახარაძე (ფორტეპიანო), გიორგი ოიკაშვილი (კლარნეტი), ნატა როინიშვილი (ვიოლინო), ლევან უგულავა (ფორტეპიანო), სპეციალური სტუმრის სტატუსით საგასტროლო კონცერტებში მონაწილეობდა ახალგაზრდა პიანისტი ირაკლი ოიკაშვილი.

გერმანიაში, საზოგადოებრივი ორგანიზაცია Eurocon-ის ეგიდით, მეექვსე წელიწადია, ფუნქციონირებს მოზარდთა მუსიკალური განათლების განვითარების, კულტურის სფეროში თანამშრომლობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერი საერთაშორისო პროექტი „კამერტონი“. პროექტის მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ახალგაზრდა კლასიკური მუსიკოსების საერთაშორისო კარიერის ჩამოყალიბება, მასტერკლასებისა და საკონცერტო გამოსვლების ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოსებს შორის შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება და განვითარება.

საქართველო 2011 წლიდან შეუერთდა პროექტ „კამერტონს“, იმ წელს „კამერტონი-საქართველოს“ წარმომადგენელი იყო პიანისტი ირმა რუხაძე, 2012 წლიდან პროექტის საქართველოს წარმომადგენელი და მუსიკალური ხელმძღვანელია კირა ლელაშვილი.

პროექტის მხარდამჭერები არიან გოეთეს ინსტიტუტი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ბერლინის სენატი.



## ქართველ ახალგაზრდებს წლეულსაც მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა ჰქონდათ მომზადებული გერმანელი მსმენელებისთვის



წლეულს „კამერტონის“ მხარდამჭერთა, პარტნიორთა რიგს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროც შეემატა.

ქართველ ახალგაზრდებს წლეულსაც ძალზე მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა ჰქონდათ მომზადებული გერმანელი მსმენელებისთვის — როგორც სოლო ნომრები, ასევე ანსამბლები. ცხადია, დასავლეთევროპელი, რუსი და ამერიკელი კომპოზიტორების ქმნილებებთან ერთად, პროგრამაში შეტანილი იყო ქართული მუსიკაც — რევაზ ლაღიძის „რონდო-ტოკატა“, ირაკლი გეჯაძის „მერცხალი“, გელა ჩარკვიანის საფორტეპიანო ციკლი „ირაკლიანა“; „კამერტონის“ თხოვნით, ვაჟა აზარაშვილმა შექმნა თავისი შესანიშნავი „ნოქტიურნის“ საკმაოდ უჩვეულო საანსამბლო შემადგენლობისთვის განკუთვნილი რედაქცია, ამავე შემადგენლობისთვის ასევე ირაკლი ცინცაძემ გადააკეთა სულხან ცინცაძის ორი საკვარტეტო მინიატურა „სიმღერა“ და „ლალე“. საგანგებოდ ბერლინში მიმავალი ამ მუსიკოსებისთვის შეიქმნა ახალგაზრდა კომპოზიტორის, თენგიზ ნოზაძის, კვარტეტი სახელწოდებით „სარკაზმი“.

საგულისხმოა, რომ გერმანიაში გამგზავრებამდე „კამერტონი“ 4 კონცერტით წარდგა თბილისის სხვადასხვა საკონცერტო სივრცეში, მათ შორის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და გოეთეს ინსტიტუტში გერმანული დღეების „სამი ქვეყანა — ერთი ენა; გერმანია, ავსტრია, შვეიცარია“ ოფიციალურ გახსნაში.

„კამერტონი-საქართველოს“ კონცერტებს წლეულსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. გულთბილ გამოხმაურებებთან ერთად, გაჩნდა ახალი საინტერესო შემოქმედებითი შეთავაზებებიც. გაისად „კამერტონის“ მუსიკოსები მიწვეულნი არიან ქალაქ ბადჰერსფელდში იოჰან სებასტიან ბახის სახელობის საერთაშორისო საოპერო ფესტივალზე ორი კონცერტის გასამართად. ასევე წარმოებს მოლაპარაკება ნიდერლანდების ერთ-ერთ შემოქმედებით ორგანიზაციასთან „კამერტონის“ მიწვევის თაობაზე ტექსელის კუნძულზე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტების ციკლში მონაწილეობისთვის. მნიშვნელოვანი გამოდგა რიხარდ ვაგნერის საზოგადოებაში გამართული კონცერტი, რომლის წარმატებამაც განაპირობა გაისად „კამერტონის“ კვლავ მიწვევა საკონცერტოდ. ასევე, ამ საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით, გიორგი ოიკაშვილი გახდა რიხარდ ვაგნერის სახელობის სტიპენდიანტი.

ცხადია, პროექტ „კამერტონის“ ეგიდითაც დაიგეგმა 2015 წლის შემოქმედებითი პროცესი და შესაბამისად, „კამერტონი-საქართველო“ გაისადაც გამართავს გასტროლს გერმანიის ქალაქებში.

# მონაკოს უმდიდრესი ქალი მაფიოზებმა მოკლეს



**საფრანგეთის ქალაქ ნიცის ერთ-ერთ კლინიკაში მონაკოს უმდიდრესი ოჯახის უფროსი ელენ პასტორი გარდაიცვალა. ამა წლის 6 მაისს ნიციდან მონაკოში მიმავალი 77 წლის ბიზნესლედის ავტომობილი უცნობმა ბოროტმოქმედმა სანადირო თოფიდან გასროლით დაცხრილა.**

თავდასხმის შემდეგ ელენ პასტორი და მისი მძღოლი, რომლებსაც მრავალი ჭრილობა აღენიშნებოდათ, სენ როშის საავადმყოფოს სარეანიმაციო განყოფილებაში გადაიყვანეს. მძღოლი 4 დღის შემდეგ გარდაიცვალა, ელენი კი რამდენიმე დღის განმავლობაში კომაში იმყოფებოდა, თუმცა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ცნობიერება დაუბრუნდა.

**ფრანგულ პრესაში გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიით, ელენ პასტორს ცნობილი იტლიური მაფიოზური დაჯგუფებების — „ნდრანგეტასა“ და „კამორას“ წევრები გაუსწორდნენ. ადგილობრივი პოლიციის მონაცემებით, ეს მაფიოზური კლანები უძრავი ქონებით მაქინაციებს ეწევიან საფრანგეთის რივიერაზე.**

აღსანიშნავია, რომ პასტორების ოჯახის ქონება 19 მილიარდ ევროდ არის შეფასებული. მათი ბიუჯეტი კი, ძირითადად, უძრავი ქონებისა და მშენებლობებიდან შემოსული თანხებით ივსება.

## მკურნალი საუკეთესო შედეგებით

ნანა პაიჭაძე სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრისა და მენჯ ბარძაყის ართროზს, დისკოზს, საშწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს და ყველა იმ დაავადებას, რომლებიც ძვალ-სახსარს უკავშირდება.

გიორგი გოგიჩაიშვილი, ტელეწამყვანი: მაწუხებდა კისრის მალების ოსტეოქონდროზი, მიჭირდა მოძრაობა, ქალბატონ ნანას მალამოს წყალობით შვება პირველივე კვირაში ვიგრძენი, მეორე კურსის მერე კი ტკივილები საერთოდ გამიქრა.

ჯემალ ღაღანიძე, მსახიობი: ქალბატონ ნანასთან მივედი ნერვის მწვავე ანთებით, რომელიც ოსტეოქონდროზმა და ლორდოზმა გამოიწვია. ქალბატონი ნანას მალამომ სასწაული შედეგი მომცა უმოკლეს დროში. მადლობა მას ამისთვის.

ტელ. 599-54-64-81, 593-000-826

## სიმაღლის მომატება — სწრაფად და ეფექტიანად

3-5სმ-ით მომატება კურსით 3-25 წლამდე. ძვლის მკვებავი ვიტამინების, მინერალების ნაკრებით, ვარჯიშებითა და მასაჟით, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება 5-15კგ-მდე თვეში ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით; მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება.

მკურნალობა — მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით.

218-46-08, 558-15-63-33
ექიმი ნინო

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა

საქართველო & მსოფლიო
ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894